საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

®

www.tbiliselebi.ge

№12(691) 24-30 მარტ 1,50 ლარი



გვ. 14

ვინ ცდილობს სუროგატი ბავშვის მეშვეობით ია ფარულავასა და ტარიელ სუარის უფრო მეტად გაბედნიერებას

გვ. 18

რა ფერის ტანსაცმლით შევიმოსოთ, რომ ნაკლები შეცდომა დავუშვათ, გამოვიყურებოდეთ სექსუალურად და რომელ ფერთან თამაშია მარტივი

გვ. 23

დათანხმდებოდა თუ არა ხელახლა ნუცა ქავთარაძე აჩიკო სოლოღაშვილზე გათხოვებას

GINO PARADISE
ჯინო ფერედაისი გვ. 15



გვ. 68

რატომ დააჯილდოვა პირველი ქართველი ეპისკოპოსი ქალი რუსუდან გოცირიძე ამერიკის პირველმა ლედიმ მამაცი ქალების საერთაშორისო ჯილდოთი



გვ. 2

როგორ ვითარდება ბახალასა და ქეთა შათირიშვილის სიყვარულის ისტორია



როგორი ბავშვობა ჰქონდა მაია ჯაბუას ქალიშვილს და როგორ იპოვა მან თავისი საქმე

გვ. 75



გვ. 71

რა ჯილდო აიღო ავსტრალიაში პატარა აბელ არავიძის შემსრულებელმა დავით ქემხაძემ

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

**უკვე მეორე სეზონია რაც ქართული ტელესერიალების ისტორიაში სრულიად განსხვავებულ, უცნაურ და სახალისო სერიალს უყურებს ტელეკომპანია „ჯიდიესის" მაყურებელი. „პანიკის გარეშე" ფანტასტიკური სერიალია, სადაც ბაბუა ცოდვების გამოსასყიდად და განძის დასაბრუნებლად ბრუნდება ჯოჯოხეთიდან და შვილიშვილის „სწორ გზაზე" დაყენებასაც ცდილობს. შვილიშვილი, რომელსაც ბახალა ასახიერებს, ამ სეზონზეც განაგრძობს ჩვენი დამძიმებული ცხოვრების შემსუბუქებას. ამ სეზონზე სასიყვარულო ურთიერთობებიც მძაფრდება, პერსონაჟთან, რომელსაც ქეთა შათირიშვილი ასახიერებს.**

# როგორ ვითარდება ბახალას და ქეთა შათირიშვილის სიყვარულის ისტორია

**– მოდი, ცოტა ზოგადი თემით დავიწყოთ: რატომ არ უყურებენ კარგ და ხარისხიან თემებს ტელევიზორში და ინტერნეტში ახალი, ამერიკული სერიალების ახალი სერიების ყურებაში ათენებენ ღამეებს?**

**ბახალა**: ამას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართულმა ტელევიზიამ გააფუჭა გემოვნება. ათწლეულების განმავლობაში ნაჩვენებმა ცუდმა გადაცემებმა და ცუდმა სერიალებმა, ისედაც ცუდ დღეში მყოფი ჩვენი მენტალიტეტი და გემოვნება საერთოდ მოშალა; პარალელურად – ეკლესიაც. მოკლედ, ბევრმა რამემ ერთად გააფუჭა მაყურებლის გემოვნება.

**– ეს მიზანმიმართულად მოხდა თუ, უბრალოდ, ქვეყანასთან ერთად, ტელევიზიებსაც ძალიან უჭირდათ და იაფიან პროდუქტს ქმნიდნენ?**

– მიზანმიმართულად. ხელისუფლებას არ სჭირდება კარგად განვითარებული, გემოვნებიანი მასა, რადგან ის მერე რთული სამართავი იქნება. ყველგან ხდება ეს, მაგრამ, მეტნაკლებად. ჩვენი ტელევიზიებით კი მხოლოდ მდარე ხარისხის გადაცემებს აჩვენებენ. ახლა უკვე ისეთი სიტუაციაა, კარგს და ხარისხიანს რომ გააკეთებ, უბრალოდ, აღარ გყავს მაყურებელი. ახლა ყველა არხმა ერთდროულად თუ არ დაიწყო კარგი გადაცემების კეთება, ერთსა და ორს მაყურებელი არ ეყოლება. დღეს თითქმის ყველას აქვს საკაბელო ტელევიზია, აიეტი-შმაიეტი, მილიონი მაგარი არხითა და გადაცემით, მაგრამ, ყველა მაინც ქართულ არხებს უყურებს – ეზარებათ ტვინის განძრევა, რაც მარტივია და ძალიან ფერადია, იმას უყურებენ.

**– ყველაფერ ამის გამო, ალბათ, ძალიან ბევრი იფიქრეთ, სანამ დათანხმდებოდით სერიალში თამაშს.**

**ქეთა შათირიშვილი**: დიახ, მე მართლა ძალიან ბევრი ვიფიქრე, სერიალებში თამაშის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. ისეთი დონის შემოთავაზებები იყო, რომ არ დავინტერესებულვარ. „ჯიდიესის" შემთხვევაში სხვანაირად მოხდა. ვიცნობ იმ ადამიანებს, ვინც იქ მუშაობენ, როგორი გემოვნება აქვთ, ამიტომაც ვენდე და არც ვნანობ. თან, რომ მითხრეს, ბახალა თამაშობსო, ამან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე – ვმეგობრობთ, ვიცი მისი გემოვნება და, ვიცი, რომ ის ცუდს არ გააკეთებდა.

**ბახალა**: მეც ყოველთვის ვირიდებ თავს კომერციულ პროექტებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ბევრი რაღაც ერთმანეთს დაემთხვა. მთელი წელი გაჩერებული ვიყავი, შემოსავლის წყარო საერთოდ არ მქონდა; თან, ეს იყო ჯგუფი, რომელსაც ვენდობი. მაინც მეგონა, რომ არ გამოვიდოდა, რადგან, ქართული და კარგი ჯერ არაფერი მინახავს. მეტ-ნაკლებად კარგია „ჩემი ცოლის დაქალები", დანარჩენი, რაც აქამდე ყოფილა, არც ერთი არ გამართლებულა. ანუ, რისკზე წავედი.

**ქეთა**: გარდა ამისა, ეს არ იყო უცხოურის ანალოგი, თავიდან ბოლომდე ქართული პროექტია. როდესაც სხვა ქვეყნის პროექტი გადმოგაქვს, ის ყოველთვის იწვევს შედარებებს, ძირითადად – ცუდს, რადგან, სხვისგან გადმოღებული და იმაზე კარგად გაკეთებული, ჯერ არაფერი მინახავს.

**– თან, ეს არ არის სტანდარტული სერიალი, ისეთი ჟანრობრივი მიქსია, რომ, ალბათ, უფრო მეტად აჩენდა რისკის მომენტს – გაამართლებდა თუ არა.**

**ბახალა**: კი, ძალიან რთული გადასაღებია ასეთი ჟანრობრივი ნაზავი: ფანტასტიკა, იუმორი, დეტექტივი – მაგრამ, გამოვიდა. პირველ ყოვლისა, ის სცენარის ხარჯზეა ძალიან კარგი; მერე, კარგი ქასთი ანუ მსახიობების ჯგუფია, ტექნიკურადაც ყველაფერი კარგად კეთდება და ეს ყველაფერი ერთად ქმნის კარგ პროდუქტს.

**– პირველ სეზონზე და შენს გმირზე მომიყევი, ვინ არის, რა უნდა?**

– ჩემი პერსონაჟი წარუმატებელი რეჟისორია, ალტერნატიული თაობის ტიპია, რომელსაც



**ბახალა: „მამა ჰყავს გამო..ლევებული. ქართული მენტალობის ტიპია, რომელიც ყველაფერს აფუჭებს, რომ ჯიბე გაისქელოს"**

აქვს ძალიან ცუდი კარმა. ბაბუამისს ბევრი მძღ... აქვს ნაჭამი თავის დროზე და, იქიდან მოყოლებული, ვერ დაალაგა თავისი ცხოვრება. ბაბუას ჩადენილ ცოდვაზე შვილიშვილმა კბილი მოიტეხაო – აი, ეგ ბაზარია. ბაბუასაც პრობლემები აქვს ჯოჯოხეთში, ჩამოდის ამ კარმის გამოსასწორებლად და, თან, იცის განძის ადგილსამყოფელი და, უნდა, ეს განძიც იპოვოს.

**– ალბათ, დიდი ჯგუფია წარუმატებელი რეჟისორების, მსახიობების, ზოგადად – ხელოვანების, ვინც დეპრესიაშია, სახლში ზის და არაფერს აკეთებს.**

– ყველა პერსონაჟი სტერეოტიპებით კეთდება და სტერეოტიპულია ჩემი გმირიც. წელიწადში ორასი კაცი ამთავრებს თეატრალურს და ორიც კი არ მუშაობს. ქეთას პერსონაჟიც ძალიან სტერეოტიპულია – არის ახალგაზრდა, კობეინის ასაკის, მშობლებთან კონფლიქტში, არაფერი არ მოსწონს; თან, ეს მხოლოდ ასაკის ბრალიც არ არის – მამა ჰყავს გამო..ლევებული. ქართული მენტალობის ტიპია, რომელიც ყველაფერს აფუჭებს, რომ ჯიბე გაისქელოს. ბაბუაჩემიც ძალიან სტერეოტიპულია. ყველა პერსონაჟი ჩვენი დღევანდელი რეალობიდან გამომდინარეობს.

**– გჯერა კარმის?**

– მე მჯერა, რომ შენი ყველა საქციელი სადღაც გროვდება და უკან გიბრუნდება. რამეს დააშავებ?! წინ აუცილებლად დაგხვდება. ზუსტად ესაა კარმა – რა ენერგიას გამოიმუშავებ. უნდა მოიქცე ისე, როგორც გინდა, რომ მოგექცნენ; ყველაფერი აკეთო ისე, როგორც გინდა რომ წინ დაგხვდეს.

**ქეთა**: შენი საქციელი რომ ქმნის შენს ბედს, ამის მეც მჯერა. ის, რომ სადღაც ბაბუის გაკეთებული ცუდი ისე გიშლის ცხოვრებაში ხელს, რომ, რაც არ უნდა ეცადო, მაინც ყველაფერი ნეგატიურად მიდის შენს ცხოვრებაში – ამის არ მჯერა. შენ წყვეტ შენს ბედს, არა მგონია, დაწერილი ბედისწერა არსებობდეს.

**ბახალა**: ბაბუაც ძალიან სტერეოტიპულია – კომუნისტების დროს, როცა ყველა ერთმანეთს „უშვებდა" და, მით უმეტეს, ისინი, ვინც ფოსტაში მუშაობდნენ.

**– არსებობს რამე გამოსავალი ისეთი ადამიანებისთვის, ვისაც შენ ასახიერებ? დაამთავრეს, ფიქრობენ, რომ ძალიან ნიჭიერები არიან და აუცილებლად ვიღაცამ უნდა იპოვოს და აღმოაჩინოს, თვითონ კი სახლში ზის, სვამს და მოთქვამს, რომ არ გაუმართლა...**

– არ ვიცი, ლოცვები უნდა გააძლიეროს *(იცინის).* საკუთარ თავზე უნდა იმუშაო, არ უნდა გაჩერდე. შრომა არ იკარგება – რაღაცას თუ აკეთებ, შედეგი აუცილებლად მოვა.

**ქეთა**: აი, რატომ ხდება, რომ მთელ მსოფლიოში და არა მხოლოდ საქართველოში, პროვინციელი ტიპები გაცილებით მეტს აღწევენ! მათ აქვთ რაღაც ჟინი, დიდი სურვილი და მიზნისკენ სწორხაზოვანი სიარული...

**ბახალა**: ინფანტილურად სჯერათ ოცნებების ახდენის და ეს რწმენა იმდენად დიდია, ისეთი შრომისმოყვარეები არიან, რომ ახერხებენ ოცნების ახდენას. იჯერებ რაღაცას და ჯაჭვურად აკეთებ ყველაფერს მხოლოდ ამ დაჯერებულის გზაზე.

**– თბილისია მათი „ამერიკული ოცნება"?**

– რა თქმა უნდა. „ჩავალ თბილისში და მაყუთს მოვახტებიო," – იტყვიან და ამას მართლა აკეთებენ. ადრე ერთი ხუთი ბიჭი ჩამოვიდა რუსთავიდან. ყველამ რაღაცა გააკეთა, ერთი ძალიან მაგარი გრაფიკოსია, ძირითადად ევროპაში და ამერიკაში მუშაობენ. ძალიან უცნაურად იყვნენ მომართულები. ალბათ, იმ გარემოში რომ იბადები და იმ რეალობიდან გინდა გაღწევა, ძალიან ბევრს შრომობ ამისთვის. მაგრამ, ბევრი მართლა ისეთია, რომ იქ უნდა დარჩეს, არასდროს არ უნდა შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი. ტიპები ჩამოდიან, ტაქსიზე სხდებიან და ქუჩების გაგებაში არ არიან, ამიტომ, ფულსაც ვერ აკეთებენ. რომ ვეუბნები, აეროპორტში ხუთ ლარად გამიყვან-მეთქი? დავაი, დაჯექიო მეუბნება, – აზრზე არ არის, რამსიშორესაა და ხომ არ ზარალობს. იმის მაგივრად, რომ ფული გააკეთონ, ზარალობენ. არ იციან და იმას ჰკიდებენ ხელს, რაზეც წარმოდგენა არ აქვთ.

**– მეორე სეზონი როგორი იქნება?**

– პირველი ორი სერია უკვე გადავიღეთ.

**ქეთა**: მეორე სეზონში ჩვენი სიყვარული ვითარდება და ვითარდება. დიდი „ლავ სთორი" არ გვაქვს, მაგრამ, ფეხს იდგამს ამავდროულად, აქტიურდება განძის თემაც და იწყება მისი ძებნა.

**ბახალა**: თუმცა, ჩემს პერსონაჟს ეს განძი „ჰკიდია," რადგან, ადამიანი ნახა, ვისთან ერთადაც თავს კარგად გრძნობს და არ სჭირდება არც განძი და არც არაფერი ბედნიერებისთვის. მაგრამ, ნელ-ნელა ამ შეყვარებულთანაც უფუჭდება ურთიერთობა იმიტომ რომ, ძალიან გულწრფელია მასთან... მოკლედ, დიდი ამბებია.

**– განძი არ გიძებნია ბავშვობაში?**

– არა. ფილმებში ვეძებდი ხოლმე განძს სხვებთან ერთად.

**– იუმორზეც მითხარი შენი აზრი.**

– ძაან ტრაკში ვართ. რა გადაცემებიც არის, ისეთი იუმორია. შეიძლება, რომ, უბრალოდ, დიალექტით ნათქვამმა წინადადებამ მოკში ჩაგაგდოს, ისე იცინო?! ახლა თითქოს ნელ-ნელა იძვრება რაღაცეები ადგილიდან. „ჯეოსელმა" დაიწყო ილო ბეროშვილის სერიები, ძალიან კარგია. ჩვენთანაც, სხვა რაღაცეებთან შედარებით, ძალიან ჯანმრთელი იუმორია. თუ ნელ-ნელა ეს პატარ-პატარა რაღაცეები არ ჩავაწვეთეთ, გულისამრევად გვაქვს საქმე. მტკივა და განვიცდი, ჩემი ძმისშვილი რომ დაჯდება და ისეთ რაღაცეებზე იცინის, რაც ყველაფერია, იუმორის გარდა.

**სალომე გველესიანი**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ არ აღიარებდნენ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიები საქართველოს ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას და როგორ დაიკავა ქართული ეკლესიის მეხუთე ადგილი დიპტიხში მოსკოვის საპატრიარქომ ... 8



რატომ შეიძულეს აფხაზებმა და სამხრეთელმა ოსებმა ქართველები და რატომ უწოდებენ მათ „ფაშისტებს“ ... 10

როგორ ვხედავთ საკუთარი ქვეცნობიერის დახმარებით, თვალზე უფრო ადრე, სხვა ადამიანს და სხეულის რა ნაწილიდან შემოდის ადამიანში სულიერება.............12



როგორ გაყიდა გოკა გაბაშვილმა 5 000 ლარად ღირებული ფერწერული ტილო 40 000 დოლარად ........................................... 13

ვინ ცდილობს სუროგატი ბავშვის მეშვეობით ია ფარულავასა და ტარიელ სუარის უფრო მეტად გაბედნიერებას ..... 14

Gino Paradise Tbilisi – პირველი და გრანდიოზული აკვაპარკი აღმოსავლეთ ევროპაში ..................................................... 15



არის თუ არა სასიცოცხლოდ აუცილებელი გაზაფხულზე იმუნიტეტის ამაღლება და მარხვის სწორად შენახვა ............... 16

რა ფერის ტანსაცმლით შევიმოსოთ, რომ ნაკლები შეცდომა დავუშვათ, გამოვიყურებოდეთ სექსუალურად და რომელ ფერთან თამაშია მარტივი ................................ 18

როდის არ უნდა გაიღოს მსხვერპლი ქალმა ქმრის სასარგებლოდ და ვინ შეიძლება იქცეს მის მეტოქედ ............ 20

როგორ დააშორა ერთმანეთს აფხაზეთის ომმა დედა-შვილი და ვის ეძებენ რუსეთიდან საქართველოში ... 21

როგორ უბიძგა ციცინო კობიაშვილმა უკრაინელ მსახიობებს შრომის კოდექსის დარღვევისკენ და როგორი გამოვიდა მათი პოლტავური „ხანუმა“ ............................................... 22

დათანხმდებოდა თუ არა ხელახლა ნუცა ქავთარაძე აჩიკო სოლოღაშვილზე გათხოვებას ............... 23

გადადის თუ არა წინაპრის მიერ ჩადენილი ცოდვა მის შთამომავალზე და როდემდე შენარჩუნდება ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორის არსებული მჭიდრო კავშირი ...................................... 24

რას საქმიანობენ 1990-იანი წლების ფეხბურთის ვარსკვლავები............26

მსოფლიოს რომელ ქვეყანაში ცხოვრობს ყველაზე მეტი მილიარდერი..................27

ექიმის რჩევები.......29

როგორ მოიპოვა არჩილ გომიაშვილმა ოსტაპ ბენდერის როლი „12 სკამში“ და როგორ დაკარგა შტირლიცის როლი „გაზაფხულის ჩვიდმეტ გაელვებაში“...............30

როდის ხვდებიან საიქიოში გარდაცვალებამდე და რატომ ემართება ადამიანს კლინიკური სიკვდილი..................32

კოსმეტოლოგის რჩევები...........................34

ვისთან ერთად იქეიფა დილამდე სტალინმა თავის 70 წლის იუბილეზე......35

როგორ უნდა მივხვდეთ სად ვუშვებთ შეცდომას და სად ვბლოკავთ საკუთარ ბედნიერებას ............................................ 36

როგორ მოიპარეს ეგზარქოსმა ევსევიმ და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ლევაშოვმა თამარმეფისეული ლალის თვლები ................................................. 47

როგორ აართვა 15 მილიარდი დოლარი საერთაშორისო ნარკოკარტელს ყოფილმა ქართველმა ჯიბგირმა ......... 48

როგორ გაუსწორდა ქურდობაში მხილებული მამაკაცი ყოფილი საყვარლის ქალიშვილს ......................... 49

ადვოკატი გირჩევთ ................................. 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს .... 51

ქალური შურისძიება ............................ 56

ქურდული ცხოვრება..............64

რატომ დააჯილდოვა პირველი ქართველი ეპისკოპოსი ქალი რუსუდან გოცირიძე ამერიკის პირველმა ლედიმ მამაცი ქალების საერთაშორისო ჯილდოთი..............68

როგორ ავიცილოთ თავიდან ქრონიკული უიღბლობა და აქვს თუ არა ყველას თავისი ვარსკვლავი............69

რა შიშის გადალახვა მოუწია ჯულიანა ბარ-განარს და როდის ცარიელდება ის შინაგანად ............................................... 70

რა ჯილდო აიღო ავსტრალიაში პატარა აბელ არავიძის შემსრულებელმა დავით ქემხაძემ .................................................. 71

როგორ გახდა თურქების საყვარელი მომღერალი ლაზი ქაზიმ ქოიუნჯუ და რას აკეთებდა ის ლაზური ენის პოპულარიზაციისთვის ......................... 72

რა სასიამოვნო რიტუალს ატარებენ ყოველდღიურად დეა არაყიშვილი და მისი მეუღლე და როგორ აისრულა მან ქმრის დახმარებით ბავშვობის ოცნება ....................................................... 74

როგორი ბავშვობა ჰქონდა მაია ჯაბუას ქალიშვილს და როგორ იპოვა მან თავისი საქმე ................................................ 75






გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# კუნთებათამაშებულები – დანიშნულებისამებრ

## საპარლამენტო მოთელვა

თუმცა **უკრაინელი სამხედროები ყირიმის ნახევარკუნძულის წართმევისას ცივილიზებულად მოიქცნენ** და, **„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, ამჯობინეს** (რითაც, სახელდობრ, **ჩვენ არცთუ ურიგო სამსახური გაგვიწიეს,** რადგან **ამ ფონზე 2008-ში თვით ღმერთთან მებრძოლ იაკობად წარმოვჩინდით,** თუმცა ამით ჩვენს დე-ფაქტო რუკას – არანაირი შეღავათი), **საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრებმა სხვაგვარად განსაჯეს.**

კერძოდ, გასულ კვირას გამართულ ბიუროს სხდომაზე, რომელზეც „სისხლის სა-



მართლის საპროცესო კოდექსში“ შესატან ცვლილებებს განიხილავდნენ (სხვათა შორის, იმიტომ რომ, **როგორც აღმოჩნდა, საქართველოს პარლამენტის წევრი ისეთი რკინისებური იმუნიტეტით სარგებლობს, სულაც რომ ტერორისტული აქტები მოაწყოს, თმის ბეწვსაც ვერ შეურხევენ სამართალდამცველები**), ერთმანეთს **უმცირესობის წევრი** გიორგი თევდორაძე და **უმრავლესობის წევრი** ომარ ნიშნიანიძე **წაეკიდნენ**.

დაპირისპირება კი შემდეგნაირად წარმოიშვა: მაშინ, როდესაც **უმცირესოელი** ბ-ნი **ბეჟაშვილი დეპუტატის იმუნიტეტის შესუსტებაზე აზრს გამოთქვამდა**, **უმრავლესოელი** ბ-ნი **ნიშნიანიძე რეპლიკებს ისროდა**, **რამაც უმცირესოელი** ბ-ნი **თევდორაძე გააღიზიანა** („აზრზე მოდიო“). **უმრავლესოელ** ბ-ნ **ნიშნიანიძეს კოლეგა** ბ-ნი **ხაბარელი გამოესარჩლა**. საბოლოოდ, **ვითარება პარლამენტის თავმჯდომარემ განმუხტა** („მსგავსი სიტყვები ქუჩაში ილაპარაკეთ“ და არა კანონმდებელთა სავანეშიო).

**საქმე თავ-პირის ლეწვამდე არ მისულა,** თუმცა **არც ეს არის** (არც ყოფილა) **უცხო ჩვენებური კანონმდებლების კანონშემოქმედებითი ცხოვრებისთვის**, ხოლო, თუ ყირიმის ამბებს გავიხსენებთ, ზედაც, ჩრდილოურ მადას დავამატებთ, შესაძლოა, **კუნთების თამაში პირდაპირი მნიშვნელობითაც დაგვჭირდეს,** ასე რომ, **ერთგვარად მისასალმებელია, თუ ოკუპანტთან შებმამდე, ჩვენი კანონმდებლები ერთმანეთზე მოითელებიან.**

# „გაძარცულ კლიენტებს ღიმილით უკვდებოდა“

შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია, რომ **ყველა მსუყე სფეროში მონოპოლიებია**, თუმცა **თავად მონოპოლისტები დედას დედაზე იფიცებენ, ზედაც, მსხვილ-მსხვილ კურცხლებს ყრიან**, მონოპოლისტები არ ვართო და რომ მხოლოდ მომხმარებლის ბედნიერებისთვის აქვთ ბიზნესი (დაახლოებით, **ასე პოეტურად: „გაძარცულ კლიენტებს ღიმილით უკვდებოდა.“**

ჰოდა, **რაკი ნათელია და, რაც მთავარია, მონოპოლიების დანგრევა ევროკავშირთან ასოცირების პროცესის ნაწილიცაა**, საქართველოს **პარლამენტმა, დრო ბევრი ჭიმა თუ ცოტა, კონკურენციის სააგენტოს შექმნა გადაწყვიტა**. ის 15 აპრილამდე უნდა შეიქმნას, მისი ხელმძღვანელიც ამ დროისთვისვე უნდა დასახელდეს, რომელიც, პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული, პრემიერ-მინისტრის წინაშევე იქნება პასუხისმგებელი.

თუმცა **ბიზნესმენები და უმცირესობა წინააღმდეგნი ბრძანდებიან**. სახელდობრ, **უმცირესობა უბნობს, რომ კონკურენციის სააგენტოს უკიდეგანო უფლებებმა შესაძლოა, ბიზნესის განვითარება შეაფერხოსო** (მაინცდამაინც, მომხარებლის ძარცვა არის ნეტავ ბიზნესის განვითარების მოტორი?!), **ბიზნესმენები ჩივიან, ჯარიმებია დიდიო** (მაგრამ აი, წამალს რომ თვით 800-პროცენტიანი ფასნამატი აქვს, „მაი აფერიო“).

**რაც შეეხება ჯარიმებს** (აგრერიგად რომ დაუფრთხო ძილი ჩვენს მონოპოლიზმთან „შენობით” მყოფ ბიზენსმენებს): **კანონის დარღვევის** (ანუ ამა თუ იმ სფეროში გამონოპოლისტების) **შემთხვევაში, ეკონომიკურ აგენტს წლიური ბრუნვის 10 პროცენტის ოდენობის ჯარიმა დაუწესდება.**

**ბიზენსმენები გვარწმუნებენ, რომ ეგზომ დიდ თანხას ვერც ერთი ბიზნესი ვერ გადაიხდის** (თორემ, განა იმას – გამოვსწორდებითო). **ჩვენ**, ბუნებრივია, **გვჯერა მათი** (აბა, როგორია, ამხელა და ტკბილი ლუკმის ერთი ხელის მოსმით დაკარგვა), თუმცა, **თუკი აქამომდე მომხმარებელი ახერხებდა მათ მიერ დაწესებული მონოპოლიური ფასებით ცხოვრებას**, ცოტა **მათაც გაიჭირვონ** და (თუ კონკურენციას მთლად ბოლომდე ვერ გავაჯანსაღებთ), **ბარი-ბარში მაინც ვიქნებით**.

# ბეჭებზე დადებული

## ანუ მარტის თეზისები

რაკი მთელი **ორი მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარეობის გამოცდილება აქვს** და, ზედაც, **ომიც გადაუტანია სახელისუფლო ბეჭებზე** (ერთი ისაა ტრაგიკული, რომ იმ ომში **ბეჭებზე დაგვდეს** – თუმცა ძალა აღმართს ხნავს, არათუ ჩვენ), სავსებით ბუნებრივია, რომ აწ უმცირესობის ლიდერმა ბ-ნმა ბაქრაძემ ხელისუფლებას ყირიმის ანექსიის ფონზე კონკრეტული მოქმედებების გეგმა შესთავაზა.



**მისი გეგმა 4-პუნქტიანია** (შეიძლება, ასეც ვუწოდოთ: **„მარტის თეზისები“**), თუმცა **მასში არც ახალია რამე და,** რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, **არც ულტრარადიკალური.** ზოგადი **ლაიტმოტივი** კი **შემდეგნაირია**: მხარი დავუჭიროთ ყველა სანქციას, რასაც **ცივილიზებული მსოფლიო მიმართავსო**; რადიკალური ნაბიჯები **„ნატოსა“ და ევროკავშირში გასაწევრიანებლადო;** გამთლიანების **შანსი დასავლეთისა და ცივილიზებული სამყაროს გამარჯვებაშიაო;** არ უნდა მივცეთ ჩვენს პარტნიორებს **საქართველოს დავიწყების საშუალებაო**.

მე არ ვიცი, **რას გამოიყენებს** და **რას არა ხელისუფლება ბ-ნი ბაქრაძის „მარტის გეგმიდან“** ან, საერთოდაც, **არის თუ არა მასში რამე გამოსაყენებელი**, თუმცა არ დაგიმალავთ, რომ **ფრიად დამწყდა გული, რაკი** ბ-ნმა **ბაქრაძემ თავისი საფირმო** იარაღის (**ჩანგლების) ეფექტიანად გამოყენების ტექნოლოგია არ გაგვიმხილა**.



# შინ – მამაცი...

## „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ცივილიზებული სამყაროს მარაქაში გვსურს გარევა**, ვერ ვიტყოდი დიდს, მაგრამ **ყურადღებას მაინც ვუთმობთ გენდერულ საკითხებსაც და ქალებზე ძალადობის თემასაც**, ბუნებრივია, ჩვენი **დასავლელი მეგობარ-კოლეგების მზრუნველი მეთვალყურეობის ქვეშ.**



სწორედ მათ მიერ დაფინანსებული კვლევებით ვიგებთ, **სად და რამდენად გვიჭირს**. ერთი სიტყვით, **ამ გაჩახჩახებულ ოცდამეერთე საუკუნეში ისეთებიც გვყოლიან, ქმრის მიერ ცოლის ცემას რომ ამართლებენ,** თან, **სულ – მიზეზ-მიზეზ.**

რეგიონების მიხედვით სურათი შემდეგნაირია: **სავსებით მისაღებად ცოლის ცემა, თუ ის ბავშვებს არ აქცევს ყურადღებას, კახეთში 12 პროცენტამდე** ჰგონიათ, **სამეგრელო – ზემო სვანეთში – 24-მდე, თბილისში კი – 6 პროცენტის ფარგლებში.**

იმ შემთხვევაში, **თუ ცოლი ქმარს ეჩხუბება, კახეთის 8 პროცენტისთვის მისი ცემა სავსებით ბუნებრივია. სამეგრელო – ზემო სვანეთში – 8-სთვის, ხოლო თბილისში – 3,40 პროცენტისთვის.**

**თუ საჭმელი დაწვა, კახელების მხოლოდ 5 პროცენტის აზრით იმსახურებს ცოლი შეხურებას, სამეგრელო – ზემო სვანეთში – 10 პროცენტამდე** აღშფოთდება ამის გამო, **თბილისში**, სულ რაღაც – **1,45 პროცენტი**.

**თუ ცოლი სექსზე ამბობს უარს, მის ცემას კახეთში 5,80 პროცენტი გაამართლებს, სამეგრელო–ზემო სვანეთში – 6,30, თბილისში კი – 1,6 პროცენტი**. ქმრის მუშტის გარეშე ვერც **უნებართვოდ სახლიდან გასვლა ჩაივლის: კახეთში** ამის გამო ცოლის **ცემას გამართლებულად 7,3 პროცენტი მიიჩნევს, სამეგრელო – ზემო სვანეთში – 4,2, თბილისში კი – 1,40 პროცენტი.**

სამწუხაროდ, კვლევა არაფერს ამბობს, **რა შემთხვევაში გაიმეტებდნენ ცოლები თავიანთ ქმრებს საცემად.** ასეა თუ ისე, ეს არ არის მხოლოდ ციფრები, **რეალურად, ცოლებზე ქმრების მიერ ძალადობის სტატისტიკა გაცილებით მძიმეა**, რაც ბუნებრივად **ბადებს რიტორიკულ კითხვა-შეგონებას:** ნეტავ, **ოკუპანტების ცემის სურვილი რად არ უჩნდებათ,** ვითომ **იმიტომ, რომ მათ ხელის უშნოდ შემობრუნება იციან?!**

# „მამინაცვლის“ ეშხით

## მამადავიწყებული მეზობლებიც

მას შემდეგ, რაც **რფ-მ ყირიმი დედის რძესავით შეირგო**, ხოლო **დასავლეთი აღშფოთდა** და ისიც კი გაგვიმხილა, **რუსეთი ამაზე არ გაჩერდებაო**, რფ-ს **ერთგულმა მოკავშირეებმა ყირიმის რეფერენდუმი ისეთივე სისწრაფით აღიარეს, როგორითაც რუსეთმა მიიერთა** (ოკუპანტების ენაზე თუ ვიტყვით: „**ნე ოტხოდია ოტ კასსი**“).



სახელდობრ, ჩვენი დიდი ხნის მეზობელი **სომხეთის პრეზიდენტმა** სიტყვასიტყვით გაიმეორა თავისი რუსი კოლეგის სიტყვები და **უკრაინისთვის ყირიმის აწაპვნას,** არც მეტი, არც ნაკლები, **„ხალხთა თვითგამორკვევის მორიგი ნათელი მაგალითი“ უწოდა.**

როგორც სომხეთის პრეზიდენტის პრესსამსახურმა გვამცნო, **პრ-ებს** (პუტინსა და სარგისიანს) **ტელეფონით უსაუბრიათ** (ოღონდ დიალოგი ამ უკანასკნელის ინიციატივით გამართულა). თუმცა **მათი ამოდ მოსასმენი საუბარი მხოლოდ ამით არ ამოწურულა**: ის ნაბიჯებიც განუხილავთ, **რაც წარმატებით დაასრულებს სომხეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანებას**. თუმცა, მაგალითად, **თვით რუსი ექსპერტების აზრითაც კი, სომხეთმა,** ფაქტობრივად, **დაკარგა სახელმწიფოებრიობა,** ხოლო **საბაჟო კავშირში გაწევრიანება მოსახლეობას მატერიალურადაც დააზარალებს.**

როგორც უნდა იყოს, **ბუნებრივია, ეს მათი საქმეა,** მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ, სახელდობრ, **სომხეთს ჯერაც არ უღიარებია ყარაბაღის დამოუკიდებლობა** (თუმცა ყირიმის პრეცედენტს ლამის ვლ. პუტინის მიერ შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერამდე მიესალმა), როგორც ჩანს, ჩვენს სამეზობლოში არც **„მამადავიწყებულების“ ნაკლებობას უჩივიან და არც მამინაცვლის მზის დამფიცებლებს?!** –

# „უკანასკნელი ნაძირლები“

## ანუ ტვინგამოსარეცხები

ისე მოხდა, რომ, თავდაპირველად, **ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ფოტოები** და **მხოლოდ ამის შემდეგ გაცხარდა პროკურატურა.** რაკი ამ ქვეყანაში **მხოლოდ ეშმაკმა თუ უწყის, ვის ვისზე რა ინფოს ფლობს** და **საქართველოს მოქალაქის პირადი ცხოვრება თვით ყველაზე გადაშლილ წიგნზეც კი გადაშლილია**, ვერავინ იტყვის დანამდვილებით, **ვის შეეძლო, გაევრცელებინა ზემოხსენებული ფოტომასალა.**

მაგალითად, **ექსპრეზიდენტი** ბ-ნი **საკაშვილი ფრიად აღაშფოთა ამ ფაქტმა** (იქნებ გამოცდილება მოვიდა გვიან?!), **რამეთუ მიაჩნია, რომ ქვეყანა კლიპებით არ უნდა იმართებოდეს** (მეორე მხრივ, იგი აბსოლუტურად **მართალია, რას მიქვიან კლიპები, თავმოყვარე ხელისუფლებამ, თუ მთლად სრულმეტრაჟიანი არა, მოკლემეტრაჟიანი ფილმი ხომ მაინც უნდა შესთავაზოს საზოგადოებას**) .

როგორც უნდა იყოს, **უმცირესოელები** და ბ-ნი **ჟვანიას თანაგუნდელები ერთხმად არისხებენ განგაშის ზარებს**, თუ **როგორ მოხდა ფოტოების გასაჯაროება** და **დამნაშავეთა დასჯას ითხოვენ**! ჩვენ, **ბუნებრივია, ვუერთდებით მათ ამ მოთხოვნას,** რამეთუ, გვინდა, რომ **ჩვენი პირადი ცხოვრების ამსახველი გადაშლილი წიგნი ერთხელ და სამუდამოდ დაიხუროს**, რა თქმა უნდა, **გადამშლელთა დასჯის პარალელურად.**

მაგალითად, უმცირესოელი ბ-ნი **ჯაფარიძე ასკვნის, რომ „ამ ვიდეოს აწყობა-გასაჯაროება არის უკანასკნელი ნაძირლების უბინძურესი საქციელი!“** ამ ლოგიკიდან გამომდინარე კი, ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ ის ფოტოები ავთენტურია და **ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა, ვინ გამოდის პირველიდან ბოლომდე ნაძირალა?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


**ნდობის ტელეფონი**
**ინფიმი**
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ტექსტი ყველა მსურველისთვისაა ხელმისაწვდომი, თანაც, ქართულ ენაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ამჯერად მის ეკონომიკურ ნაწილზე ვისაუბრებთ, კერძოდ, სავაჭრო რეჟიმზე. ხელშეკრულების მიხედვით, ამ შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ პროდუქციაზე. თუმცა იმოქმედებს შეზღუდვებიც: განსაზღვრულია იმ პროდუქციის ჩამონათვალი, რომელიც საქართველოდან ევროკავშირში საბაჟო გადასახადის გარეშე უნდა იქნეს იმპორტირებული და იმ პროდუქტებისაც, რომლებიც ამ გადასახადს დაექვემდებარებიან. მათ შორისაა 30-მდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. რა პერსპექტივას უმზადებს ქართულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და არის თუ არა მზად ქართული ბაზარი ევროკავშირის ღია კარში შესასვლელად? თემას ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია განგვიმარტავს.**

# უბიძგებს თუ არა რუსეთის მიერ ყირიმის ისტორიული მოტივით მიერთება თურქეთს აჭარის დასაკავებლად

**– იმედი მაქვს, ასოცირებაზე ხელმოწერის აქტი შედგება. საბაჟო ტარიფი ნულდება, თუმცა 30-მდე პროდუქციაზე რჩება. როგორი სატარიფო რეჟიმი დამყარდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერის შემდეგ?**

– უპირველესად, მინდა ვთქვა, რომ ასოცირების ხელშეკრულებაში საკმაოდ დიდი ნაწილი არა მარტო სავაჭრო ბარიერებს ეთმობა, არამედ საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება პროდუქციის შეფუთვას, წარმოებას, სხვადასხვა მიმართულებით ჰარმონიზაციას. ეს საკმაოდ რთული და ტევადი დოკუმენტია და, მინდა, გითხრათ, რომ არის საშიშროება, ხელმოწერამდე ვერ მოვასწროთ ყველა ამ მოთხოვნის შესრულება.

რაც შეეხება სატარიფო ბარიერს: ჩვენ ისედაც გვქონდა ევროკავშირთან შეღავათიანი ტარიფები და საკმაოდ დიდი ოდენობის საქონელი, 7 200-მდე, ნულოვანი ტარიფით შედიოდა ევროკავშირის ქვეყნებში, არასატარიფო ბარიერთან დაკავშირებით სწორედ ეს მუხლებია გადატანილი ასოცირების ხელშეკრულებაში. ვფიქრობ, ეს წაადგება ქართულ ბაზარს და ქართულ პროდუქციას, მაგრამ, აქ არის რამდენიმე „მაგრამ." არც ის 30 დასახელების საქონელია პრობლემა, რომლებიც საბაჟო ტარიფით დაიბეგრება და არც ქართულ ბაზარს შეექმნება პრობლემა, იმიტომ რომ ჩვენ თითქმის ღია გვქონდა ეს ბაზარი, ისევე, როგორც მათ. ევროპული საქონელი შემოდიოდა, რადგან ჩვენ ვაღიარებდით მათ მიერ გაცემულ სერტიფიკატებს. აქ მთავარი პრობლემა ის არის, რამდენად მოასწრებს ჩვენი სოფლის მეურნეობა და ბაზარი ევროპული ბაზრისთვის გადალაგებას. ევროპელებმა გააკეთეს ანონსი: სასწრაფოდ მოგვთხოვეთ ფული ამ საქმისთვის, პიარისთვის, სტანდარტების დანერგვისთვის, სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციისთვის.



**ისედაც გვქონდა ევროკავშირთან შეღავათიანი ტარიფები და 7 200-მდე საქონელი ნულოვანი ტარიფით შედიოდა ევროკავშირის ქვეყნებში, არასატარიფო ბარიერთან დაკავშირებით სწორედ ეს მუხლებია გადატანილი ასოცირების ხელშეკრულებაში**

**– მოვითხოვეთ?**

– სასწრაფოდ უნდა მოვითხოვოთ. და ეს არ არის კაბინეტებში რამდენიმე კაცის გასაკეთებელი საქმე. ამას სჭირდება არასამთავრობოების, ექსპერტების, სერიოზული კონსალტინგური ორგანიზაციების ჩართვა და ამას სჭირდება ფული. მით უმეტეს, ასეთი გამოცდილება არსებობს: ევროპა ამ გზაზე ფინანსურად დაეხმარა პოლონეთსა თუ ბალტიის ქვეყნებს. ჩვენ ჯერ სასწრაფოდ უნდა მოვითხოვოთ ფული, ამის შემდეგ მოვიწვიოთ ადგილობრივი და ევროპელი ექსპერტები და მათთან ერთად გავიაროთ თითოეული პუნქტი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და თითოეული დაკარგული დღე შეიძლება, ძვირად დაგვიჯდეს.

**– როდესაც ამბობთ, ქართულ ბაზარს არ შეექმნება პრობლემაო, გულისხმობთ, რომ ევროკავშირიდან შემოსული პროდუქცია არ გაძვირდება? თუ, იმ შემთხვევაშიც არ შეიქმნება პრობლემა, თუკი ვერ მოესწრება ჩვენი პროდუქციის სათანადოდ მომზადება?**

– არასატარიფო ბარიერებში ის პრობლემაა, რომ, შესაძლოა, ჩვენი საქონლის წარმოების, სერტიფიცირებისა და შეფუთვის პროცესი არ იყოს იმ დონის, რაც ამ ხელშეკრულებაშია.

**– რას ითხოვს ისეთს?**

– საკმაოდ დიდი ჩამონათვალია, დაწყებული ეკოლოგიიდან, მიწის პასპორტიზაცია, ჰაერის ანალიზი, ქიმიზაცია, ჯიშების კონტროლი და ასე შემდეგ. ისეთი დეტალებია, რასაც სპეციალისტის ყური სჭირდება.

**– ქართულ სარეკლამო რგოლებში ხშირად იწონებენ მწარმოებლები თავს „აი სო სერტიფიკატით". გამოადგებათ ეს სერტიფიკატი ევროკავშირის ბაზარზე?**

– „აი სო სერტიფიკატი" ბევრნაირია. არის მენეჯმენტის სერტიფიკატიც და ეს სულ სხვაა, არის კონკრეტული პროდუქციის სეტრიფიკატი და ეს საკმაოდ რთული რამაა. ავიღოთ თაფლი: 80-მდე პარამეტრია, რასაც ისინი, მინიმუმ, შეამოწმებენ. აი, ეს პროცესი უნდა გაიაროს ჩვენმა თაფლმა, რომ ევროპამ კარი გაუღოს და, შეიძლება, ის, რაც ჩვენ მოგვწონს, მათ არ მოეწონოთ და თქვან, თქვენი აკაციის თაფლი სურნელოვანია და კარგია გუდის ყველი, მაგრამ ესა და ეს ჩხირები და ბაქტერიები აქვსო.

**– შესაძლებელია, რომ ხელი მოეწეროს შეთანხმებას ისე, რომ ჩვენ მიერ წარმოებული პროდუქცია არ იყოს მზად ევროკავშირის ბაზრისთვის?**

– თავისუფალი ვაჭრობის დაწყების მომენტისთვის ეს ყველაფერი შესრულებული უნდა იყოს.

**– თუ არ იქნა შესრულებული?**

– არ ვიცი... შეიძლება, თვალი დახუჭონ, მაინც შეგვიყვანონ და დრო მოგვცენ ან სასწრაფოდ მოგვთხოვონ ამის გაკეთება. მოკლედ გეტყვით: თუ ევროპის ნაწილი ხარ, ისე უნდა გააკეთო, როგორც ევროპაშია მიღებული. არადა, როგორც ევროპაშია მიღებული, საქართველოს ეკონომიკისთვის ხელსაყრელი არ არის ამ მომენტში.

**– უკრაინის თემას შემოვიტან: დიდი სპეციალისტობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რა მდგომარეობაში იქნება უკრაინის ეკონომიკა, თუმცა ასოცირების პოლიტიკურ ნაწილზე ხელმოწერა რეალურია.**

– უკრაინაში კატასტროფული სიტუაციაა, ჩვენ და უკრაინას ერთი მტერი გვყავს, პირობითად ვთქვათ, ეს მტერი არის „სიმენსი". გერმანიას რუსეთთან 100 მილიარდი ევროს ბრუნვა აქვს. ამ 100 მილიარდიდან 50 მილიარდი მოდის „სიმენსზე". თქვენ წარმოიდგინეთ გერმანიის განწყობა რუსეთისადმი. გერმანია არც ერთ შემთხვევაში არ გააბრაზებს რუსეთს ამ ეტაპზე და არ დაუკარგავს 50-მილიარდიან ბიზნესს „სიმენსს", რომელიც არის გერმანიის ეკონომიკის მოტორი. აი, ეს მონოპოლიებია ჩვენი მტერი. პოლიტიკურად ევროპელები აღშფოთებულები არიან რუსეთის ქმედებით. რა თქმა უნდა, მათაც მიაჩნიათ და სწორადაც მიაჩნიათ, რომ უსუსურია ის სანქციები, რომლებსაც ისინი რუსეთის მიმართ იყენებენ და, ფაქტობრივად, დაუკანონეს ყირიმის შეერთება. ამ ფაქტმა, შეიძლება, მთელი მსოფლიო შეცვალოს, მაგრამ აქ ერთვება ბიზნესის, ეკონომიკის მექანიზმები. გერმანია ვერ შეეგუება, დაკარგოს ასეთი უზარმაზარი პარტნიორი რუსეთის სახით. რუსეთმა იცის, რომ „სიმენსი" არაფრის გამო არ დათმობს რუსეთის ბაზარს: „სიმენსს" კი უზარმაზარი ძალა აქვს, ისევე, როგორც ყველა დიდ ტრანსნაციონალურ კომპანიას და ისინი ზემოქმედებენ. სწორედ ისინი ეწინააღმდეგებიან რუსეთის გაბრაზებას და „ნატოში" ჩვენს ინტეგრაციას, ჩვენს ევროკავშირის წევრობას. იმიტომ რომ რუსეთისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესები გადაჯაჭვულია. დეტალურად რომ მივყვეთ, შეიძლება, ყველა ქვეყანას მოვუნახოთ უზარმაზარი ეკონომიკური დაინტერესება რესეთისადმი და, უბედურება ის არის,


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

რომ მათ არაფრის მსხვერპლად მიტანა არ უნდათ რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთი ამას გრძნობს და უხეშად მოქმედებს. უპრეცედენტო რამ მოხდა აფხაზეთის შემდეგ. მეტსაც გეტყვით, რამაც ძალიან შემაშფოთა, ის არის, რომ დასავლეთი უკვე ცდილობს, ამას მოუნახოს რაღაც სარჩული და ამბობს, ყირიმი ხომ სულ რუსეთის იყოო.

**– არა, ჯერ მონღოლების იყო, მერე თურქეთის...**

– 300 წელი ყირიმი თურქეთის იყო, თურქეთი – ბიზანტიის, ბათუმი – თურქეთის.

**– უცნაური დამთხვევაა, დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში შეიერთა რუსეთის იმპერიამ ყირიმის სახანო და საქართველო. ამ ლოგიკით, ჩვენი ტერიტორიაც რუსეთის ისტორიული მიწა გამოდის.**

– რუსეთს ბევრი სისხლი აქვს დაღვრილი, მაგრამ იმპერიის თვისებაა ბევრი სისხლის დაღვრა. მან ბევრად გვიან შეიერთა, მაგალითად, სამეგრელო და ჩეჩნეთი. იმის თქმა მინდა, რომ ეს ამით არ დამთავრდება. ოცდამეერთე საუკუნეში ამას ბოლო არ ექნება. საოცარი ის არის, რომ რუსეთმა უკრაინა არსებულ საზღვრებში აღიარა, ამერიკამ, რუსეთმა და დიდმა ბრიტანეთმა კი ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რითაც უკრაინის სუვერენიტეტის გარანტორები გახდნენ. მაგრამ ეს შეთანხმება დახიეს ორ წამში და კანალიზაციაში ჩაუშვეს, ახლა გამოსავალს ეძებენ – ყირიმი რუსეთის იყოო. უკრაინა მიატოვეს სრულიად უძლური, კორუფციით გაძარცული, უკაპიკო ბიუჯეტით და ახლა რუსეთი მიიერთებს ხარკოვს, დნეპროპეტროვსკს, ლუგანსკს. საშინელ მდგომარეობაშია უკრაინა, ფეხზე წამოდგომის შანსიც არ აქვს. ერთ დღეს, შეიძლება, კიევის რუსეთამდეც ჩავიდეთ და ეს იქნება მესამე მსოფლიო ომის დასაწყისის პირველი ეტაპი.

**– სულ მცირეოდენი დისკომფორტის შესაქმნელადაც კი, რატომ არ აგდებენ ნავთობის ფასს?**

– დიახ, ძალიან მარტივად წყდება ასეთი ამბები ნავთობზე ფასების დაგდებით, თუმცა ასეთ დროს გიგანტური ნავთობკომპანიები რამდენიმე მილიარდის წაგებას ნახულობენ. დასავლეთმა და ობამამ მშვენივრად იციან, როგორ უნდა განახორციელონ ეს, მაგრამ თავს არ იწუხებენ. ობამა არის პასიური და ამ წუთას მას უყურებს ყველა. ბუნებრივია, როდესაც ობამა არაფერს აკეთებს, გერმანია და ინგლისიც არაფერს გააკეთებენ. მით უმეტეს, მათ თავიანთი ეკონომიკური პრობლემები აქვთ. მათ ძალიან ცუდი როლი შეასრულეს 2008 წელსაც, როდესაც მკვეთრი რეაქცია არ ჰქონდათ და, დღესაც, რუსეთი რომ ყოველდღე მოჩოჩავს გორისკენ, ფაქტობრივად, რეაქცია არ აქვთ. რუსეთი გრძნობს, რომ ეს პოლიტიკური განცხადებები არის ბლეფი, რუსეთმა იგრძნო ძალა და მიხვდა, რომ მსოფლიო ტრანსნაციონალური კორპორაციები და მსოფლიო ბიზნესი მის მხარესაა, რომ მათ ძალა აქვთ ყველა ქვეყანაში. ყველა პოლიტიკოსი დასავლეთში, პირდაპირ თუ ირიბად, დამოკიდებულია მსოფლიოს ტრანსნაციონალური კორპორაციის ინტერესებზე და, აი, ამ შემთხვევაში, ზნეობა უკვე ფულთან იკვეთება.

**– გამოდის, რომ უკრაინის მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა არის ფარსი. ან, ვინ აწერს ხელს ამ შეთანხმებას – ჩვენ არ ვიცით, უკრაინის კიდევ რომელ რეგიონებს შეიერთებს რუსეთი?**

– ევროპელები ერთს ბჭობენ და რუსეთი მეორეს აკეთებს. რუსეთი პირდაპირ ქმედებაზე გადადის და, ამდენად, ეს ხელმოწერა უკრაინას არაფერს მისცემს, იმიტომ რომ ქვეყანა, ფაქტობრივად, არ არსებობს. მე ასეთი კითხვაც მიჩნდება: თუ იცოდნენ, რომ ვიქტორ იანუკოვიჩს შეერთებულ შტატებში 12 მილიარდი ჰქონდა, რატომ აქამდე არ ამოიღეს ხმა?! წაუყრუეს, იმიტომ რომ, რაღაც თამაშია, რომელსაც მავანი ჭადრაკის დაფას ეძახის, არადა, უბრალოდ, ორმაგი სტანდარტია. რუსეთი გაჩერდებოდა, მოვლენების სწორი ანალიზი რომ გაეკეთებინა დასავლეთს, მაგრამ მათ ყველგან წაუყრუეს. ახლა ყირიმს წაუყრუეს, ამიტომ რუსეთი სხვაგანაც იმავეს გააკეთებს. ის არ გაჩერდება, მას უნდა, ქვეყნის გარეთ გადაიტანოს ყურადღება.

**– პუტინის შიდა იმიჯზე არაჩვეულებრივად იმუშავა ტერიტორიის უომრად შეერთებამ. ეს ახალი სისხლი იყო რუსული მენტალობისთვის, რომელიც ხედავს, რამდენად ჩამორჩება განვითარებით რუსეთი დასავლეთს.**

– ეს არის იმპერიალისტური დერჟავა. სხვათა შორის, იმავეს ამბობს თურქეთი – ბათუმი ჩემიაო. დიდი შანსია, ერდოღანმაც მიიერთოს ბათუმი, მას პოლიტიკურად უტევენ, პრობლემები აქვს და, შეიძლება, განახორციელოს კიდეც ასეთი რეიდი. არადა, თავის დროზე ინგლისი პასიური რომ ყოფილიყო და სამხედრო ძალით არ დაპირისპირებოდა რუსეთს, სტამბული დღეს რუსეთის იქნებოდა. მაგრამ მაშინ სხვა ხელმძღვანელობა იყო და სხვაგვარ გადაწყვეტილებებს იღებდნენ.

**– კომიკურად შეტრიალდა ჩვენი ინტერვიუ – ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ვლაპარაკობთ, არადა, აგვისტომდე, შესაძლოა, თეორიულად, ჩვენი ტერიტორიები სულ სხვა სახელმწიფოში აღმოჩნდეს.**

– ყირიმის შემდეგ ყველაფერს ველოდები. მე ვფიქრობ, ამის შემაჩერებელი ერთადერთი ძალა არის შტატები, მაგრამ ისინი დუმან.

**– 5 მილიონი რუსი ცხოვრობს გერმანიაში, ადრე თუ გვიან, მათ რატომ არ შეიძლება, ჩაატარონ რეფერენდუმი და მოითხოვონ რუსეთთან შეერთება?**

– უკრაინა სუსტი ეკონომიკის ქვეყანა იყო, მისი ხელისუფლება აბსოლუტურად კორუმპირებული და რუსული აგენტურით იყო სავსე. ამით ისარგებლეს და დააჩაჩანაკეს ქვეყანა. ერთადერთი, რაც დარჩენიათ უკრაინელებს, ეს არის პარტიზანული ომები. ტრაბახობენ კიდეც რუსები, ერთი ტყვიაც არ გაგვისვრიაო.

**– ძალიან დამამცირებელი კონტექსტი ჰქონდა პუტინის ნათქვამს – დიდი მადლობა უკრიანელ სამხედროებს, რომ უბრძოლველად ჩაგვბარდნენო.**

– ომის წარმოება უძვირესი ფინანსური აქციაა, ამ გადაწყვეტილების მიღებაზე ისეთი ქვეყნებიც კი დიდხანს ფიქრობენ, როგორიც შტატებია. პარტიზანული ომი მეტ-ნაკლებად მომგებიანია, თუ ამაზე წავა უკრაინის ხელისუფლება.

**– ამ ფონზე, საერთოდ, აქვს აზრი ასოცირების შეთანხმების დეტალების განხილვას?**

– მაინც აქვს. თუმცა, თან რომ საქართველოს ეუბნები, შემოდი „ნატოსა“ და ევროკავშირში და თან რუსეთს უწევ ანგარიშს, რომ არ გააბრაზო, – ასეთ თამაშს შედეგი არ მოაქვს და ამას რუსმა წერტილი დაუსვა უკრაინისა და საქართველოს შემთხვევაში. მართალია, გამალებით იწყება რაკეტების განლაგება პოლონეთსა და ჩეხეთში, მაგრამ ვერ გავიგონე განცხადება, რომ საქართველო და უკრაინა დაჩქარებული წესით შევლენ „ნატოში“. არადა, ახლა ამ გადაწყვეტილების მისაღებად ყველაზე ხელსაყრელი მომენტია – რუსეთმა მისცა საბაბი და უნდა შეიყვანოს დასავლეთმა ეს ორი ქვეყანა, სანამ მათგან რამე დარჩენილა. ნუ მოსთხოვთ მათ ასოცირების ხელშეკრულების გამო ხუთოსნობას, მოუწერეთ ხელი. მით უფრო, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანას ვჯობივართ მომსახურებით, ბიუროკრატიის ნაკლებობით თუ სხვა ასპექტებით.

**ნინო ხაჩიძე**

# შეკითხვა ექიმს

HAIRLINE INTERNATIONAL

*კითხვებს პასუხობს „ჰეალაინის“ პლასტიკური ქირურგი, მედიცინის დოქტორი დეა პაპასკირი.*



**კითხვა: ვარ 23 წლის. გამცვივდა თმა. შეიძლება თუ არა, ამ ასაკში თმის გადანერგვა?**

**პასუხი**: ანდროგენული ტიპის თმის ცვენის შემთხვევაში, პრობლემის მოგვარების ერთადერთ ეფექტურ მეთოდად დღეისთვის მთელ მსოფლიოში რჩება თმის გადანერგვა. რაც შეეხება ასაკს, თმის ცვენის საწყის სტადიაზე, როდესაც ჯერ კიდევ არ გვაქვს გამელოტებული უბანი, თუმცა, სახეზეა თმის ინტენსიური ცვენა, მისი სტრუქტურის გაუარესება (გათხელება, გაღიავება) და ვეღარ ვიკეთებთ სასურველ ვარცხნილობას, უნდა გამოვიყენოთ მკურნალობის თერაპიული მეთოდები, რომელთა შერჩევა ხდება მხოლოდ ექიმის კონსულტაციით. ხოლო, თუ უკვე სახეზეა გამელოტებული უბანი, გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ თმის გადანერგვაშია და ასაკს, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს. ეს შეიძლება მოხდეს, როგორც 20, ასევე 30, 50 და 60 წლის ასაკშიც.

**კითხვა: როდის ხდება აუცილებელი თმის გადანერგვა ქალებისთვის?**

**პასუხი**: როგორც მამაკაცის, ასევე, ქალბატონების შემთხვევაში, თმის გადანერგვას მკვეთრად განსაზღვრული ჩვენებები აქვს, ესენია: ანდროგენული, ანუ, მამაკაცური ტიპის თმის ცვენა; ასევე, ნაწიბუროვანი ალოპეცია, რომელიც ვითარდება თავის თმიან საფარველზე გადატანილი სხვადასხვა ტრავმის ან ოპერაციების შედეგად გაჩენილი სიმელოტეების შემთხვევაში (მაგალითად, როგორიც არის სახის გადაჭიმვა). ასევე, ქალები ხშირად მიმართავენ თმის გადანერგვას თმის წინა ხაზის ბუნებრივად მაღალი მდებარეობის დროსაც (ეგრეთ წოდებული „დიდი შუბლის” შემთხვევაში), შუბლის ხაზის კორექციისთვის.

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30.**

**კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოში პანორთოდოქსულ შეკრებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წუხილი გამოთქვა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიხში თავისი კუთვნილი ადგილი არ უკავია. „ფრიად ვწუხვართ იმის გამო, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერ კიდევ თავისი კუთვნილი ადგილი არ უკავია კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიხში. მსოფლიო საეკლესიო კრების მოსამზადებელი შეხვედრისთვის. თუ ეს არ გამოსწორდება და თუ ყველა თემა არ იქნება შეტანილი მომავალი კრების განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში, ჩვენთვის მასში მონაწილეობის მიღება ძალიან რთული იქნება.“ რატომ არ აღიარებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარსულს მართლმადიდებელ ეკლესიათა თანამეგობრობა და რატომ გვეკუთვნის მეექვსე ადგილი დიპტიხში, თემას საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, სერგო ვარდოსანიძე განგვიმარტავს.**

# რატომ არ აღიარებდნენ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიები საქართველოს ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას და როგორ დაიკავა ქართული ეკლესიის მეხუთე ადგილი დიპტიხში მოსკოვის საპატრიარქომ

**– დავიწყოთ თავიდან, რა უტყუარი საბუთები ადასტურებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას?**

– საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია ერთ-ერთი უძველესი სამოციქულო ეკლესიაა. თვითონ სახელწოდებიდან ჩანს, რომ ეს არის ეკლესია, დაფუძნებულია მოციქულების მიერ. ეს მოციქულები გახლდნენ ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. ეს უტყუარია: როდესაც საუბარია, რომელ ეკლესიას ეკუთვნის ავტოკეფალურობა, უძველესი კანონიკის თანახმად, მოციქულების მიერ დაარსებული ეკლესიები ავტოკეფალურად ითვლებოდა. გავიხსენოთ, თუნდაც, ცნობილი ფაქტი – 1057 წელს გიორგი მთაწმინდელის კამათი ანტიოქიის პატრიარქთან. მას ანტიოქიის პატრიარქი ეუბნება, რა უფლებით გაქვთ დამოუკიდებელი ეკლესია და თქვენს ენაზე წირვა-ლოცვები? მაშინ გიორგი მთაწმინდელს მოჰყავს ასეთი არგუმენტი: ანდრია პირველწოდებულის ცხოვრების შესახებ წიგნში პირდაპირ წერია, რომ ის იყო მოციქული, უფლის ის მოწაფე, რომელმაც იქადაგა საქართველოში როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილში და, აქედან გამომდინარე, ჩვენი ეკლესია უძველესია. თქვენ პეტრეს მიერ დაარსებული ეკლესიის საყდარზე ბრძანდებით, ხოლო ანდრია პირველწოდებული, პირველი მოციქული იყო და პრეტენზია ჩვენ უფრო შეიძლება გვქონდეს თქვენ მიმართ, ვიდრე თქვენ ჩვენ მიმართო. ამით გიორგი მთაწმინდელი ხაზს უსვამს იმ ტრადიციის ერთგულებას, რომ მართლმადიდებელ სამყაროში მოციქულის მიერ დაარსებული ეკლესია ავტოკეფალური იყო და მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ სხვა ეკლესიები, ასევე, სხვა მოციქულების მიერ დაარსებული ეკლესიებიც.

**– როდიდან უნდა ავითვალოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა?**

– საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალური ხდება მეხუთე საუკუნის 70-80-ანი წლებიდან, როდესაც მეფე ვახტანგ გორგასალმა გაატარა ცნობილი საეკლესიო რეფორმა. მან კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის პატრიარქებისგან გამოითხოვა თანხმობა იმისა, რომ ქართლის ეკლესიას კათალიკოსი ჩასდგომოდა სათავეში მთავარეპისკოპოსის ნაცვლად. ამას რელიგიურთან ერთად, პოლიტიკური ხასიათიც ჰქონდა. საქმე ის გახლდათ, რომ 451 წელს ქალკედონიის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ოფიციალურად დაიყო ეკლესია მართლმადიდებლურ და არამართლმადიდებლურ ეკლესიებად. ჩვენ იმ დროს ვიყავით კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოების სამწყსო, მაგრამ, როდესაც აქ, კავკასიაში, ირანელებმა მხარი დაუჭირეს მონოფიზიტობას, რომ რელიგიურადაც დაპირისპირებოდნენ ბიზანტიელებს და სომხეთი გახდა მათი საყრდენი, რათა ბიზანტიას, კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოებს გაადვილებოდათ კავკასიაში მო-



როდესაც სეპარატისტები ჩამოთვლიან ბიჭვინთის კათალიკოსებს, მხოლოდ მათ სახელებს ამბობენ, გვარებს აღარ ამატებენ, იმიტომ რომ, ისინი იყვნენ ქართველები და ქართული სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის ინტერესების გამომხატველები

ნოფიზიტების წინააღმდეგ ბრძოლა, ხელს აძლევდათ ქართლის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება. ასე გახდა დამოუკიდებელი ქართლის ეკლესია. კათალიკოსობის დაწესება ნიშნავდა იმას, რომ, თუ აქამომდე ეპისკოპოსებსა და მთავარეპისკოპოსებს კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიაში იქაური პატრიარქები აკურთხებდნენ და აგზავნიდნენ, ამიერიდან ქართლის კათალიკოსი თვითონ, დამოუკიდებლად აკურთხებდა ეპისკოპოსებს. ვახტანგ გორგასალის მეფობის ბოლოს, 508 წელს, როდესაც დვინის საეკლესიო კრება ჩატარდა, დაფიქსირებულია, რომ 33 ქართული საეპისკოპოსო არსებობდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, რომელსაც სათავეში ედგა კათალიკოსი სრულიად ქართლისა.

**– ეს ამას ნიშნავდა პროცედურულად თუ სადმე არის ჩანაწერი, რომ ავტოკეფალურად იცნობა ქართლის ეკლესია?**

– როდესაც ეკლესიას სათავეში უდგას კათალიკოსი, ეს ნიშნავს, რომ ის ავტოკეფალური ეკლესიაა. მეოთხე, მერვე საუკუნეებში ავტოკეფალური ეკლესიების ჩამონათვალში, დიპტიხში, რომის ეკლესია ითვლებოდა პირველ ადგილზე, მეორე ადგილზე იდგა კონსტანტინოპოლი, მესამეზე – ალექსანდრია, მეოთხეზე – ანტიოქია, მეხუთე ადგილზე – იერუსალიმის საპატრიარქო, ხოლო მეექვსე ადგილზე იყო ქართლის საკათალიკოსო. მეათე საუკუნეში საქართველო გაერთიანდა და გაჩნდა ტერმინი „საქართველო“, რომელიც ეკლესიამ შემოიტანა; ამ პოლიტიკურ გაერთიანებას თან ერთვოდა ეკლესიური გაერთიანება. დასავლეთ და აღმოსავლეთ სამწყსო მთლიანად მოექცა ერთი ეკლესიის მეთაურის იურისდიქციაში და უკვე მცხეთის კათალიკოსს – ქართლის კათალიკოსს ეწოდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. სვეტიცხოვლის აღმშენებელი მელქისედეკ პირველი არის პირველი კათალიკოს-პატრიარქი, რომელსაც ამ ტიტულით მოიხსენიებენ ქართულ საისტორიო წყაროებში. იქედან მოყოლებული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, ჩვენი ეკლესიის მეთაურებს ეწოდებოდათ კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა. ამ დროს 1054 წელს მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიები გაიყო. რომის ეკლესია ცალკე გავიდა პაპის მეთაურობით, ხოლო აღმოსავლეთის ეკლესიები დარჩნენ ცალკე. უპირატესობა მიენიჭა კონსტანტინოპოლის პატრიარქს, რომელსაც ეწოდა ახალი რომის მსოფლიო პატრიარქი და ჩამონათვალში მეხუთე ადგილი დაიკავა საქართველოს ეკლესიამ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა. ასე ეკავა ჩვენს ეკლესიას ეს ადგილი მეთექვსმეტე საუკუნის 60-80-იან წლებამდე.

**– სანამ მეთექვსმეტე საუკუნემდე მივალთ. აფხაზები გვედავებიან, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა აფხაზეთის სამეფოზე და ბიჭვინთის კათალიკოსის არსებობის ფაქტი იმას ადასტურებს, რომ იმხანად იყო ორი ეკლესია, რაკი არსებობდა მცხეთისა და ბიჭვინთის საკათალიკოსოები.**

– მეთხუთმეტე საუკუნეში საქართველო პოლიტიკურად დაიშალა.

**– მანამდე არ არსებობდა ბიჭვინთის კათალიკოსი?**

– ითვლება, რომ მერვე საუკუნიდან მეათე საუკუნემდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობდა ეკლესიის ნაწილი, რომელიც შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იუ-


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

რისდიქციაში. მაგრამ, როდესაც მერვე-მეცხრე საუკუნეებში აფხაზთა ქართული სამეფო წარმოიშვა ცენტრით ქუთაისში, ისინი გამოეყვნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და მეთერთმეტე საუკუნიდან საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიან.

**– ბიჭვინთის კათალიკოსი როდის გამოდის ასპარეზზე?**

– ბიჭვინთის საკათალიკოსო მეთხუთმეტე საუკუნეში შეიქმნა, როდესაც საქართველო პოლიტიკურად დაიშალა – სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ. ამ დროს დასავლეთ საქართველოს ერისთავებმა, იმისთვის, რომ ეკლესიურად აღარ ყოფილიყვნენ დამოკიდებული საქართველოს კათალიკოს-პატრიარქზე და თავისი ფეოდალური დაქუცმაცებულობა გაემართლებინათ, ცაიშელ-ბედიელი ეპისკოპოსი იოაკიმე ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათალიკოს-პატრიარქად აკურთხეს. აქედან მოყოლებული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ლიხთ-იმერეთის, აფხაზთა კათალიკოს-პატრიარქები იყვნენ ჯერ ბიჭვინთაში – მეთექვსმეტე საუკუნის 50-60-იან წლებამდე, ხოლო შემდეგ – გელათში, თუმცა ისინი მხოლოდ ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათალიკოსებად იწოდებოდნენ, მაგრამ ვინ იყვნენ? გადავხედოთ მათ გვარებს: ერისთავი, ნემსაძე, ჩხეიძე, ქვარიანი, აბაშიძე, ბაგრატიონი. როდესაც სეპარატისტები ჩამოთვლიან ბიჭვინთის კათალიკოსებს, მხოლოდ მათ სახელებს ამბობენ, გვარებს აღარ ამატებენ, იმიტომ რომ ისინი იყვნენ ქართველები და ქართული სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის ინტერესების გამომხატველები.

**– როგორ დავკარგეთ დიპტიხში ჩვენი კუთვნილი ადგილი?**

– მეთექვსმეტე საუკუნეში, როდესაც რუსეთის ცენტრალური სახელმწიფო ყალიბდებოდა, მოსკოვის სამიტროპოლიტო შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და 1587-1588 წლებში, რომელსაც უკვე აღარანაირი ძალაუფლება აღარ გააჩნდა, ვინაიდან თურქებმა დააქციეს ბიზანტიის იმპერია და ლტოლვილებად იქცნენ კონსტანტინოპოლის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები, კონსტანტინოპოლის პატრიარქი შეწირულობის შესაგროვებლად ჩავიდა თავის სამწყსოში, მოსკოვის სამიტროპოლიტოში, სადაც რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერების მოსურნეებმა მოილაპარაკეს და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შეაძლიეს გარკვეული თანხა იმის სანაცვლოდ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო აღიარებდა მოსკოვის სამიტროპოლიტოს, როგორც დამოუკიდებელ ეკლესიას და მოითხოვეს მეხუთე ადგილი.

**– ჩვენ რას ვაკეთებდით ამ დროს?**

– ჩვენ ამ დროს დაშლილ-დაქუცმაცებული ქვეყანა გვაქვს, არის გაუთავებელი შემოსევები ირანის თუ ოსმალეთის, ქართველ მეფემთავრებს არ შესწევთ ძალა, დაიცვან ჩვენი საპატრიარქო, მისი ღირსება და ჩვენს პატრიარქებსაც არ შეუძლიათ, რომ რეალური ნაბიჯი გადადგან ამ უსამართლობის აღსაკვეთად. ასე მოვიდა ეს პროცესი მეცხრამეტე საუკუნემდე. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთმა ჯერ სახელმწიფოებრიობა გააუქმა, 1811 წელს კი – ეკლესიის ავტოკეფალია.

**– ეს ჩანაწერი არსებობს?**

– რასაკვირველია, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გამოსცა მანიფესტი, გააუქმა კათალიკოს-პატრიარქობა და მის ნაცვლად, რუსეთის სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსის მმართველობა შემოიღო. პირველი ეგზარქოსი ქართველი იყო, ვარლამ ერისთავი, მაგრამ 1817-დან 1917 წლამდე საქართველოს სათავეში ედგნენ რუსი ეგზარქოსები. ისინი გამოხატავდნენ რუსეთის ველიკოდერჟავულ საერო და საეკლესიო პოლიტიკის ინტერესებს კავკასიაში და, ბუნებრივია, ჰქონდათ დაპირისპირება ქართველებთან როგორც მორწმუნე მრევლთან, ისე ჩვეულებრივ ადამიანებთან. ქართული წირვა-ლოცვა აიკრძალა, ქართული გალობა აიკრძალა, ქართველ წმინდანთა ხსენების დღე აიკრძალა.

**ვახტანგ გორგასლის მეფობის ბოლოს, 508 წელს, როდესაც დვინის საეკლესიო კრება ჩატარდა, დაფიქსირებულია, რომ 33 ქართული საეპისკოპოსო არსებობდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, რომელსაც სათავეში ედგა კათალიკოსი სრულიად ქართლისა**

**– რა უცნაურია: მართლმადიდებლობის არსი ის არის, რომ ჩემს ენაზე უნდა ველაპარაკო ღმერთს?**

– მაგრამ ეს მათ მიუღებლად მიაჩნდათ. ამის გამო იყო, რომ ქართველი საზოგადოება, სასულიერო პირები იმთავითვე პროტესტს გამოხატავდნენ. გავიხსენოთ, თუნდაც, დოსითეოს ქუთათელისა და ექვთიმე გელათელის ტრაგიკული ბედი. დოსითეოსი დაახრჩვეს სურამთან, როდესაც დატყვევებული რუსეთში მიჰყავდათ, ვინაიდან მას 1819 წლის იმერეთის აჯანყების მოთავედ მიიჩნევდნენ. ექვთიმე გელათელმა რუსეთის იმპერატორს ახალი დროის ნერონი უწოდა, რის გამოც გადაასახლეს. საქართველოს ეკლესიამ, კათოლიკოს-პატრიარქმა ისინი წმიდანებად შერაცხა 2005 წელს და ამით დაუბრუნა მათი სახელები საქართველოს და ქართულ ეკლესიას.

ავტოკეფალიისთვის ბრძოლა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში უფრო აქტუალური თემა გახდა. მასში ჩართულები იყვნენ თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით; ჩვენი ეკლესიის ისეთი დიდი პირები, როგორებიც იყვნენ: ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, შემდეგ უფრო მკაფიოდ ავტოკეფალური მოძრაობა დააფიქსირეს ეპისკოპოსმა კირიონმა, ეპისკოპოსმა ლეონიდემ, დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ, მელიტონ კელენჯერიძემ, ნიკიტა თალაკვაძემ, არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ. მეცხრამეტე საუკუნის 80-90-იან წლებში ქართულ და რუსულ პრესაში გაჩნდა წერილები ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაზე, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი ავტოკეფალისტები უკვე პრაქტიკულ ქმედებაზეც გადავიდნენ, როდესაც მათ 1905 წელს ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში მოაწყვეს საგანგებო კრება. 440-ზე მეტმა სასულიერო პირმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელშიც ისინი იმპერატორს სთხოვდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. შემდეგ გამოვიდნენ გოლოვინის გამზირზე დროშებითა და ჯვარ-ხატებით, რომ მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისთვის მიერთმიათ ეს წერილი, მაგრამ იმდროინდელი ეგზარქოსის ბრძანებით მათ გზა გადაუხერგეს და მათრახებით სცემეს. იმდენად გახმაურდა ეს ამბავი მეფის რუსეთში, რომ მოსკოვში მოიწვიეს სინოდის წინარე სხდომა ამ საკითხის განსახილველად. მართალია, კრება უშედეგოდ დასრულდა, მაგრამ ამის შემდგომ დაიწყო ავტოკეფალისტების დევნა-შევიწროება. მათ მოიხსენიებდნენ, როგორც ტერორისტებს და უცხოეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში სდებდნენ ბრალს. ძალიან რთული ვითარება იყო, მაგრამ ავტოკეფალისტები არ გატყდნენ. 1917 წელს ისარგებლეს რუსეთის იმპერატორის გადადგომით და საქართველოს ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადეს.

**– ეს მხოლოდ ჩვენს ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული?**

– იმ დროს ჩვენზე იყო დამოკიდებული. მაშინ კირიონმა ეპისტოლეები დაუგზავნა ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას, რომ ჩვენი ავტოკეფალია ეღიარებინათ, თუმცა პასუხი არ მიუღია. 1943 წლის 31 ოქტომბერს კი რუსეთის ეკლესიამ აღიარა ჩვენი ტერიტორიული ავტოკეფალია და მეექვსე ადგილი მოგვცეს, მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობა ამას არ აღიარებდა.

**– მათ რა პრეტენზია ჰქონდათ?**

– ისინი ამბობდნენ, გაღიარებთ 1917 წლიდანო, რასაც ჩვენი ეკლესია არ თანხმდებოდა. საბოლოოდ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო 1990 წლის 4 მარტს იძულებული გახდა, ეღიარებინა ჩვენი ისტორიული ავტოკეფალია, თუმცა დიპტიხის საკითხი არ გადაწყვეტილა.

**– რატომ ვითხოვთ მეექვსე ადგილს და არა მეხუთეს?**

– იმიტომ რომ, მაშინ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა უნდა გააუქმოს მისი წინამორბედის მიერ რუსეთის ეკლესიისთვის მეექვსე ადგილის მინიჭების გადაწყვეტილება, რასაც ის არ დათანხმდება.

**– რატომ არის მნიშვნელოვანი დიპტიხში, ვთქვათ, მეექვსე ადგილის დაკავება?**

– მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. დიპტიხი გამოხატავს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის პატივისცემას. ამით ისტორიული ჭეშმარიტება იზეიმებს, თორემ ჩვენ არაფრით ვართ დამოკიდებულნი სხვა ეკლესიებზე.

**ნინო ხაჩიძე**

**ვაკეთებ ჩვილ ბავშვთა სამკურნალო მასაჟს 2 თვიდან 5 წლამდე. ვმკურნალობ დეფექტებს, როგორიცაა: შებრუნებული ტერფი, ბრტყელტერფიანობა, სიარულის დროს აქეთ-იქით გადახრა** (როცა მენჯებიდან არ არის ამოვარდნილი).

**ტელ.: 577-505-480.**
**მარიამ ლაპიცკი**

**ნდობის ტელეფონი**
**0902200200**
**SMS – 93094**
**დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან**



**ზარი ფასიანია**

# რატომ შეიძულეს აფხაზებმა და სამხრეთელმა ოსებმა ქართველები და რატომ უწოდებენ მათ „ფაშისტებს“

**მართალია, ჩვენ საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღვიქვამთ რუსეთის მიერ აღიარებულ ჩვენს სეპარატისტულ რეგიონებს და ცივილიზებული სამყაროც მხარს გვიბამს, მაგრამ, სამაგიეროდ, აფხაზებსა და ქართველებს, სამხრეთელ ოსებსა და ქართველებს შორის კომუნიკაცია თითქმის აღარ არსებობს. უფრო მეტიც, მათი ნაწილისთვის (ეჭვი მაქვს, არცთუ მცირისთვის) ქართველი – ფაშისტის სინონიმია და ამ სიძულვილის ტირაჟირებასაც აქტიურად ეწევიან. რა საშუალებები არსებობს თანამედროვე მარკეტინგში, რაც ამ სიძულვილს, თუ სიყვარულში არა, მეტ-ნაკლებად დადებით დამოკიდებულებაში გადაიყვანს? – თემას „ჯეპრას” უფროს კონსულტანტ სოსო გალუმაშვილთან ერთად განვიხილავთ.**

**– მე არ ვიცი, სძულს თუ არა ყველა აფხაზსა და სამხრეთელ ოსს ქართველი, თუმცა ყველაზე აგრესიულ ნაწილში ეს ზიზღი უკიდეგანოა და მისი სიძლიერე გვიჩვენებს სწორედ პრობლემის სიღრმეს. როგორ შეიძლება ამის დაძლევა და არსებობს თუ არა ამ ნეგატივის პოზიტივად შეცვლის მარკეტინგული მეთოდოლოგიები?**

– უპირველესად, აღვნიშნოთ ის, რომ მე არ ვარ კონფლიქტოლოგი და ამიტომ ჩვეულებრივი ადამიანის, პიარის სპეციალისტის კუთხიდან შევხედავ ამ თემას, თუმცა კონკრეტულად ამ საკითხზე თეორიულ დონეზე არ მიმუშავია.

**– ეჭვი მაქვს, არც არავის უმუშავია.**

– ამიტომ ჩვენ ვმსჯელობთ იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც ხდებოდა ამ სფეროში. ძალიან თვალშისაცემია ინფორმაციის ნაკლებობა. აფხაზებმა კარგად არ იციან, რა ხდება დანარჩენ საქართველოში, ქართველებმა კი არ ვიცით, რა ხდება აფხაზეთში, გამონაკლისების გარდა. მეორე პრობლემაა კომუნიკაციის არარსებობა აფხაზებსა და ქართველებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი მოძრაობს ენგურის ხიდზე, კომუნიკაცია მაინც ჩაკეტილია ამ ორ ხალხს შორის. ეს, უპირველესად, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის „დამსახურებაა“, რადგან მან ძალიან კარგად იცის, რომ კომუნიკაცია აღრმავებს ურთიერთობებს, ურთიერთობის გაბმა დაახლოებას შეუწყობს ხელს და, მესამე საკითხი: თუკი მომხმარებელსა და ბრენდს შორის ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტას გადავიტანთ ხალხებს შორის ურთიერთობაზე, საჭიროა პრობლემის სხვა სიბრტყეში გადატანა. დღევანდელი სიბრტყე არის ორგანზომილებიანი: იქითა მხარეს დედა მოუკლეს, აქეთა მხარეს – მამა, ორივე დაზარალებულია, არადა, ამ სიბრტყეში კომუნიკაცია ვერ აეწყობა.



**ყირიმის პრეცედენტის შემდეგ აფხაზეთს ძალიან დიდი პრობლემა დაუდგა. შესაძლებელია, უცებ გაჩნდეს მეხუთე კოლონა, მოითხოვოს რეფერენდუმის ჩატარება და რუსეთთან მიერთება**

**– და არის მთავარი ჩიხური ასპექტი: ისინი ამბობენ, გვაღიარეთ და ამის შემდეგ დაგელაპარკებით, ჩვენ ვამბობთ – არასდროს გაღიარებთ და ნახავთ, რაც დაგემართებათ.**

– ეს პოზიციაც გარკვეული სიბრტყიდან გამომდინარეობს: თქვენ, ქართველები, არ ხართ ჩვენი ძმური ხალხი, ომი წამოიწყეთ და დაგვხოცეთ; ანუ მივდივართ იქამდე, თუ რა არის ერთი ან მეორე მხარის მოტივაცია. ორივე მხარის მოტივაცია, ამ შემთხვევაში, არის ის, რომ არ დაკარგოს თვითმყოფადობა და ტერიტორიები. ისეთი მცირერიცხოვანი ხალხებისთვის, როგორებიც აფხაზები და ქართველებიც არიან, დემოგრაფიას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აფხაზების შემთხვევაში ეს პრობლემა გაცილებით მწვავეა და ისინი ფიქრობენ, რომ დამოუკიდებლობით ამ პრობლემას უფრო იოლად მოაგვარებენ. უნდა მოიძებნოს კომუნიკაციის ის გეგმა, ის ხელშესახები საკითხები, რითაც დაიწყება კომუნიკაცია, რაც შეარიგებს ამ ორ ერს.

**– და რა შეიძლება, იყოს კომუნიკაციის თემა?**

– გაერთიანება კომუნიკაციის დასაწყებად შესაძლებელია საერთო ღირებულებებზე. რატომ არის, რომ საქართველოში დღემდე არ გაჩნდა და ვერც უახლოეს ხანში გაჩნდება კრიტიკული მასა რუსეთის პოლიტიკის მხარდამჭერების?! იმიტომ რომ დღეს რუსეთის ღირებულებები არ უთავსდება საქართველოს, ქართველი მოსახლეობის ღირებულებებს. ჩვენც უნდა მოვძებნოთ ის მთავარი ღირებულებები, რაც საერთო გვაქვს აფხაზებსა და ქართველებს და შევჯერდეთ მათზე. მით უმეტეს, ყირიმის პრეცედენტის შემდეგ აფხაზეთს ძალიან დიდი პრობელმა დაუდგა.

**– იდენტიფიკაციის შენარჩუნების.**

– დიახ, იმიტომ რომ, შესაძლებელია, აფხაზეთში უცებ გაჩნდეს მეხუთე კოლონა, მოითხოვოს რეფერენდუმის ჩატარება და რუსეთთან მიერთება. დარწუნებული ვარ, იქ არის ძალები, ეთნოსები, რომლებიც რაოდენობრივად გადააჭარბებენ ეთნიკურ აფხაზებს და გაიმარჯვებენ იმ რეფერენდუმში. ეს იქნება ყველაზე დიდი ტრაგედია აფხაზი ერისთვის. აფხაზები არ დგანან მარტივი არჩევნის წინაშე. ჩემი აზრით, დღესაც კი, ის საერთო ღირებულებები, რაც კომუნიკაციის საშუალებას მოგვცემს, ჩვენ და აფხაზებს უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე აფხაზებს და რუსებს.

**– მათ მიერ შემოთავაზებულ დემოგრაფიულ მონაცემებსაც რომ დავუჯეროთ, აფხაზეთის არააფხაზი მოსახლეობა ორჯერ აჭარბებს რაოდენობრივად საკუთრივ აფხაზებს.**

– ამიტომ, მოდი, ასე ვთქვათ, არც ქართველებს და არც აფხაზებს არ აქვთ ადვილი არჩევნის გაკეთების საშუალება. შესაძლოა, ერთ-ერთი საერთო ღირებულება იყოს საერთო მტრის ხატის შექმნა. სხვათა შორის, წინა ხელისუფლებამ საქართველოში სწორი კომუნიკაციის შედეგად, სხვა საკითხია, რამდენად მართალი და საჭირო იყო, შექმნა მტრის ერთი ხატი – რუსეთი. მიუხედავად ასეთი დაძაბული ურთიერთობისა, დღეს ქართველისთვის მტერი არ არის არც აფხაზი და არც ოსი, მტერია რუსეთი. საერთო მტრის ხატის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია დიალოგის დასაწყებად. თუმცა არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორი, რასაც ჰქვია აფხაზური და რუსული სპეცსამსახურები. აფხაზეთში ძალიან ბევრი ადამიანია დაინტერესებული ენგურს აქეთ, თუნდაც, ნათესაური კავშირების აღდგენაში, მაგრამ ეშინიათ, რომ იქ, ადგილზე, პრობლემები შეექმნებათ. ჩვენ გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც აფხაზი ახალგაზრდები ჩამოვიდნენ თბილისში და შემდეგ აღფრთოვანებულები ყვებოდნენ ნანახის შესახებ. ეს პრობლემებს უქმნიდა იქაურ ელიტას. რუსეთმა ის სივრცე მთლიანად ჩაკეტა. როგორც ვაკვირდები, იქაური დე-ფაქტო ხელისუფლების მიზანია, ერთგვარი „რკინის ფარდა“ ჩამოაფაროს აფხაზეთს, რომ იქ არ შეაღწიოს ინფორმაციამ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიიდან. თქვენ გახსოვთ, როდესაც დისკუსია გავმართეთ მათი ეგრეთ წოდებული საგარეო საქმეთა სამინისტროს „ფეისბუქის” გვერდზე, ქართველების კომენტარები უბრალოდ წაშალეს.

**– მე საერთოდ დამბლოკა ირაკლი ხინთბამ, ეგრეთ წოდებული საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, თუმცა არასდროს არაფერი დამიწერია არაკორექტული. პირიქით.**

– ეს ხდება იმისთვის, რომ ინფორმაცია არ მივიდეს ჩვეულებრივ აფხაზამდე და შემდეგ არ გავრცელდეს. ეს პრობლემებს უქმნის მათ ელიტას: მათი მართვა ჩიხშია. ისინი დაჰპირდნენ თავიანთ მოსახლეობას, რომ მთელი მსოფლიო ცნობდა მათ დამოუკიდებლობას, რეალურად კი მიიღეს ჩაკეტილი თვითგამოცხადებული რესპუბლიკა, რომლის მოქალაქეებსაც ყველგან ექმნებათ პრობლემა, გარდა რუსეთისა.

**– მაგრამ ეს ყველაფერი ბრალდება იმას, რომ ფაშისტი ქართველები არ აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, მათ ბავშვებს არ აძლევენ საშუალებას, გამართონ კონცერტები უცხოეთში, მათ ახალგაზრდებს ხელს უშლიან, ისწავლონ ევროპაში. თუმცა, როდესაც ვთავაზობთ, აიღეთ ნეიტრალური პასპორტები და ყველაფერ ამას განახორციელებთ, ვაჟრებს გვიწოდებენ. ახლანდელი უბედურების სათავეც კი,**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ნანა რურუა** *(49 წლის, მარტვილი).*

**დიაგნოზი**: კისრის ოსტეოქონდროზი, დისკოზი. არასოდეს დამავიწყდება ის სითბო და ყურადღება, რომელიც ამ კლინიკაში ვიგრძენი პროფესიონალიზმთან ერთად. ძალიან ცუდად ვიყავი, მტკიოდა კისერი, მხარი, ხელი მიბუჟდებოდა და თითებში ძალას ვკარგავდი... მანამდე ჩატარებულმა არანაირმა მკურნალობამ არ მიშველა და ვფიქრობდი, რომ ინვალიდობა მემუქრებოდა. ამ ფიქრით ვიძინებდი და ვიღვიძებდი. შემდეგ ალექსიშვილის კლინიკაში მომსასწავლეს. აქ მოსვლისას საკმაოდ ძლიერი ტკივილები მქონდა კისერში, მხარში და ხელში გადაეცემოდა, ღამით არ მაძინებდა. შრომის უნარი დავკარგე. გაოცებული და გაოგნებული ვიყავი, როცა აქ მოსვლის მეორე დღესვე, ტკივილმა საგრძნობლად იკლო. 3 დღე დასჭირდა მანანა ექიმს, იმისთვის, რომ ტკივილი მთლიანად მომხსნოდა. დღეს მე-7 პროცედურაზე ვარ, დაბუჟების ნაწილიღა იგრძნობა, ისეც ნელ-ნელა მიდის... ულრმესი მადლობა!

**ზვიად ბოლქვაძე** *(56 წლის. თბილისი).* დილით აუტანელმა ტკივილმა გამომაღვიძა, ტერფი და მუხლი დასიებული მქონდა, საშინლად მიხურდა და ენით აუწერელი ტკივილი მქონდა. ამხელა კაცი ვღმუოდი. ვიცოდი მანანა ექიმის შესახებ. ადრე ჩემი ძმა მკურნალობდა. მაშინვე მოვაკითხე და არაჩვეულებრივი შედეგიც მივიღე. იმავე საღამოს თვალნათლივ ვხედავდი, როგორ მიცხრებოდა შესიებული სახსრები. დილით კი ისე დავაბიჯე, გამიკვირდა. თითქოს არც მტკიებია. მკურნალობას აუცილებლად ჩავამთავრებ. ღმერთმა დალოცოს და გაამრავლოს თქვენისთანა მადლიანი ექიმები, ქალბატონო მანანა.



**მარიამ ქავთარაძე** *(72 წლის. თბილისი).*

**დიაგნოზი**: ორმხრივი გონართროზი, მესამე ხარისხის, წელის ოსტეოქონდროზი, სპონდილოზი. მადლობა, მადლობა იმისთვის, რომ ამ ტკივილებისგან მიხსენით. საერთოდ ველარ დავდიოდი, გამაყუჩებლებს მუჭით ვიყრიდი პირში და ამან მთლად გამიუბედურა კუჭი, ნაღველი, დამეწყო წნევები – 180... 190... მერე მუხლებზე ოპერაციაც მირჩიეს ექიმებმა, მაგრამ ახლა, ჩემს ასაკში, ოპერაციაზე ფიქრი ცოტა ძნელია. მანანა ექიმის შესახებ თქვენი ჟურნალიდან შევიტყვე და მივაკითხე. ორი ჯოხით მივედი, მუხლებს ძალას ვერ ვატანდი. მტკიოდა წელიც. ღმერთმა დალოცოს მისი მარჯვენა. ერთ კვირაში ჯოხის გარეშე დავდივარ, წელშიც გავიმართე და იმედი მომეცა, რომ სხვისი ხელის შემყურე ხეიბარი არ გავხდები. წნევაც მომიწესრიგა და კუჭიც დამიამდა. დალოცვილი იყავი, მანანა ექიმო!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 15 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

**მათთვის ქართველია და ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ომი მოგვიგო რუსეთმა.**

– მათი პოზიცია გასაგებია. მოდი გავიხსენოთ გასული საუკუნის 90-ანი წლები ჩვენთან, ომის მიმდინარეობისას აფხაზეთში, რუსეთმა ძალიან სწორად, საკუთარი მძლავრი ინსტიტუტებისა და პროპაგანდისტული მანქანის გამოყენებით შეძლო, რომ ქართველებს ჰქონოდათ ოსისა და აფხაზის მტრის ხატი. და ჩვენთვის ეს მართლაც ასე იყო 2000-ანი წლების დადგომამდე. მხოლოდ შემდეგ, ჩვენი დასავლელი კონსულტანტების დახმარებით, ომის შედეგების ანალიზით, ქართველები მივედით დასკვნამდე, რომ აფხაზებისგან არ უნდა შევქმნათ მტრის ხატი და მტერი არის რუსეთი. ამდენად, დღეს მივიღეთ ასიმეტრიული სურათი: ერთი პრობლემის ორ მხარეს მდგარი ხალხი აბსოლუტურად სხვადასხვას მიიჩნევს მტრად: ჩვენთვის რუსეთია მტერი, აფხაზისთვის – ქართველი. იმისთვის, რომ საერთო სიბრტყეში დავიწყოთ საუბარი, უპირველესად, უნდა დავიწყოთ სარეკლამო და, გნებავთ, პროპაგანდისტული კამპანია, რომ შევცვალოთ მტრის ხატი აფხაზებისთვის.

**– როგორ?**

– ეს არ არის რთული გასაკეთებელი. არსებობს შესაბამისი ტექნოლოგიები. სახელმწიფო სისტემურად უნდა მიუდგეს ამ პრობლემას და შეიმუშაოს ერთიანი კამპანია. ეს არ იქნება აფხაზების წინააღმდეგ მიმართული კამპანია, პირიქით, აფხაზებიც უნდა ჩავრთოთ ამ პროცესის მეორე მხარედ და ერთობლივად მოვძებნოთ მტრის ხატი. შეიძლება, ჩვენთვის სასურველი მტრის ხატი ვერ შევქმნათ, მაგრამ ისიც საქმეა, თუ მტრის ხატს ჩამოვაცილებთ ქართველს. მხოლოდ ამის შემდეგ თუ დაიწყება რაღაც პოზიტიური პროცესი. ოღონდ, ეს უნდა გაკეთდეს კვლევების საფუძველზე, უნდა დაგვეხმაროს საერთაშორისო თანამეგობრობა. ჩვენ აფხაზებთან კერძო საუბრებში ჩვენს სტერეოტიპებს ვიცავთ, რითაც კონფლიქტი კიდევ უფრო ღრმავდება. როდესაც ჩვენ გვეცოდინება, როგორია პრობლემების მათი რეალური აღქმა, შესაძლებელი გახდება, სწორად წარვმართოთ კომუნიკაცია. ძალიან კარგი იქნება, თუ ამაში ჩაერთვება ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, რადგან მას მსგავსი პრობლემების მოგვარების უზარმაზარი გამოცდილება აქვს. როდიდან დარეგულირდა თვითონ ევროკავშირში პრობლემები? ევროკავშირის შექმნამ შეუწყო ხელი ევროპაში მშვიდობის დამყარებას. ეს მაღალტექნოლოგიური მექანიზმები უკვე არსებობს. არადა, ჩვენ ევროკავშირთან გამარტივებულ სავიზო რეჟიმსა და ვაჭრობაზე ვლაპარაკობთ, მაშინ, როდესაც ამის პარალელურად, მნიშვნელოვანია მათი ექსპერტული დახმარება კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. მათ აქვთ დიდი ხნის წინათ აპრობირებული მეთოდები კონფლიქტების დარეგულირებაში.

**– მე არ ვიცი, რუსული სპეცსამსახურების ხელი ურევია ამაში თუ ჩვენს თანამემამულეებს დამოუკიდებლად ჰგონიათ შედეგიანი ასეთი ქმედება, მაგრამ სოციალურ ქსელში მრავლად არიან ქართული გვარსახელის მქონე პირები, რომელთა იდენტიფიკაცია შეუძლებელია და რომლებიც პერმანენტულად ემუქრებიან აფხაზებს, რითაც კიდევ უფრო ამყარებენ ქართველის მტრის ხატს.**

– რა თქმა უნდა, თუ ჩემთან მოხვალ იარაღით, მეც იარაღით დაგხვდები.

**– იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს მხარესაც გვაქვს სამუშაო: ადამიანების ნაწილი დარმწუნებულია, რომ მხოლოდ ომია გამოსავალი.**

– ადმინისტრაციული საზღვრის აქეთა მხარეს უფრო მეტი სამუშაოა ჩასატარებელი ამ ეტაპზე, რადგან მეორე ეტაპი იქნება იქით გადასვლა. ქორების პარტია არსად წასულა, ფრთა, რომელიც ფიქრობს, რომ ომითაა შესაძლებელი აფხაზეთის დაბრუნება, მძლავრობს. მილიტარისტული აზროვნება ისევაა შემორჩენილი, რაც ნიშნავს აფხაზეთს აფხაზების გარეშე. ამ მოცემულობაში კი ვერანაირი კომუნიკაცია ვერ დაიწყება. ეჭვიც არ მეპარება, რომ ამით დაინტერესებულნი არიან გარკვეული ქვეყნების სპეცსამსახურები. ისინი სწორედ ამ მიმართულებას აქეზებენ, რომ არანაირი დაახლოება არ მოხდეს. ღირებულება: მე შენთან მოვალ და ამოგიხოცავ ოჯახს, – არ არის ღირებულება.

**– 2009 წლიდან აფხაზეთში თბილისიდან დარეკვა შეუძლებელია, ისევე, როგორც ცხინვალს ვერ დაუკავშირდები.**

– ეს იმიტომ, რომ ინფორმაცია არ გაიცვალოს და, ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის ამოცანაა, ფაქტობრივად, ისეთივე ტიპის კამპანიის ჩატარება, როგორსაც საქართველო ატარებს და უცხოეთში ტურისტებისა და ინვესტორების მოსაზიდად. ჩვენ უნდა დავეხმაროთ აფხაზებს, რომ შეიცვალონ მტრის ხატი. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საქართველოს მთავრობის.

**– ერთადერთი არხია ინტერნეტი და ინტერნეტითაც ყველა ვერ სარგებლობს აფხაზეთში.**

– ჩვენ შეგვიძლია, გამოვიყენოთ საერთაშორისო არხები: „ბი ბი სი“, „სი ენ ენი“, „ევრონიუსი“.

**– აფხაზები სად ნახავენ მათ?**

– ეს არ უნდა იყოს მხოლოდ მათზე მიმართული კამპანია, ეს უნდა იყოს საერთაშორისო თანამეგობრობასა და მათზე მიმართული კამპანია. შემდეგ ეს სიუჟეტები უნდა გავავრცელოთ ინტერნეტით, გავუზიაროთ მათ. ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი მოქმედება, ამას უნდა ჰქონდეს სისტემური ხასიათი. რაღაცეები კეთდებოდა შევარდნაძის დროს, სააკაშვილის პერიოდში, მაგრამ ეს იყო ძალიან ვიწრო ნაკადი, მაშინ, როდესაც აფხაზეთში რუსეთიდან ინფორმაციის გაცილებით მსხვილი ნაკადი შედიოდა. გავიმეორებ: პირველი რიგის ამოცანა უნდა იყოს, აფხაზს მოვუხსნათ მტრის ხატი ქართველის სახით.

**– ოღონდ ამ ქართველს და საქართველოს რებრენდინგი სჭირდება.**

– საქართველოს და ქართველის რებრენდინგი სპეციალურად აფხაზეთისთვის და, რასაკვირველია, დიალოგი იმ ღირებულებებზე, რომლებიც საერთო გვაქვს.

**– უშუალოდ ჩემი გამოცდილებით, არის კიდევ ერთი საკითხი: მათ სჭირდებათ მსმენელი, გამზიარებელი თავიანთი ტრაგედიის, ისინიც ისეთსავე შემზავარ ისტორიებს ყვებიან, როგორსაც ჩვენი ქართველები. მათ ამის ამოთქმა უნდათ, უნდათ, რომ ვიღაცამ დაინახოს და აღიაროს მათი ტკივილიც.**

– გეთანხმებით, ამასაც ვგულისხმობ კომუნიკაციაში. ასეთი თავზარდამცემი ისტორიები, მართლაც, არსებობს. ჩვენ, ძირითადად, ჩვენი მხრიდან ვიცით. კომუნიკაცია არ ნიშნავს იმაზე ლაპარაკს, როგორ წაგვართვეს ტერიტორია რუსეთის დახმარებით. ინფორმაცია უნდა გაიცვალოს ორმხრივად: უნდა ვიცოდეთ, როდის უნდა მოვუსმინოთ მათ და როდის უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ.

**ნინო ხაჩიძე**

**თითქმის ყველას უყვარს სხვადასხვა მინერალების სამკაულად ტარება, თუმცა, მათ ხშირად მხოლოდ სილამაზის, ესთეტიკურობის კუთხით ვირჩევთ. სინამდვილეში კი მინერალებს ძალიან ბევრი უცნაური და საინტერესო თვისება გააჩნიათ, რომელთა ცოდნა, ვფიქრობ, აუცილებელი და საჭიროა. ამიტომ, ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი:**

# როგორ ვხედავთ საკუთარი ქვეცნობიერის დახმარებით, თვალზე უფრო ადრე, სხვა ადამიანს და სხეულის რა ნაწილიდან შემოდის ადამიანში სულიერება

– პეტრე პირველს ჰქონდა უზარმაზარი მთის ბროლი და ის ისე გამოჭრეს, რომ მისგან გააკეთეს სამოვარი. მასში, როგორც ნამდვილ სამოვარში, ისხმებოდა წყალი, ნახშირით დუღდებოდა და იქიდან ჩაის მიირთმევდნენ. პეტრე პირველმა აღმოაჩინა, რომ, ის, ვინც იმ ბროლის სამოვარიდან სვამდა ჩაის, ადვილად ეთანხმებოდა მას, ანუ, ეს სამოვარი თავისებური „დიპლომატი“ იყო და, ნებისმიერ უცხო სტუმარს, რომელთანაც იმპერატორს რაღაც ხელშეკრულების ან სავაჭრო გარიგების დადება უნდოდა, დიდი ამბით მიიპატიჟებდა, ამ სამოვრით უმასპინძლდებოდა და ხშირად სასურველ შედეგსაც აღწევდა. ეგვიპტეში ფარაონები ატარებდნენ სამკლავეებს, როგორც მათი ღირსების ერთ-ერთ ნიშანს. ამ სამკალვეებზე მაგრდებოდა ისეთი მინერალები, რომ მათი ამერიკულ „ცეერუს“ შეშურდებოდა. თუ ფარაონი ქურუმების წინააღმდეგ რამეს მოიფიქრებდა, მინერალები ფერს შეიცვლიდნენ და ქურუმები ხვდებოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ არც თუ ისე კარგი ჩანაფიქრი მზადდებოდა. გარდა ამისა, იყო მინერალები, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი ისტორია; ზოგიერთი მინერალი კი ზოგჯერ თაობიდან თაობაში გადადიოდა და თან დიდი მსხვერპლი მიჰქონდა.



**ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის ტვინის სფეროში ჰორმონების განაწილების ჰარმონია. ეს ისეთი მნიშვნელოვანია, რომ მათი დარღვევა ხშირად იწვევს არა მხოლოდ დაავადებების გაჩენას, არამედ, ადამიანურ დრამებს**

**– როგორც ცნობილია, მინერალებით ადამიანის თვისებების გაგებაც შეგვიძლია, რადგან ისინი ერთმანეთთან ურთიერთობაში შედიან.**

– დიახ, მინერალი ფერს იცვლის 44 შემთხვევაში. მაგალითად, მინერალი ფერს იცვლის ზარმაც ადამიანზე, ანუ, საკმარისია, ის ვინმეს გაუკეთო და მიხვდები – უი, შენ ისევ გიზარმაციაო. ესენია ამაზონიტი და ლაჟვარდი, „ლაზურიტს” რომ ეძახიან. არის, ასევე, მინერალები, რომლებიც მშიშარა ადამიანებზე იცვლიან ფერს. ადამიანი უნდა შევიდეს მინერალთან კონტაქტში. თუ ადამიანს უყვარს ეს მინერალი და შედის კონტაქტში, მაშინ მას მინერალი ძალიან ბევრ რამეს „მოუყვება,” რადგან, ის საოცრად კეთილია. ერთ-ერთ მოსწავლეს ვაჩვენე მინერალი და ვერ გამოიცნო. მე სპეციალური აპარატურა მაქვს, რომელმაც გაბრაზებული რხევა შექმნა, ანუ, დაფიქსირდა, რომ, ის მინერალი, რომელიც ვერ გამოიცნო, გაუბრაზდა. მას ვკითხე, კი მაგრამ, რით გააბრაზე ეს მინერალი, ნაწყენი გიყურებს-მეთქი. რა მინერალიაო. ესა და ეს-მეთქი და მპასუხობს: უი, მაგან ჩამჭრა გამოცდაზეო. რა თქმა უნდა, მინერალმა კი არ იცნო, უბრალოდ, მისმა ქვეცნობიერმა დაიმახსოვრა ეს და მათ შორის საოცარი კონტაქტი დამყარდა. მინერალი არასდროს გაპატიებთ, თუ მას შეურაცხყოფა მიაყენეთ. თუ ადამიანს მინერალთან აქვს შეუსაბამო ურთიერთობა, ის გარკვეულად აფერხებს იმ ადამიანის ურთიერთობას სხვა ადამიანებთან, მინერალებთან, ანუ, რაღაც თვალსაზრისით დამაბრკოლებლებიც ხდებიან.

**– რაში ეხმარება ადამიანს სწორად შერჩეული მინერალი?**

– თუ ადამიანი სწორად აარჩევს მინერალს, ის ხელს შეუწყობს ამა თუ იმ დაავადების მორჩენას. ხშირად ხდება, რომ ადამიანი მიდის ძალიან ცნობილ პროფესორთან და ავადმყოფის ორგანიზმს ქვეცნობიერად არ მოსწონს ეს ექიმი, ანუ ორგანიზმი ადამიანის ნების გარეშე ატყუებს ექიმს, სულ სხვა რამეს ეუბნება, სულ სხვა პულსაციას აჩვენებს და, უცბად აღმოჩნდება, რომ ეს პროფესორი შეცდა. კი, არ შეცდა, არამედ, ის ადამიანის ორგანიზმმა შეაცდინა. ახლა იგივე ადამიანი მიდის გამოუცდელ ექიმთან, რომელსაც მისი ორგანიზმი ეხვეწება: გამოიცანი, ეს მტკივა სინამდვილეშიო და ისიც გამოიცნობს. ასევეა მინერალების შემთხვევაშიც. მინერალს სურს, რომ მოარჩინოს ადამიანი, რადგან, სწორედაა შერჩეული. მაგრამ, თუ არასწორად არის შერჩეული, მაშინ შედეგიც არ არის კარგი. ადამიანებს აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობის თავისებური „ანტენები“. თუ დაკვრივებიხართ, ზოგჯერ, გახსენდებათ ის ადამიანი, რომელზეც არ გიფიქრიათ და, უცებ, ის გზაში შეგხვდებათ. სწორედ იმ „ანტენებმა” გაგახსენათ ის ადამიანი, ანუ, თქვენს თვალებზე ადრე ნახა თქვენმა ქვეცნობიერმა. მინერალის შემთხვევაშიც ასეა. მას განსაკუთრებული შერჩევა სჭირდება. მინერალებს კიდევ ერთი თვისება აქვთ: სასურველია, გაიგოს, საიდან არის მოსული ეს მინერალი; თუ ნახმარია, ვინ იყო მისი პატრონი – ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, თუ ეს მინერალი ნახმარია, უნდა გაითვალისწინოს, როგორ შეეგუება ის ახალ პატრონს, იმიტომ რომ, მინერალი „დარდობს,” რომ ძველ პატრონთან, არ არის და ცდილობს, ახალ პატრონს მოაჩვენოს, რომ ის სულაც არ არის კარგი, რათა ის პატრონთან დააბრუნოს. ასეთ დროს ის ფერსაც კი იცვლის. ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის ტვინის სფეროებში ჰორმონების განაწილების ჰარმონია. ეს ისეთი მნიშვნელოვანია, რომ მათი დარღვევა ხშირად იწვევს არა მხოლოდ დაავადებების გაჩენას, არამედ, ადამიანურ დრამებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ქარვა ასეთ შემთხვევაში მართლაც შესანიშნავი მინერალია, ოღონდ, მნიშვნელოვანია, სადაურია ეს ქარვა, როგორ არის შერჩეული და, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, უნდა ვიცოდეთ, როგორ გავწმინდოთ ქარვა პერიოდულად, რადგან, ქარვა თვითონ იღებს, შეიწოვს ავადმყოფობას, ისევე, როგორც ღრუბელი სითხეს, მას მეტი აღარ შეუძლია და კარგავს თავის მნიშვნელობას. მაგრამ, ქარვის გამოწურვა არც ისე ადვილია, იმიტომ რომ, ის ისეთი მინერალია, რომელსაც წყალი არ უყვარს. უძველესი დროიდან მისი გაწმენდის არაჩვეულებრივი ხერხები გამოიყენებოდა, განსაკუთრებით – ინდოეთში. ზეითუნის ზეთის მსგავს სითხეში, გარკვეულ ტემპერატურაზე მოათავსებდნენ და, იმის მიხედვით, თუ როგორი ქარვა იყო, ხუთ, შვიდ ან ცხრა დღეს გააჩერებდნენ ასე, შემდეგ ამოიღებდნენ, კარგად გაწმენდნენ და მზეზე გააშრობდნენ. ქარვა თავისუფლდებოდა ყველაფრისგან. იწყებდა ბზინვას და თავისი თვისებებიც უბრუნდებოდა. ქარვას უფრო ძლიერი ზემოქმედება აქვს, როცა იქ ძაფზე კრიალოსანივით აიკინძება, ანუ, როგორც მძივი. ქარვა ქარვას რომ „დაინახავს,” უფრო ძლიერი ხდება. როდესაც ყელზე ქარვას ვიკიდებთ, აღმოჩნდება, რომ მან გაიარა კეფა, ხერხემლის ის ნაწილი, სადაც თავის ტვინი უერთდება ხერხემლის ტვინს, ანუ ესაა შეერთების ყველაზე მნიშვნელოვანი წერტილი. ადამიანს სწორედ ეს საზღვარი უჭირს, ყველა გაჭირვების დიდი პროცენტი ამ ნაწილში ხდება და სწორედ იქ „დაჯდება” ქარვა – ერთი მშველელი. შემდეგ ეს მძივი „გაივლის” იმ სისხლძარღვებს, რომლებიც, როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა მხარეს უერთდება თავის ტვინს. მაგრამ, კიდევ უფრო საინტერესო მომენტი ის არის, რომ გულის მარცხენა პარკუჭი, ძველი ინდური წარმოდგენით, იყო სულიერების პარკუჭი, იქიდან შემოდიოდა სულიერება. ამიტომ, მარცხენა ხელიც იყო ადამიანის სხეულში კოსმოსიდან სულიერების შემომსვლელი. ეს სულიერება რომ შემოვიდეს, მან უნდა გაიაროს მარცხენა არტერია, რომლითაც სისხლი უერთდება ტვინს. ანუ, ტვინში უკვე შემოდის სულიერების ინფორმაცია და სწორედ იმ ადგილას „ზის” ქარვა. აღმოსავლური წარმოდგენით, ადამიანის აურას წრედი აქვს, სადაც არის პატარა „გადასახტომი” ადგილი

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# როგორ გაყიდა გოკა გაბაშვილმა 5 000 ლარად ღირებული ფერწერული ტილო 40 000 დოლარად

აწ უკვე ორი მოწვევის პარლამენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ არათუ რიგითი წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, გოკა გაბაშვილი 1973 წელსაა დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება თსუ-ში მიიღო და გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია. თუმცა მის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ, როდესაც 1990-1995 წლებში თსუ-ის დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტზე სწავლობდა, იმავდროულად, 1991-1994 წლებში საარბრიუკენის უნივერსიტეტის სტუდენტადაც ირიცხებოდა. ოღონდ მისი შრომითი საქმიანობა 1997 წელს იწყება: განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსობით. 1998 წელს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოში“ გადავიდა, სადაც 2002 წლამდე მედიის, გამომცემლობათა, მთარგმნელობითი და განათლების პროგრამების კოორდინატორად იმუშავა. 2002 წლის განმავლობაში TBC-TV-ის ტელეგადაცემა „აზრის“ ავტორი და წამყვანიც იყო. 2002 წელს მის ცხოვრებაში პოლიტიკაც შემოიჭრა და 2004 წლამდე პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული დემოკრატების“ გენერალურ მდივნადაც იმუშავა. 2004 წელს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე 2008 წლამდე იმუშავა, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველ მოადგილედ გადაიყვანდნენ. 2008 წლის ივნისში ხალხის რჩეულიც გახდა საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტში და იგივე საქმიანობა 2012 წელს საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტშიც გააგრძელა.

ბ-ნმა გაბაშვილმა თავისი პირველი დეკლარაცია 2004 წელს შეავსო კულტურის მინისტრის რანგში და ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე – 1976 წელს დაბადებული ირინე კლდიაშვილი და ქალიშვილი – თინათინი. დეკლარაციის თანახმად, ბ-ნი გაბაშვილის საკუთრება იყო ბინა თბილისში (45 000 ლარი) და ჯერ არაშენებული ბინის ორდერი (20 000 ლარი): ასევე, 5 000 ლარად ღირებული ფერწერული ტილო; ირინა კლდიაშვილის კუთვნილი უძრავი ქონებიდან ყველაზე ფასეული 5 000 ლარად ღირებული კარადა გახლდათ. ხოლო უძრავი ქონების სახით ფლობდა საცხოვრებელ ფართს დაბა ბაკურიანში (20 000 ლარი). ამას გარდა, მას ბანკში, ანაბარზე, 13 000 აშშ დოლარი ერიცხებოდა. აგრეთვე, სამეწარმეო საქმიანობასაც ეწეოდა – იყო შპს „კასაბელას“ დამფუძნებელი და პარტნიორი. ოჯახის მიერ 2003 წელს მიღებული შემოსავლები კი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ბ-ნმა გაბაშვილმა, როგორც გენმდივანმა, 2 500 ლარი აიღო, როგორც მინისტრის მოადგილემ (თვე-ნახევარში 1 800 აშშ დოლარი); ირინე კლდიაშვილმა, როგორც თსუ-ის ლექტორმა, 800 ლარი მიიღო, ამდენივე, როგორც ილია ჭავჭავაძის უცხო ენათა ინსტიტუტის ლექტორმა, როგორც GTC-ის კურსების მასწავლებელმა კი, 800 ევრო.



2005 წელს ქ-ნ კლდიაშვილს 7 500 ლარად ავტომანქანა შეუძენია. რაც შეეხება შემოსავლებს: გოკა გაბაშვილმა, როგორც მინისტრმა, 2004 წლის განმავლობაში მიიღო 6 054 ლარი და 12 600 აშშ დოლარი, ხოლო მის მეუღლეს სალექტორო მუშაობამ, საერთო ჯამში, 1 332 ლარი და 800 ევრო მოუტანა. ქ-ნ კლდიაშვილს 2006 წელსაც ახალი ავტომობილი ჰყავს – ამჯერად, 18 000-ლარიანი „ჰიუნდაი გეთსი“, თუმცა ანაბარზე 4 000 აშშ დოლარიღა აქვს დარჩენილი და ლექტორობისთვის 21-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილეობაც შეუთავსებია. გოკა გაბაშვილის სამინისტრო ხელფასს 2005 წლის განმავლობაში 41 786 ლარი შეუდგენია, ირინე კლდიაშვილისთვის კი ლექტორობასა და დირექტორის მოადგილეობას, სულ რაღაც, 2 430 ლარი მოუტანია. 2007 წლის განმავლობაში ბ-ნი გაბაშვილის სამინისტრო შემოსავალმა 42 000 ლარი შეადგინა, ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც 21-ე სკოლის დირეტორის მოადგილემ, 9 600 ლარი აიღო. 2008 წლის განმავლობაში მათ ქონებას არაფერი შეჰმატებია, არც დაკლებია. ბ-ნმა გაბაშვილმა, საერთო ჯამში, ხელფასის სახით, 42 ათასამდე ლარი აიღო, მისმა მეუღლემ – 5 520.

2010 წლის დეკლარაციაში ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონება შემდეგნაირია: გოკა გაბაშვილის საკუთრებაა ბინა წყნეთის ქუჩაზე, ასევე, მიწის ნაკვეთი თბილისის ზღვაზე და ავტომანქანა. ირინა კლდიაშვილს კი ეკუთვნის აგარაკი ბაკურიანში. 2009 წლის განმავლობაში პარლამენტარმა გაბაშვილმა 56 836 ლარი აიღო, დირექტორის მოადგილემ და პედაგოგმა კლდიაშვილმა 7 200 ლარი. 2010 წელს გიორგი გაბაშვილმა ავტომანქანა გამოცვალა – მას ახლა 2011 წლის „hunday tuscon” ჰყავს და აქვს ბინა ყიფშიძის ქუჩაზე, დაუმთავრებელ სახლში. ქ-ნი კლდიაშვილის შემოსავალი კვლავაც 7 200 ლარია, ხოლო: ბ-ნი გაბაშვილის სადეპუტატო შემოსავალს მოუმატია და 67 272 ლარი გამხდარა. 2011 წელს გიორგი გაბაშვილმა თავისი კუთვნილი ფერწერული ტილო 40 000 აშშ დოლარად გაყიდა. 21 900 აშშ დოლარი საბანკო სესხების მომსახურებაში გადაიხადა, ხოლო სადეპუტატო შემოსავლმა 69 009 ლარი შეადგინა. მისმა მეუღლემ, როგორც პედაგოგმა, 7 888 ლარი აიღო, ხოლო, როგორც საქართველოს სამარიტელთა კავშირის დირექტორმა, 11 384 ლარი. 2012 წლის განმავლობაში გოკა გაბაშვილის სადეპუტატო წლიურმა ხელფასმა 70 495 ლარი შეადგინა, მისმა მეუღლემ, როგორც საჯარო სკოლის პედაგოგმა, 7 888 ლარი აიღო, ხოლო, სამარიტელთა კავშირიდან – 17 440 ლარი. 6 600 აშშ დოლარი საბანკო სესხების მომსახურება დაუჯდათ, ხოლო 10 005 ლარი – შპს „ედელვაისის“ ქირავნობა.

**ნინო ხაჩიძე**

---

და ეს სწორედ მარცხენა არტერიასთან არის. ეს იმისთვისაა, რომ ადამიანის ინერცია მუდამ ფხიზლად იყოს, რადგან, უნდა „გადახტეს,” სხვა გზა არ აქვს. ამ ნახტომს „სიცოცხლის ნახტომი” ეწოდება და ამ სიცოცხლის ნახტომშიც „ზის” ქარვა. ასეთი გამოთქმა არსებობს: ყელში ბოღმა მახრჩობსო. ბოღმა ყელში კი არა, ცოტა ქვემოთ არის, მკერდის ოდნავ მაღლა და იქაც ქარვა „ზის”. როდესაც ქარვის მძივი ჰკიდია ადამიანს, ყველა საჭირო წერტილში, სადაც უჭირს, სადაც ექმნება პრობლემები, ქარვის „სიცოცხლის კრიალოსანი“ ეხმარება. გარდა იმისა, რომ ქარვის მძივს აქვს სამკურნალო თვისება, როგორც კარგი პროფილაქტიკის საშუალება, ისეც შეგიძლიათ ჩამოიკიდოთ. როცა გვიკეთია ქარვა ყელზე და ქარვის ბეჭედი – თითზე, ამ დროს არაჩვეულებრივად საინტერესო ჰარმონია მყარდება ამ ბეჭედსა და მძივს შორის. თუ მარცხენა ხელის თითზე ვიკეთებთ ქარვას, კოსმოსიდან სულიერი ძალის შემოსვლა კიდევ უფრო ადვილად ხდება; თუ მარჯვენა ხელზე გავიკეთებთ, აქ კიდევ უფრო საინტერესო მომენტი გვექნება. მარჯვენა ხელს, განურჩევლად იმისა, ადამიანი ცაციაა თუ არა, აქვს ქმედების ძალიან ძლიერი იმპულსი. ჩვენი წინაპრები სულ ცდილობდნენ, რომ ბავშვი არ ყოფილიყო ცაცია. სინამდვილეში ისინი ცაციობას კი არ ებრძოდნენ, არამედ, რადგან მარცხენა ხელი არის სულიერების შემომტანი და ახლოსაა გულთან, არ უნდოდათ, რომ გულის გადაღლა უფრო ადრე მომხდარიყო; რომ ენერგეტიკა, რომელიც მარცხენა ხელს აქვს მთლიანად სულიერებაზე დახარჯულიყო და არა ფიზიკურ სიძლიერეზე. მარცხენა ხელი უფრო

**აღმოსავლური წარმოდგენით, ადამიანის აურას წრედი აქვს, სადაც არის პატარა „გადასახტომი” ადგილი, სწორედ მარცხენა არტერიასთან. ეს კი იმისთვის არის, რომ ადამიანის ინერცია მუდამ ფხიზლად იყოს, რადგან, უნდა გადახტეს, სხვა გზა არ აქვს**

მგრძნობიარეა, ხოლო მარჯვენა იმდენივე პროცენტით ძლიერია. მარცხენა ხელით ადამიანი იღებდა საგანს და ის უკვე გრძნობდა, როგორი საგანი იყო, მძიმედ უნდა დაერტყა მისთვის თუ არა. ამიტომ, ხელებს შორის გარკვეული ჰარმონია იყო დამყარებული და, როდესაც ეს ჰარმონია იცვლებოდა, ანუ, ადამიანი ცაცია ხდებოდა, ამის წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩვენი მამა-პაპანი. როდესაც ადამიანი მარჯვენა ხელზე იკეთებდა ქარვის ბეჭედს, მარჯვენა ხელი, როგორც ინდოელები ამბობდნენ, ისეთი დაუნდობელი აღარ იყო და იმ ადამიანმა იცოდა, რომ ეს ძალა ბოროტად არ უნდა გამოეყენებინა. ეს ყველაფერი ახლა ჩვევებშია, მაგრამ ეს თავისებური ჰარმონია იყო ორ ხელსა და სიცოცხლის ამ ორ წრეს – ქარვის მძივსა და ბეჭედს შორის. შეგვიძლია, ქარვით გავიგოთ, ადამიანი ბოროტია თუ არა, რადგან, ქარვას არ უყვარს ბოროტი ადამიანები. ამ დროს ქარვა თითქოს თავის თავში იკეტება და მისი გამოსხივება მცირდება, არადა, ეს გამოსხივება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენს სხეულს აქვს სხვადასხვა რეჟიმი და ყველა „უბანს” აქვს სხვადასხვა ტემპერატურა. ყველაზე ცხელი გვაქვს გული და ფილტვები. როცა ქარვა ადამიანში შიგნით შედის თავისი ინფორმაციით და უნდა, რომ დაეხმაროს, ის სწორედ ამ სიმხურვალეში შედის და ამიტომ მისი გამოსხივება დიდია. როდესაც ქარვა ასეთ სიღრმეში არ შედის, რადგან მათ შორის კონტაქტი არ დამყარდა, მაშინ ის ადამიანის ზედაპირზე უფრო გრილ ადგილებს აგნებს. ეს გრილი ადგილებია იდაყვი და ცხვირი და, რადგან, ტემპერატურა აქ უფრო ნაკლებია, ბუნებრივია, გამოსხივებაც ნაკლებია და შედეგიც; ამიტომ, მკურნალობის დროს ესეც გასათვალისწინებელია.

**ნათია უტიაშვილი**

**ცოტა ხნის წინ ია ფარულავასა და ტარიელ სუარის ოჯახურმა ამბებმა ლამის უკრაინაში განვითარებული მოვლენები გადაფარა – ქართველებს ხომ ყველაზე მეტად სხვისი პირადი ამბები გვაინტერესებს. ალბათ, ამიტომაც, საიტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წყვილის მიერ დაპოსტილი სტატუსების გამოქვეყნებაში. თუმცა, საბოლოოდ, საზოგადოებამ მაინც ვერ გაიგო, დღეს ია და ტარიელი ისევ ერთად არიან თუ დაშორდნენ. ამ კითხვებზე პასუხს თავად ტარიელი გაგვცემს.**

# ვინ ცდილობს სუროგატი ბავშვის მეშვეობით ია ფარულავასა და ტარიელ სუარის უფრო მეტად გაბედნიერებას

**ტარიელ სუარი**: ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ მცირედით შემიძლია შემოვიფარგლო... ვინც მე პატიება მთხოვა, მას უკვე მივუტევე და ვაპატიე, ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ, რიგით ქრისტიანს შეეფერება. შედეგი კი სახეზეა: ჩემი მეუღლეც უბედნიერესია და მეც ბედნიერი ვარ. ჩვენი ოჯახის უერთგულესი მეგობარი, მარიამ კუკუნაშვილი, ცდილობს, სუროგატი ბავშვის მეშვეობით, მე და ჩემი მეუღლე კიდევ უფრო გაგვაბედნიეროს, რისთვისაც მას ძალიან დიდ მადლობას ვუხდი. არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ჩვენი უწმიდესის სიტყვები მიტევების შესახებ გულში მალამოსავით ჩამელვენთა, მისმა სიტყვებმა მიტევების ძალა დამანახვა. რაც უნდა გამწარებული ვიყო კონკრეტულ ადამიანზე, მივხვდი, რომ მიტევებას ალტერნატივა არ აქვს. „მიუტევეთ და თქვენც მოგეტევებათ,” – წერია ჩვენს წმიდათაწმიდა მოძღვრებაში. ვფიქრობ, დღესდღეობით საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა საზოგადოების ერთგვარი გაბოროტებაა. მესმის, ბევრს, შესაძლოა, ამის ძალიან დიდი საფუძველი აქვს, მაგრამ, აგრესიაზე აგრესიითვე პასუხი კიდევ უფრო მეტ აგრესიას შობს. სხვისი არ ვიცი, მაგრამ, პირადად მე, როდესაც საშინელი სამსჯავროს წინაშე წარვდგები, არანაირი სურვილი არ მაქვს, ჩემი ღმერთის უმოწყალო თვალებს ვეწირებოდე. ამქვეყნად ადამიანებს ერთმანეთზე მოსაფრთხილებელი არავინ გვყავს. ამიტომაც, ვისურვებდი, რომ ქართველებს, უპირველეს ყოვლისა, მიტევება გვესწავლოს. დამიჯერეთ, ამაზე შესანიშნავი გრძნობა არ არსებობს.

**– როდესაც ამბობთ, ვინც პატიება მთხოვა, მე მას უკვე მივუტევე და ვაპატიეო, რას გულისხმობთ?**

– არ მინდა ამაზე ყურადღების გამახვილება.

**– ვფიქრობ, სოციალურ ქსელში გაჩენილმა თქვენმა სტატუსებმა გამოიწვია უფრო მეტი აჟიოტაჟი და ბევრი კითხვაც გააჩინა.**

– ტარიელ სუარის სახელით დაახლოებით ათი „ფეისბუქ-პროფილია” გახსნილი. ყველამ რაღაც რომ დაწეროს და გადმოიღონ, ხომ არ შეიძლება? ხომ შეიძლება, მკითხონ, რა არის ჩემი დაწერილი და რა არა? გაოგნებული ვარ იმითაც, რომ ტელევიზიებმაც გადაუმოწმებელი ინფორმაციები გააშუქეს... აქვე მინდა აღვნიშნო ერთი რამ: იამ, ჩემმა მეუღლემ, მთხოვა, რომ ჩემი სამომავლო კონცერტების ორგანიზაციული საკითხები და პიარი პირადად მას გადავცე. მოგეხსენებათ, რომ გერმანიაში მოლაპარაკებების წარმოება ინგლისურ ენაზე მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს და ამის გამო დავთანხმდი.



მე ვცდილობ, მისთვის შესაფერისი ატმოსფერო შევქმნა, რომ ისუნთქოს, ბედნიერი იყოს. იაც ასევე ცდილობს ჩემთვის ამ ყველაფრის გაკეთებას

**– თქვენს კარიერაში სიახლეებია?**

– დღეში 12 საათს ვმუშაობ, რომ ქართველი კომპოზიტორების საორკესტრო შედევრები კლასიკურ გიტარაზე გადავიტანო. არ არის სწორი, როდესაც ქართველები მსოფლიოში საგიტარო კლასიკურ რეპერტუარს მხოლოდ იაფფასიანი არანჟირებით ავსებენ. ქართველი გიტარისტები უნდა ვეცადოთ, რომ ღირსეული წვლილი შევიტანოთ მსოფლიო საგიტარო რეპერტუარში. პირადად მე ამას ჩვენი გენიალური კომპოზიტორების საორკესტრო ნაწარმოებების არანჟირებით ვაკეთებ. ამჯერად, ქართველებისთვის და ჩემთვის ყველაზე საამაყო მუსიკოსის, მსოფლიოში აღიარებული გენიალური კომპოზიტორის, გია ყანჩელის ნაწარმოებებზე ვმუშაობ. გია ყანჩელის სერიოზული, უფრო სწორად, ინტელექტუალური მუსიკის კომპოზიციები ერთგვარი სიახლეა საგიტარო ხელოვნებაში. რამდენიმე საუკუნის წინ ბეთჰოვენმა, კლასიკური გიტარის მოსმენის შემდეგ, ეს ინსტრუმენტი მინიატურულ ორკესტრად მოიხსენია. დღესდღეობით კი ეს სიტყვები სრულყოფილ გამართლებას გაი ყანჩელის კომპოზიციებში პოულობს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გია ყანჩელის მუსიკას ერთგვარი მისტიკური ძალა აქვს – ის თითქოს დროს აჩერებს, აახალგაზრდავებს და აკეთილშობილებს სულს. მართალია, მისი მუსიკის სრულფასოვანი აღქმა მხოლოდ გარკვეული ინტელექტის მქონე საზოგადოების ხვედრია, მაგრამ, მას იმდენად კეთილშობილური ძალა აქვს, რომ საკუთარი თავის უკეთესად შეცნობის შესაძლებლობას მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანს აძლევს. უფრო მეტსაც გეტყვით, ყანჩელის ნაწარმოებების კლასიკურ გიტარაზე გადატანა ერთგვარ საგიტარო მიმდინარეობას აყალიბებს. გიტარა ამ დროს იაფფასიანი, გასართობი ინსტრუმენტის საზღვრებს იმდენად სცილდება, რომ, საბოლოოდ, ფილოსოფიურ ელფერს იძენს, რის შედეგადაც, ერთი შეხედვით არცთუ „სერიოზული” ინსტრუმენტი ფილოსოფიურ გიტარად გარდაიქმნება. ვფიქრობ, ქართველმა გიტარისტებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საქართველოში კლასიკური გიტარის გადასარჩენად. პირადად მე, მიუხედავად ჩემი დროში შეზღუდულობისა, საკონცერტო მოღვაწეობის პარალელურად, კლასიკური გიტარის პოპულარიზაციის მიზნით, პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ვეწევი. ფრანკფურტიდან დაბრუნებისთანავე კი, ვაპირებ, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩავატარო უფასო მასტერკლასები. აპრილის ბოლოს ყანჩელის პროგრამით ჩავატარებ კონცერტს, ხოლო ოქტომბრიდან დავიწყებ ტურნეს ევროპის მასშტაბით. იას უნდა ჩემთან ერთად წამოსვლა და მოგზაურობა. ვნახოთ, რა იქნება. იმდენად დაკავებულები ვიყავით მე ჩემი საქმით და ამ პროგრამის მომზადებით, ია კი – ტელევიზიაში, რომ, ჯერ ვერ მოვახერხეთ ერთად მოგზაურობა.

(გაგრძელება 73-ე გვერდზე)

## გელა გაბეხაძის მონატრება



უეცრად და ჩუმად ჩაქრა შენი სიცოცხლე, როგორც ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი. რამდენიმე ტკივილიანი დღე გავიდა იმ მძიმე და საშინელი დღიდან, რაც შენ აღარ გვყავხარ. შენს დედას, მამას, დებს, ცოლს – მანანა წერეთელს და შენს შვილებს ცრემლი არ უშრებათ თვალზე, მოუშუშებელი ჭრილობა დაგვიტოვე უამრავ ადამიანს. ძალიან გვაკლიხარ, უზომოდ გვენატრები, სიყვარულითა და სიკეთით სავსე ქართველო ვაჟკაცო!

შენი შვილი, გიორგი, ისეთი ბიჭი იზრდება, შენ რომ ოცნებობდი. მანანა ოჯახს ღირსეულად გაუძღვება, ქალიშვილებიც გათხოვდებიან, მაგრამ, სამწუხაროდ, შენ მათ გვერდით არ იქნები.

გვენატრები, უსაზღვროდ გვიჭირს უშენობა. ვილოცებთ, რომ ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გზა გაგინათოს და სიმშვიდე დაუმკვიდროს შენს სულს მარადიულ სასუფეველში.

**შენი მამიდა ლილი, მამიდაშვილები დოდო და კობა, ოჯახებით**

# Gino Paradise Tbilisi – პირველი და გრანდიოზული აკვაპარკი აღმოსავლეთ ევროპაში

## მოგზაურობა დაუვიწყარი შეგრძნებების სამყაროში

არაფერი ისე არ ღლის და ფიტავს ორგანიზმს, როგორც ცივი ზამთარი და, როგორც სპეციალისტები გვაფრთხილებენ, თითოეული ზამთარი ორგანიზმს, საშუალოდ, 5 წლით აბერებს და არანაკლებ მორალურ ზიანსაც აყენებს. თუმცა გაზაფხული და ზაფხული ავსებს დანაკარგს, მაგრამ – სრულად ვერა.



ზამთრის კვალის წასაშლელად და ორგანიზმისთვის ახალი სუნთქვის მისანიჭებლად არსებობს **Gino Paradise Tbilisi-ს ველნეს და სპა ცენტრის ზღაპრული სამყარო,** სადაც სრული რელაქსაციისა და რეაბილიტაციისთვის ყველა ის პირობაა შექმნილი, რომელზეც ოდესმე გიოცნებიათ: სხვადასხვა ტიპის საუნა, სატრენაჟორო დარბაზი, მასაჟის კაბინეტები, საუკეთესო კოსმეტიკური პროდუქცია...

სანამ Gino Paradise Tbilisi-ს ველნეს და სპა ცენტრის ზღაპრული სამყაროში ვიმოგზაურებთ, შეგახსენებთ, რომ **საუნა დადებითად მოქმედებს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებებზე, შეუცვლელია ნივთიერებათა ცვლის პროცესის აღსადგენად, ნერვული სისტემის დასამშვიდებლად, სასუნთქი გზების პრობლემების მოსაგვარებლად, სისხლძარღვებისა და გულის ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. საუნა აუმჯობესებს ორგანიზმის დაცვითი სისტემების მუშაობას, კუნთების მოდუნებას. ის ცელულიტისა და ზედმეტი ცხიმებისგანაც ათავისუფლებს თქვენს ორგანიზმს, აჩქარებს უჯრედების რეგნერაციას (რაც ასე მნიშვნელოვანია ზამთრის შემდეგ თქვენი კანისთვის). აქვს ძლიერი ფსიქოსომატური და ანტისტრესული ეფექტი. საუნაში ორგანიზმი თავისუფლდება შლაკებისა და ტოქსინებისგან, სუფთავდება ფორები და უმჯობესდება ორგანიზმის მიერ მნიშვნელოვანი ელემენტების ათვისება.**

მით უფრო, რომ **Gino Paradise Tbilisi-ს ველნეს და სპა ცენტრში თქვენ გელით 8 სხვადასხვა ტიპის საუნა**: **„რომაული საუნა“** ძველი ელინების მომაჯადოებელი სურნელით აგავსებთ; **„მცენარეული საუნა“** გაზაფხულსა და მზეს შემოიტანს თქვენს სხეულში; **„მარილის საუნა“** თქვენს ორგანიზმს ტოქსინებისგან გაათავისუფლებს; **„ინფრაწითელი საუნა“** ცხელ ზაფხულში სანაპიროზე მიღებულ მზის აბაზანებს გაგახსენებთ (გაითვალისწინეთ, თქვენი ორგანიზმი ჯანსაღდება და იმავდროულად ირუჯებით); **„საუნა მელიის სორო“** თავს ზღაპრული სამყაროს პერსონაჟად გაგრძნობინებთ: **„სურნელოვანი საუნა“** არაჩვეულებრივი არომატებით გააჯერებს თქვენს სხეულს, **„მენთოლის საუნა“** გაციების წინააღმდეგ ინჰალაციის შეუდარებელ ეფექტს მოახდენს და კლასიკური **„ფინური საუნა“** – დახვეწილი დიზაინითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით.

**საუნის მიღების შემდეგ ორგანიზმისთვის აუცილებელია გაგრილება,** ამ შეგრძნებებს **ველნეს და სპა ცენტრში გაგიმძაფრებთ ტეპიდარიუმი და შხაპი გაზაფხულის წვიმისა და ჭექა-ქუხილის ეფექტით**, ასევე, **გამოქვაბული წყაროს ცივი წყლით, ცივი და თბილი წყლებით სავსე ქვიანი სავალი ბილიკი გამოაფხიზლებს თქვენს ორგანიზმში მიძინებული ქვეყნიურობისა და სილამაზის ხედვას.**

იქვეა **ალექსანდრე მაკედონელისეული 24-კარატიანი ოქროს ტახტი** – 42 გრადუსამდე გამთბარი 24-კარატიანი ოქროთი მოპირკეთებული – რომელიც **ქმნის ოქროს აურას და ეხმარება ორგანიზმს რეგენერაციაში**. Excellent ზონაში თქვენ გელოდებათ **პრივატული „ფინური საუნა“, „მცენარეული საუნა“, „ყინულისა და თოვლცვენის ოთახი“. კლეოპატრას, ოქროთი მოპირკეთებულ აბაზანებში კი, სურვილისამებრ, შეგიძლიათ, მიიღოთ შამპანურის, ღვინის, ყვავილებისა თუ რძის სარელაქსაციო აბაზანები.**

სპეციალურად გურმანთათვის Excellent ზონაშია **ჯაკუზი „ლუდის კათხა“,** დამზადებული ნატურალური ხისგან და შევსებული 36 გრადუსამდე გამთბარი ლუდით – პარალელურად, შეგიძლიათ, თვითონვე ჩამოისხათ და დააგემოვნოთ ცივი ლუდი. განუმეორებელ ხიბლს შეძენს თქვენს დაუვიწყარ შეგრძნებებს **ტეპიდარიუმი ბუხრითა და მოსასვენებელი გამთბარი სავარძლებით, თბილი, სარელაქსაციო აუზით, შხაპი წვიმის ეფექტით**.

ტრადიციულად, ასეთ დროს საუკეთესო ეფექტის მისაღებად შეუცვლელია შუალედებში მასაჟის სეანსი. თავს არ შეგაწყენთ იმის შეხსენებით, რომ მრავალი ასწლეულის განმავლობაში მასაჟის ტრადიცია ძველი ინდოეთიდან, საბერძნეთიდან, რომიდან, ჩინეთიდან და ეგვიპტიდან იღებს სათავეს. თუმცა დამერწმუნეთ, **შეუძლებელია სიტყვებით იმ შეგრძნებების გადმოცემა, რომლებსაც თქვენ Gino Paradise Tbilisi-ს მასაჟის კაბინეტში მიიღებთ** (მასაჟის პროცედურა სახეობის მიხედვით 10-დან 100 წუთამდე მერყეობს). თქვენი ასარჩევია: შოკოლადის, ვარდის დამატენიანებელი თუ ანტიცელულიტური პროცედურა. 80-წუთიანი ჰარმონიული რიტუალი პინდებით სამი ტიპისაა: REVITAL, EROS და RELAX. თქვენს განკარგულებაშია ეგზოტიკური მასაჟები: 100-წუთიანი დამამშვიდებელი რიტუალი „სამხრეთის ნოტები“, რიტუალი „ვარდების ბაღი“ თუ „მარწყვის დესერტი“. არომამასაჟიც სამი სახეობისაა: RELAX, REVITAL და EROS. სურვილისამებრ, შეგიძლიათ, ჩაიტაროთ კლასიკური მასაჟი, სახის და თავის მასაჟი, მუცლის მასაჟი, ზურგის მოსადუნებელი მასაჟი, ქვედა კიდურების ანტიცელულიტური მასაჟი და ტერფის მასაჟი „ტკბილი ნუში“.

ხოლო VIP და EXCELLENT მომსახურებაში შედის: ტერფის დათბილვა ვარდის რძის აბაზანით, ტკბილი ნუშის რძის აბაზანით, ვარდის რძისა თუ ღვინის აბაზანით. ასევე, აბაზანის დროს შეგიძლიათ ისიამოვნოთ ტერფის მასაჟით.

ვისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური აქტივობა, გელით **Gino Paradise Tbilisi-ს სატრენაჟორო და ფიტნეს დარბაზი,** სადაც მაღალკვალიფიციური ტრენერები ინდივიდუალურად შეგირჩევენ თქვენთვის საჭირო ვარჯიშებსა და ტრენაჟორებს, რომ **მოამზადოთ და თავიდან გამოძერწოთ თქვენი სხეული ზაფხულისთვის.**



იმოგზაურეთ Gino Paradise Tbilisi-ს ზღაპრულ სამყაროში, გაჯანსაღდით, გაახალგაზრდავდით და აჩუქეთ საკუთარ სხეულს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები!

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: +995 599-88-09-89, +995 322 15-85-85**
**ეწვიეთ ჩვენს ვებსაიტს www.ginoparadise.ge და ფეისბუქის გვერდს Gino Paradise Tbilisi**

**გაზაფხული ის პერიოდია, როცა ადამიანმა ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან სწორედ ახლა მწვავდება ის ქრონიკული დაავადებები, რომელიც ორგანიზმში თითქოს მიძინებულია. სამწუხაროდ, დაქვეითებულ იმუნიტეტს არ მიიჩნევენ საშიშ სიმპტომად, არადა, სწორედ ის ხდება სიცოცხლისთვის სახიფათო დაავადებების საწყისად, რომელსაც ხშირად სიკვდილიც მოსდევს. ამ თემასთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ, დიეტოლოგ ასმათ კევლიშვილს, რომლისგანაც ამ სასარგებლო რჩევებს დამოუკიდებელი სამედიცინო არხის „პულსი ტვის" ეთერიდან მოისმენთ და ის ინტერნეტით ყოველდღიურად შეგიძლიათ მოიძიოთ.**

# არის თუ არა სასიცოცხლოდ აუცილებელი გაზაფხულზე იმუნიტეტის ამაღლება და მარხვის სწორად შენახვა

**– გაზაფხული საკმაოდ რთული პერიოდია ჯანმრთელობის თვალსაზრისით. სტატისტიკურად, სწორედ ამ დროს იმატებს დაავადებების რიცხვი. როგორც ამბობენ, თუ ორგანიზმის იმუნიტეტი მწყობრშია, მაშინ ამ საშიშროებას თავს ადვილად დავაღწევთ და შესაძლო გართულებებსაც იოლად ავიცილებთ თავიდან. იქნებ გვირჩიოთ, როგორ ავიმაღლოთ დაქვეითებული იმუნიტეტი სწორედ ამ პერიოდში?**

– იმუნური სისტემა, საკმაოდ ვრცელი სასაუბრო თემაა, თუმცა შევეცდები, მოკლედ და გასაგებად შევეხო ამ საკითხს და შეძლებისდაგვარად, გარკვეული წარმოდგენა შეგიქმნათ ამ სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანეს და რთულ სისტემაზე. მოკლედ, იმუნური სისტემა, ეს რთული მარეგულირებელი თავდაცვის სისტემაა. ეს არ არის ერთი კონკრეტული ორგანო, როგორც ეს ხშირ შემთხვევაში, ჰგონიათ. ხშირად მეკითხებიან: რა გავაკეთო, იმუნური სისტემის ასამაღლებლად, რომელი მედიკამენტი მივიღო, ან რამდენ ხანში შევძლებ მის ამაღლებასო. მსგავსი კითხვები მიუთითებს, რომ ამ მხრივ ცოდნის დეფიციტია და, არა მარტო იმუნური სისტემის, არამედ, ზოგადად ორგანიზმის, მასში მიმდინარე პროცესების, მისი მართვის, დაცვისა და მკურნალობის მხრივ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმუნური სისტემა რთული სისტემაა და მასში შედის ელენთა, თიმუსი, ძვლის ტვინი, სისხლი და ლიმფური კვანძები. იმუნური სისტემა გვიცავს ვირუსებისგან, ბაქტერიებისგან, მიკროორგანიზმებისგან, ალერგენებისგან, ტოქსინებისა და ავთვისებიანი უჯრედებისგან.



მარხვა გულისხმობს გაზაფხულზე იმუნური სისტემის გაძლიერებას და არა შიმშილსა და ორგანიზმის გამოფიტვას

**– ზოგადად, როდის იწყებს ჩამოყალიბებას ადამიანის იმუნური სისტემა და როგორ შევძლოთ მისი გამყარება, რომ თავი დავიცვათ ზემოთქმული დაავადებების ჩამოყალიბებისგან?**

– იმუნური სისტემის ჩამოყალიბება იწყება დედის მუცლად ყოფნის პერიოდში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მომავალი დედები საკუთარ ჯანმრთელობას, ჯანმრთელი შთამომავლობის ხათრით მაინც უნდა გაუფრთხილდნენ და მოიწესრიგონ კვება. ამის შემდგომ, ხდება ბავშვის ბუნებრივი კვება, საკვები რაციონის სწორად შერჩევა, სწორი ფიზიკური აქტივობა, ძილი, დასვენება, ემოციები და ასე შემდეგ. ბოლო დრომდე მიიჩნეოდა, რომ თიმუსს მხოლოდ ბავშვობის ასაკში აქვს გარკვეული მნიშვნელობა და რომ 10 წლისთვის ის წყვეტს განვითარებას, იწყებს ატროფირებას. მეცნიერებმა, ჩემდა გასახარად, დაადგინეს, რომ თიმუსი ატროფირებას იწყებს იმიტომ, რომ ბავშვებს დაბადებიდანვე არასწორად ვკვებავთ. არასწორი კვების შედეგად, არა მხოლოდ თიმუსი, არამედ სხვა ორგანოებიც პათოლოგიის ზღვარზეა.

**– რა არის თიმუსი და რა როლს ასრულებს ის ადამიანის განვითარებაში? გამიგია, თითქოს, სწორედ ეს ორგანო აგებს პასუხს ორგანიზმში ავთვისებიანი უჯრედების განვითარებაზე.**

– თიმუსი არის ორგანო, რომელიც შედგება ლიმფური ქსოვილისგან და ემსახურება ძველი და უვარგისი სისხლის წითელი უჯრედების დაშლას. ის ხელმძღვანელობს იმუნური სისტემის დამცავ მოქმედებებს და გულის ზემოთაა მოთავსებული. თიმუსი იმუნური სისტემის დაცვაში უმთავრეს როლს ასრულებს მთელი ცხოვრების განმავლობაში. რაც უფრო ადრეული ასაკიდან დაუთმობთ ყურადღებას სწორ კვებას, მით უფრო დიდხანს შეინარჩუნებთ დამცველობითი ფუნქციის მქონე ამ ორგანოს. რაც შეეხება ამ ორგანის კავშირს სიმსივნეებთან, მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტი ადასტურებს, თიმუსის ავთვისებიან სიმსივნეებთან კავშირს. სამწუხაროა, რომ დღეს ცნება „დიეტამ" ტრანსფორმაცია განიცადა და არაფერი საერთო სწორ, სამკურნალო კვებასთან არ აქვს. სამწუხაროდ, ის მხოლოდ და მხოლოდ კალორიებითა და გრამებით მიღებულ საკვებთან ასოცირდება. დიეტა, საკვების რაოდენობის შემცირებაზე ანუ ძალისმიერ მეთოდზე კი არ უნდა იყოს ორიენტირებული, არამედ საკვები სამკუნალო, წამლის დანიშნულებით უნდა მიეწოდებოდეს ორგანიზმს. ერთ-ერთი მიზეზი იმუნიტეტის დაქვეითებისა და შესაბამისად, სხვადასხვა დიეტით გამოწვეული დაავადებების მიზეზი, ისეთი დიეტაა, რომელიც ორგანიზმის სწორ მართვაზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ დროებით ეფექტზე.

**– ის თუ არის სწორი, რომ ვისაც გლანდები ამოჭრილი აქვს, მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გაზაფხულზე საკუთარ იმუნიტეტს?**

– ლიმფური კვანძები ჩვენს ორგანიზმში ასრულებს დამცველობით, სარეზერვო და გაცვლით ფუნქციას და მონაწილეობს იმუნურ პროცესებში. ლიმფურ კვანძებში გამომუშავდება ლეიკოციტები, რომლებიც სტიმულაციას უკეთებს ლიმფოციტების გამრავლებას. ლიმფურ ჯირკვლებს მიეკუთვნება ნუშურა ჯირკვლებიც. მათი ანთება, ანგინა და ეგრეთ წოდებული ჩირქოვანი გლანდები მეტყველებს მხოლოდ და მხოლოდ იმუნური სისტემის გადატვირთვაზე. ჩვენ კი რას ვშვრებით? მათ ვჭრით! ეს არასწორია, რადგან ადამიანს არც ერთი ორგანო ზედმეტი არ აქვს, თუ რაღაც თანდაყოლილ პათოლოგიასთან არ გვაქვს საქმე. გლანდების ამოჭრით, მნიშვნელოვან ჯირკვლებს ვაცლით ბავშვებს და არ ვფიქრობთ მშობლები, რომ ამ გართულებული გლანდების გამომწვევი მიზეზი კვლავ ორგანიზმში რჩება საშიშ ნაღმად. ჩემი რჩევაა, არასდროს ებრძოლოთ დაავადებას. გამოიძიეთ ამ დაავადების გამომწვევი მიზეზი და დაიწყეთ ამ მიზეზის აღმოფხვრა.

**– როგორც მივხვდი, დაქვეითებული იმუნიტეტი საკმაოდ საშიშ დაავადებებს იწვევს და ის შესაძლოა, სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს?**

– დიახ, ასეა. სწორედ, დაქვეითებული იმუნიტეტი იწვევს კიბოს, რომლისგანაც განკურნება, შორს წასული დიაგნოზის დროს, შეუძლებელია. თუ სწორად იკვებებით, თქვენი იმუნიტეტიც მწყობრში იქნება.

**– ის, რომ გაზაფხულზე აუცილებელია ნატურალური წვენების ყოველდღიური სმა, ამაზე რას გვეტყვით? არის თუ არა ორგანიზმისთვის საშიში არასწორად დაცული მარხვა?**

– გაზაფხულზე, იმისთვის, რომ იმუნური სისტემა დავიცვათ, აუცილებელია, მარხვა. ოღონდ გაცნობიერებული და არა ისე, როგორც მას ბევრი იცავს. ამ დროს კვება უნდა იყოს ბალანსირებული, რადგან არასწორი მარხვით, ორგანიზმს „დაანგრევთ". არადა, მარხვა გულისხმობს გაზაფხულზე იმუნური სისტემის გაძლიერებას და არა შიმშილს და ორგანიზმის გამოფიტვას. სწორად დაცული მარხვის დროს, ორგანიზმი სუფთავდება ტოქსიკური ცილოვანი და ცხიმოვანი მჟავებისგან, რომელსაც ხორციდან ვიღებთ, ასევე, ჭარბი სახამებლისგან. ამ დროს, დიდი რაოდენობით საფუარიანი პურის, ლობიანების, ღვეზელებისა და შემწვარი კარტოფილის ჭამა, არ შეიძლება. უნდა იკვებოთ რაც შეიძლება ბევრი ხილ-ბოსტნეულით. რაც შეეხვება ნატურალურ წვენებს, აქაც სიფრთხილეა საჭირო, რადგან შესაძლოა, ადამიანს კონკრეტული დაავადება აწუხებს, რომლის დროსაც ზედმეტი სითხის მიღება არ შეიძლება. წყალი კი გაზაფხულზე ჯანმრთელმა ადამიანმა დღეში დაახლოებით, ლიტრ-ნახევარი უნდა დალიოს. გირჩევთ, წვენების ნაცვლად, ჭამოთ რაც შეიძლება, მეტი სეზონური ხილ-ბოსტნეული.

**ნონა დათეშიძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ინტიმური საუბრები

## შვილს დედა უნდა ზრდიდეს

ცოლი სიყვარულით შევირთე. ოთხოთახიან ბინაში (თანაც, თბილისის ცენტრში) ვცხოვრობდით მე, ჩემი ცოლი, დედაჩემი და მამაჩემი. მარიკას თავიდანვე უნდოდა ცალკე ცხოვრება, მაგრამ, დედისერთა ვარ და, მოგეხსენებათ, ჩემს მშობლებს რა დაემართებოდათ, სხვაგან რომ გადავსულიყავი. მით უფრო, რომ მეორე ბინის ყიდვის საშუალება არ გვქონდა და, ესე იგი, უნდა დამექირავებინა მინიმუმ ოროთახიანი, ოღონდ ყველანაირად კეთილმოწყობილი,



თანაც, კარგ უბანში. ასეთი ბინა კი მინიმუმ 500 დოლარი ღირდა თვეში, ანუ, თითქმის მთელი ჩემი ხელფასი ქირაში უნდა გადამეხადა. მამაჩემმა მითხრა, თუ ცალკე გადახვალთ, ერთი კაპიკითაც არ დაგეხმარებითო. მარიკა ამაზე გაბრაზდა და უფრო მეტად დამიწყო „ჩხიკინი“ – გინდა თუ არა, ცალკე ვიცხოვროთო. ასე „ჭიდაობაში“ გავატარეთ ხუთი წელი. ამასობაში ორი შვილი შეგვეძინა – ქალ-ვაჟი. ჩემი ცოლი არ მუშაობდა, მაგრამ, დედაჩემი ისე ეხმარებოდა ბავშვების გაზრდაში, რომ მარიკას ყველგან წასვლის საშუალებას აძლევდა. სხვათა შორის, ამას არც უარყოფდა, ყველგან ამბობდა, შვილებს დედამთილი მიზრდისო, მაგრამ, მაინც ცალკე უნდოდა ცხოვრება. ერთხელ ისიც მითხრა, მეც დავიწყებ მუშაობას და როგორმე გავიტანთ თავსო. მერე ამ პატარა ბავშვებს ვის დაუტოვებ-მეთქი? ბაგა-ბაღში მივიყვან ან ძიძას ავიყვანთო. ბაღსაც და ძიძასაც ცალკე ხარჯები დასჭირდებოდა, მე კი ამის საშუალება არ მქონდა. ამიტომ, კატეგორიული უარი ვუთხარი. ბევრი ფიქრის შემდეგ ახალი „ვერსია“ შემომთავაზა: დედაშენი მოვიდეს ხოლმე და დილის 9 საათიდან საღამოს 7-მდე იყოს ბავშვებთანო. კი მაგრამ, დედაჩემს გაურბიხარ და, თუ ისევ მას უნდა დაუძახო, აქ არა გვყავს-მეთქი?! მოკლედ, ვერ გავიგე, რატომ ჰქონდა ასე ამოჩემებული ცალკე ცხოვრება. ერთ დღეს კი ყველაფერი ნათელი გახდა: ამას წინათ სამი დაქალი ესტუმრა. რა თქმა უნდა, ბავშვები დედაჩემმა გაიყვანა თავის ოთახში და რძალს საშუალება მისცა, სტუმრებისთვის მიეხედა. იმ მომენტში მეც სახლში ვიყავი და ცოტა ხანს გოგოებთან ჩამოვჯექი – მოვიკითხე, ვისაუბრეთ, ძველი ამბები გავიხსენეთ. მერე ჩვენმა სტუმრებმა თავიანთ შვილებზე მიამბეს სასაცილო ისტორიები და სწორედ ამ ისტორიების მოყოლის დროს გავიგე, რომ, თურმე, სამივე ცალკე ცხოვრობს ქმარ-შვილთან ერთად (ორი – ნაქირავებში, ერთი კი ნაგირავებ ბინაში). სამივეს ძიძა ჰყავს აყვანილი შვილებისთვის და სამივე მუშაობს 200 და 300-ლარიან ხელფასზე.

– შენი ხელფასი ძიძაზეც კი არ გყოფნის, ცალკე ქირაც გადასახდელი გაქვთ, თან, ბავშვი მთელი დღე დედის გარეშეა სახლში. ალბათ, სულ ენატრები. გიღირს ასეთი სამსახური? – ვკითხე ერთ-ერთს.

– იცი, რა, ჩემო კარგო? – მიპასუხა წარბის აწევით, – თქვენ, კაცები, ამას ვერ გაიგებთ.

– რა არის აქ გაუგებარი, პატარა ბავშვს დედა რომ უნდა ზრდიდეს? – ვუთხარი ირონიულად.

– მთავარია, ბავშვი უპატრონოდ არ დატოვო და, ვინ გაზრდის, მნიშვნელობა არ აქვს, – მითხრა ნიშნის მოგებით, – თქვენ, ქმრები, მთელი დღე დაგრიალებთ და სახლში მარტო დასაძინებლად მოდიხართ. ერთი წუთით მაინც თუ გიფიქრიათ, როგორი მოსაბეზრებელია, წლების განმავლობაში ყოველი დღე ზუსტად ერთნაირი რომ არის? ჩვენ რა, არ გვინდა ხალხთან ურთიერთობა, გართობა, ცხოვრების გახალისება?

– როგორ არ გინდათ, მაგრამ, შვილების ხარჯზე?! – გავბრაზდი მე.

– შენთან კამათს აზრი არ აქვს, შენც დანარჩენი კაცებივით ფიქრობ და მსჯელობ. ამიტომ, ჯობია, თემა შევცვალოთ, – ცივად მითხრა მარიკას დაქალმა და სიგარეტს მოუკიდა.

– ჯობია, გაგეცალოთ, თორემ, ჩხუბი მოგვივა, – ვუთხარი გოგოებს და ბავშვებთან გავედი.

იმ დღეს მივხვდი, რომ ჩემს ცოლსაც ისეთივე ცხოვრება უნდოდა – „თავისუფალი“ და „დამოუკიდებელი“, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში, არ დავუთმობ. ჯერ ერთი, ჩემს მშობლებს ვერ მივაყენებ ტკივილს და, რაც მთავარია, ბავშვების ხარჯზე არ გავაკეთებ ამას. თუ მარიკას უნდა, დაიწყოს მუშაობა, მაგრამ, ქირით ცხოვრება და ძიძის აყვანა გამორიცხულია – ამის არც ფუფუნება მაქვს და არც სურვილი.

**ბადრი, 32 წლის.**

## მამამ ძალიან მაწყენინა

გაისად სკოლას ვამთავრებ. ძალიან მინდა, თეატრალურში ჩაბარება, რადგან, ვოცნებობ მსახიობობაზე. თან, როგორც ყველა გოგოს, მეც მაქვს დიდი სურვილი, გავხდე ცნობილი და პოპულარული. მაგრამ, ჩემს ოცნებას ოჯახის წევრები ირონიით უყურებენ, განსაკუთრებით – მამა. ამ თემაზე ძალიან ხშირად მოგვსვლია ჩხუბი. მამაჩემი კატეგორიული წინააღმდეგია, რომ მსახიობი გამოვიდე. რაღაცნაირად მესმის მისი, რადგან, მისი პირველი ცოლი მსახიობი იყო და მთელი ის ხუთი წელი, რაც ერთად გაატარეს, სულ დაკა-დაკა ჰქონდათ – მამაჩემი ვერ ეგუებოდა ცოლის მუდმივად გადაღებებზე სირბილს, ათასგვარ ხალხთან ურთიერთობას, მოკლედ, მის ბოჰემურ ცხოვრებას, რადგან, თვითონ ძალიან სერიოზული და მკაცრი ადამიანია. თან, ყოველთვის სოლიდურ თანამდებობებზე მუშაობდა და, ცხადია, ასეთი კაცისთვის მიუღებელია, როცა მისი ცოლი ეკრანზე სხვა მამაკაცს ეხუტება, ეალერსება და ტუჩებში ჰკოცნის. ამ ყველაფერს კი მისი ნათესავები და ძმაკაცებიც უყურებენ, მაგრამ, იმ ქალსაც ვერ ვამტყუნებ. ეს არის მისი პროფესია, რომელიც უყვარს და მასზე უარს ვერ იტყვის. ამიტომ, ჩემი აზრით, მასთან მამაჩემი არ იყო მართალი, რადგან, როცა შეირთო, ის ქალი უკვე საკმაოდ ცნობილი მსახიობი იყო. მას თურმე, თავიდანვე უთქვამს, არავის და არაფრის გამო, ჩემს პროფესიას თავს არ დავანებებო. მაგრამ, მამას ისე ჰყვარებია, ამ პირობაზე დათანხმებულა. თუმცა, დროთა განმავლობაში, მიმხვდარა, რომ ამას ვერ შეეგუებოდა და, რადგან თავისი ვერ გაიტანა, დიდი სკანდალით გაეყარა ცოლს. თან, იმ ქალს შვილის გაჩენაზეც უარი უთქვამს – სად შემიძლია, ბავშვის ჭყივილის გაძლებაო. მამას კი ძალიან ნდომებია ბევრი შვილი. მოკლედ, მტრებად დაშორდნენ ერთმანეთს და იმის მერე მსახიობებს ველარ იტანს.

ამას წინათ მე და მამამ ისევ ვიჩხუბეთ ამ თემაზე. მე რომ მაინც ჩემსას გავიძახოდი, პირდაპირ მომახალა – მსახიობი, თანაც ქალი, ლამაზი უნდა იყოს, შენ კი რას ჰგავხარ. რომც ჩააბარო, რეჟისორები მხოლოდ შეუხედავი პერსონაჟების როლებს შემოგთავაზებენ და, თუ ოდესმე ცნობილი გახდი, ხალხი გაგიცნობს, როგორც ყველაზე უშნო მსახიობს. თანაც, ყველაფერს ნიჭი სჭირდება, შენ კი ისეთი უნიჭო ხარ, მეათეხარისხოვან როლებზეც კი არავინ მიგიწვევსო.

ისე მეწყინა, მთელი ღამე ტირილში გავატარე. ასეთი შეურაცხყოფა ჩემთვის არავის მოუყენებია. ვიცი, რომ ზეთუნახავი არ ვარ, მაგრამ, არც ისეთი უშნო ვარ, ჩემს შეხედვაზე გული გაგისკდეს. ყოველ შემთხვევაში, ალბათ, მაქვს რაღაც შარმი, თორემ, ჩემი კლასის ბიჭების უმრავლესობას არ ვეყვარებოდი. მართლა მახინჯიც რომ ვიყო, მამას ასე არ უნდა დავემცირებინე. ბოლოს და ბოლოს, მისი შვილი არ ვარ? რატომ მილახავს თავმოყვარეობას? თავის პირველ ცოლზე თუა გაბრაზებული, მე რა შუაში ვარ?

იმ დღის შემდეგ მამას აღარ ველაპარაკები. დედაჩემი მარწმუნებს, მართლა ასე კი არ ფიქრობს შენზე, უბრალოდ, სხვანაირად რომ ვერ გაგაგებინა, ასეთი უხეში და უტაქტო ფორმით იმიტომ გითხრაო. რომ დავფიქრდი, მივხვდი, დედა მართალი იყო, მაგრამ მამაჩემის საქციელს მაინც არ ვამართლებ. მიმაჩნია, რომ მამა შვილს ასე არ უნდა მოექცეს, მით უმეტეს – გოგოს და, თანაც მოზარდს. ხომ შეიძლება, ასე ბავშვი დაკომპლექსდეს და მთელი ცხოვრება აერიოს?!

**თამთა, 16 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**მოდის სახლ „ავთანდილში" შედგა ჩვენი შეხვედრა წარმატებულ ქართველ დიზაინერ ავთანდილ ცქვიტინიძესთან. ის როგორც ყოველთვის, საქმიანი, კომპეტენტური და კომუნიკაბელურია. ფლობს ყველანაირ ინფორმაციას მოდის სამყაროში არსებული სიახლეებისა თუ ტენდენციების შესახებ. თუ არა მას, მაშ ვის უნდა დავეკითხოთ, თუ როგორ შევიმოსოთ, ან როგორი აქსესუარები ვატაროთ 2014 წლის გაზაფხული-ზაფხულის სეზონისთვის.**

# რა ფერის ტანსაცმლით შევიმოსოთ, რომ ნაკლები შეცდომა დავუშვათ, გამოვიყურებოდეთ სექსუალურად და რომელ ფერთან თამაშია მარტივი

**– გამოზაფხულდა, ამინდი გამოვიდა და ყველა ქალბატონს უნდა, რომ კარგად, განსაკუთრებულად გამოიყურებოდეს.**

– ზოგადად, ქალბატონებს ზამთარშიც უნდათ, კარგად გამოიყურებოდნენ, მაგრამ გაზაფხული, ეს ის პერიოდია, როცა მანდილოსნები აღარ არიან ისეთი შეფუთულები და ბევრ რამეს ველარ დამალავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იწყება თავის ტკივილი: რა ჩავიცვათ? როგორ ჩავიცვათ?.. მათ ამ სეზონზე თამამად შეუძლიათ, ატარონ პერანგი კაბები, კაბახალათები, რომელიც ზემოდან ჩვეულებრივი კლასიკური პერანგია, ოღონდ დაგრძელებული და ოდნავ თავისუფალი. ის ძალიან პრაქტიკულია და არასდროს ასეთ ჰიტად არ ქცეულა, როგორიც ახლაა. ასევე მოდაშია ძალიან დიდი და თავისუფალი მაისურები საკმაოდ გაშლილ ქვედაბოლოებთან – მუხლსქვემოთ სიგრძის და უფრო მოკლეც. ეს ყველაფერი ქალბატონებს შეუძლიათ, დაბალ ფეხსაცმელებთან ატარონ. ამ სილუეტს სთავაზობს გაზაფხული-ზაფხულის ტენდენციები. ვისაც წონის პრობლემა აქვს, შეუძლიათ, თამამად ატარონ ეს თავისუფალი სამოსი, თუმცა დაფიქსირებული წელი და გამოყვანილი კაბა, ყოველთვის ყველაზე სექსუალური და სასურველია. მას განსაკუთრებული ტარება და ამავე დროს, იდეალური სხეული სჭირდება.



**ზოგადად ქართველი ქალბატონი ყოველთვის გამოირჩევა განსაკუთრებული გემოვნებით და ჩაცმის კულტურით. ამიტომ, შეცდომებს ძალიან ნაკლებად უშვებენ**

**– რაც შეეხება ფერებს. რა ფერებია მოდაში?**

– ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ქართველი მანდილოსანიც აითვისებს და აიტაცებს იმ ტონალობას, ფერთა გამას, რომელიც ყველაზე აქტუალურია გაზაფხული-ზაფხულის კოლექციებში. ეს არის: ვარდისფერი, ჟოლოსფერი, კარგი, გემრიელი მწვანე, ასევე დიდი პრინტები, ყვავილების სინთეზი კოპლებთან. ვფიქრობ, ნელ-ნელა უკვე გაფერადდებიან ქართველი ქალბატონები, რაც ძალიან გამახარებს.

**– ფეხსაცმელზეც შევჩერდეთ.**

– აქტუალურია ფეხსაცმელი ქუსლზე, რომელიც საკმაოდ გამსხვილდა, ცხვირიც ნელ-ნელა უფრო წვეტიანი გახდა. ამავე დროს, არასდროს ასეთი პოპულარული არ ყოფილა ოთახის „ჩუსტის" ტიპის ფეხსაცმელები. ამ სეზონზე ის თითქმის ყველა წამყვანმა ბრენდმა შემოგვთავაზა. არ მგონია, რომ ასეთი პოპულარული გახდეს ეს ფეხსაცმელი საქართველოში, თუმცა, თამამად შეგვიძლია, დაბალი ფეხსაცმელები ვატაროთ გამოსასვლელ კაბებთან, ასევე ბოტასებიც, უკვე გამოსასვლელ კაბებთანაც. მოდის წამყვანი სახლები გვთავაზობენ ამ ტიპის ფეხსაცმელს, რაც უკვე ფაქტობრივად, ჰაი კლასის დონეზე გადავიდა და მისი ტარება თამამად შეიძლება. თუმცაღა არ არის საჭირო გავრისკოთ კარგ ქორწილში ამითი მისვლა, იმიტომ რომ მაინც ვერ გაიგებს საზოგადოება ***(იცინის)***, ჯობია ქუსლიანი ფეხსაცმლით შემოიფარგლოთ.

**– მაკიაჟი, როგორი ვატაროთ?**

– ძალიან ბუნებრივი და ნატურალური ტონალობაა მოდაში. პრინციპში, მე ყოველთვის ვურჩევ ქალბატონებს, არ არის საჭირო მკვეთრი მაკიაჟი, თუ ის არ სჭირდება სცენას და ან რაღაც სპეციალურ გადაღებას. მკვეთრი მაკიაჟი ასაკს ჰმატებს ქალბატონებს. ასე რომ, ნატურალური ტონალობა, ეს არის ოქროსფერის გრადაცია ყავისფერთან და ნატურალური რუჟი ძალიან აქტუალურია. ან კარგი წითელი პომადა საღამოს, ოღონდ არავითარ შემთხვევაში, არ უნდა გაიმუქოთ სახის სხვა ნაკვთები. ვგულისხმობ, „რუმიანას," ან თვალის კონტურს, რომელიც არ არის სასურველი, ვულგარულობაში გადადის.

**– რა დარიგებას მისცემთ მათ, ვისაც არ აქვს იდეალური სხეული?**

– როცა ვთქვათ, ტორსი საკმაოდ დიდია და თავს იჩენს პრობლემატური ნაწილები, კავკასიური აღნაგობიდან გამომდინარე, ხშირია ასეთი შემთხვევა, ამას კარგად ფარავს გაშლილი ქვედაბოლო. ქართველი ქალბატონების უმრავლესობას წელი წვრილი აქვს და წელზე აქცენტის გაკეთება, ეგრეთ წოდებული „სოლნცე" კლიოშით, იდეალურად მალავს სხეულის ძალიან ბევრ ნიუანსს. ეს სილუეტი ძალიან მომგებიანია. ასევე, ზემოდან თავისუფალი სილუეტები ყოველთვის ახდუნებს ქალბატონებს და მისი გამოყენება ძალიან ხშირად შეიძლება. ზოგადად, თავისუფალი და დავარდნილი ქსოვილისგან შეკერილი კაბები ძალიან ბევრ ნაკლს ფარავს.

ძირითადად, ქართველი ქალბატონები ყოველთვის გამოირჩევიან განსაკუთრებული გემოვნებით და ჩაცმის კულტურით. ამიტომ, შეცდომებს ძალიან ნაკლებად უშვებენ. მე იშვიათად მხვდება უგემოვნოდ ჩაცმული ქალბატონი.

**– მაგრამ ერთი, რაც თითქმის ყველა ქართველს ახასიათებს შავი ფერის სიყვარულია.**

– ზოგადად, შავი ფერის სიყვარული, მგონი, მთელი მსოფლიოს სენია. მე მიმაჩნია, რომ ის ყველაზე კარგი და მდიდრული ფერია, გააჩნია, როგორ ატარებ შავს. რა თქმა უნდა, მთელი გარდერობი შავი არ უნდა გქონდეს, თუმცა, ჩემს შემთხვევაში ასეა და როცა ნაცრისფერი მაცვია, ვფიქრობ, ძალიან გაფერადებული ვარ. შავმა ფერმა შეჩვევაც იცის. ყველაზე მდიდრული ფერია და ყველაზე პრაქტიკული. მასთან თამაში ყველაზე მარტივია.

**– თქვენი ოცნების ქალბატონს (რომელსაც ყველა ვიცნობთ), რა ფერში შემოსავდით?**

– გააჩნია, რა ივენთისთვის ვამზადებ ამ ქალბატონს. თუმცა, ტონალობა ღია ვარდისფრიდან დაწყებული წითელით დამთავრებული, ყოველთვის მომგებიანია. თუ ნაზი გვინდა რომ იყოს, ძალიან კარგია ბეჟი ტონალობა ვარდისფრის ჩათვლით, ღია ცისფერიდან დაწყებული მწვანეთი დამთავრებული. თუ განსაკუთრებული ეფექტი უნდა მოვახდინოთ, თეთრი, წითელი და შავი ყველაზე მომგებიანი ფერებია იმისთვის, რომ თან, სექსუალურიც იყო და თან, ნაკლები შეცდომა დაუშვა.

**– როგორი აქსესუარები გამოვიყენოთ გაზაფხული-ზაფხულის სეზონზე?**

– მე, მაგალითად, არ მიყვარს რამდენიმე აქცენტის გაკეთება. თუ ვთქვათ, დიდი ზომის ბეჭედი გიკეთიათ, აღარაა საჭირო დიდი ყელსაბამი და საყურე.

ამ სეზონზე მასიური ბეჭდები და საყურეებია მოდაში, რომელიც უბრალო სილუეტებს – პერანგ-კაბებსა და კაბახალათებს ახალისებს, განსაკუთრებულ ხიბლს მატებს მათ.

**– გამოზაფხულებასთან ერთად, სუსტი სქესის ბევრი წარმომადგენელი დადის ვარდიანი აბადოკით.**

– ვერ ვიტყვი, რომ ეს აქსესუარი ყველაზე მომწონს, თუმცაღა მიმაჩნია, რომ ლამაზია, თუ ქალბატონს ის უხდება.

**– თითქოს, ასაკს ითხოვს, ან წონას.**

– არაფერს არ ითხოვს, სახის ფორმაზეა დამოკიდებული. თუ მანდილოსანს დიდი და მასიური სახე აქვს, რა თქმა უნდა, მან მასიური ნივთები არ უნდა ატაროს. ვარდიანი აბადოკი ძალიან უხდება პატარა გოგონას, თუ ჯინსის ქურთუკით, დაძენძილი შარვლითა და მაისურითაა შემოსილი. თუმცა, ამ აქსესუარს ხშირ შემთხვევაში, საღამოს კაბაზეც იყენებენ და თუ ამას მოითხოვს სილუეტი და მომგებიანია, ამ შემთხვევაშიც გამართლებულია.

**– თქვენი კომპანიის გეგმებზეც მიამბეთ?**

– ჩვენი კომპანია ძალიან ინტენსიურად მუშაობს სხვადასხვა ქვეყანასთან. გვაქვს დიდი და სერიოზული შოუ-რუმი მილანში. ასევე პარიზში გამოფენებში ვმონაწილეობთ. ახლა გაკეთდა სერიოზული ვიტრინა და გამოფენა პარიზის ყველაზე სერიოზულ მაღაზია „ლე სვითში". ჩემთვის ძალიან პრესტიჟული იყო. ფაქტობრივად, მთელ ვიტრინაში გაკეთდა ჩემი კოლექციის პრეზენტაცია და უკვე ერთი თვეა, ეს ვიტრინა არსებობს. ჩვენ უკვე საკმაოდ სერიოზულად გავედით სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე. რაც ჩემთვის ძალიან საამაყოა. ალბათ, ქართველებისთვისაც.

**– ძალიან აქტიურად თანამშრომლობდით უკრაინასთან.**

– ახლა საკმაოდ სერიოზული პრობლემებია უკრაინასთან დაკავშირებით. ჩვენი მაღაზია მდებარეობს მეიდანთან ძალიან ახლოს, რის გამოც ფაქტობრივად, თვე-ნახევარია, მაღაზია ვერ ფუნქციონირებს. თუმცა, ამას ყველანი გაგებით ვეკიდებით, მხარში ვუდგავართ უკრაინელ ხალხს.

**– ამჟამად რაზე მუშაობთ?**

– ვემზადებით. თვის ბოლოს გავარკვევთ, მილანში რა მაღაზიები დაგვემატა შემოდგომა-ზამთრის კოლექციისთვის და როგორც კი იქიდან ჩამოვალთ, დავიწყებთ მზადებას თბილისის მოდის კვირეულისთვის. აუცილებლად გავახარებ ქართველ საზოგადოებას ჩემი დიდი და გრანდიოზული ჩვენებით.

**ეკა სალაღაია**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# სხვები გაირდებიან, „ფრესკო“ გიკლებთ

სუპერმარკეტების ქსელი **„ფრესკო”** ქართულ ბაზარზე 2012 წლის იანვარში შემოვიდა და დღეისათვის სამ სუპერმარკეტს ფლობს. პირველი მაღაზია ვარკეთილში გაიხსნა, შემდეგ მას დაემატა მუხიანისა და ორთაჭალის ობიექტები. ამ წლის ბოლომდე, შემოდგომაზე კიდევ ორი ახალი სუპერმარკეტის გახსნა იგეგმება საბურთალოსა და ჩუღურეთის რაიონებში.

**„ფრესკო”** გამოირჩევა მაღალი ხარისხის მომსახურებით, ხარისხიანი პროდუქციის ფართო არჩევნით, კომფორტული გარემოთი და, რაც მთავარია, დაბალი ფასებით, ეს კი, სუპერმარკეტების სიმრავლის მიუხედავად, მომხმარებლებისთვის მაინც ფუფუნებას წარმოადგენს.

სუპერმარკეტების ქსელმა **„ფრესკომ”** გადაწყვიტა, მეტ ადამიანს მისცეს საშუალება, ისარგებლოს დაბალი ფასებით, ამისათვის, 24 მარტიდან, ყველა მომხმარებელს, რომელიც **„ფრესკოში”** ერთჯერადად დახარჯავს მინიმუმ 10 ლარს, ეძლევა საშუალება, აიღოს 5-პროცენტიანი ფასდაკლების ბარათი, რომლითაც მიიღებს ფასდაკლებას მაღაზიაში არსებულ ყველა პროდუქტზე.

საქართველოს ბაზარზე არსებული კომპანიების ლოიალური ბარათებისგან განსხვავებით, რომლებსაც ქულების დაგროვების სისტემა აქვთ, **„ფრესკოს”** ბარათის მფლობელს საშუალება ეძლევა, მომენტალურად ისარგებლონ 5-პროცენტიანი ფასდაკლებით და ნებისმიერი ღირებულების პროდუქციის შეძენისას გადაიხადოს 5 პროცენტით ნაკლები.

სუპერმარკეტების ქსელი მომხმარებელს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, სტაბილურად დაბალ ფასებსა და 24-საათიან მომსახურებას სთავაზობს.

**„ფრესკოს”** დიდი უპირატესობა საკუთარი კაპიტალით დაწყებული ბიზნესია, უფრო ზუსტად კი, ის ფაქტი, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული სუპერმარკეტები არ არის იჯარით აღებული და კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულება ბანკების მიმართ. კომპანიის ძლიერ მხარეს მომწოდებლებთან ჩამოყალიბებული ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობაც წარმოადგენს, რაც მათთვის თანხის დროულად გადახდით არის განპირობებული. შესაბამისად, ფრესკო მომწოდებლებისთვის სტაბილური და მყარი პარტნიორია, ყოველივე ზემოთთქმული კი დაბალი ფასების შენარჩუნების წინაპირობაა.

**„ფრესკოს”** ერთ-ერთი პრიორიტეტი პერსპექტიული და მაღალკვალიფიციური კანდიდატების შერჩევა და კომპანიაში მათი შემდგომი ზრდა და განვითარებაა. კომპანიაში ამ ეტაპზე 350 ადამიანია დასაქმებული და ისინი ყოველდღიურად 15 000 მომხმარებელს ემსახურებიან. შემოდგომაზე კი, ქსელის გაფართოებასთან ერთად, **„ფრესკოს”** გუნდს კიდევ 200 ახალი თანამშრომელი შეემატება.

მაღაზიაში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მომხმარებელმა თავი კომფორტულად იგრძნოს. სუპერმარკეტებში განთავსებულია თონე; სამზარეულო, სადაც მზადდება უგემრიელესი სალათები, ცომეული და სხვა სახის კერძები; თვითმომსახურების კაფე, საბავშვო კუთხე და პარკინგი.

ეწვიეთ სუპერმარკეტების ქსელ **„ფრესკოს“** და შეიძინეთ თქვენთვის სასურველი პროდუქტი ყველაზე დაბალ ფასად საქართველოში!



# როდის არ უნდა გაიღოს მსხვერპლი ქალმა ქმრის სასარგებლოდ და ვინ შეიძლება იქცეს მის მეტოქედ



**ძალიან ბევრ მამაკაცს მიაჩნია, რომ ქალმა არჩევანი უნდა გააკეთოს ოჯახსა და კარიერას შორის. მათი აზრით, ორივეს ერთად ქალი ვერ „გაქაჩავს“ და ვერც იმას შეძლებს, სრულფასოვანი ურთიერთობა ჰქონდეს მეუღლესთან, თუკი თავის კარიერას გადაჰყვება. ფაქტია ისიც, რომ მამაკაცების უმრავლესობისთვის სახლში წინსაფარაფარებული ცოლია მისაღები, რომელსაც მუდამ მზად აქვს მეუღლისთვის ცხელი კერძი და სუფთა წინდები. თუმცა, რეალურად, მათთვის გაცილებით საინტერესოა შემდგარი ქალი – პიროვნება. კაცები ილტვიან ასეთი ქალისკენ და უჩნდებათ ერთგვარი აზარტი, კულინარი და დიასახლისი ცოლი კი მათთვის მხოლოდ „შეჩვეულ მობინადრედ“ იქცევა. ეს ის საფრთხეა, რაც მორჩილ ცოლებს რეალურად ემუქრება. თუმცა, არც არდამორჩილებაა ადვილი...**

**ლენუკა** ***(38 წლის):*** ჩემი ურთიერთობა ქმართან სერიოზულ კრიზისშია. ვცდილობ, გამოსავალი მოვძებნო, მაგრამ, ასე ადვილი არ არის. შეიძლება, უკვე ძალიან მივუშვი და გამიჭირდება ჩემი ცხოვრების ძველ კალაპოტში დაბრუნება. ვფიქრობ, რომ ჭკვიანი ქალი ვარ, მაგრამ, რამდენიმე შეცდომა მაინც დავუშვი. იყო დრო, როცა მე და ჩემი ქმარი ერთმანეთისთვის მარტო მეუღლეები კი არა, მეგობრებიც და, საერთოდ, ყველაფერი ვიყავით. ეს ყველაზე ბედნიერი პერიოდი იყო, თუმცა, მაშინ კარგად ვერ ვაცნობიერებდი. ეტყობა, რაც გაქვს, იმის სრულფასოვნად აღქმა გიჭირს. ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ, მინდა, კარგად გავერკვიო ყველაფერში, რაც ჩემს თავს ხდებოდა და ხდება.

**– იქნებ, თქვენ მხოლოდ გგონიათ, რომ პრობლემა სერიოზულია, სინამდვილეში კი უმნიშვნელო გაუგებრობაა?**

– არა, არ არის გაუგებრობა. მე და ჩემი ქმარი ერთმანეთს დღითი დღე ვშორდებით და ამის შეჩერება მიჭირს. მგონი, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ ოფისში დავიწყეთ მუშაობა. სხვათა შორის, თავიდან არ იყო წინააღმდეგი, თუმცა, არც გახარებია. ვფიქრობ, საერთოდ არ უფიქრია მოსალოდნელ შედეგებზე.

**– თქვენ იფიქრეთ?**

– სამწუხაროდ, არა. ვერ წარმოვიდგინე, რომ ეს პრობლემად იქცეოდა. ჩვენ თითქმის ერთი პროფესიის ვართ. მანამდეც ხშირად ვაძლევდი ქმარს რჩევებს და ისიც მშვიდად იღებდა ამას. ჯერ იმან დაიწყო მუშაობა, სამი თვის შემდეგ მეც გამომიჩნდა ვაკანსია... თავიდან ყველაფერი კარგად იყო: ერთად მივდიოდით და ერთად ვბრუნდებოდით უკან, სანამ ჩემმა ქმარმა უცნაურად არ დაიწყო მოქცევა. რამდენჯერმე სამსახურში ისე წავიდა, რომ მე არ დამელოდა. დამავიწყდიო, – გამომიცხადა. ასევე მომექცა, როცა სამსახურიდან ვბრუნდებოდი. იქ კი საერთოდ არ მაქცევდა ყურადღებას, თითქოს არც ვარსებობდი. სრულიად არაადეკვატურად მეპყრობოდა, ისე, როგორც სტანდარტულ თანამშრომელს.

**– ეს იყო პრობლემა? ამან გაგაღიზიანათ?**

– გამაღიზიანა-მეთქი, ვერ ვიტყვი, უფრო დამაფიქრა – რა ხდებოდა... ჩემს ერთ დაქალს მოვუყევი და, მითხრა, ეტყობა, უნდა, რომ თქვენს ურთიერთობაში რაღაც სიახლე შეიტანოს – სახლშიც შენ გხედავს, სამსახურშიც, დაიღალა კაცი. ამიტომ, ოფისში მაინც მიეცი თავისუფლება, შენთვის იყავი და ყველაფერი კარგად იქნებაო. მეც დავუჯერე. ჩემი ჭკუით, თამაშში ავყევი. სამსახურში ისე ვიქცეოდი, თითქოს ცოლ-ქმარი არ ვიყავით... ჩემმა ქმარმა ეს არ შეიმჩნია და კიდევ უფრო შორს შეტოპა – ახალ თანამშრომელთან ფლირტი დაიწყო, თითქოს მე იქ არც ვიყავი. ვითმენდი, ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ... როცა ჩემი გულისწყრომა (მე მგონი, სამართლიანიც) გამოვთქვი, იუმორში გამიტარა – შენ ხომ ჭკვიანი და თანამედროვე

> **ქმარი უნდა გიყვარდეს და პატივს სცემდე, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთარი თავი უკანა პლანზე დააყენო**

ქალი ხარ. ცოტას თუ გავერთობით, ეს ჩვენს ურთიერთობას მხოლოდ წაადგებაო. მეტოქედ მექცა ერთი შეხედვით სასაცილო რამ – სულელური თამაში, რომელიც მე არ დამიწყია.

**– მაგრამ, აჰყევით...**

– სხვა გამოსავალი მქონდა? არ მინდოდა ურთიერთობის გამწვავება. სკანდალი რომ ამეტეხა, ეგრევე ანჩხლი და შეუგნებელი ცოლის იარლიყი მომეწებებოდა. ამ თამაშის გამო პიროვნულადაც დავითრგუნე. სამსახურში ზურგსუკან იცინოდნენ და ლაპარაკობდნენ ჩემზე. ამას ატანა ხომ უნდოდა?! ვერც იმ ქალს დაველაპარაკებოდი. რა მეთქვა – მე ცოლი ვარ და თავი დაანებე ჩემს ქმართან ფლირტს-მეთქი?! ხომ მთელი სამსახური მასხრად ამიგდებდა?

**– სირაქლემის პოზაში ყოფნა ჯობდა?! თითქოს არაფერი მომხდარას თამაში?! მით უმეტეს, თუ მაინც ლაპარაკობდნენ თქვენზე...**

– იცით, რა არის? მე სტერეოტიპმა დამღუპა. იმ აზრმა, რომ ქალმა უნდა დათმოს, მეტი მოითმინოს... საკუთარ თავზე უნდა მეფიქრა, ჩემს პიროვნულ წინსვლაზე და ფეხზე კიდევ უფრო მაგრად დავმდგარიყავი. თამაშიდან კი არ უნდა გამოვსულიყავი, პირიქით, წინ უნდა მევლო. მე ჩემს ქმარზე ბევრად მაგრად ვაკეთებდი საქმეს – ამას ყველა აღნიშნავდა. ქმრის გამო ჩრდილში გადავინაცვლე და ეს შეცდომა იყო. ქმარი უნდა გიყვარდეს და პატივს სცემდე, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, საკუთარი თავი ყოველთვის უკანა პლანზე დააყენო. მე ასე მოვიქეცი და წავაგე, რასაც ახლა ძალიან ვნანობ. ქმრის სასარგებლოდ გაღებული მსხვერპლი უმადური საქმეა.

**– თუ ეს მსხვერპლი ძალდაუტანებლად გაიღე?**

– იცით, მე რას მივხვდი? „ძალდაუტანებელი მსხვერპლი“ არ არსებობს. რაღაც აუცილებლად გაიძულებს, მსხვერპლი გაიღო.

**– მაგალითად, სიყვარული?**

– თუ სიყვარული ჯანსაღია და ნორმალური, თანაც ორმხრივი – ის მსხვერპლს არ მოითხოვს. ჩემს ქმარს რომ ვუყვარდე, ასე არ დამჩაგრავდა. არ ვუყვარვარ და ეს არის გულსატკენი. თუმცა, იმას არ ვადანაშაულებ, ჩემი ბრალია, ასე რომ მოხდა.

**– ანუ, გღალატობთ?**

– არ ვიცი. არ მინდა, ჩავუღრმავდე და გამოვქექო – უარესად მომიკვდება გული. ნერვიულობა არც ახლა მაკლია. საკუთარი ქმარი რომ მეტოქედ გექცევა და კმაყოფილი იქნება იმით, რომ სამსახურებრივ კიბეზე უკან დაგწია, რაღა უნდა ვთქვა? უხარია, იქ რომ აღარ ვმუშაობ, სადაც თვითონ. ამას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს და არც ერთი არ არის სახარბიელო: ერთი, რომ მე იქ პიროვნულად ვუშლიდი ხელს, როგორც წარმატებული კოლეგა; მეორე – ფლირტში ვყავდი უსიამოვნო მოწმედ. უფრო უარესი ვარიანტიც არსებობს – ორივე მიზეზი ერთად არის. უკვე არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. შანსი მაქვს, რომ ჩემს ძველ ადგილას დავბრუნდე და, ვიცი, რომ სიხარულით მიმიღებენ... მართალია, ახლა სამსახური მაქვს, მაგრამ, თავს კომფორტულად არ ვგრძნობ – მუდმივ „იზმენებსა“ და ნერვიულობაში ვარ. ჩემი ფიქრი „იქ“ დაფრინავს და საქმეს გულს ვერ ვუდებ.

**– ეჭვიანობთ და იმიტომ?**

# როგორ დააშორა ერთმანეთს აფხაზეთის ომმა დედა-შვილი და ვის ეძებენ რუსეთიდან საქართველოში

***33 წლის ზიტა გენადის ასული შუსტოვა ეძებს – 59 წლის ბზლანა არსანის ასულ დანელიას.***

**ისტორია**: ვეძებ დედას – 59 წლის ბზლანა არსანის ასულ დანელიას. უკვე 22 წელია გასული, რაც არაფერი ვიცი დედის შესახებ. აფხაზეთის ომის დროს დავშორდით ერთმანეთს. ამჟამად მე რუსეთში ვცხოვრობ, დედა კი ან აფხაზეთში, ან საქართველოს სხვა რეგიონში მგონია. ძალიან განვიცდი და მინდა, მისი პოვნა, ან მის შესახებ რაიმე ინფორმაციის მოძიება. ძალიან გთხოვთ, დამეხმაროთ. გიგზავნით დედის ბოლო ფოტოს და დიდი იმედი მაქვს, იქნებ ვინმემ იცნოს და რაიმეს მაინც გავიგებ მის შესახებ.

**– მოგვიყევით თქვენი ისტორია, როგორ დაკარგეთ დედა-შვილმა ერთმანეთი?**

– დედაჩემი, ბზლანა არსანის ასული დანელია, დაბადებულია 1955 წლის 20 თებერვალს. მე და ჩემი ოჯახი ვცხოვრობდით აფხაზეთში. დაახლოებით 12 წლის ვიყავი, როცა აფხაზეთში ომი დაიწყო და იძულებული გავხდით, საცხოვრებლად სხვაგან გადავსულიყავით. მოხდა ისე, რომ იმ არეულობაში (მოგეხსენებათ, თუ რა ხდებოდა ომის დროს) დავკარგეთ დედა და ჩემი ერთი და. საბედნიეროდ, ომის დამთავრების შემდეგ, მამამ მოახერხა და ისინი იპოვა. ჩვენი ოჯახიც ისევ გაერთიანდა. მაგრამ, დედასთან პერიოდულად ვიღაც ხალხი მოდიოდა და ჩვენთვის უცხო ენაზე ესაუბრებოდნენ. დედაც იმ უცხო ადამიანებთან ერთად სადღაც მიდიოდა ხოლმე. ერთ დილასაც დედა წავიდა და აღარ დაბრუნებულა. დღემდე არ ვიცით, რა მოხდა, სად არის ან როგორ არის. მთელი ეს წლები, მას უშედეგოდ ვეძებთ და აღარც ვიცით, რა ვიფიქროთ. თქვენი დიდი იმედი გვაქვს, იქნებ დედის შესახებ ინფორმაციის მოძებნაში დაგვეხმაროთ.

**– და მაინც, ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც დედათქვენს აკითხავდნენ ან სავარაუდოდ, რას ფიქრობთ, სად შეიძლება, წასულიყო? რა საქმე შეიძლება, ჰქონოდა თქვენთვის უცნობ ადამიანებთან?**

– არც მე და ჩემი ოჯახის არც ერთ წევრს, არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნია, თუ ვინ იყვნენ ის ადამიანები, დედას რომ აკითხავდნენ. შესაბამისად, ვერც იმას გეტყვით, რა საქმე შეიძლება ჰქონოდა დედას მათთან. მისი გაუჩინარება ძალიან გვაღელვებს. რა ხერხს აღარ მივმართეთ და სად აღარ ვეძებეთ დედა, მაგრამ მის შესახებ ვერაფერი გავიგეთ. წლებია, უკვე, რაც ასეთ გაურკვევლობაში ვცხოვრობთ. მერწმუნეთ, ეს, დიდი კოშმარია. ძალიან მინდა, ყველაფერი გავარკვიო და დედა ვიპოვო. მინდა, იცოდეს, რომ მისი ოჯახი მას დღემდე ელოდება და ჩვენ, ყველას გვახსოვს და გვიყვარს.



**– ტერიტორიულად სად გგონიათ დედა?**

– თავად მე რუსეთში ვცხოვრობ. დედა კი აფხაზეთშია დაბადებული და გაზრდილი. სავარაუდოდ, ის აფხაზეთში ან საქართველოს სხვა რეგიონში მგონია. დაზუსტებით ვერ გეტყვით, სად შეიძლება იყოს, ან ის ხალხი სადაურები იყვნენ. დახმარებისთვის მე და ჩემმა ოჯახმა არაერთ სამძებრო საიტს მივმართეთ. ბუნებრივია, ინტერნეტითაც ვეძებდით და აფხაზეთში წასულ ადამიანებსაც ვაბარებდით დედაზე რაიმე ინფორმაცია მოეძიებინათ, მაგრამ ყველაფერი დღემდე უშედეგო აღმოჩნდა. შემდეგ გავიგეთ თქვენი რუბრიკის შესახებ და თქვენთან დაკავშირება ვცადეთ. დიდი მადლობა, რომ გამოეხმაურეთ ჩემს ისტორიას და დედის მოძებნაში გვერდში დამიდექით.

ფოტო რომელიც გამოგიგზავნეთ, დედამ ბოლოს გადაიღო, სანამ გაუჩინარდებოდა. რა თქმა უნდა, წლებია გასული და ის ცოტათი შეიცვლებოდა, ხანში შევიდოდა. მაგრამ, იმედს ვიტოვებ, ვინმე მაინც იცნობს მას ამ ფოტოსურათით.

**– თქვენი აზრით, მაინც, რამ აიძულა დედათქვენი ოჯახი მიეტოვებინა და ამდენი წლით გადაკარგულიყო?**

– ნამდვილად არ ვიცი. ის ყოველთვის კარგი დედა იყო. რა მოხდა ომის დროს, რამ შეცვალა, ან ვინ იყვნენ ის ადამიანები, რა უნდოდათ დედაჩვენისგან, ვერ გეტყვით, ეს ჩვენთვისაც დიდი საიდუმლოა, მაგრამ მაინც იმედს ვიტოვებთ, რომ დედა ცოცხალია და ის, რამაც აიძულა, ჩვენ მივეტოვებინეთ, მართლაც ღირდა ამად.

**– ის ხალხი დედასთან საიდან ჩამოდიოდა?**

– ბოლოს დედა ჩვენთან ერთად ცხოვრობდა რუსეთში. როგორც უკვე გითხარით, მას შემდეგ, რაც მამამ ის და ჩემი და იპოვა, ჩვენ ისევ ერთად ვცხოვრობდით. ის ხალხი კი, თუ არ ვცდები, დედასთან აფხაზეთიდან ჩამოდიოდა. მაგრამ ისინი ჩვენი ნათესავები არ იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, მათ მამაჩემიც არ იცნობდა. ეს ამბავი მას თავიდანვე უკვირდა, მაგრამ დედა ყველაფერს გვიმალავდა და ამიტომ, მათ შესახებაც არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

– ვეჭვიანობ კიდეც და ბრაზიც მახრჩობს. უსარგებლო ნივთი მგონია თავი. თვითონ მშვენივრად არის – რატომაც არა, გზიდან ჩამომიშორა და ნებივრობს. ხმები მომდის, რომ ძალიან გაილაღა. თანამშრომელი ქალების მთავარი გამამხიარულებელი და პატივისმცემელია და თავიც ყინჩად უჭირავს. სახლშიც თავისთვის არის – სულ სადღაც დაფრინავს ფიქრებით და ყურადღებას საერთოდ არ მაქცევს. მე მხოლოდ ცოლი ვარ, მეტი აღარაფერი – არც ქალი, რომელიც მას ფანტაზიებს ულვივებს და არც კოლეგა, რომელთანაც გამოცდილების გაზიარება შეიძლება. რატომ ჩავიყენე თავი ასეთ მდგომარეობაში? არ უნდა დამეთმო და არ უნდა წამოვსულიყავი სამსახურიდან, მაშინ ასეთ სავალალო დღეშიც არ აღმოვჩნდებოდი. უკვე არასრულფასოვნების კომპლექსიც მიჩნდება ნელ-ნელა. იცით, რა საშინელი შეგრძნებაა, როცა გრძნობ, რომ არავის სჭირდები?! სულ აფორიაქებული და დათრგუნული ვარ.

## მე და ჩემი ქმარი ერთმანეთს დღითი დღე ვშორდებით და ამ პროცესის შეჩერება მიჭირს

**– არ გიცდიათ ქმართან დალაპარაკება?**

– ერთხელ ვცადე და დამცინა – დაკომპლექსებული და შურიანი ქალი ხარო. ვინ გთხოვა, რომ კარიერა არ გაგეკეთებინა? შენ თვითონ არ მოინდომე და ახლა პრეტენზიები გაქვს, გწყინს, რომ მე რაღაცას მივაღწიეო. რეალურად, მას მართლა არ უთქვამს პირდაპირ – არ მინდა, ერთად რომ ვიმუშაოთო. მაგრამ, ეს არაფერს ნიშნავს. ისეთი პირობები შემიქმნა, რომ გადაწყვეტილება მე თვითონ მივიღე. აღარ შემეძლო მისი ცანცარის ყურება. ვფიქრობდი, დააფასებდა ჩემს ამ ნაბიჯს და მეტი პატივისცემით მომეპყრობოდა; ჩემ მიმართ მოწიწების, მადლიერების გრძნობა გაუჩნდებოდა... რა მივიღე შედეგად? – ტკივილი და დამცირება. ახლა რა ვქნა? აუცილებლად ჩემს რომელიმე თანამშრომელთან გავაბა რომანი, რომ ხელახლა შემამჩნიოს?! ღირსი კი იქნება!

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**არც მე და არც ჩემს მშობლებს არ მოგვწონდა ის ადამიანი, რომელსაც ცოლად გავყევი. მკითხავთ, რამ გაიძულაო – ძალიან ვუყვარდი და ვიფიქრე, ეს ჩემთვის ყველაფერს გააკეთებს, უბედნიერეს ქალად მაქცევს-მეთქი. თან, გაგონილი მქონდა, რომ, როცა ცოლს უყვარს და მოსწონს თავისი ქმარი, ის ურთიერთობაში ძალიან დაჩაგრულია. მინდოდა, ნორმალური და მყარი ოჯახი მქონოდა. ჩემს ქმარს ვუყვარვარ, მაგრამ მე თავს ბედნიერად არ ვგრძნობ. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** როცა მამაკაცს მართლა უყვარს ქალი, ქალი კი ამას გრძნობს და გაცნობიერებულად მიჰყვება ცოლად, მათი კავშირი, უფრო ხშირად, წარმატებული და ჰარმონიულია. რატომ არ გრძნობთ თავს ბედნიერად? რაშია საქმე? რაში გეპარებათ ეჭვი, უფრო სწორად – ვისში? საკუთარ თავში თუ მეუღლის გრძნობის გულწრფელობაში. ცოტა უნდა მოინდომოთ. თქვენი ურთიერთობის წარმატება მხოლოდ თქვენს ხელშია.

**ფსიქოლოგი მაგდა რობაქიძე**

**რას მერჩოდი ციცინო კობიაშვილო-მეთქი, ვთქვი თვალებაწყლიანებულმა, როდესაც youtube-ზე დადებული მასალები ვნახე, უკრაინაში, ქალაქ პოლტავაში მის მიერ დადგმული „ხანუმადან”. გარწმუნებთ, იმ ასაკამდე ჯერ ბევრი მიკლია, ყველა ემოციას ცრემლებით რომ გამოხატავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოლტავაში ქართველი რეჟისორის წარმატება, მართლაც ამაღელვებელი და აღსანიშნავი იყო. დღეს, რეჟისორი ციცინო კობიაშვილი „თბილისელების” რესპონდენტია.**

# როგორ უბიძგა ციცინო კობიაშვილმა უკრაინელ მსახიობებს შრომის კოდექსის დარღვევისკენ და როგორი გამოვიდა მათი პოლტავური „ხანუმა“

**ციცინო კობიაშვილი:** სრულიად შემთხვევით მოხდა ჩემი პოლტავაში მიწვევა. ერთ-ერთი სპექტაკლის მსვლელობისას, შემოვიდა დაცვა და მითხრა, ვიღაც მამაკაცი გკითხულობსო. ეს „ვიღაც მამაკაცი” აღმოჩნდა გურამ კოზირევი. საქართველოში დაბადებული, გაზრდილი, ფაქტობრივად, ქართველი, რომელიც უკანასკნელი 30 წელია, უკრაინაში ცხოვრობს. ის ძალიან ენერგიული მამაკაცია და ძალზე მიღებული იქაურ ელიტაში. სხვათა შორის, ჯულაშვილი ჰყავს ცოლი. გურამი მეგობრობდა პოლტავის დრამატულ-მუსიკალური აკადემიური თეატრის დირექტორთან. როგორც აღმოჩნდა, ამ თეატრს ჰქონდა ოცნება, რომ მათთან „ხანუმა” დადგმულიყო. რომ მითხრა ორკესტრი ჰყავთო, კინაღამ გადავირიე. მე მუსიკოსი ვარ პირველი სპეციალობით. ორკესტრთან ერთად სპექტაკლზე არ მიმუშავია. ეგ ბედნიერება არ მქონია, თუმცა კი დამიკრავს ორკესტრთან ერთად. პირველი მუსიკალური სასწავლებელი მაქვს დამთავრებული – საფორტეპიანო კლასი. დიდ მომავალსაც მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ გადავუხვიე გზიდან, ჩუმად გამოვიტანე საბუთები და თეატრალურში შევიტანე. იმდენი ინერვიულა ამაზე დედაჩემმა...



**ყველაფერი იყიდება ქვეყანაზე და სიყვარულიც იყიდება, კაცო?! და არ იყიდება ეს სიყვარული, ასე გამოდის**

– **რატომ, არ უნდოდა არტისტი შვილი?**

– არ უნდოდა არტისტი შვილი. ძალიან ბევრი ვიწვალე ჩაბარებაზეც, მაგრამ მერე, ორჯერ დავამთავრე – ჯერ სამსახიობო და დიდი ხნის შემდეგ, სარეჟისორო ქალბატონ ლილი იოსელიანთან.

მოკლედ, გურამმა შემომთავაზა უკრაინაში „ხანუმას” დადგმა და ჩავედი ოქტომბრის ბოლოს.

– **იქ ჩასვლის შემდეგ რა მოხდა?**

– ძალიან იოლად შევედით ერთმანეთთან კონტაქტში. დამახვედრეს არაჩვეულებრივი სახლი, ყველანაირი კომფორტით, თეატრის გვერდით 200 ნაბიჯში. თეატრში რომ მივედი, გავოცდი – ან რა დარბაზი, ან რა... 560-კაციანი დარბაზია, ძვირფასი, დიდი საორკესტრო ორმოთი, ტექნიკურად აღჭურვილია უმაღლეს დონეზე. როლების განაწილებაში ვთხოვე, არავინ ჩარეულიყო. ვუთხარი, ვნახავ სხვა სპექტაკლებს და ავარჩევ, რადგან ეს ისეთი სპეციფიკური ნაწარმოებია, ქერა და კურნოსა არ მინდოდა. დედას ვფიცავარ, ისეთი „მიკიჩა” და „აკოფა” მყავს, მარტო იმათი ნახვა ღირს ერთ რამედ, რომ არაფერი ვთქვა: ისეთი თავადი მყავს – ფანტიაშვილი...

თვითონ თეატრს ძალიან ძლიერი სპექტაკლები ჰქონდა, სულ მათ ფოლკლორსა და კლასიკაზე დაფუძნებული.

– **ამ ყველაფრის შემდეგ „ხანუმა” სრული ეგზოტიკაა.**

– დირექტორს ჰქონდა ოცნება, რომ „ხანუმა” დაედგათ. პირველი რეპეტიცია რომ დამთავრდა, უკვე მივხვდი, რომ სახლში ვარ. ასე ვიზამ, ეს მსახიობები აქეთ გადავარდებიან, ისე ვიზამ – იქით. ერთი კვირის შემდეგ უკვე სასწაული ხდებოდა. მათთვის კანონებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს – იცავენ ზედმიწევნით. რეპეტიცია 3 საათზე თუ უნდა დამთავრდეს, ერთ წუთს არ გადააცილებენ. ორშაბათი კანონით დასვენების დღეა და გამორიცხულია, იმუშაონ. ეს შრომის კოდექსის დარღვევაა და რაღაც სისულელეებს გეუბნებიან. მაგრამ, ნეტა, გენახათ, რა ხდებოდა სცენაზე – რომელი შრომის კოდექსი, რა ორშაბათი... დაავიწყდათ ყველაფერი, სახლში არ მიდიოდნენ ცოცხალი თავით. ვუყვებოდი ათას რამეს – კინტო, ყარაჩოხელი რა არის. ყველაფერი აინტერესებდათ. ჯერ ხომ აბოდებთ, ისე უნდათ, თბილისში ჩამოსვლა და დათვალიერება – „ავლაბარ” მათი ოცნებაა. „ხანუმაში“ ხომ ყველაფერი ავლაბარში ხდება. ერთი მეუბნება: „გოსპოდი, ია უვიჟუ კოგდა ნებუდ „აბლაბარ”? მე ვუთხარი, „უვიდიშ“ აუცილებლად *(იცინის)*. სპექტაკლში ისე კოლორიტულად არის აღწერილი, რომ მოგინდება, ავლაბარში ცხოვრობდე.

როდესაც პიანისტები შემოგვიერთდნენ და დავიწყეთ პარტიების განაწილება – ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ყანჩელის მუსიკაზე ვიმუშავეთ. შეშლილები იყვნენ, აბოდებდათ, ისე მოსწონდათ. მაღალი დონის პროფესიონალები არიან. მაგრამ, პიანისტი რომ დაჯდა და დაუკრა: დედა, რას უკრავ, არ გადამრიო-მეთქი, – ვუთხარი. ყველაფერს სწორად უკრავადა, მაგრამ რა გამოსდიოდა, სონატინა იყო, თუ რაღაცა, არ ვიცი, რა. მერე მე დავჯექი, კიდეც დავუკარი, კიდეც ვუმღერე და ხასიათიც ვაპოვნინე, როგორც იქნა. მეუბნებიან, ჩამოდი და ერთი სეზონი ჩვენთან იმუშავეო.

– **2 თვე რომ დატოვეთ ოჯახი, ახლა ერთი სეზონი მოგთხოვეს?**

– მეც ვერ გავჩერდები დიდხანს, მაგრამ წასვლით და დადგმით, კიდევ სიამოვნებით ვიმუშავებ მათთან. უყვართ, გიჟდებიან ქართველებზე.

ტექსტი და რაღაც პროცესები რომ გავიარეთ, მოვიდა დრო, რომ სცენაზე უნდა გადავიდეთ და ორკესტრი შემოგვიერთდეს. ძალიან ველოდი ამ დღეს. იმათ თავის ცხოვრება აქვთ. მოვლენ, ჩაჯდებიან ორმოში, დაიდებენ იმ თავის პიუპიტრებს და ხერხავენ, საერთოდ არ გიყურებენ – რაც უდევთ, იმას უკრავენ. მე ვთხოვე, ამობრძანდით, 1-2 დღე უყურეთ, რა ხდება სცენაზე და მერე გადავიდეთ შესრულებაზე-მეთქი. ვერ გამიწიეს წინააღმდეგობა. ამოვიდნენ და სცენიდან ზურგით დასხდნენ, ვერ მიხვდნენ, როგორც სპექტაკლის მსხვლელობისას სხედან თავის ორმოში, ისევ ისე დასხდნენ. არ მოეწონათ, მაგრამ ვერაფერი მითხრეს. ცოტა ხანში დაუბერა – სცენაზე ასე ხდება, იქ კიდევ თბილად არიან თავის ორმოში. წამოხტა ერთ-ერთი ახალგაზრდა და ასე, ჩემი შრომის კოდექსის კანონები ირღვევა. მე აქ მიბერავს, ორპირია. მე მუსიკოსი კაცი ვარ, ჩემი გაციება როგორ შეიძლებაო. სასწრაფოდ ფარდა დავახურინე და ისინიც ცოტა ჩათბნენ. ისხდნენ, მაგრამ ჩემს ზურგს უკან სულ პუტუ-პუტუ გაუდიოდათ, მჭორავდენ *(იცინის)*. მეორე დღეს ცივად შევხვდი: ჩაბრძანდით თქვენს ორმოში და იმუშავეთ ჩვეულებისამებრ-მეთქი. უკვე რომ დავდგით და გავმართეთ სცენები, რა ხდებოდა, უნდა გენახათ. ამ ორმოში სკამებზე იდგნენ და ისე უკრავდნენ გაწელილები, რომ როგორმე თვალი მოეკრათ სცენაზე რა ხდებოდა. „ხორუმი” ვაცეკვე ხანუმას ბიჭები რომ ეხმარებიან დაზვერვებზე. „ხორუმის” დაკვრა უკრაინელისთვის ძალიან რთულია. მოვიტანე ჩანაწერი, თავიდან გაუჭირდა და უნდა გენახათ, დანარჩენი მუსიკოსები როგორ გულშემატკივრობდნენ: „დავაი, რას, დვა, ტრი...” ლამის ამომხტარიყვნენ იმ ორმოდან. თვითონ ამოდიოდნენ უკვე და ვეხვეწებოდი, ჩაბრძანდით-მეთქი. ისეთი ერთსულოვნება იყო ბოლოს.

– **პრემიერამ როგორ ჩაიარა?**

– პრემიერის წინ შიშმა ამიტანა, ნეტავ, როგორ მიიღებს ამ ყველაფერს მაყურებელი, ხომ მაინც ქართულია-მეთქი. მაგრამ, კლასიკური ნაწარმოები ყველა დროში კლასიკური და ყველასთვის გასაგებია. ფაბულა იმდენად მარტივია: ყველაფერი იყიდება ქვეყანაზე და სიყვარულიც იყიდება, კაცო?! არ იყიდება ეს სიყვარული, ასე გამოდის. მთლიანობაში ძალიან ლამაზი გამოვიდა და რაც მთავარია, ქართველი წავიყვანე ქორეოგრაფი. 2 კვირით ჩამოვიდა ბაქარ ხინთიბიძე, უნიჭიერესი ბიჭი. რომ შეხედავ, ტიპური ქართველია. ჩოხაში რომ დაინახავ, იტყვი, ზუსტად ასეთი წარმომედგინა

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

**მსახიობისა და რეჟისორის, გოგი ქავთარაძის შვილიშვილი, „იმედის" ჟურნალისტი ნუცა ქავთარაძე და მსახიობი არჩილ სოლოღაშვილი სულ ორი წელია, რაც დაქორწინდნენ. საზოგადოებას ამ ლამაზი წყვილის ლამაზი ქორწილის დეტალები და ფოტოები პირველებმა სწორედ ჩვენ წარვუდგინეთ და „თბილისელების" „ფეისბუქ-გვერდზე" ბევრი მოწონებაც დაიმსახურა. მას შემდეგ ამ წყვილის შესახებ თითქმის არაფერი დაბეჭდილა. ალბათ, „თბილისელების" მკითხველებს აინტერესებთ, როგორ ცხოვრობენ ისინი, შეეწყვნენ თუ არა ერთმანეთს, რა ახალი თვისებები აღმოაჩინეს ერთმანეთში და, საერთოდ, ისევ არიან ერთად თუ არა... ნუცა ქავთარაძეს ჟურნალებში გამოჩენა დიდად არ ხიბლავს, თუმცა, ჩვენ ხათრი არ გაგვიტეხა და ცოტა მაინც ვისაუბრეთ.**

# დათანხმდებოდა თუ არა ხელახლა ნუცა ქავთარაძე აჩიკო სოლოღაშვილზე გათხოვებას

**– ჯერ – ახალი ტელეწამყვანი, მერე, უცებ – შენ და აჩიკო სოლოღაშვილი ქორწინდებით... ხომ იცი, თბილისში ყველას ყველაფერი აინტერესებს.**

– მიუხედავად იმისა, რომ 23 წლის ასაკში ტელევიზიაში მუშაობის 7-წლიანი სტაჟი დამიგროვდა, ვფიქრობ, ჯერ კიდევ უამრავი რამ მაქვს წინ. ყველაფერი კი 16 წლის ასაკში დაიწყო – მაშინ სტუდია „დღეში" ვმუშაობდი, რომელიც „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" აკეთებდა გადაცემას – „ჩაალაგე ჩემოდანი." მაშინდელი უფროსის დამსახურებაა, ჩემი და კამერის ხანგრძლივი ურთიერთობაა.

**– გოგი ქავთარაძის შვილიშვილი ხარ. წესით, შენს მომავალ პროფესიაზე ამას გავლენა უნდა მოეხდინა, მაგრამ, მოხდა ისე, რომ ჟურნალისტიკაში წახვედი.**

– მსახიობისა და რეჟისორის ოჯახში გაზრდამ გავლენა იმ მხრივ მოახდინა, რომ თეატრის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს და განსაკუთრებულად მიყვარს. სხვა მხრივ გავლენა არ მოუხდენია, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ ბავშვობაში ყველა სპექტაკლის შემდეგ ერთ გმირს ვირჩევდი, სარკესთან ვდგებოდი და ვცდილობდი, მას დავმსგავსებოდი, მისთვის მიმებაძა, სხვა საკითხია, რამდენად კარგად ვიზეპირებდი ამა თუ იმ გმირის ტექსტებს. თუმცა, ჩემს საბოლოო არჩევანზე ამას გავლენა არ მოუხდენია. ის, რაც ბავშვობიდან მინდოდა, ჟურნალისტობა იყო.

**– ეკრანზე ძალიან სერიოზული, მშვიდი ჩანხარ, ცხოვრებაში როგორი ხარ?**

– ჩემი გაბრაზება ძალიან ძნელია, თუმცა, ადვილია, მაწყენინო. ფიცხს საკუთარ თავს ნამდვლად ვერ ვუწოდებ, მაგრამ, თუ მდგომარეობიდან გამოვედი, არა მგონია, კარგი სანახავი ვიყო, თუმცა, ეს ძალიან იშვიათად ხდება. როდესაც ვხვდები, რომ ადამიანი ყველა ზღვარს გადადის, აი, მაშინ ძალიან ადვილად შემიძლია წერტილის დასმა, ვინც არ უნდა იყოს და რა საკითხსაც არ უნდა ეხებოდეს.



თუ გაგიმართლა, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში მოხდა, ეს იქნება ყველაზე გემრიელი „შამპანური," რაც კი ოდესმე დაგილევია

**– შეცვალა გათხოვებამ შენი ცხოვრება? მით უმეტეს, მსახიობს გაჰყევი ცოლად და გაუგებრობებს ხომ არ ჰქონია ადგილი?**

– გათხოვებას ჩემს ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი, რადიკალური ცვლილება არ მოჰყოლია. შეიცვალა ის, რომ ცხოვრება ჩემს საყვარელ ადამიანთან ერთად დავიწყე და ეს ყველაზე კარგი რამ მაქვს, რაც კი მომიპოვებია. არ მომწონს არაფერი, რაც გათხოვებამდე არ მომწონდა და მომწონს ყველაფერი, რაც გათხოვებამდე მომწონდა – ამ მხრივ აზრი, ფაქტობრივად, არაფერზე შემიცვლია. ძალიან კარგად გვესმის ერთმანეთის.

**– ძალიან ლამაზი ნეფე-პატარძალი იყავით, გამორჩეულად ლამაზ სამოსში გამოწყობილები. ქორწილმა და თაფლობის თვემ კარგა ხანია ჩაიარა. აჩიკო ის მამაკაცია, როგორ მეუღლეზეც ოცნებობდი?**

– ქმარზე არასდროს მიოცნებია, მით უმეტეს, იმაზე, როგორი უნდა ყოფილიყო ის. ალბათ, იმიტომ, რომ 21 წლის ასაკში გავთხოვდი, ეს კი ის ასაკია, როცა საოცნებო ბევრია, გარდა იმისა, რომ, იფიქრო, როგორ ქმარი გინდა.

**– ზოგადად, ყველა გოგო ოცნებობს თეთრ კაბაზე, წარმოსახვაში ხატავს თავისთვის იდეალურ მამაკაცს, როგორი შეიძლება იყოს მისი მომავალი ქმარი არამხოლოდ ვიზუალურად. ამ დროს შეიძლება იყო 16 წლისაც, 20 წლისაც და 30 წლისაც – ასაკს, ალბათ, მნიშვნელობა არ აქვს. ამიტომაც გკითხე, ისეთი წარმოგედგინა მომავალი ქმარი, როგორიც აჩიკოა-მეთქი?**

– აჩიკო სწორედ ის არის, ვინც ჩემს ქვეცნობიერს უნდოდა, რადგან, სხვა შემთხვევაში, ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი. ნამდვილად სარისკოა, გადაწყვიტო და მთელი ცხოვრება ერთ ადამიანს დაუკავშირო, მაგრამ, თუ გაგიმართლა, როგორც ჩემს შემთხვევაში მოხდა, ეს იქნება ყველაზე გემრიელი „შამპანური," რაც კი ოდესმე დაგილევია. ძალიან მარტივია იდეალებზე ფიქრი და ოცნება სასურველ მამაკაცზე, მაგრამ, არარეალური მგონია მანამდე, სანამ რეალურად არ შეხვდები მას და არ მიხვდები, რომ ის „ის" არის.

**– ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ჰგონიათ, რომ სასურველი მეორე ნახევარი იპოვეს, მაგრამ, გადის პატარა პერიოდი და უკვე ნანობენ და, აღიარებენ, რომ სწორი გადაწყვეტილება არ მიიღეს, როცა ის ადამიანი აირჩიეს ცხოვრების მეგზურად.**

– ცხოვრების უკან დაბრუნება და რაღაცის შეცვლა რომ შემეძლოს, აუცილებლად კიდევ ერთხელ გავხდებოდი აჩიკოს ცოლი. ეს ის ნაბიჯია, რომელიც არასდროს, არც ერთი წამით არ მინანია.

**– შენი ოჯახი როგორ შეხვდა შენს გადაწყვეტილებას?**

– ზოგადად, გადაწყვეტილებას ყოველთვის დამოუკიდებლად ვიღებ – ეს თვისება ბავშვობაშივე გამოვიმუშავე და, ვფიქრობ, ძალიან კარგია. რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვისმენ სხვის პოზიციასაც, განსაკუთრებით – ოჯახის წევრების აზრს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მათი პოზიციები ჩემსას ემთხვევა. ჩემი გათხოვების შემთხვევაში, ოჯახის „ტრადიციულ მოდელთან" საქმე ნამდვილად არ გვქონია. ჩემი ოჯახის წევრებმა აჩიკო ისე მიიღეს, როგორც ოჯახის ახალი, კარგი მეგობარი. აჩოს არასოდეს უგრძნია მათი მხრიდან ოფიციალური დამოკიდებულება, ის თავისთავად, ძალიან ბუნებრივად გახდა ოჯახის წევრი და მათი მეგობარი. როცა ხედავ, როგორი ბედნიერია შენი შვილი, შენი შვილიშვილი, ალბათ, ეჭვი არ უნდა შეგეპაროს მისი გადაწყვეტილების სისწორეში.

**ეკა პატარაია**

ქართველიო. დაინახეს და „ბაკარი, ბაკარი" – შეიშალა მთელი თეატრი ჭკუაზე. გაშალა „ბაკარომ" მკლავები და ... ისინი ცეკვავენ, „კანკანს," ესპანურს, რასაც გინდა, მაგრამ „ბაღდადურს?!." ბაქარმა 2 კვირაში ქართულადაც აცეკვა. ერთ-ერთი ცეკვის დროს, ფიალაში ცეცხლის ანთება მოვითხოვე და გაგიჟდნენ – რას ლაპარაკობთ, როგორ შეიძლება სცენაზე ცეცხლი, ნათურებს დაგიყენებთო. ამაზე მე გავგიჟდი. ათგზის დაცვა გაუკეთეს, რომ ამის უფლება მოეცათ.

მართლა კარგი სპექტაკლი გამოვიდა. ისე მიიღეს, მსხიობები იცდიდნენ, რომ ტაში ჩამცხრალიყო და თამაში გაეგრძელებინათ სცენიდან სცენამდე. პრემიერაზე ისეთი ამბავი იყო – ჩამოვიდა საელჩო. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. დღემდე ანშლაგებით მიდის და ბილეთები 2 თვით ადრე იყიდება. ძალიან მელოდებიან, მაგრამ... ღვთის წყალობით, ეგება ჩაწყნარდეს სიტუაცია და ყველანაირად ვეცდები, აქაც ჩამოვიყვანო და „აბლაბარი" ვაჩვენო *(იცინის).*

**ეკა სალაღაია**

თბილისის ონკოლოგიური ცენტრი
შპს „თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი"
გთავაზობთ სიმსივნური და სხვა დაავადებების სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას მედიკამენტოზური, ოპერაციული და ნოვაციური მეთოდის – ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენებით. ჩვენი კლინიკის ბაზაზე კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ გარკვეული ნოზოლოგიების დიაგნოსტიკასა და ოპერაციულ მკურნალობას.
**ვემსახურებით „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას" ყოფილ ბენეფიციარებს – სტუდენტებსა და პენსიონერებს.**
მოგვმართეთ- თბილისი, დიღომი, ლუბლიანას №5, მეოთხე სართული. კლინიკა „თბილისის ონკოლოგიური ცენტრი"
2 364485, www.cancer.ge

# გადადის თუ არა წინაპრის მიერ ჩადენილი ცოდვა მის შთამომავალზე და როდემდე შენარჩუნდება ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორის არსებული მჭიდრო კავშირი

**ჩვენ, ადამიანებს, შეგვიძლია, უკეთესები გავხდეთ და ჩვენი კეთილი ცხოვრებით ჩვენი წინაპრების ცუდი ცხოვრება ზედაპირულად განვწმინდოთ. ზუსტად ეს არის ის უწყვეტი კავშირი, რომელიც გვაქვს ჩვენს გარდაცვლილებთან – ცუდებთანაც და კარგებთანაც. თუ ისინი იყვნენ ცოდვაში და ისე გავიდნენ ამქვეყნიდან, მათ სახელზე უნდა ვაკეთოთ ბევრი სიკეთე, ვილოცოთ და ეს არა მხოლოდ ჩვენ წაგვადგება, არამედ მათაც. ცოცხალი ქრისტიანის გარდაცვლილ ახლობლებთან ურთიერთობის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

– ვინც კარგად იცის მართლმადიდებლური რელიგია, მან ისიც იცის, რომ ყველაზე თავისუფალი რელიგია სწორედ მართლმადიდებლობაა, სადაც ადამიანის უფლება არასდროს იზღუდება. ღმერთი ადამიანის თავისუფალი ნების წინაშე უძლურია, ოღონდ, არა პირდაპირი გაგებით, რადგან მას ყველაფერი შეუძლია. უბრალოდ, ღმერთმა ადამიანი თავისუფალი ნებით შექმნა და, რადგან ის თავის გადაწყვეტილებაში მუდმივია, ამიტომ მან ადამიანს დაუტოვა საქმიანობის, მოღვაწეობის ასპარეზი. ადამიანი ყველაზე მაღალ საფეხურზე დგება, ყველაზე დიდია, თავად ანგელოზებზეც კი. ის წყვეტს როგორ იცხოვროს, სამოთხეში შევიდეს თუ ჯოჯოხეთში. ასე რომ, მართლმადიდებლობა იმიტომ არის ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომ ის გვასწავლის საკუთარ ქცევებზე, ცხოვრებაზე, დანიშნულებაზე ანალიზის გაკეთებას, რომ შემდეგ აირჩიოს ის, რაც უნდა.

**– ჩვენ ხშირად გავცემთ მოწყალებას და მერე ამის აფიშირებაც გვიყვარს, რაც არც ისე კარგი მდგომარეობაა ქრისტიანისთვის.**

– შეიძლება, ადამიანმა ვინმეს გაუკეთოს სიკეთე, შეეწიოს ფინანსურად, ილოცოს მისთვის, მაგრამ, ეს იყოს არა მისი შინაგანი მდგომარეობა, არამედ, ამ დროს მას სურდეს, ვინმეს ან მთელი საზოგადოების წინაშე გამოიჩინოს თავი. ასეთი ფაქტები დღევანდელ ცხოვრებაში ძალიან ბევრია: ადამიანები მიდიან ბავშვთა სახლებში ან მოხუცებულთა თავშესაფარში, მიაქვთ მათთვის საკვები და ხშირად ამას უფრო მეტად პიარის, საკუთარი თავის შექების გამო აკეთებენ. ამ ყველაფერს რამდენიმე ტელევიზია იღებს და აცხადებენ, ჩვენ ასეთი კარგი საქმე გავაკეთეთო. რა თქმა უნდა, ეს ის სიკეთე აღარ არის – მარილი აკლია, რომელიც მას ნამდვილ სიკეთედ აქცევს. უფალი გვასწავლის: როცა ერთი ხელი აკეთებს სიკეთეს, მეორე ხელმა ეს არ უნდა იცოდესო. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ სიკეთე მაინც სიკეთეა, მაგრამ, უანგარო, ადამიანის გულიდან წამოსული სიკეთე განსხვავდება დემონური სიკეთისგან. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მიცვალებულთა მოხსენიების მიმართ არასწორი მიდგომა გვაქვს. არ ვიცით, მათ როგორ შევეწიოთ, როგორ ვილოცოთ მათთვის. როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, ჭირისუფლები მისთვის ძალიან ბევრ რამეს აკეთებენ, რაც, ძირითადად, მატერიალური შეწევნით გამოიხატება: უკეთებენ დიდ სუფრას, ძვირფას საფლავს და ეს ყველაფერი პომპეზურია. რაც შეეხება მის სულზე ზრუნვას, ეს, სამწუხაროდ, მეორეხარისხოვანი ხდება. გარდაცვლილებს არ გააჩნიათ მატერიალური მოთხოვნილებები, არ სჭირდებათ საკვები, უბრალოდ, ამ ყველაფერს მოწყალების სახე აქვს და ეს აღესრულება ჩვენი მიცვალებულების სულების საოხად, მოსახსენიებლად. ის ტრაპეზი, რომელიც ეკლესიაში მსახურებაზე მიგვაქვს, მოხმარდება მღვდელს, ასევე, შეჭირვებულ, უსახსრო ადამიანებს. ეკლესიის წიაღში ეს ყველაფერი იმიტომ არსებობს, რომ, ჯერ ერთი, ადამიანი ზრუნავს მიცვალებულზე და შემდეგ, საკუთარი მიცვალებულების პატივისცემით, ეხმარება სხვებსაც. ამით, გარკვეულწილად, თვითონაც იმსუბუქებს ცხოვრებას.



**უფალი გვასწავლის: როცა ერთი ხელი აკეთებს სიკეთეს, მეორე ხელმა ეს არ უნდა იცოდესო**

**– როგორ უნდა დავეხმაროთ ჩვენს მიცვალებულებს, არსებობს თუ არა ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორის ცოცხალი კავშირი?**

– ყოველი შაბათი ეკლესიაში მიცვალებულთა მოსახსენიებელ დღედ არის დაწესებული. ჩვენ ვიცით, რომ კავშირი მიცვალებულებსა და ცოცხლებს შორის უწყვეტია. ამიტომაც, ადამიანი მარხვას იწყებს იმის გააზრებითა და გაცნობიერებით, რომ ის არა მხოლოდ საკუთარ თავსა და სულზე იზრუნებს, არამედ, თავის მიცვალებულებზეც. მარხვა სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ცოდვების შეგნება, გაცნობიერება, გამოსწორება, ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. ამავდროულად, ჩვენს მიცვალებულებთან გაძლიერებული სულიერი კავშირით ვიწყებთ მარხვას, რადგან ამქვეყნად დარჩენილ და იმქვეყნად გადასულ ადამიანებს შორის კავშირი უწყვეტია და ყოველთვის არსებობდა. ყველა ქრისტიანი კარგად აცნობიერებს, რომ, როგორც არ უნდა ცხოვრობდეს და რამდენ ხანსაც არ უნდა იყოს ამქვეყნად, ის, ადრე თუ გვიან, მაინც იმ სამყაროში გადავა, სადაც გარდაცვლილები ცხოვრობენ: ეს იქნება ან ღვთის წიაღი, სრული ნეტარება, ან – სატანჯველი, გამომდინარე იქიდან, ამქვეყნად როგორ ცხოვრობდა. ამიტომ, მიცვალებულებთან ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ აქტი კი არ არის, არამედ, ჩვენი კეთილი ნებაა, ზრუნვაა, რომელსაც მათი სულების საოხად აღვასრულებთ. ეს ადამიანს კიდევ ერთხელ დააფიქრებს თავის ცხოვრებაზე, აწმყოზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უფლისთვის მკვდარი არავინაა, უფლის წინაშე ყველა ცოცხალია. უბრალოდ, ერთნი აქ ვართ, მეორენი კი წუთისოფლიდან არიან გასულები და სულიერად განაგრძობენ ცხოვრებას. ასე რომ,

**ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მიცვალებულთა მოხსენიების მიმართ არასწორი მიდგომა გვაქვს – არ ვიცით, მათ როგორ შევეწიოთ, როგორ ვილოცოთ მათთვის**

ის კავშირი, რომელიც ცოცხალ და გარდაცვლილ ადამიანებს შორის არსებობს, მეორედ მოსვლამდე, საყოველთაო განსჯამდე შენარჩუნდება. ამიტომ, სანამ ამქვეყნად ვცხოვრობთ, გარდაცვლილებზე მუდმივად უნდა ვიზრუნოთ: მათ სახელზე უნდა ვილოცოთ, აღვასრულოთ ქველი საქმეები, მოვიხსენიოთ, მათ სახელზე აღვასრულოთ წირვები, პანაშვიდები და ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ, არა მხოლოდ საკუთარ თავზე ვიფიქროთ, არამედ, მათზეც. დედაეკლესია არ შედგება მხოლოდ ცოცხალი ადამიანებისგან, ის შედგება გარდაცვლილებისგანაც და ჩვენ ყველანი ერთმანეთზე ვზრუნავთ: ცოცხლები – მიცვალებულებზე, ხოლო მიცვალებულები – ცოცხლებზე. რა თქმა უნდა, ამ კატეგორიაში გადიან წმიდანები, რომლებიც უფალს სთხოვენ ჩვენს დახმარებას, შეწევნას, გვაძლიერებენ, ლოცულობენ ჩვენთვის. ამიტომაც არის ეს კავშირი უწყვეტი, რომელიც განსაკუთრებით დიდმარხვის პერიოდში ძლიერდება, როცა ზედიზედ სამი შაბათი ჩვენ მიცვალებულებისთვის განსაკუთრებულად ვლოცულობთ.

**– ეკლესიური სწავლებით არ მოგვეკითხება წინაპრების ცოდვები. მაგრამ, ალბათ, მათი ცხოვრება მაინც აისახება ჩვენს ცხოვრებაზე და ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენს კავშირს გარდაცვლილ ახლობლებთან.**

– ყველა უდიდესი საეკლესიო მოძღვარი, რომელიც შეხებია ამ თემას, ამტკიცებს, რომ ჩვენ ჩვენი წინაპრების ცოდვები არ მოგვეკითხება. ეს არა მხოლოდ ახალაღთქმისეული, ქრისტიანული სწავლებაა, არამედ, მანამდეც, ძველ აღთქმაშიც იყო ამ საკითხზე საუბარი. უფალი ამბობს: მე არ განვიკითხავ შვილს მამის ცოდვების გამო, თუნდაც იმიტომ, რომ შვილი ასრულებს ყველა ჩემს მცნებას, იმ რჯულს, რომელიც მე დავუდგინე, იმ კანონებს, რომლებიც მე მივეცი. ასე რომ, შვილი მართალია ჩემ წინაშე და არ დაისჯება, მამის გამო არ დავსჯი მას და შვილის ცოდვების გამო არ დავსჯი მამას, ანუ, ყველა ადამიანი თავისი ცოდვების გამო ისჯება, მას არც ღმერთი სჯის, არც ეშმაკი და, მით უმეტეს, სხვისი ცოდვების გამო არ ისჯება. დავუშვათ, ადამიანი დაიწყებს საკუთარი სხეულის დაზიანებას – ერთხელ, ორჯერ, სამჯერ მიიყენებს ჭრილობას. ის ცოდვების ჩადენითაც ყოველდღე აყენებს საკუთარ თავს სასიკვდილო ჭრილობებს, ოღონდ, არა ისეთს, რომელიც მას მალე მოკლავს, არამედ, ნელ-ნელა აგდებს უმოქმედობის, უსულობის მდგომარეობაში. ადამიანი, რომელიც შეზრდილია ვნებიან ცხოვრებასთან, არის სულიერად მკვდარი როგორც უფლის, ისე საკუთარი თავის წინაშე, რადგან მას სულიერება არ გააჩნია. იმას კი არ ცდილობს, საკუთარი თავი განავითაროს, უკეთესი გახდეს, პირიქით, დაკავებულია იმით, რომ თავის თავს რაც შეიძლება მეტი დაუშავოს. თუმცა, ამას, შეიძლება, ვერც აცნობიერებდეს; ან, პირიქით, აცნობიერებდეს, მაგრამ, არაფერს ცვლიდეს. უნდა დავიმახსოვროთ, რომ, რაც უნდა მოხდეს, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს სასიკეთოდ, რადგან, ღმერთს უნდა, თავად გამოვიტანოთ დასკვნა: როგორი იყო ჩვენი ცხოვრება და როგორი უნდა გახდეს. როგორც აღვნიშნე, შვილებზე არ გადადის წინაპრების ცოდვები, მაგრამ, აისახება მათი ცხოვრება. საზოგადოებაში ხშირად არის გავრცელებული მოსაზრება, რომ, თუ მამა იყო მკვლელი, ცუდი ადამიანი, ესე იგი, მისი შვილიც ცუდი იქნება; ან, თუ დედა ჰყავდა მრუში, ამიტომ, ისიც მრუში უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ეს არასწორი შეხედულებაა, მაგრამ, თუ ადამიანს ჰყავდა მამა მკვლელი, დედა კი მრუში, ეს აისახება მხოლოდ ერთი გზით – გენეტიკურობით, ეს კი ნიშნავს იმას, რომ გენეტიკურად ჩვენში გადმოდის არა ცოდვა, არამედ – თვისებები, მიდრეკილებები, გრძნობები, ვნებები, რადგან ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი გვაქვს. თუმცა, ეს არც იმას ნიშნავს, რომ ჩვენც მათი მსგავსნი უნდა გავხდეთ, ისე გავაგრძელოთ ცხოვრება, როგორც ისინი ცხოვრობდნენ.

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთისმშობელმა თვალებდათხრილს თვალები აღუდგინა

ეს ხდებოდა 1530 წელს, კუნძულ კერკირაზე, რომელიც იმ დროს ვენეციის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. ერთი ღვთისმოსავი ჭაბუკი, სახელად სტეფანე, ქალაქიდან სოფელში ბრუნდებოდა.

გზად მას მგზავრები შეხვდნენ, რომლებსაც შეუერთდა და მათთან ერთად განაგრძო გზა. რაღაც მომენტში, მათ შენიშნეს ახალგაზრდები, რომლებსაც წისქვილიდან ფქვილი გადაჰქონდათ. სტეფანეს თანამგზავრებს ცდუნებამ სძლია.

– ხომ არ მოგვეპარა ფქვილი? თქვა ერთ-ერთმა მათგანმა, – ჩვენ არავინ გვიყურებს, გავიყოთ და წავიღოთ სახლში.

ამას ყველა დაეთანხმა სტეფანეს გარდა.

– ეს ცოდვაა! – პროტესტი განაცხადა მან. ჩვენ ვერ გავექცევით მართლმსაჯულებას, ჩვენ დავისჯებით, როგორც ყაჩაღები და ბოროტმოქმედები. მაგრამ, მათ ყურად არ იღეს მისი სიტყვები, შეუმჩნევლად მიუახლოვდნენ და თავს დაესხნენ იქ მომუშავე ახალგაზრდებს, სცემეს ისინი და წაართვეს ფქვილი.

ნაცემი მუშები სახლში მივიდნენ და მოყვნენ ყველაფერს მომხდარის შესახებ. შემდეგ ამის შესახებ მმართველ სიმონ ბაილას უამბეს. მათ ჯარისკაცები გაგზავნა ბოროტმოქმედთა დასაკავებლად. ჯარისკაცებმა მხოლოდ სტეფანე დააკავეს, როგორც ექვმიტანილი, რადგან დანარჩენებმა მიმალვა მოასწრეს.

იყო რა თავის უდანაშაულობაში დარწმუნებული, ჭაბუკი სავსებით მშვიდად იქცეოდა. მან გულწრფელად უამბო ჯარისკაცებს მომხდარის შესახებ, მაგრამ არ დაუჯერეს, გაკოჭეს და საპყრობილეში ჩაამწყვდიეს.

როდესაც სტეფანე მოსამართლესთან წაიყვანეს, ის ისევ მოყვა, თუ როგორ მოხდა ყველაფერი, მაგრამ, მოსამართლემაც არ დაუჯერა სტეაფანეს და გაასამართლა.

– რომელ სასჯელს ამჯობინებ, – ჰკითხა მან, – ხელები მოგკვეთონ თუ თვალები ამოგთხარონ?

სტეფანემ მეორე ამჯობინა, რადგან ეს მოეჩვენა ნაკლებად მტანჯველად. ჭაბუკი ტირილითა და ქვითინით მიიყვანეს განაჩენის აღსრულების ადგილას, სადაც ულმობელმა ჯალათებმა სწრაფად მოიყვანეს განაჩენი სისრულეში.

მას შემდეგ სტეფანე, რომელსაც არ ძალუძდა დამოუკიდებლად გადაადგილება, დედას დაჰყავდა.

კუნძულის დედაქალაქიდან 18 მილში იყო პატარა ზღვისპირა დასახლება კასიოპეა. ის ცნობილი იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის წყალობით, რომელშიც ყოველდღიურად მოდიოდა მრავალი ადამიანი მისი სასწაულმოქმედი ხატის თაყვანის საცემად.

სტეფანემ მიიღო გადაწყვეტილება, გამგზავრებულიყო ამ სოფელში, დარჩენილიყო ღვთისმშობლის ტაძარში და კეთილი ადამიანებისგან ეთხოვა მოწყალება. დედასთან ერთად, თაყვანი სცარა სასწაულმოქმედ ხატს, მან სთხოვა მსახურ ბერს, მიეცა მისთვის რაიმე პატარა სენაკი, რათა იქ ეცხოვრა.

პირველ საღამოს ისინი ტაძარში დარჩნენ ღამით. უბედურ დედას, დაქანცულს, მაშინვე ჩაეძინა, ხოლო სტეფანე ვერაფრით დაწყნარდა განუწყვეტელი ტკივილის გამო.

რაღაც მომენტში, სტეფანეს ძილი მოერია და ჩათვლიმა. უეცრად მან იგრძნო, რომ ვიღაც შეეხო და დაიწყო მისი ცარიელი თვალბუდეების ხელით მოსინჯვა. ეს იმდენად ცხადი იყო, რომ მან მაშინვე გაიღვიძა. ჩაფიქრდა: ვინ შეიძლება, შეხებოდა მას? უეცრად მან დაინახა, ქალი მთლად ელვარე და მბრწყინავი. ის წარმოუდგა მას ცოტა ხნით და გაუჩინარდა. სტეფანე შემობრუნდა და დაინახა ანთებული ლამპრები. მან მაშინვე გააღვიძა დედა:

– მე ვხედავ ღვთისმშობლის ხატს.

დედა წამოიწია და თვალებში შეხედა თავის საყვარელ შვილს. დიახ, თვალები არ ატყუებდა: შვილს თვალბუდეები წყვილი ცისფერი თვალით დამშვენებოდა, თუმცა დაბრმავებამდე სტეფანეს შავი თვალები ჰქონდა. თვალებზე სიხარულის ცრემლებმომდგარი დედა-შვილი მადლობას უხდიდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს დახმარებისთვის.

ტაძრიდან გამოსულ ხმაურზე მნათე-ბერმა მოირბინა. მომხდარმა სასწაულმა იმდენად გააოცა მოხუცი ბერი, რომ მაშინვე გაემგზავრა კუნძულის დედაქალაქში, რათა მმართველისთვის ეუწყებინა ყველაფრის შესახებ.

მმართველმა არ დაუჯერა ბერის სიტყვებს, თან წაიყვანა კერკირის კიდევ ორი მამასახლისი და სტეფანესთან მივიდა. ბაილა უბრალოდ გაოცებული დარჩა, როცა ჭაბუკის „ახალი“ თვალები იხილა. სასწაულის რეალობა იმითაც დასტურდებოდა, რომ ჭაბუკს სახეზე ჯერ კიდევ ჰქონდა სულ ახალი ნაიარევი, რომელიც მას გავარვარებულმა შანთმა დაუტოვა. მაგრამ, მმართველს მაინც ეპარებოდა ეჭვი. ამიტომ, დედაქალაქში დაბრუნებისთანავე, ჯალათი გამოიძახა თავისთან და ჰკითხა:

– მართლა ამოუგდე თვალები სტეფანეს, როგორც გიბრძანე?

– რა თქმა უნდა, ამოვუგდე, ისინი ჯერ კიდევ ტაშტშია, გეთაყვა, აი, ისინი!

ბაილამ ჩაიხედა ტაშტში, და მართლაც მასში ორი თვალი იყო და ორივე შავი.

ჭეშმარიტება დაბეჯითებით და უდავოდ დადასტურდა. მმართველმა მოიწვია სტეფანე, ბოდიში მოუხადა მას და სურდა რა, აენაზღაურებინა მისთვის ტანჯვა – მდიდარი ძღვენით დაასაჩუქრა. მან, ასევე, განაახლა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წმიდა ტაძრის გალავანი.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: შეიძლება თუ არა, სასაფლაოზე მოჭრილი ხის სახლში შეშად გამოყენება?**

**პასუხი**: რა თქმა უნდა, შეიძლება მისი შეშად გამოყენება. გირჩევთ, ნუ მიაქცევთ ყურადღებას მსგავს ცრურწმენებს.

**კითხვა: ცოდვად ხომ არ ჩამეთვლება დიდმარხვის დღეებში დაბარვა, დათესვა, მოხვნა და სხვა სამუშაოები?**

**პასუხი**: არ ჩაგეთვლებათ. დიდი მარხვის პერიოდი მონანიებისა და ბრწყინვალე აღდგომისთვის მომზადების დროა და არა მუშაობაზე უარის თქმისა. მით უმეტეს, საგაზაფხულო სამუშაოები თითქმის ყოველთვის დიდმარხვის პერიოდს ემთხვევა. სასურველია, ამგვარ სამუშაოებს მოერიდოთ კვირაობით, რომელიც ქრისტიანმა ტაძარში უნდა გაატაროს და, ასევე, ვნების შვიდეულში.



**კითხვა: ყველა ცოდვა მიეტევება თუ არა ქრისტიანს ნათლობის დროს?**

**პასუხი**: დიახ, ნათლობის დროს ადამიანს მიეტევება ყველა ჩადენილი ცოდვა და ხელახლა იბადება სულიერად. წმიდა ნათლობის წყალობით, ცოდვას ადამიანზე ბატონობის ძალა ჩამოერთმევა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი გვიან უნდა მოინათლოს, რადგან, არავინ იცის, როდის გარდაიცვლება ის, მოუნათლავი კი ვერ დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს.

**კითხვა: რა ევალება ავადმყოფს?**

**პასუხი**: ღირსი თეოდორე სტუდიელის თქმით, „ნუ შექმნი ავადმყოფობას უსაქმურობის საბაბად“. ავადმყოფმა უნდა იკითხოს საღვთო წიგნები, არ უნდა აჰყვეს უქმ აზრებს და უნდა ილოცოს.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## უგუნური ავაზაკის გონიერი აქლემი

ერთხელ ამბა მაკარი ეგვიპტელმა თავის სენაკში ავაზაკს შეუსწრო, რომელიც მის ნივთებს იპარავდა. ავაზაკი დანას სწვდა, მაგრამ, როცა იხილა, რომ ამბა მშვიდად დგას და წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრია, საჩქაროდ აჰკიდა აქლემს ნაძარცვი.

– რა კარგი აქლემი გყავს! – უთხრა ავაზაკს ამბა მაკარიმ, – მას ზურგით მთელი სახლის ტვირთვაც კი შეუძლია.

ვიდრე ავაზაკი აქლემზე ტვირთს ამაგრებდა, ამბა სენაკში შევიდა და ისიც გამოიტანა, რაც ავაზაკს სიჩქარეში დავიწყნოდა და მანაც იწყო ამ ტვირთის დამაგრება. ავაზაკი გააოცა ამბას საქციელმა და ცდილობდა, რაც შეიძლება, სწრაფად გასცლოდა იქაურობას. მაგრამ მისი აქლემი გაჯიუტდა და მიწიდან არაფრით დგებოდა.

– ხომ არ უნდა, ამ საქციელით მიგანიშნოს, რომ ჩემს სენაკში კიდევ რამე დაგრჩა? – ჰკითხა ვაზაკს ამბა მაკარიმ და დასძინა: – მე მაშინვე შევატყვე, რომ შენ ძალიან გონიერი აქლემი გყავს. ამ სიტყვებით ამბა სენაკში შებრუნდა და კუთხეები დაათვალიერა. თვალი მოჰკრა კედელზე მიბჯენილ თოხს, ხელი დაავლო და გარეთ გამოიტანა.

– ეტყობა, სწორედ ამის გარეშე არ უნდა წასვლა შენს აქლემს, – თქვა ამბამ და ტომრებს შორის თოხი დაამაგრა.

ავაზაკი მთელი ძალით ექაჩებოდა აქლემს, ბოლოს ცემაც დაუწყო, მაგრამ ყველა მისი მცდელობა ამაო იყო. აქლემი მიწაზე გართხმულიყო და უდარდელად იცოხნიდა.

– შენ დამცინი და ამ უტყვინო ცხოველსაც განგებ აქებ! – განრისხდა ავაზაკი.

– სულაც არა, – მიუგო ამბა მაკარიმ, შემდეგ კი აქლემს ზურგზე მსუბუქად წამოარტყა და უთხრა: „ადექი და წადი!“

აქლემი წმიდა მამის სიტყვას იმწამსვე დაემორჩილა, – წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კვლავ მიწას განერთხა.

– რატომ გემორჩილება მხოლოდ შენ? რა ჩასჩურჩულე ყურში? – აღშფოთდა ავაზაკი.

– შენი აქლემი უფრო გონიერი გამოდგა, ვიდრე მეგონა, – გაეღიმა ამბა მაკარის, – მას არ სურს, მონაწილეობა მიიღოს ამ ბოროტ საქმეში, რაც შენ განიზრახე და ამის გამო, სასჯელსაც კი არ უშინდება. ზოგიერთი ცხოველი ადამიანზე გონიერია და ჩვენ მათი მიბაძვა გვმართებს.

განრისხებულმა ავაზაკმა აქლემს ნაძარცვი ჩამოხსნა და ძირს დაყარა. როგორც კი ბოროტმოქმედმა აქლემს ბოლო ტომარა ჩამოხსნა, ის ფეხზე წამოდგა და წავიდა.

– ეტყობა, შენ მართლა წმიდა კაცი ხარ, როგორც უდაბნოში შენზე ამბობენ, – წარმოთქვა ჩაფიქრებულმა ავაზაკმა.

– ნუ მიწოდებ წმიდანს, – თავი გაიქნია ამბა მაკარიმ, – ამიერიდან მეც შენს აქლემს მივბაძავ, რომ საკუთარი სიკეთით არ ვიამაყო და კეთილი საქმეები მდუმარედ ვაკეთო.

ავაზაკი თავის აქლემს დაედევნა. ამბა მაკარიმ კი მას თვალი გააყოლა. მან იცოდა, რომ ეს ადამიანი უთუოდ მალე სინანულით უკანვე მოუბრუნდებოდა.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# რას საქმიანობენ 1990-იანი წლების ფეხბურთის ვარსკვლავები

*სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ისინი ორ გზას ირჩევენ: ან დარჩნენ ფეხბურთში, ან განაგრძონ საქმიანობა სხვა სფეროში. საუბარია 90-იანი წლების ფეხბურთის ვარსკვლავებზე, რომლებიც ფეხბურთის ქომაგებს კერპების რაგნში ჰყავდათ აყვანილი, როცა ისინი საფეხბურთო სპექტაკლებს დგამდნენ მოედნებზე. საინტერესო იქნება, გავეცნოთ ვარსკვლავების ამჟამინდელ საქმიანობას.*

### ჯანლუკა პალუკა

იტალიის ნაკრების ლეგენდარული გოლკიპერი სერია ა-ს რეკორდსმენია ჩატარებული მატჩების რაოდენობით. მის ანგარიშზე 592 მატჩია იტალიის უმაღლეს ლიგაში. „სამპდორიას", „ინტერის", „ბოლონიისა" და „ასკოლის" ლეგენდამ კარიერა 2007 წელს, 41 წლის ასაკში დაასრულა. ხელთათმანების ლურსმანზე ჩამოკიდების შემდეგ პალიუკა ტელეარხ „სკაიზე" მიიწვიეს კომენტატორად; აგრეთვე, ის არის ბოლონიის რადიოსადგურის ტელეწამყვანი, ხოლო კიდევ ერთ იტალიურ ტელეარხზე პალიუკას საკუთარი საფეხბურთო შოუ აქვს.

### გაისკა მენდიეტა

ესპანელი გაისკა მენდიეტა 1990-2000-იანი წლების დასაწყისის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად ითვლებოდა. მისი კაპიტნობით „ვალენსია" ზედიზედ ორჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, თუმცა, მენდიეტა ორივეჯერ ტიტულის გარეშე დარჩა. იგი ევროპული ფეხბურთის საუკეთესო პენალტისტად ითვლებოდა და მის მიერ აცილებული თერთმეტმეტრიანის გახსენება პრაქტიკულად შეუძლებელია. აქტიური კარიერა მენდიეტამ 33 წლის ასაკში დაასრულა და შემდგომ რამდენჯერმე სცადა დაბრუნება ფეხბურთში, თუმცა, ამაოდ. ამჟამად მენდიეტა „ვალენსიის" ვეტერანთა გუნდში თამაშობს, ხოლო თავისუფალ დროს დიჯეის პროფესიას ეუფლება – ის რამდენჯერმე ლონდონის კლუბებშიც კი უკრავდა.




### ოლივერ ბირჰოფი

ის „ოქროს გოლის" ავტორია, რომელმაც გერმანიის ნაკრებს 1996 წელს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა. ბირჰოფის ვარსკვლავი საფეხბურთო ოლიმპზე სწორედ მაშინ აკაშკაშდა და ის დღემდე ითვლება 1990-იანი წლების ბოლო პერიოდის საუკეთესო გერმანელ ფეხბურთელად მსოფლიოში, რომელიც „მილანთან" ერთად ბრწყინავდა. 2003 წელს ბირჰოფმა დაასრულა კარიერა და ამჟამად გერმანიის ნაკრებში ტექნიკური დირექტორის თანამდებობა უჭირავს, თავისუფალ დროს კი ფეხბურთის მატჩების კომენტატორობას ითავსებს.

### მარსელ დესაი

მარსელ დესაი 1990-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლებოდა. „მარსელი", „ჩელსი", „მილანი" – ის ამ ლეგენდარული კლუბების ღირსებას იცავდა და, ასევე, იყო შეუცვლელი ფიგურა საფრანგეთის ნაკრებში, რომელთან ერთადაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. კარიერის დასრულების შემდეგ მარსელ დესაი განაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც საზოგადოებრივი საქმიანობით არის დაკავებული. 2011 წელს მან განაში ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის უზარმაზარი სპორტული კომპლექსი გახსნა, თავისუფალ დროს კი იგი, როგორც ფეხბურთის სხვა ვარსკვლავები, კომენტატორობით არის დაკავებული. მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე დესაი მატჩებს „ბიბისი სპორტისთვის" და „კანალ პლიუსისთვის" წაიყვანს.

### დენის ბერხკამპი

ჰოლანდიელ დენის ბერხკამპს „არამფრინავ ჰოლანდიელს" უწოდებდნენ, რადგან მას პანიკურად ეშინია თვითმფრინავით მგზავრობის და ამის გამო იგი ხშირად აცდენდა საგარეო მატჩებს, თუმცა, ამას არ შეუშლია მისთვის ხელი, რომ ლეგენდარული ფეხბურთელი ყოფილიყო ჰოლანდიის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალისთვის". ჯერ კიდევ სპორტული კარიერის დროს, ბერხკამპმა ბაკალავრის დიპლომი მიიღო მანქანათმშენებლობაში, თუმცა, ის ფეხბურთის გარეშე ცხოვრებას არ აპირებს. ბერხკამპმა 2006 წელს დაასრულა კარიერა და გარკვეული პერიოდი ისვენებდა, მაგრამ, გულმა ვერ მოუთმინა და ჯერ „აიაქსის" აკადემიაში დაიწყო ბავშვების წვრთნა, ხოლო 2010 წლიდან ფრანკ დე ბურის ასისტენტი გახდა „აიაქსის" მთავარ გუნდში. როგორც ჩანს, ახლოვდება ის დრო, როცა მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე ტექნიკურ მოთამაშეს ახალ ამპლუაში – მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვიხილავთ.

## ვენერას ცისარტყელა წრის ფორმისაა

ასტრონომები მიუახლოვდნენ ვენერის ერთ-ერთი საიდუმლოს ამოხსნას, რაშიც აპარატ „ვენუს ექსპრესის" გადაღებული ცისარტყელის ფოტო დაეხმარებათ. ცისარტყელას „გლორია" დაარქვეს. ვენერაზე ცისარტყელა იმავენაირად წარმოიშვება, როგორც დედამიწაზე, ოღონდ, განსხვავება ისაა, რომ ადამიანის თვალისთვის უჩვეულო ფორმა აქვს – ის სრულ წრეს წარმოადგენს და უფრო მცირე ზომისაა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ „გლორიას" წარმოსაქმნელად, ყველა წვეთი, რომელშიც მზის სხივი გარდატყდება, ერთი ზომისა და სფერული ფორმის უნდა იყოს. ფერთა გამის ვარიაციები კი იმაზე მეტყველებს, რომ ამ ოპტიკური მოვლენის ფორმირებაში, გარდა ვენერას ატმოსფეროში ფართოდ გავრცელებული გოგირდმჟავისა, სხვა ქიმიური კომპონენტებიც მონაწილეობენ. სწორედ ამ ფოტოს ანალიზით შეეცდებიან მეცნიერები ვენერის ატმოსფეროს შედგენილობის შესწავლას.

## დიდ ბრიტანეთში ჰომოსექსუალური ქორწინება დაუშვეს

13 მარტს ძალაში შევიდა კანონების შესწორებები, რომლის მიხედვითაც, დიდ ბრიტანეთში ერთსქესიან წყვილებს ოფიციალურად შეუძლიათ იქორწინონ. 2004 წელს მიღებული კანონით მათ მხოლოდ სამოქალაქო კავშირის რეგისტრაცია შეეძლოთ. ახალი კანონით, მეუღლეებად ჩაითვლებიან არა მარტო ბრიტანეთში დაქორწინებულები, არამედ, სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული ჰეტეროსექსუალი წყვილები. აღსანიშნავია, რომ ქორწინების რეგისტრაციის დროს მათ, სურვილის მიხედვით, შეეძლებათ სქესის შეცვლის დაფიქსირებაც.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ერთსქესიანთა ქორწინება კანონით დაშვებულია: ნიდერლანდებში, ბელგიაში, ესპანეთში, კანადაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ნორვეგიაში, შვედეთში, პორტუგალიაში, ისლანდიაში, არგენტინაში, ბრაზილიაში, საფრანგეთში, ურუგვაისა და დანიაში.

## ყველაზე სექსუალური მოკრივე ქალი

ავსტრალიისა და მსოფლიოს ჩემპიონი კრივში, ავსტრალიელი ლამაზმანი ლორენ იგლი მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ქალ მოკრივედ არის მიჩნეული. WBF-ის ვერსიით, ლორენი 59 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონის ქამარს ფლობს, ხოლო ავსტრალიაში 61 კილოგრამ წონით კატეგორიაშია აბსოლუტური ჩემპიონი. სპორტის გარდა, ლორენი მოდელობით არის დაკავებული და 2004 წელს იგი „მის თინეიჯერ ავსტრალიის" ტიტულის მფლობელი გახდა. ცნობისთვის, ლორენის მეგობარი ბიჭი ავსტრალიური რაგბის ვარსკვლავი ტოდ კარნია.

## კანტონას მორიგი სკანდალი

„მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული ფეხბურთელი ერიკ კანტონა მორიგი სკანდალის გმირი გახდა: ლონდონის პოლიციამ ქარიზმატული ვარსკვლავი ხულიგნობის ფაქტზე დააკავა. საქმე ისაა, რომ კანტონას მავან ქალბატონთან სასიყვარული პაემანი ჰქონდა, რა დროსაც მას უცხო მამაკაცთან კონფლიქტი მოუვიდა. სავარაუდოდ, კანტონას ის პაპარაცი ეგონა და ჩხუბით გადაწყვიტა მისი მოშორება, თუმცა, ადგილზე გამოცხადებულმა პოლიციამ ფეხბურთელი ცნო დამნაშავედ. კანტონა ცნობილია ფეთქებადი ხასიათით, მაგალითად, 1995 წელს იგი სტადიონზე თავს დაესხა „კრისტალ პალასის" ქომაგს, რომელიც მას შეურაცხყოფას აყენებდა ტრიბუნიდან. ამის გამო კანტონას 8 თვით აეკრძალა ფეხბურთის თამაში, ხოლო ფეხბურთის ასოციაციამ და კლუბმა ის მნიშვნელოვანი ფულადი ჯარიმით დასაჯა.




## ელენა ვესნინას ფოტოები „ფლეიბოიში"

რუსი ელენა ვესნინა მორიგი ჩოგბურთელია, რომელმაც „ფლეიბოისთვის" გაიხადა. მსოფლიოს 35-ე ჩოგანმა პიკანტურ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა და, პოლონელი მართა დომოჰოვსკის მსგავსად, ყველასთვის ცნობილი ჟურნალის გარეკანზე წელს მოხვდა. ცნობისთვის, ვესნინას შემოსავალმა გასულ წელს 1,2 მილიონი დოლარი შეადგინა და, ძნელად სავარაუდოა, რომ ლამაზმანმა ფულის გამო გადაწყვიტა ფოტოსესიაში მონაწილეობის მიღება. მას, უბრალოდ, თავისი თაყვანისმცემელი მამაკაცებისთვის საჩუქრის გაკეთება მოუნდა, ირწმუნებიან სპორტული ჟურნალისტები.




გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ

# მსოფლიოს რომელ ქვეყანაში ცხოვრობს ყველაზე მეტი მილიარდერი

***„ფორბსის" მიერ შედგენილი რეიტინგის თანახმად, მილიარდერები მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში ცხოვრობენ, ოღონდ, ზოგან მათი რაოდენობა ბევრია ზოგან კი – ნაკლები. საინტერესო იქნება, გავეცნოთ იმ ქვეყნების ტოპ-ათეულს, სადაც პლანეტის უმდიდრესი ადამიანები ბინადრობენ.***

**აშშ – 515 მილიარდერი**

ამერიკის შეერთებულ შტატებში 515 ოფიციალურად რეგისტრირებული მილიარდერი ცხოვრობს, ანუ, სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე ჩინეთში. ამერიკის ქალაქებს შორის კი ლიდერის პოზიცია ნიუ-იორკს უკავია – ის არის ფინანსური ცენტრი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მილიარდერების რაოდენობის ზრდით ამერიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპას.

**ჩინეთი – 157 მილიარდერი**



ჩინეთში 157 მილიარდერია, რომელთა საერთო კაპიტალი 384 მილიარდ დოლარს შეადგენს. გასულ წელთან შედარებით, ჩინელი მილიარდერების რაოდენობა 7 პროცენტით გაიზარდა და მათი კაპიტალიც, ასევე, ზრდის პროცესშია. ჩინელ მილიარდერთა 89 პროცენტმა თავად გამოიმუშავა საკუთარი კაპიტალი და მსოფლიოში მათ „სელფმეიდ" მილიარდერებს უწოდებენ, ანუ, მათ საკუთარი ხელით შექმნეს თავისი თავი.

**გერმანია – 148 მილიარდერი**

148 გერმანელი მილიარდერის საერთო კაპიტალი 432 მილიარდ დოლარს უტოლდება. გერმანიაში ყველაზე მეტი ევროპელი მილიარდერი ცხოვრობს, რომელთა 33 პროცენტია „სელფმეიდი". ევროზონის ქვეყნებს შორის სწორედ გერმანია ითვლება რეგიონის ფინანსურ ცენტრად.

**დიდი ბრიტანეთი – 135 მილიარდერი**

420 მილიარდი დოლარი – ასეთი საერთო კაპიტალით იწონებენ თავს ბრიტანელი მილიარდერები. გასულ წელთან შედარებით, ბრიტანელ მილიარდერებში მატება იყო – მათი რიცხვი რამდენიმეთი გაიზარდა.

**რუსეთი – 108 მილიარდერი**

რუსი მილიარდერების ან ოლიგარქების საერთო კაპიტალი 342 მილიარდი დოლარია. რუსი მილიარდერების თითქმის ნახევარი მოსკოვში ცხოვრობს და რუსეთის დედაქალაქი ითვლება ქვეყნის ფინანსურ ცენტრად. ოდიოზური ფიგურები: რომან აბრამოვიჩი, ალიშერ უსმანოვი და მიხაილ პროხოროვი უცხოეთში ცხოვრობენ, თუმცა, რეალურად, რუსეთის მოქალაქეები არიან.

**ინდოეთი – 103 მილიარდერი**

ინდოეთში 103 მილიარდერი ცხოვრობს და მათი საერთო კაპიტალი 180 მილიარდი დოლარია. ინდოელი მილიარდერების 72 პროცენტს განათლება ამერიკისა და ინგლისის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებში აქვთ მიღებული. საინტერესოა, რომ ინდოელი მილიარდერების მხოლოდ 3 პროცენტია ქალი.

**ჰონკონგი – 75 მილიარდერი**

ქვეყანაში 75 მილიარდერი ცხოვრობს, რომელთა საერთო კაპიტალი 224 მილიარდი დოლარია. ჰონკონგელი მილიარდერების მხოლოდ 25 პროცენტია „სელფმეიდი".

**საუდის არაბეთი – 64 მილიარდერი**

204 მილიარდ ამერიკულ დოლარს 64 არაბი მილიარდერი ინაწილებს. ახლო აღმოსავლეთში ყველაზე მეტი მილიარდერი სწორედ საუდის არაბეთს ჰყავს.

**საფრანგეთი – 64 მილიარდერი**

ფრანგი მილიარდერების რაოდენობა მსოფლიოში 64-ს შეადგენს და მათი საერთო კაპიტალი 202 მილიარდ ამერიკულ დოლარს უტოლდება.

**შვეიცარია – 61 მილიარდერი**

შვეიცარიაში, მსოფლიო საბანკო დედაქალაქში, 61 მილიარდერი ცხოვრობს და მათი კაპიტალი 128 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ცნობისთვის, მილიარდერების დიდი ნაწილი საკუთარ ფულს სწორედ შვეიცარიულ ბანკებში ინახავს.

# მხოლოდ ფაქტები

* ყველაზე ძვირი დაჯდა პანამის არხის მშენებლობა; მონაცემებით, მეორე ადგილზეა მოსკოვ-ვოლგის არხი.

* ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი გამორჩეული წმიდანები, ქართველებს – ღვთისმშობელი და წმიდა გიორგი, რუსებს – წმიდა ნიკოლოზი, ფრანგებს... – ჟანა დ'არკი.

* წითელი დროშის გამოგონების პრიორიტეტი სულაც არ ეკუთვნით კომუნისტებს. მეცამეტე საუკუნეში მონღოლი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად ყირგიზული ეპოსის გმირმა მანასმა თავისი ტომი წითელი დროშის ქვეშ გამოიყვანა.

* კოსმონავტების შერჩევისას 1960 წელს სპეციალურმა კომისიამ ტესტირება ჩაუტარა მხოლოდ გარკვეული ჯგუფების ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ ექსტრემალურ სიტუაციაში მუშაობა. პირველ ადგილზე ამ ჯგუფებში მფრინავი-გამანადგურებლები მოხვდნენ, მეორეზე – მყვინთავები, მესამეზე – ალპინისტები, მეოთხე ადგილზე კი – პოლარულ პირობებში მომუშავეები.

* ავსტრალიაში, ნალარბორის უდაბნოში, გაყვანილია 500 კილომეტრი სიგრძის რკინიგზა, რომელსაც არც ერთი მოსახვევი არ გააჩნია.

* იტალიური ქალაქი ვოლტერა შუა საუკუნეების ეპოქის სახლებითაა ცნობილი. შენობებს სამი ტიპის ფანჯრები აქვს: მამაკაცების – დიდი და მორთული, ბავშვების – პატარა და ნაკლებად მორთული და ქალების – აგურებით ამოშენებული.

* მასობრივი არეულობის საწინააღმდეგო ოპერაციებში მონაწილეობის დროს ამერიკელი პოლიციელების აღჭურვილობაში შედის სპეციალური ხელთათმანი, რომელიც მათ შიდსის ვირუსით ინფიცირებისგან იცავთ.

* 1939-41 წლებში გერმანული გაზეთის – „ვოლქიშენ ბუბახტერის" დევიზი იყო... „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

* გერმანიაში ბადენ-ვიურტემბერგში მოქმედებს საინტერესო კანონი: ანტისამთავრობო დემონსტრაციაში მონაწილეებს ციხეში არ სვამენ; მათ ჯარიმის სახით ახდევინებენ იმ თანხას, რაც პოლიციელებს უნდა გადაუხადონ მათი მიტინგის დაშლისთვის.

* ადრე თავის ქალის ფორმის მიხედვით ადამიანის ხასიათისა და მიდრეკილების განმსაზღვრელი სამეცნიერო დისციპლინა არსებობდა და მას ფრენოლოგია ეწოდებოდა.

* „გლაგოლიცა" და „კირილიცა" უძველესი სლავური დამწერლობაა; სერბულ ანბანს კი „ვუკოვიცა" ეწოდება.

# Daft Punk – თანამედროვე მუსიკის სუპერვარსკვლავები

***2013 წლის ერთ-ერთ უმთავრეს მოვლენად მუსიკალურ სამყაროში ფრანგული ელექტრონული ჯგუფის, Daft Punk-ისა და ფარელ უილიამსის თანამშრომლობა გახდა. პოპულარულმა სინგლმა „გეთ ლაქ" მილიონობით თაყვანისმცემელი გაუჩინა თითქოს მივიწყებულ ფრანგულ დუეტს. Daft Punk-მა 2013 წელს მუსიკალური ალბომიც გამოუშვა, რომელიც უკვე დასახელდა წლის ალბომად. ჯგუფის შესახებ უამრავი მითი და ლეგენდა არსებობს, რომელთა შესახებ დღეს მოგითხრობთ.***

* ფრანგული მუსიკალურ-ელექტრონული დუეტი 1993 წელს შეიქმნა ტომას ბენგალტესა და გი-მანუელ დე ომემ-კრისტოს მიერ. ტომას ბენგალტე 1975 წელს დაიბადა პარიზში, ხოლო გი-მანუელ დე ომემ-კრისტო – 1974 წელს, პარიზში. ერთმანეთი მათ 1987 წელს გაიცნეს, პარიზის კარნოს ლიცეუმში სწავლის პერიოდში.

* ტომას ბენგალტეს მამა, დანიელ ვანგარდი, 1970-იანი წლების ეპოქაში მუსიკალური პროდიუსერი და კომპოზიტორი იყო, ის ძირითადად ევროპაში მუშაობდა. მამის გავლენა ტომასის ადრეულ მუსიკაში იგრძნობოდა. იგი ხშირად უსმენდა მამის ჩანაწერებს.

* 1990-იანების დასაწყისში, სანამ ყველასთვის კარგად ნაცნობი Daft Punk გაჩნდებოდა, ბენგალტესა და ომემ-კრისტოს დუეტს „დარლინ" ეწოდებოდა, პოპულარული ჯგუფის, „ბიჩ ბოისის" 1967 წლის ჰიტის პატივსაცემად.

* „მელოდი მეიქერში" დაბეჭდილ კრიტიკულ სტატიაში, რომელიც „დარლინს" ეხებოდა, ჯგუფი მოხსენიებული იყო როგორც „დაფტ ფანქი ტრეში," ანუ, „შეშლილი ბინძური ნაგავი". მუსიკოსებს იმდენად მოეწონათ ეს ეპითეტი, რომ „დარლინს" სახელი შეუცვალეს და ჯგუფს „დაფტ ფანქი" უწოდეს.



* თავდაპირველად „დარლინი" როკს უკრავდა და დუეტის ნაცვლად ტრიო იყო, ტომასი ბასზე უკრავდა, გიმანუელი გიტარაზე, ხოლო ჯგუფის მესამე წევრი ლორან ბრანკოვიჩი დასარტყამ ინსტრუმენტზე. მოგვიანებით ბრანკოვიჩი ჯგუფ „ფენიქსში" გადავიდა, ხოლო ტრიო დუეტად იქცა.

* თავდაპირველად „დაფტ პანკი" თავისი ცნობილი კოსტიუმების გარეშე გამოდიოდა სცენაზე. რობოტების კოსტიუმების მორგება დუეტმა სადებიუტო ალბომის გამოსვლის შემდგომ დაიწყო, ხოლო ცნობილი ჩაფხუტების გამოყენება – 2001 წლიდან, მას შემდეგ, რაც გამოვიდა მეორე ალბომი – „დისქავერი". ჩაფხუტების გამოყენებით დუეტმა თავისი ფუტურისტული იმიჯის გამყარება სცადა.

* 2011 წელს კომპანია „კოკა-კოლამ" „დაფტ ფანქის" კოსტიუმების მოტივებზე შექმნილ ბოთლებში, გამაგრილებელი სასმლის ლიმიტირებული პარტია ჩამოასხა. სერიას „დაფტ კოკა" ეწოდა და ის მხოლოდ საფრანგეთში იყიდებოდა.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**



## ოხრახუშს სამკურნალო თვისებები აქვს

დაახლოებით, 100 გრამი ახალმოკრეფილი ოხრახუში შეიცავს C ვიტამინისა და კაროტინის ორი დღის ნორმას. ეს მწვანილი, აგრეთვე, მდიდარია სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მინერალური ნივთიერებებითაც, კერძოდ, რკინით, კალიუმითა და კალციუმით.

ოხრახუშისგან მომზადებული პრეპარატები ამაღლებს შინაგანი ორგანოების, კერძოდ კი, საშვილოსნოს, შარდის ბუშტის, ნაწლავებისა და კუჭის ტონუსს, შლის ქვებს და გამოდევნის ქვიშას სადინარების საშუალებით. ასევე, აქვს ნაღველმდენი და სპაზმოლიზური ეფექტი. გულის დაავადებების, პროსტატიტის, დისპეფსიის, კოლიტების დროს ოხრახუში ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება ოხრახუშის ნაყენს, მისი დამზადების რამდენიმე ხერხი არსებობს: 1 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ დაახლოებით 1 საათის განმავლობაში თავდახურულ ჭურჭელში. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში ორჯერ, ჭამამდე 10-15 წუთით ადრე.

* აიღეთ 1 სადილის კოვზი ოხრახუშის გამომშრალი ფესვები, დააქუცმაცეთ, დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში დაახლოებით 3 საათის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა, დღეში სამჯერ.

* ახალგამოწურული ოხრახუშის წვენი შეგიძლიათ, მიიღოთ, როგორც ნაღველმდენი საშუალება, თითო სადილის კოვზი, დღეში ორჯერ.

* ოხრახუშის დაღეჭვა პირში ცუდ სუნს აქრობს, ასევე, მინიმუმამდე ამცირებს ბაქტერიებს.

ხალხურ მედიცინაში, ოხრახუში უძველესი დროიდან გამოიყენება ჭრილობების შესახორცებლად და თირკმელების დაავადებების სამკურნალოდ. ის, ასევე, აღადგენს ძალებს, ხელს უწყობს მხედველობის შენარჩუნებას და ამაგრებს ღრძილებს.

## როგორ ვლინდება კვებითი ალერგიები

ხანდახან ძალიან რთულია, გამოვიცნოთ, რომელია ჩვენთვის ალერგიული პროდუქტი. ამის გასარკვევად საჭიროა, ისეთი დიეტა შევადგინოთ, რომელშიც გამოვრიცხავთ ყველა იმ პროდუქტს, რომელიც მაღალი ალერგიული ქმედებით გამოირჩევა, მათი ჩამონათვალი კი საკმაოდ გრძელია და მხოლოდ ზოგიერთს მივანიშნებთ: ციტრუსები, თხილი, ნიგოზი, თევზეული, ზღვის პროდუქტები, ხორცი, შოკოლადი, ყავა, შებოლილი და დაკონსერვებული პროდუქტი, ასევე, სანელებლები და საკაზმები, მდოგვი, ძმარი, მაიონეზი, თალგამი, ჭარხალი, პომიდორი, ბადრიჯანი, სოკო, რძე, მარწყვი, ნესვი, ანანასი, თაფლი და სხვა. სამაგიეროდ, შეგიძლიათ, თამამად მიირთვათ და აუცილებლად ჩართოთ საკვებ რაციონში საქონლის უცხიმო ძროხის ხორცი, ბოსტნეულისა და ბურღულეულის სუპები, კარტოფილი, წიწიბურა, შვრია, ბრინჯი, მწვანილი, კიტრი, ვაშლი, საზამთრო, ჩაი, შაქარი; რძის პროდუქტებიდან კი ყველი, იოგურტი, კეფირი და ხაჭო.

კვებითი ალერგიის ყველაზე სერიოზული და საშიში გამოვლინებაა ანაფილაქსიური შოკი. შოკი ალერგენული პროდუქტის მიღებიდან რამდენიმე წუთში ვლინდება. ადამიანი ამ დროს კარგავს გონებას, ეწყება კრუნჩხვები, აყრის ტანზე, აღენიშნება პირღებინება და უნებლიე შარდვა.

თუ მოიწამლეთ, დალიეთ რაც შეიძლება ბევრი წყალი და, ეცადეთ, გული ძალით აირიოთ. როცა დარწმუნდებით, რომ კუჭი სუფთაა, მიიღეთ წყალში გახსნილი სამი აბი აქტივირებული ნახშირი. თუ საკვების მიღების შემდეგ, ნაწლავების სპაზმმა შეგაწუხათ, ეს, შესაძლოა, კვებითი ალერგიის გამოვლინება იყოს და სასწრაფოდ მიიღეთ „ნო-შპა“, რადგან ის მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ.

კვებითი ალერგიის დროს, ასევე, ხშირია ფაღარათი. ეცადეთ, მოხარშული კარტოფილი ჭამოთ და ამით უმკურნალოთ კუჭის აშლილობას.

აგრეთვე, ყველანაირი გამონაყარი, სიმშრალე, კანის აქერცლა ალერგენებისთვის არის დამახასიათებელი. თუ ჭამის შემდეგაც სახის ან ტუჩის ირგვლივ ქავილი დაგეწყოთ, შემდეგ კი ტანზეც გამოგაყარათ, ეს საკვებით მოწამვლაზე მეტყველებს. ამ შემთხვევაში, გამოიძახეთ ექიმი, მის მოსვლამდე კი კანზე დამარბილებელი კრემი წაისვით. ბანაობისგან კი თავი შეიკავეთ.

## გაზაფხულზე წვენების მიღება ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია

ხილის წვენი წმენდს ორგანიზმს, გამოაქვს წიდები და შხამები, ავსებს აუცილებელი ნივთიერებებით, კერძოდ, ამინომჟავებით, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით, რომლებიც გაზაფხულის დადგომასთან ერთად, აუცილებელია ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

ოღონდ, ხილისა და ბოსტნეულის მხოლოდ ახალგამოწურული წვენია სასარგებლო. წვენი აუცილებლად უზმოზე დალიეთ, რადგან ამ დროს ის უფრო სწრაფად და აქტიურად მოქმედებს.

**სტაფილოს** წვენი აუმჯობესებს მხედველობას, კბილების სტრუქტურას, შეიცავს დიდი რაოდენობით A, B, C, D და E ვიტამინებს, კარგია, მისი დალევა სისხლნაკლებობის დროს.

**ვაშლის** წვენი მდიდარია რკინით, რომელიც აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას და ააქტიურებს ორგანიზმის სასიცოცხლო ძალებს.

**ჭარხლის** წვენი ყველაზე სასარგებლოა სისხლის წითელი ბურთულების წარმოსაქმნელად და აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას, წმენდს ღვიძლს, თირკმელებს, ნაღვლის ბუშტს. ჭარხლის წვენი უნდა მიიღოთ დღის განმავლობაში მხოლოდ ნახევარი ჭიქა.

**კიტრის** წვენი კარგი შარდმდენი საშუალებაა. ის შეიცავს კალიუმის დიდ რაოდენობას, რის გამოც სასარგებლოა ჰიპერტონიის დროს. ასევე, აჩერებს თმის ცვენას და აუმჯობესებს მეხსიერებას.

**კარტოფილის** წვენი შველის კუჭის დაავადებებს. თუ ჭამის შემდეგ კუჭის არეში სიმძიმესა და ტკივილს გრძნობთ, დალიეთ უმი კარტოფილის წვენი და პრობლემა მოგეხსნებათ.

## ფაფები მარგებელი და აუცილებელი პროდუქტია

**ბრინჯსა** და **ფეტვს** ორგანიზმიდან მარილები გამოაქვს. მანანის ბურღული წმენდს ნაწლავებს. მას სწორი ნაწლავის კიბოთი დაავადებულთა დიეტაში რთავენ. ფეტვის ფაფა კი, კარგია სიმსუქნის საწინააღმდეგოდ, რადგან ცხიმების გამანეიტრალებელი ბუნებრივი პროდუქტია.

**სიმინდის** ტაროს ნახარში ნაღველმდენია, წმენდს ღვიძლს, თირკმელებს, დიდი ხნით მისი მიღება კი შლის კენჭებს.

**ხორბლის** ფაფა შეუცვლელია. ის იწვევს ენერგიის მომატებას, აუმჯობესებს გუნება-განწყობას და ხსნის სეზონურ დეპრესიას.

**ჭვავი** ამაღლებს იმუნიტეტს, ორგანიზმს მატებს სასიცოცხლო ძალას, კარგია ხანგრძლივი ავადმყოფობით დაუძლურებული ადამიანისთვის. **ქერის** ბურღული კი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

**წიწიბურას** განსაკუთრებულად სასარგებლო თვისებები გააჩნია. მისი ცილა უფრო სრულყოფილია, ვიდრე სხვა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტი. მისი ლიპოტროპიული თვისებები კარგა ხანია, გამოიყენება ღვიძლის, გულის, სისხლძარღვების დაავადებების დროს დიეტოთერაპიაში. წიწიბურას ამ სასარგებლო თვისებებს სძენს მეთიონინი, სოლინი, ლეციტინი

და ფოსფოლიპიდები. წიწიბურას ფაფა ხელს უწყობს სისხლის ნორმალურ შედედებას და ადამიანის ორგანიზმის ნერვული, ენდოკრინული სისტემების სათანადო დონეზე შენარჩუნებას. წიწიბურას ფაფები სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ინსულინს მოიხმარს.

### სუნთქვის გახშირება და ქოშინი საშიში სიმპტომებია

სუნთქვის გახშირება და ქოშინი მაშინ ვითარდება, როცა ორგანიზმი ცდილობს, სისხლში სასიცოცხლოდ აუცილებელი ჟანგბადის რაოდენობა შეინარჩუნოს.

ქოშინის მიზეზი შესაძლოა, იყოს ჭარბი წონა, სისხლში ჰემოგლობინის დონის დაწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და ფილტვების დაავადებები. ქოშინი იშემიური დაავადებების, კერძოდ, სტენოკარდიის ან ინფარქტის თანმდევია და სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლილობის ან ფილტვების შეშუპების მანიშნებელია. თუ ქოშინი ადამიანს უეცრად დაეწყება, ეს ჯანმრთელობის სერიოზულ დარღვევაზე მეტყველებს და დროულად უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა. უცბად აღმოცენებული ქოშინი, შესაძლოა, ფილტვის არტერიის დახშობის ან მისი ქსოვილის დაზიანების შედეგიც იყოს.

ღამით განვითარებული ქოშინი გულის რიტმის დარღვევის, ჰაერის მწვავე უკმარისობის, კარდიალური ან ქრონიკული ასთმის შეტევას უკავშირდება. ასევე, ქოშინი მძაფრ და უეცარ ემოციასაც სდევს თან. თუმცა, ემოციის ჩაცხრომასთან ერთად, გახშირებული სუნთქვა და ქოშინიც ქრება.

აგრეთვე, შესაძლოა, ქოშინი ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის, ან შაქრიანი დიაბეტის დროსაც განვითარდეს და უკონტროლოდ მიღებულმა მედიკამენტებმაც გამოიწვიოს.

გადაღლით გამოწვეული ქოშინი კი იმდენად საშიში არ არის, როგორც სუნთქვის უეცარი გახშირება.

### ესა თუ ის დაავადება, თუ კარგად დააკვირდებით, სახეზეც ამოიკითხება

ტუჩების გალურჯების მიზეზი კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის მოშლისა და სისხლძარღვების მუშაობის შენელების მანიშნებელია. ტუჩის მუდმივად ლურჯი ფერი, მოწმობს ვენური ქსელის დარღვევას, ანუ, ეს ვარიკოზის ნიშანია.



სახეზე გამონაყარი, თუ ის ინფექციური ხასიათის არ არის, ჩნდება ჩვეულებრივი დისბაქტერიოზის, ენტეროკოლიტისა და ენტერიტის დროს.

დიდი ზომის პიგმენტური ლაქები ღვიძლის ცუდი მუშაობის შედეგია. პატარა ლაქების მიზეზი კი – ნაღვლის ბუშტია. სახეზე მკრთალი ლაქები ჩნდება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევის შედეგად.

ლოყაზე წითელი ლაქების გამოჩენა ბრონქული სისტემის მოშლის მანიშნებელია.

კაპილარული ქსელი ლოყაზე მეტყველებს სისხლძარღვოვანი სისტემის მოშლის დაწყებასა და ჰიპერტონიაზე. ასევე, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მოუწესრიგებლობაზე. რაც უფრო დიდი ზომისაა ქსელი, მით მეტად არის დაავადებული ღვიძლი.

წითელი შეფერილობის ცხვირი და ნიკაპი სისხლძარღვოვანი სისტემის მოშლაზე მეტყველებს. ამ დროს, დარღვეულია კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქცია. თუ სახე მუდმივად წითელია, ეს ჰიპერტონიის სიმპტომია.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 15 წლის. სისტემატურად შუადღისით და თითქმის მთელი დღე მეძინება. ექიმისგან მხოლოდ ერთი წამალი მაქვს გამოწერილი „ეუთიროქსი 50" და იმის ბრალი ხომ არ არის? ან რისი ბრალია და რა გავაკეთო, იქნებ მირჩიოთ?**

**პასუხი:** რადგან ეუთიროქსს სვამთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰიპოთირეოზი გაქვთ. შეიძლება, ამას უკავშირდებოდეს თქვენი ჩივილები. საინტერესოა, იკონტროლებთ თუ არა წამლის სმასთან ერთად, პერიოდულად TSh ჰორმონს სისხლში. ასევე, უნდა გაიკეთოთ სისხლის საერთო ანალიზი და გამორიცხოთ ანემია. აკონტროლეთ არტერიული წნევაც.

**კითხვა: 7 კვირის ვადაზე შემიწყდა ორსულობა, სამედიცინო დაწესებულებაში ჩამიტარეს მედიკამენტური აბორტი. მას შემდეგ, გავიდა ერთი თვე, მქონდა ციკლი. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა, უკვე ვიფიქრო შემდეგ ორსულობაზე? თუ მეტი დროა საჭირო, რომ ორგანიზმი გამოვიდეს მიღებული მედიკამენტების ზეგავლენისგან?**

**პასუხი:** სასურველია რამდენიმე თვე მოიცადოთ, რომ საშვილოსნო მოემზადოს ახალი ორსულობისათვის.

**კითხვა: რით განსხვავდება ჩვეულებრივი, ჯანმრთელი ადამიანისაგან ის, ვინც ადრეულ ბავშვობაში ბოტკინი გადაიტანა? არის თუ არა ის ახლა ჯანმრთელი ან რა საფრთხე ემუქრება?**

**პასუხი:** არაფრით არ განსხვავდება. იგი პრაქტიკულად ჯანმრთელია. ბოტკინის დაავადება მწვავე ინფექციაა და როგორც წესი ქრონიკულ ფორმაში არასოდეს გადადის. პაციენტს არავითარი საფრთხე აღარ ემუქრება - წლების შემდეგ მით უმეტეს.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, სიფილისის დადგენა ნაცხის ან სისხლის ანალიზით და როგორ?**

**პასუხი:** სიფილისის დადგენა ხდება ნაჭდევის მიკროსკოპული დათვალიერებით, თუკი ის სახეზეა ანდა სისხლის ანალიზით.

**კითხვა: ბებია 13 წლის მანძილზე სვამდა პრეპარატ „იმოვანს". მას შემდეგ, რაც გავიგეთ, რომ ეს პრეპარატი ფსიქოტროპული მედიკამენტების ჯგუფს მიეკუთვნება, ვურჩიეთ, აღარ დაელია. 2-3 დღის შემდეგ დაეწყო ეგრეთ წოდებული „ლომკის" სიმპტომები. გარკვეული სიმპტომები მანამდეც ჰქონდა, უბრალოდ, ვერ დავუკავშირეთ ამ ყველაფერს. როგორ გვირჩევთ, შესაძლებელია თუ არა, ამ მედიკამენტის ზემოქმედებისგან გათავისუფლება დოზის თანდათანობითი შემცირებით. თუ საჭიროა, ნარკოლოგთან ვიზიტი ან კლინიკაში მკურნალობა? ვის შეიძლება მივმართოთ, ხომ ვერ გვირჩევთ?**

**პასუხი:** ამ პრეპარატის ხანგრძლივად მიღებისას უეცარი მოხსნის შემთხვევაში, ვითარდება ეგრეთ წოდებული მოხსნის სინდრომი. სასურველია, პრეპარატის დოზის თანდათანობით შემცირება და გარკვეული დროის შემდეგ, მოხსნა. პაციენტმა უნდა იცოდეს იმის შესახებ, რომ მას შეიძლება, მოხსნის სიმპტომები ჰქონდეს. თუ ამგვარი თანდათანობითი მოხსნის შემთხვევაშიც აღენიშნება მკვეთრად გამოხატული სიმპტომები, უნდა მიმართოთ ნევროლოგს და შესაძლოა, მოხსნის პერიოდში სხვა პრეპარატი დაგინიშნოთ.

**კითხვა: ნორმალურია 13 წლიდან 9-დღიანი ციკლი – სამი დღე ნორმალურად და დანარჩენი დღეები მცირედი, მაგრამ, მაინც 9 დღე. არაფერი მაწუხებს სხვა. ვარ 24 წლის ქალიშვილი.**

**პასუხი:** 9 დღე გამონადენი ცოტა გახანგრძლივებულია. კარგი იქნება გინეკოლოგთან ვიზიტი და ჰორმონული ბალანსის შემოწმება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# როგორ მოიპოვა არჩილ გომიაშვილმა ოსტაპ ბენდერის როლი „12 სკამში“ და როგორ დაკარგა შტირლიცის როლი „გაზაფხულის ჩვიდმეტ გაელვებაში“

ძალიან დიდხანს რიგითი მაყურებლისთვის უცნობი იყო კოხტაიას როლის შემსრულებლის ვინაობა ფილმში „რაც გინახავს, ველარ ნახავ". ეს იყო არჩილ გომიაშვილის ყველაზე სახასიათო როლი კინოში ვასო გოძიაშვილისა და ალექსანდრე ნინუას როლების გვერდით. ასეთივე შთამბეჭდავი და წარმატებული იყო მის მიერ ნათამაშები როლები ფილმებში: „თხუნელა" (ზურა), „მიმინო" (ნუგზარი), „კავკასიური ამბავი" (ეროშკა), „სპილენძის ანგელოზი" (ანტონიო)...



„12 სკამი"კი, შეიძლება ითქვას, მსახიობის სავიზიტო ბარათად იქცა. ლეონიდ გაიდაი ოსტაპ ბენდერის როლზე მსახიობს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ეძებდა. გასინჯა საკმაოდ სერიოზული მსახიობები: მიხაილ კოზაკოვი, ალექსეი ბატალოვი, ოლეგ ბორისოვი, მიხაილ შირვინდტი, ანდრეი მირონოვი, ვალენტინ გაფტი, ნიკოლაი გუბენკო, ვლადიმ-



ირ ვისოცკი, ნიკოლაი რიბნიკოვი, ალექსანდრ ბელიავსკი... როლი იმ დროისთვის პოპულარულ მომღერალს, მუსლიმ მაგომაევსაც კი შესთავაზა, მაგრამ, რეჟისორის აზრით, ოსტაპ ბენდერის სახე ქართველ მსახიობ არჩილ გომიაშვილზე უკეთ ვერავინ მოირგო. ფილიპოვის გვერდით ის მართლაც ბრწყინვალე იყო. გომიაშვილისთვის ეს როლი უცხო სულაც არ ყოფილა – ჯერ კიდევ 1958 წელს, თავისსავე დადგმულ მიუზიკლში – „ოსტაპ ბენდერი ესტრადაზე," მან ყველა როლი თავადვე შეასრულა. ამ სპექტაკლით ის გასტროლებს აწყობდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. სწორედ ამ დროს შეიტყო ლეონიდ გაიდაიმ, რომ ქართველი მსახიობი, ვინმე არჩილ გომიაშვილი, პროვინციული თეატრების სცენაზე ოსტაპ ბენდერს თამაშობს. მის სანახავად გორკში ჩავიდა და სწორედ მაშინ მიიღო მისი როლზე აყვანის გადაწყვეტილება. მსახიობს ფილმი არც ისე მოსწონებია და, პრემიერის შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, გაიდაისთვის უთქვამს: რომ მცოდნოდა, ასეთ უვარგის ფილმს გადაიღებდი, მონაწილეობაზე არ დაგთანხმდებოდი. მეც რომ მცოდნოდა, ასეთი უვარგისი არტისტი იყავი, არ გადაგიღებდიო, – უპასუხია განრისხებულ რეჟისორს და ამით დამთავრებულა მათი ურთიერთობაც. 25 წლის თავზე, ბიზნესში წასულმა არჩილ გომიაშვილმა ფილმის მონაწილენი რესტორანში დაპატიჟა და მათ შორის იყო ლეონიდ გაიდაის მეუღლეც. მასპინძელმა სტუმრებს სიმბოლურად დაახვედრა 12 სკამი, რომლებშიც სიურპრიზი ელოდათ.

ალბათ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ის ინფორმაციაც, რომ მრავალსერიანი ფილმის – „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" – რეჟისორს, ტატიანა ლიოზნოვას, რომელსაც პირადი სიმპათიები ჰქონდა არჩილ გომიაშვილის მიმართ, უნდოდა, შტირლიცის როლი მას შეესრულებინა, მაგრამ, ქართველი მსახიობის თამაში რუსი მზვერავის როლში საბჭოთა მთავრობაში არ ისურვეს, თუმცა, ვიაჩესლავ ტიხონოვის შტირლიცი მართლაც რომ განუმეორებელია. ამ გამორჩეულად საინტერესო მსახიობის დღიურებს მისი შვილი, მიშა გომიაშვილი გაგაცნობთ.

### გომიაშვილის მაუზერი

მამაჩემი გრიბოედოვის თეატრში თამაშობდა. ერთ-ერთ სპექტაკლში ნამდვილი მაუზერი, კარაბინი (ანუ შაშხანა) და ხმალი მისცეს. ნაშუადღევს მოვიდოდა, შეჭამდა, ცოტას წაუძინებდა და ისევ თეატრში გარბოდა რეპეტიციებზე. ერთხელ, როგორც იყო ასხმული ამ იარაღით, ასე მოვიდა და დაიძინა. ბავშვები კიროვის პარკში ომობანას ვთამაშობდით ხოლმე. მოვპარე მამას აბჯარი, ავისხი და წავედი სათამაშოდ. ორმა მილიციელმა გამოიარა მოტოციკლით. დაინახეს ბავშვი მაუზერით, კარაბინით ხელში და ამაზე ერთი ამბავი ატყდა...



მშობლებმა 53-ე სკოლაში შემიყვანეს, სადაც ერთი წელი ვისწავლე. პირველივე წელს უნდოდათ ჩემი ჩატოვება კლასში. ამ პერიოდში მამას „12 სკამში" იღებდნენ. ფილმი რომ დასრულდა, მოსკოვის კომკავშირის სახელობის თეატრმა მიიწვია. დადგა ჩვენი მოსკოვში წაყვანის საკითხი. მივიდა მასწავლებელთან და უთხრა: დაუწერეთ ნიშანი, მოსკოვში მიმყავს და, ორიანებით ხომ ვერ წავიყვანო. მოსკოვში



ძალიან ცუდი, უმეგობრო ბავშვები იყვნენ – ეტყობა, რუსებს სისხლში აქვთ ეს გამჯდარი. აბა, მეორე და მესამეკლასელი ბავშვი რომ იტყვის – შავტრაკა ქართველიო, იმას რა უნდა გააგებინო. ეს იმ ოჯახისა და გარემოს ბრალია, რომელშიც ბავშვი ტრიალებს, თორემ, თვითონ აზრადაც არ მოუვა ასეთი რამ, მაგრამ, მე ერთი ვიყავი და ისინი – ათასი, რას მოვერეოდი. ერთხელ, დედაჩემი შეესწრო, რომ სკოლის უკანა ეზოში წრეზე შვიდი ბავშვი დგას და შუაში მე ვარ მოქცეული, დანა მაქვს გახსნილი და ხელიდან არ ვუშვებ. ვხედავ, რომ უნდა მცემონ და, რატომ უნდა გავალახვინო თავი? თავს ვიცავ. ერთ-ერთი გაიქცა დირექტორთან და უთხრა. მერე მამამ სხვა სკოლაში გადამიყვანა. ჩვენ რომ მოსკოვში წავედით, ჩემს ძმას სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა და „ვგიკში" ჩასაბარებლად ემზადებოდა, თუმცა, მას



საერთოდ არ აინტერესებდა ეს საქმე; ოღონდ ხელში „პაიალნიკი" სჭეროდა, სხვა არაფერი უნდოდა. მას თბილისში შეყვარებული ჰყავდა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ აქეთ წამოსულიყო. დედამ თქვა, ხომ არ შეიძლება, ჩვენ აქ ვიყოთ და ბავშვი თბილისშიო. მოკლედ, მე და დედაც წამოვედით. ასე დარჩა მამა მოსკოვში. დედამ ვერაზე, 51-ე სკოლაში მიმიყვანა. მერე, ხან მამა ჩამოდიოდა, ხან ჩვენ ჩავდიოდით.

### ოცი დღე ბედნიერებისთვის

დედაჩემი, ლიანა მანჯგალაძე და მამიდაჩემი მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები იყვნენ და მეგობრობდნენ. დედა ლამაზი ქალი იყო. ერთხელ მამა თეატრში თავისი დის სპექტაკლის სანახავად მივიდა. დედა რომ დაინახა სცენაზე, ძალიან მოეწონა. სხვათა შორის, ქალების მოხიბვლის დიდი ნიჭი ჰქონდა. დედას, თურმე, რამდენიმე ცნობილი მსახიობი სთხოვდა ცოლობას, მაგრამ, არავის სთანხმდებოდა, მამას კი ზუსტად ოცი დღე დასჭირდა იმისთვის, რომ ცოლად გაყოლაზე დაეთანხმებინა.

### ლეონიდ გაიდაის აღმოჩენა

მამას ერთი მსახიობის, პანტომიმის თეატრი ჰქონდა და თავისი ბენდი ჰყავდა – „დიქსილენდი". მარტო თამაშობდა ხოლმე შვიდ და რვა როლს ერთად. მის ერთ-ერთ წარმოდგენას ერქვა „ოსტაპ ბენდერი ესტრადაზე", რომელმაც მთელი საბჭოთა კავშირი მოიარა. გასტროლებზე იალტაშიც იყო. მის იქ ყოფნას დაემთხვა „12 სკამის" გადაღებები. ფილმის პირველი სერია უკვე დამთავრებული იყო და ოსტაპ ბენდერის როლზე ცნობილი მსახიობი, ბელიავსკი ჰყავდათ. ფილმის დირექტორმა შემთხვევით წაიკითხა მამას აფიშა და სპექტაკლის სანახავად წავიდა და პირველივე აქტის დასრულების შემდეგ გაიდაის მოსაყვანად გავარდა. იმდენად

# რამდენად ეფექტურია ოზონოთერაპია გულის იშემიური დაავადების დროს

*ალბათ დამეთანხმებით, რომ დღეს მსოფლიოს მასშტაბით, კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გულია, რომელმაც ბოლო დროს ასაკი ნამდვილად არ იცის და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა ხშირად ახალგაზრდებშიც იჩენს თავს. ზოგი თანხმაა მკურნალობა მედიკამენტური გზით ჩაიტაროს და ქირურგიულ ჩარევაზეც არ ამბობს უარს საჭიროების შემთხვევაში. თუმცა, არიან ისეთებიც, ამას კატეგორიულად რომ ეწინააღმდეგებიან და უპირატესობას ოზონოთერაპიას ანიჭებენ. ჩვენი რესპონდენტია „აინო," ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკის ექიმი, ადა მჭედლიძე, რომელიც გვეტყვის, თუ რამდენად ეფექტურია, ოზონოთერაპია გულის იშემიური დაავადების დროს.*



**– ქალბატონო ადა, როგორი შედეგი აქვს ოზონოთერაპიას გულის იშემიური დაავადების დროს?**

– ოზონოთერაპია ეფექტური არამედიკამენტოზური მეთოდია, რომელიც წარმატებით გამოიყენება კარდიოლოგიაში – გულის იშემიური დაავადების, სტენოკარდიის, არითმიის, ჰიპერტონული დაავადებებისას. ოზონი ამცირებს არითმიული სინდრომის განვითარების რისკს. ოზონი უძლიერესი დამჟანგველია. ის უჯრედშორის სივრცეში არსებულ მჟავებს მეტაბოლიზმის საბოლოო პროდუქტებამდე ჟანგავს, რითაც თავიდან აგვაცილებს აციდოზს.

**– „აინო" ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკაა, რომელიც თბილისში, მცხეთის ქუჩაზე 8/90-ში მდებარეობს. ძალიან ბევრი ადამიანი მოდის თქვენთან ამა თუ იმ პრობლემით. შესაბამისად, უამრავ ადამიანს აწუხებს გულის პრობლემები და მედიკამენტურ მკურნალობას, ოზონოთერაპიას ამჯობინებენ.**

– უამრავი ადამიანი, მოდის კლინიკაში ამ პრობლემით, ასევე გვიკავშირდებიან ტელეფონის ნომრებზე: 225 31 39; 571 25 55 33. ოზონოთერაპია აქტიურად გამოიყენება გულის ათეროსკლეროზული დაზიანების დროს. ოზონი ააქტიურებს ფერმენტული დაცვის სისტემას და იცავს ქსოვილებს იშემიური დაზიანებისაგან. ოზონი აწესრიგებს ლიპიდურ ცვლას და დადებითად მოქმედებს ჰომეოსტაზზე. ოზონი აწესრიგებს სისხლის რეოლოგიას – დენადობას და ხელს უშლის სისხლძარღვებში თრომბების წარმოქმნას.

ოზონის დახმარებით, აქტიურდება მეტაბოლიზმი ერითროციტებში, ჩქარდება ჟანგბადის გამოთავისუფლება ჰემოგლობინისგან და მისი მიწოდება ქსოვილებისთვის. ყოველივე ამის შედეგად ხდება ჰიპოქსიის ლიკვიდაცია და უჯრედების ფუნქციონირების აღდგენა. ოზონი აუმჯობესებს მიკროცირკულაციას – კაპილარულ სისხლის მიმოქცევას, რაც ოზონოთერაპიის უმთავრესი ეფექტია.

**ოზონოთერაპია ეფექტური არამედიკამენტოზური მეთოდია, რომელიც წარმატებით გამოიყენება კარდიოლოგიაში - გულის იშემიური დაავადების, სტენოკარდიის, არითმიის, ჰიპერტონიული დაავადებებისას**

**– უპირველესად, რას ექცევა ყურადღება სისხლძარღვების დაავადებების დროს?**

– სისხლძარღვების დაავადებებისას პირველ ყოვლისა, ყურადღებას ვაქცევთ არტერიოსკლეროზს, არტერიებისა და გულის სარქვლების დაზიანებას, არტერიების კედლების ელასტიურობის შემცირებას. ამავე დროს, სრულიად არ ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსხვილ სისხლძარღვებში სისხლის საერთო მოცულობის მხოლოდ 10 პროცენტი მოძრაობს. კაპილარული სისტემა თავისი სიგრძით (დაახლოებით 100 000 კილომეტრი) ბევრად აღემატება არტერიებისა და ვენების საერთო სიგრძეს. ნებისმიერი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში, უმთავრესია, კაპილარების კედლებში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინება. ოზონი წმენდს ნებისმიერი კალიბრის კაპილარს და აღადგენს მასში სისხლის მიმოქცევას. კაპილარული სისხლის მომოქცევის ნაწილობრივ აღდგენის შემთხვევაშიც კი, ავტომატურად აღდგება ყველა ორგანოსა და ქსოვილის სისხლით მომარაგება, მათთან ჟანგბადის მიტანა. დაზიანებულ უჯრედებში აღდგება ნივთიერებათა ცვლა, აქტიურდება ჟანგვა-აღდგენითი პროცესები და აქტიურდება მისი ფუნქციონირება.

ოზონოთერაპიის ფონზე მცირდება ტკივილის ინტენსივობა, იზრდება ორგანიზმის გამძლეობა ფიზიკური დატვირთვის მიმართ, აქტიურდება ანტიოქსიდანტური დაცვის სისტემა.

**– გულის არითმიისას რა ხდება?**

– გულის არითმიისას ოზონოთერაპია ამცირებს პაროქსიზმების სიხშირეს. ოზონოთერაპიის ფონზე ნორმაში მოდის ლიპიდური სპექტრი, მცირდება ფიბრინოგენი და პროთრომბინის ინდექსი. უმჯობესდება პაციენტის სუბიექტური შეგრძნებები და მაღლდება შრომისუნარიანობა.

**მარიკა ხიდურელი**

---

მოეწონათ მამა, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყეს. მერე ჭორი წავიდა, ვითომ მამაჩემს გაუგზავნია გაიდაისთვის დეპეშა – ჩამოვდივარ და დამხვდითო. ქვემოთ კი, „ოსტაპ ბენდერი" მიუწერია

## „დიდი კომბინატორის" სიცოცხლის ბოლო დღეები

... ფილტვში სიმსივნე აღმოაჩნდა. დიაგნოზი მოსკოვში დაუსვეს. ოპერაციის გაკეთება ნიუ-იორკში მოისურვა. მოსკოვში რომ გაკეთებულიყო, ალბათ, დღეს ცოცხალი იქნებოდა. მერე დაიწყო მისი ჯანმრთელობის გაუარესება – მეტასტაზები ყველგან წავიდა.



ბურდენკოს კლინიკის დირექტორმა მითხრა, ძალიან მეშინია მისთვის ოპერაციის გაკეთება, ვერ გადაიტანსო. ოპერაცია რომ გაკეთდეს, როგორ იქნება საქმე-მეთქი. ერთ კვირას ერთი ხელი გაუჩერდება, მეორე კვირას მეორე. წლებზე აღარ არის ლაპარაკი, სამი თვე თუ იცოცხლებსო. ვუთხარი, თუ შეიძლება, მამას დაველაპარაკები და პასუხს გეტყვით-მეთქი. საერთოდ, მამაჩემს ვერაფერს დაუმალავდი, ყველაფერი უნდა სცოდნოდა. კარგად იცოდა, რაც ხდებოდა მის თავს, მაგრამ, ბუნებით ძლიერი კაცი იყო. პალატაში შევედი და ვუთხარი, რაშიც იყო საქმე. ოპერაცია რომ არ გავიკეთო, რა მოხდებაო? ლაპარაკი სიცოცხლის მცირე ხნით გახანგრძლივებაზეა. ასე რომ, შენი გადასაწყვეტია-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, მითხრა, მღვდელი მომიყვანეო. მეორე დღეს გამოაცხადა, ოპერაციას არ ვიკეთებ, სახლში წამიყვანეთო. ორი დღის მერე თბილისში გადაღება უნდა მქონოდა და გადმოვფრინდი, ჩემი ძმა დარჩა მასთან. ორ დღეში ჩემმა ძმამ დამირეკა და მითხრა, ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტაო. როგორც კი თვითმფრინავი აეროპორტში დაჯდა, გადავრეკე და მითხრეს, საოპერაციოში ახლახან შეიყვანესო. მივუსწარი. კონოვალოვის კაბინეტში ვიჯექი და დიდ ტელევიზორში ვუყურებდი ოპერაციას. კონოვალოვი რომ გამოვიდა საოპერაციოდან, თქვა, არ შეგეშინდეთ, ალბათ, ერთი კვირა მაინც ვერ გამოვა მდგომარეობიდანო, მაგრამ, მამამ საღამოს თვითონ მოიძრო მილები და პალატაში გადაყვანა მოითხოვა. დერეფანში რომ მოჰყავდათ, მისი გინება გავიგონე – აბსოლუტურად საღ გონზე იყო. გადავიყვანეთ თუ არა, ფეხზე დადგა. მერე სიმსივნემ თავში დაიწყო ზრდა...



პანაშვიდებზე უამრავი დეპეშა მივიღეთ და აუარება ხალხი მოვიდა. ვიღაცამ მიკროფონთან არმენ ჯიგარხანიანის სიტყვები გაიმეორა – თბილისში არჩილის ყველა სპექტაკლზე ჩამოვდიოდი და მისგან ვსწავლობდი მსახიობის ოსტატობასო. ვისაც არჩილი თეატრში არ უნახავს, ვერ მიხვდება, რა დონის მსახიობი იყო. შემონახული მაქვს აფიშები და მახსოვს კიდეც, როგორ ჩადიოდა მამაჩემი სპექტაკლის სათამაშოდ ერევანში. გრიბოედოვის თეატრში „გვესაჭიროება მატყუარა" დაიდგა, რომელშიც მთავარ როლს მამა ასრულებდა. იმ დროს იგივე სპექტაკლი დაიდგა ერევანშიც, სადაც მთავარ როლში არმენ ჯიგარხანიანი იყო. ერთ დღეს სპექტაკლი რაღაც მიზეზით ჩაუვარდათ. მას მერე მამა ჩადიოდა და მის ნაცვლად თამაშობდა...

მამაჩემი ერთ ადგილას დამჯდარი არასდროს მინახავს, მეტეორივით აქეთ-იქეთ დაქროდა. ღამის ოთხ საათზე იძინებდა და დილით შვიდზე იღვიძებდა. სულ იმას ამბობდა, სირბილში უნდა მოვკვდეო. საოცრად მოუსვენარი ადამიანი იყო

**ეკა პატარაია**



**კლინიკური სიკვდილი ადამიანებს ძირითადად, ექსტრემალურ სიტუაციებში ემართებათ. მათი თქმით, იმქვეყნად ბევრი რამ ნახეს – გარდაცვლილი ახლობლები, ნათესავები და, ბოლოს, რაღაც ძალამ ისინი ისევ ამქვეყნად მოაბრუნა. თუმცა ვერავინ ხსნის, რა არის სიკვდილის წინა გამოცდილება. ერთ-ერთმა ამერიკელმა მეცნიერმაც სცადა ამ მისტიკური მოვლენისთვის ფარდის ახდა. წლები შეალია ამ ფაქტების კვლევა-ძიებას. მისი მტკიცებით, არსებობს მექანიზმი, რომლის წყალობითაც, ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ერთსა და იმავე მოვლენას ეჯახებიან.**

**ჩვენი რუბრიკის სტუმარი, ბატონი ამური, სწორედ ის ადამიანია, რომელიც თავად შეხვდა ამერიკელ მეცნიერს და მან საკუთარი გამოცდილების შესახებ უამბო. ბატონი ამური ათეისტურ გარემოცვაში გაიზარდა და სჯეროდა, რომ იმქვეყნიური ცხოვრება არ არსებობდა, თუმცა დღეს ეჭვი აღარ ეპარება, რომ სიკვდილის შემდეგაც სიცოცხლე გრძელდება.**

# როდის ხვდებიან საიქიოში გარდაცვალებამდე და რატომ ემართება ადამიანს კლინიკური სიკვდილი

**ამური**: ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა კლინიკური სიკვდილის შემთხვევები. ვერ გეტყვით, რა არის ამის მიზეზი. შესაძლოა, ადრე არ ახმაურებდნენ, დღეს კი ამაზე თამამად ლაპარაკობენ და, იმის არ ეშინიათ, რომ ვინმე გიჟად შეგვრაცხავსო.

ჩემი აზრით, საიქიოს ხილვა ეს ძილის ნაირსახეობაა. უფრო კონკრეტულად კი, მისი ერთ-ერთი ფაზა, ეგრეთ წოდებული, სწრაფი ძილის დარღვევა, რასაც თან ახლავს მთელი რიგი მოვლენები. კომუნისტურ რეჟიმში გავიზარდე და თავის დროზე საკმაოდ მაღალი თანამდებობაც მეჭირა. ვერ მოგატყუებთ, რომ საიქიოს არსებობის მჯეროდა-მეთქი. კლინიკურ სიკვდილსა და გვირაბის ბოლოს სინათლის ხილვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მოკლედ, არ მჯეროდა ამ მისტიკური, ამოუცნობი და შეუცნობელი ფენომენების და რა მექნა? სანამ საკუთარ თავზე არ გამოსცდი, გიჭირს ასეთი რამის დაჯერება. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ისეთი რამ შემემთხვა, რამაც რადიკალურად შეცვალა ჩემი ცხოვრება და შეხედულებები. როგორც გითხარით, თანამდებობის პირი გახლდით და ხშირად მიწევდა რაიონებში გამგზავრება. სულ გზაზე ვიყავი გაკრული. ერთ დღეს ადრიანად გავიღვიძე, რომ რაიონში წავსულიყავი. ცოლმა მთხოვა, დღეს ნუ წახვალ, დარეკე მოადგილესთან და რამე მოიმიზეზეო. გავბრაზდი, ეს როგორ მაკადრე, ჩემი საქმე სხვას როგორ გადავაბარო და ვანდო, სამსახური სამსახურია და ვერ გავაცდენ, თან, საპატიო მიზეზი ხომ უნდა მქონდეს-მეთქი. თურმე ჩემს ცოლს ცუდი სიზმარი უნახავს, მაგრამ დამიმალა. არადა, გაღვიძებულს, ისეთი განცდა მქონდა, მანამდე რომ არ მიგრძნია.

**– რა განცდა?**

– ძალიან ცუდ განწყობაზე გავიღვიძე. ყველაფერი მაღიზიანებდა და არ მინდოდა, სახლიდან გასვლა, მაგრამ სამსახურის საქმისთვის, ეს აუცილებელი იყო. მოკლედ, ვისაუზმე, დავემშვიდობე ცოლ-შვილს და გავედი სახლიდან. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს აქ ვეღარ დავბრუნდებოდი. სანამ მანქანასთან მივედი, ვიგრძენი, ვერ ვიყავი კარგად. შევჩერდი, დავფიქრდი ცოლის ნათქვამზე, მართლა რამე ხიფათი ხომ არ მელის-მეთქი, მაგრამ არ მივაქციე ყურადღება. ჩავჯექი მანქანაში და გზას დავადექი. გზაში ვფორიაქობდი, თითქოს რაღაც არ მასვენებდა, თან საშინელი აზრებიც ამეკვიატა, გარდაცვლილი დედაც გამახსენდა. ცოლზე ვბრაზობდი, სულ იმის ბრალია ყველაფერი-მეთქი. ქალაქს რომ გავცდი, ჩემს უკან მომავალმა მანქანამ საშინელი სისწრაფით გამისწრო, საპირისპიროდ მომავალ, წინმსვლელ მანქანას გვერდი ძლივს აუარა, შიშმა ამიტანა, მეც სწრაფად დავამუხრუჭე, საჭე მარჯვნივ ავიღე, გზიდან დავავედი და ამოვტრიალდი. ეს მომენტი ახლაც კარგად მახსოვს, მაგრამ ამის მერე, მთელი ორი კვირა კომაში ვიყავი. ერთი სიტყვით, კლინიკური სიკვდილი გადავიტანე.

**– ამბობენ, ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანს მთელი მისი ცხოვრება კადრებივით ჩაუვლისო. ასე მოხდა თქვენს შემთხვევაშიც?**

– სხვათა შორის, სანამ იმ ადგილამდე მივიდოდი, მთელი გზა წარსულ ცხოვრებაზე ვფიქრობდი, ვაანალიზებდი ჩემს მოქმედებებს, შეცდომებს. ასეთი რამ ადრე არასდროს მქონია. საქმესთან სულ მობილიზებული ვიყავი და საქმეზე მიმავალი, არასდროს ვფიქრობდი წარსულზე, მით უმეტეს, განვლილ ცხოვრებასა და დაშვებულ შეცდომებზე. ხომ გითხარით, იმ დღეს რაღაც საშინელ განწყობაზე ვიყავი და უჩვეულო აზრები ამეკვიატა. რომ ამბობენ, ცხოვრება კადრებივით ჩაუვლის ადამიანს ექსტრემალურ სიტუაციაშიო, სწორედ ეს დამემართა. ახლა აღარ მეპარება ეჭვი, რომ კლინიკური სიკვდილი ნამდვილად შესაძლებელია და არც მაშინ ტყუიან, როცა ამბობენ, გვირაბი გავიარე და ბოლოში სინათლე ჩანდაო.

**– ყველა ადამიანი, ვინც ამას ირწმუნება, იმასაც ამბობს, იმქვეყნათ ახლობლები დამხვდნენ, მესაუბრნენ და მერე უკან გამომაგდესო. თქვენ რა იხილეთ საიქიოში დროებით მოხვედრილმა?**

– როგორც ყველა დროებით იმქვეყნად მოხვედრილი ამბობს, მეც ენით აუწერელი სილამაზე, სიმშვიდე და ნეტარება განვიცადე და ვიხილე. არ მინდოდა აქეთ დაბრუნება. დედაჩემი შემეგება პირველად და სხვათა შორის, არ გახარებია ჩემი დანახვა. მითხრა, ვიცი, შენი დრო ჯერ არ დამდგარა და ჩემ სანახავად დროებით მოხვედიო. კლინიკური სიკვდილის მომენტში, ბედნიერი ვიყავი, გამოფხიზლებისას კი ისეთი ტკივილი ვიგრძენი, ვერ აგიწერთ. ორი კვირა ვიყავი კომაში და ასე მეგონა, თითქოს სულ რაღაც ხუთი წუთი იყო გასული.

> **იმქვეყნიდან რეალობაში გადმოსული ადამიანი, არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ ტკივილსაც განიცდის**

**– ეზოთერიკოსები და მეცნიერები, კვლევის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ ყველზე დიდ ფიზიკურ ტკივილს ადამიანი მაშინ განიცდის, როცა კლინიკური სიკვდილიდან გამოსული რეალობას ეჯახება. თქვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა?**

– საერთოდ, კვლევებით დამტკიცებულია, რომ ტვინს ასი პროცენტით არასდროს სძინავს და არც ასი პროცენტით იღვიძებს. ყველაზე საინტერესო კი სწორედ მაშინ იწყება, როცა ძილი და სიფხიზლე ერთმანეთს ეჯახება. ის, რომ იმქვეყნიდან რეალობაში გადმოსული ადამიანი ტკივილს განიცდი, ეს სწორია – არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ ტკივილსაც.

**– მეცნიერებმა გაშიფრეს საიქიოში მყოფ ადამიანთა ხილვები. საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია დადეს და თუ იცნობთ მას?**

– როგორ არა. იმ ამბის შემდეგ, მსგავსი რამეებით სულ ვინტერესდები და თუ სადმე რაიმე ინფორმაციას წავაწყდი, სულ ვკითხულობ. მოკლედ, მათი თქმით, გვირაბი ადამიანის ტვინში კეფის მხარეს ჩნდება. ამ დროს მხედველობის არე მკვეთრად ვიწროვდება და თვალის გუგა ბუდის ცენტრალურ ნაწილშია გაჩერებული. შედეგად იქმნება ილუზია, რომ ადამიანი გვირაბს ხედავს. მთელი ცხოვრება თვალწინ გაირბენს, გამოჩნდებიან გარდაცვლილი ნათესავებიც. ერთი სიტყვით, დროებით ხვდები, იქ, სადაც ჯერ ადრეა მისვლა. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ტვინში ის ნაწილები ამუშავდა, რომლებიც ხანგრძლივ მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი. ეს ნაწილი პირველი ჩაირთვება, როცა კრიზისი გაივლის.

**– ის ფენომენი თუ არის ახსნილი, როცა სული დროებით ტოვებს სხეულს?**

– სული სხეულს რომ ტოვებს, ეს ფენომენიც შეიძლება, აიხსნას. ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა გათიშვის პირას მყოფი ადამიანის ტვინში ქაოსურად აქტიური ის ნაწილი ხდება, რომელიც მხედველობის, შეხებისა და წონასწორობის ორგანოებთანაა დაკავშირებული. შედეგად, სიგნალები ერთმანეთში ირთვება. ანუ, ტვინი უგზავნის მხედველობის ორგანოს ინფორმაციას სივრცეში სხეულის მდგომარეობის შესახებ. ასე ჩნდება ცრუ სურათები, გამოფხიზლებისას კი, ადამიანს ახსენდება, თითქოს საკუთარ თავს ზემოდან უყურებდა; თითქოს სიზმარში ნახა ის, რაც რეალურად გადახდა; ახსენდება ცხოვრებისეული, მნიშვნელოვანი მომენტები; თითქოს ტვინში ხან ირთვებოდა რაღაცა, ხან – ითიშებოდა და მერე ისევ თავიდან იწყებდა მუშაობას. აქედან მოდის ხილვებიც. ადამიანი ცხადსა და სიზმარს კარგად არჩევს ერთმანეთისგან და, რომ მეუბნებიან, შენ იმქვეყნად კი არ იმოგზაურე და კლინიკური სიკვდილი კი არ გქონდა, არამედ, სიზმრები ნახე და ახლა ისინი გახსენდებაო, მწყინს. დამიჯერეთ, მე ის ადამიანი არ ვარ, სიზმარი ხილვის ან რეალობისგან ვერ გავარჩიო.

**ნონა დათეშიძე**

## ძლიერი ჰიპნოზი

კაცები ნელ-ნელა ხვდებიან, რომ ქალები არც ისეთი სუსტები არიან, როგორი მოსაზრებაც არსებობდა აქამდე მათ შესახებ. მათ ვილაცამ სუსტი სქესი შეარქვა და მამაკაცსაც ჩააგონა ეს. ზოგიერთი მამაკაცი საერთოდაც ფიქრობს, რომ ამით ქალების წისქვილზე ესხმება წყალი და ძალიანაც აწყობთ, რომ სუსტებად მიიჩნევდნენ. მაგრამ, ქალები ამას არ ეთანხმებიან. თუმცა, ძნელია, მოძებნო ქალი, რომელსაც არ ექნება სურვილი, გვერდით ძლიერი დასაყრდენი ჰყავდეს.

სხვათა შორის, ჭკვიან ქალს სისუსტე კომუფლაჟად აქვს მორგებული და სერიოზულ იარაღადაც იყენებს. ფსიქოლოგები დაგვიდასტურებენ, ქალი რომ ცრემლების ღვრას იწყებს, კაცი მასში ისე იძირება, როგორც „ტიტანიკი". ვერ უძლებს კაცი ქალის ცრემლებს და მორჩა! ქალის ცრემლები ყველაზე ძლიერი და ეფექტური ჰიპნოზია. თუ ქალმა იცის, როდის და რა რაოდენობით ცრემლი გადმოყაროს, მის გვერდით მყოფ მამაკაცს ადვილად აუბნევს თავგზას და რაც თავად უნდა, იმას გააკეთებინებს.

მამაკაცი, რომელიც ცრემლების ჰიპნოზის გავლენის ქვეშ ექცევა, უამრავ გაუაზრებელ და არაპროგნოზირებად საქციელს სჩადის, დაწყებული შეკითხვიდან: „რა გინდა, საყვარელო"... გაგრძელებული საჩუქრებით და ფიცით მარადიულ სიყვარულზე... ვინ არის ასეთ სიტუაციაში ბედნიერი, ძნელი სათქმელია, მაგრამ უბედურიც რატომ უნდა იყოს რომელიმე?! მერე რა, თუ ქალი აკრძალულ ილეთს იყენებს... მამაკაცი კი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ მისი ისტერიკები აიცილოს თავიდან.

**P.S. პატარა ეშმაკობა მამაკაცებისთვის: სცადეთ და ქალის ცრემლებს ცრემლებივე დაუპირისპირეთ – ნახავთ, როგორ გაჩუმდება მაშინვე და აქეთ დაგიწყებთ დამშვიდებას...**

## მთავარი მიღწევა

თუ მამაკაცი მზად არის, ქალის გამო შეიცვალოს, ესე იგი, მას ეს ქალი ჭეშმარიტად ძალიან უყვარს... თუმცა, გადის დრო და ოჯახური ცხოვრება მამაკაცში პარტნიორის მიმართ ინტერესს კლავს. გამოსავალი არსებობს – როცა ამჩნევთ, რომ მეუღლე გულგრილია იმის მიმართ, თუ როგორ გამოიყურებით, სასწრაფოდ წამოიწყეთ ფლირტი პირდაპირ მის თვალწინ. მსუბუქი და არასერიოზული, რა თქმა უნდა, რომ ქმარში ინტერესთან ერთად „ოტელოც" არ გააღვიძოთ. თუ ესეც არ იმოქმედებს, მძიმე სიტუაცია ყოფილა და დაფიქრდით თქვენს ურთიერთობაზე.

ქალმა უნდა იცოდეს ერთი ჭეშმარიტება – კაცის კაპრიზების აყოლა მის პიროვნებას ძალიან დააზარალებს. მაგალითად, ქალმა საკუთარ გარეგნობაში კორექტივები უნდა შეიტანოს, მხოლოდ მაშინ, თუ ეს პირადად მას უნდა და არა პარტნიორ მამაკაცს, რომელსაც უცებ, რატომღაც, მოუნდა, რომ თმა ქერად შეიღებოთ.

ნებისმიერი მამაკაცი აგყვებათ თამაშში. ისინი ამისთვის ყოველთვის მზად არიან. ეს ის შემთხვევაა, როცა ყველაფერი ქალზეა დამოკიდებული.

იმ ქალების საყურადღებოდ, რომლებმაც კონკრეტული მამაკაცის „შებმა" გადაწყვიტეს – თუ გაუგზავნეთ მას მესიჯი: „აბა, გისმენ... რას მეტყვი?" პასუხად კი იღებ: „დამიკონკრეტე, რას გულისხმობ" – ჯობია, საერთოდ თავი დაანებოთ ამ ადამიანს, მოწყენილობისგან მოკვდებით. მის მაგივრად ყველაფერი თქვენი გასაკეთებელი იქნება.

ქალის მთავარი მიღწევაა, ბოლომდე ამოიცნოს მამაკაცი, რაც სულაც არ არის ძნელი. აი, მამაკაცები კი, ქალის შეცნობას ხშირად სიცოცხლის ბოლომდეც ვერ ახერხებენ...

## „ძლიერი" ფაქტები

ჩვენ ძალიან განსხვავებულები ვართ. მიუხედავად ამისა, ერთმანეთის გარეშე ყოფნა არ შეგვიძლია...

* როგორც ამბობენ, მამაკაცებს გაცილებით განვითარებული კუნთოვანი სისტემა აქვთ და მათი გულიც უფრო მსხვილი და დიდია. სისხლიც ჩვენზე ლიტრ-ნახევრით მეტი უჩქეფთ თურმე ძარღვებში. ბუნებრივია, ჰემოგლობინიც მაღალი აქვთ. ამიტომაც, ქალებზე უკეთ უძლებენ ფიზიკურ დატვირთვას. თუმცა, წუწუნებენ პარტნიორებზე ორჯერ მეტს და მუდმივად ავად გახდომის შიში აქვთ.

* აღქმის უნარში კაცები ბევრად ჩამორჩებიან ქალბატონებს. მათ ალღოც ნაკლებად აქვთ განვითარებული და სწრაფად აზროვნებაც არ ახასიათებთ.

* ქალი კაცზე გაცილებით სწრაფად კითხულობს, ადვილად იგებს და იმახსოვრებს ინფორმაციას, ამჩნევს სრულიად უმნიშვნელო დეტალებსაც კი. კაცებს საერთოდ არ აქვთ ეპიზოდური მახსოვრობის უნარი.

* ქალი კაცზე მგრძნობიარეა და ამას უკეთესადაც გამოხატავს. ქალი რამდენიმე ათეული ემოციის გამოხატვას მიმიკით ახერხებს. მაშინ, როცა კაცს სახეზე მხოლოდ გულგრილობა და სიძულვილი შეგიძლიათ, შენიშნოთ, რა თქმა უნდა, შიშიც...

* მამაკაცისთვის სულერთია, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოძრაობის მიმართულებისკენ სახით იდგება, თუ ზურგით. ქალი ცდილობს, ზურგით არ დადგეს.

* მამაკაცი თითქმის ყოველთვის კმაყოფილია საკუთარი თავით. ქალს თვითშეფასების კრიტერიუმი ბევრად დაბალი აქვს.

* კაცს უკეთ აქვს განვითარებული ადაპტაციის უნარი. მისთვის ნაკლებად აქვს მნიშვნელობა, როგორ მიიღებენ გარშემო მყოფები.

* გენიოსები მამაკაცთა შორის უფრო მეტნი არიან. მაგრამ, იმიტომ არა, რომ მათი ინტელექტუალური კოეფიციენტი ქალისაზე მაღალია. უბრალოდ, კაცები უფრო თავდაჯერებულები ბრძანდებიან...



## ცუდი საჩუქარი...

მამაკაცებს, ზოგადად, უჭირთ სასურველი საჩუქრის შერჩევა იმ ქალბატონისთვის, რომლის კეთილგანწყობის მოპოვებასაც ცდილობენ. სხვათა შორის, წარმატებით შერჩეული საჩუქარი ახარებს და აბედნიერებს როგორც იმას, ვინც ეს საჩუქარი მიიღო, ასევე, თავად გამჩუქებელსაც. არსებობს ცუდი საჩუქრების ჩამონათვალი, რომელიც, უბრალოდ, უნდა დაიმახსოვრო.

* ხელსახოცები და პირსახოცები. როგორი ძვირფასიც და ლამაზიც არ უნდა იყოს, მაინც ქმნის უხერხულობას და ვერანაირად იქნება სასურველი. არც ლამაზად შეფუთვა უშველის. შეიძლება, ღიმილით მიიღოს, მაგრამ, არ გაუხარდება.

* სხვადასხვა ფორმის, შეფერილობისა და ზომის ქილები. სულ რომ გულებითა და ანგელოზებით მორთოთ, მაინც არაფერი გამოვა. დარწმუნებული იყავით, რომ ის ან ოფისში აღმოჩნდება ან აგარაკზე, ან – სანაგვეზე...

* ერთი შეხედვით, ფოტოალბომს არა უშავს, მაგრამ, უმრავლესობისთვის ის, უბრალოდ, უსარგებლო ნივთია და მეტი არაფერი. დღეს, მით უმეტეს, გვირჩევნია, ფოტოსურათი კომპიუტერში შევინახოთ, ვიდრე დავბეჭდოთ და ალბომში ჩავაკრათ.

* ძალიან, ძალიან ცუდი საჩუქარია წლის სიმბოლოები. ეს სუვენირები ლამაზად მხოლოდ მაღაზიების დახლებზე გამოიყურება. ანუ, დაივიწყეთ!

* ნახატები – აქ სერიოზულ სირთულეებთან გვაქვს საქმე: თუ ის ძვირფასია, უხერხულობას უქმნის მას, ვისაც უნდა აჩუქოთ; იაფფასიანი და უბრალო კი, თანაც – უგემოვნო, რაში უნდა გამოიყენოს?!

* არავითარი კოსმეტიკა, განსაკუთრებით – ახალგაცნობილი ქალისთვის! არც შამპუნი ვარგა, არც ტანის ლოსიონი, არც დეზოდორანტი, სუნამოს ჩუქებაც კი რთულია, თუ არ იცით, ქალს როგორი არომატი მოსწონს.

# ორგანიზმის გაწმენდა სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის

რისთვის არის საჭირო გამწმენდი პროცედურები?

რა სიხშირით არის საჭირო მათი ჩატარება?

როგორ უნდა ჩავატაროთ წვენებისა და ხილ-ბოსტნეულის დიეტა?

აქვს თუ არა შიმშილის უკუჩვენება?

ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხიც ყველას აინტერესებს. შევეცდებით, მეტ-ნაკლებად ამომწურავად შემოგთავაზოთ მსოფლიოში ცნობილ დიეტოლოგთა მოსაზრებები.



პირველ ყოვლისა, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ, კანისა და ორგანიზმის ხანგრძლივი და ღრმა გაწმენდა, იმ შემთხვევაში, თუ რამე დაავადება გაწუხებთ, აუცილებლად სტაციონარში უნდა ჩაიტაროთ. თუ გსურთ, რომ კანისა და ორგანიზმის გაწმენდა და დიეტა ეფექტური და შედეგიანი იყოს, დაიწყეთ პირის ღრუს გაწმენდით. ეს უმარტივესი და უნიკალური მეთოდი კურნავს თავის ტკივილს, ტონზილიტს, ოტიტს, სისხლისა და კუჭის დაავადებებს. ყოველ დილით, უზმოზე, პირში დაიგუბეთ 1 სადილის კოვზი მზესუმზირის ზეთი და 15 წუთის განმავლობაში „ატრიალეთ". თავდაპირველად ზეთი გასქელდება, შემდეგ კი წყალივით გათხელდება და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოაფურთხეთ. არ შეგეშინდეთ, თუ სითხე ძალიან გამუქებული იქნება.

ორგანიზმის გაწმენდა ექიმების მითითების გარეშე ეკრძალებათ: მოზარდებს, ორსულებს, მეძუძურ დედებს, 50 წელს გადაცილებულ ქალბატონებს და მათ, ვისაც ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვთ.

გამწმენდი პროცედურების ჩატარების წინ, მაშინაც კი, თუ არაფერი გაწუხებთ, უნდა გაიკეთოთ სისხლისა და შარდის ანალიზი, გადაიღოთ კარდიოგრამა და, თუ დამაკმაყოფილებელ პასუხებს მიიღებთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუდექით საქმეს.

გაწმენდის ყველაზე პოპულარულ მეთოდებად ითვლება: წვენების, ხილბოსტნეულის, ხორბლისა და შიმშილობის დიეტები.

წვენების დიეტა გრძელდება 3-დან 5 დღემდე. ამ ხნის განმავლობაში უნდა სვათ დღეში 2 ლიტრი ახალგამოწურული ხილისა და ბოსტნეულის წვენები. შეგიძლიათ, მიირთვათ როგორც ცალკეული ხილის ან ბოსტნეულის წვენი, ისე ერთმანეთში შეურიოთ, თქვენი გემოვნების მიხედვით.

ხილისა და ბოსტნეულის დიეტა უნდა დაიცვათ 10 დღის განმავლობაში. აუცილებლად უნდა მიირთვათ ცოცხალი ხილი და ოდნავ მოხარშული (ან ორთქლზე მოთუთქული) ბოსტნეული, დღეში 4-5-ჯერ, თქვენთვის სასურველი რაოდენობით. ამასთან, რაციონიდან უნდა ამოიღოთ კარტოფილი, სიმინდი, პარკოსნები, მარილი და ცხიმი. დღის განმავლობაში დალიეთ ბევრი თბილი, არაგაზირებული წყალი და ახალგამოწურული ხილისა და ბოსტნეულის წვენები. წყლის ნაკლებობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ნივთიერებათა ცვლის დარღვევა.

ხორბლის დიეტა გრძელდება 5 დღე. ამ ხნის განმავლობაში უნდა მიირთვათ მხოლოდ მოხარშული ხორბალი (უცხიმოდ და უმარილოდ), ნებისმიერი რაოდენობით. 1 ჩაის ჭიქა ხორბალს დაასხით 3 ჭიქა წყალი და ხარშეთ 2-3 საათის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე, თავდახურულ ჭურჭელში (ესაა დღიური ულუფა).

ექიმების რეკომენდაციით, ამ დიეტის დაცვის დროს დალიეთ ბევრი თბილი, არაგაზირებული წყალი ან ოხრახუშის ნახარში.

მშიერი დიეტა (შიმშილობა) ყველაზე რადიკალური საშუალებაა, მაგრამ, ყველაზე უკეთ წმენდს ორგანიზმს. ამ დიეტის დაცვისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. მის დაწყებამდე ორი დღით ადრე რაციონიდან აუცილებლად უნდა ამოიღოთ მძიმე საკვები: ხორცეული, შემწვარ-მოხრაკული და ტკბილი კერძები. შიმშილობის დაწყებიდან 2-3 დღე აუცილებლად უნდა სვათ ბევრი წყალი და დააკვირდეთ ორგანიზმის რეაქციასაც, ხომ არ არის მისთვის შიმშილი მძიმე სტრესი და, აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა დიეტის გაგრძელება.

უფრო მსუბუქად გადასატანი, მაგრამ ნაკლებად შედეგიანია განტვირთვის დღეები (ვაშლის, უცხიმო მაწვნის ან კეფირის, ბოსტნეულის).

სამკურნალო გაწმენდა შეგიძლიათ ჩაიტაროთ წლის ნებისმიერ დროს. პროფილაქტიკური მიზნით ორგანიზმის გაწმენდა რეკომენდებულია სავსე მთვარის დღეებში.

## კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: თუ შეიძლება, დაწვრილებით ამიხსენით, როგორია კანის ფოტოგაახალგაზრდავების პროცედურა?**

**პასუხი:** ფოტოგაახალგაზრდავება არის ლაზერული ზემოქმედება წვრილ სისხლძარღვებზე. კანის თითოეული უჯრედის კვება ხდება უშუალოდ სისხლძარღვების მეშვეობით და სწორედ მათ ნორმალურ მუშაობაზეა დამოკიდებული კოლაგენისა და ელასტინის გამომუშავება, ანუ, რაც უფრო უკეთესად მიმდინარეობს სისხლის მიკროცირკულაცია, მით უფრო ახალგაზრდაა ჩვენი კანი. ფოტოგაახალგაზრდავება, ასევე, აუმჯობესებს სახის ფერს, პიგმენტურ ლაქებს კი მაქსიმალურად აბაცებს.

პროცედურის ჩატარება სასურველია საზაფხულო შვებულებაში გასვლის წინ – ამით თქვენ კანს შეამზადებთ მზის აბაზანების მისაღებად: აამაღლებთ მის ტონუსს და, თან, თანაბრად გაირუჯებით. კურსი შედგება 10-დან 14-მდე სეანსისგან.

**კითხვა: მაინტერესებს, არის თუ არა კანისთვის სასარგებლო ლიმონიანი წყლის სმა?**

**პასუხი:** თუ თქვენ არ გაწუხებთ გასტრიტი, კუჭის წყლული და სხვა მსგავსი დაავადებები, დაიწყეთ ყოველი დილა ლიმონიანი წყლით: 1 ჩაის ჭიქა წყალში წინა ღამით ჩააგდეთ ერთი ნაჭერი ლიმონი და დილამდე ასე გააჩერეთ, დილით კი დალიეთ. ამით თქვენ არა მარტო გაიაქტიურებთ საჭმლის მომნელებელ სისტემას (რაც კანის გაწმენდასაც უწყობს ხელს), არამედ, შეივსებთ ორგანიზმს ვიტამინებისა და მინერალების კომპლექსით. გარდა ამ ყველაფრისა, ლიმონი ებრძვის ზედმეტ წონას და ხელს უწყობს ტოქსინების გამოდევნას.

**კითხვა: ამ ბოლო დროს, სახლში ყოფნის დროს, ხშირად მიოფლიანდება ხელები. გთხოვთ, მასწავლოთ რამე შინაური რეცეპტი ამ პრობლემის მოსაგვარებლად.**

**პასუხი:** შემოგთავაზებთ რამდენიმე რეცეპტს:

* 1 ჩაის კოვზი ზღვის (ან ჩვეულებრივი) მარილი გახსენით 1 ლიტრ თბილ წყალში და ჩააწყვეთ ხელები 15 წუთის განმავლობაში. შემდეგ გადაივლეთ გრილი წყალი და წაისვით ზეითუნის ზეთი.

* 1 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ტირიფის ფესვს დაასხით 2 ჩაის ჭიქა ცივი წყალი, ჩაასხით მინის ჭურჭელში და გააჩერეთ 8 საათის განმავლობაში. დანარჩენი – იგივე.

* 1 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ სალბს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, წამოადუღეთ და გააჩერეთ 20 წუთი. დანარჩენი – იგივე.

**კითხვა: გამიგონია, რომ დღემდეა შემონახული სახის კანის ნიღბების უძველესი რეცეპტები. გთხოვთ, ერთი რეცეპტი მაინც მასწავლით.**



**პასუხი:** შემოგთავაზებთ ნიღბის ერთ ძველბერძნულ რეცეპტს, რომელიც ძალიან ჰგავს თანამედროვე რეცეპტებს – სავარაუდოდ, თანამედროვე რეცეპტების უმრავლესობა იმ დროიდან იღებს სათავეს: ათქვიფეთ 1 კვერცხის გული, ჩაუმატეთ 7-10 წვეთი ლიმონის წვენი, 1 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი და თქვიფეთ კიდევ 2-3 წუთის განმავლობაში. წაისვით მთელ სახეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით მკვებავი კრემი. ნიღაბი გაიკეთეთ დაძინებამდე 1-2 საათით ადრე.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ვისთან ერთად იქეიფა დილამდე სტალინმა თავის 70 წლის იუბილეზე



*(1949 წლის 21 დეკემბერი)*

დიდი ბელადის 70 წლის იუბილისადმი მზადებამ, რომელსაც თავად სტალინი ეწინააღმდეგებოდა და პოლიტბიუროს წევრთა დაჟინებული მოთხოვნით განხორციელდა, კულმინაციას 20 დეკემბერს მიაღწია. მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა დასახლებული პუნქტი სტალინის სურათებით იყო მოფენილი, ყველა ბეჭდურ ორგანოში ბელადის გმირული ბიოგრაფია დაიბეჭდა. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მოსკოვში ჩამოვიდნენ დელეგაციები, რომლებსაც დიდ თეატრში გამართულ საზეიმო საღამოში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. თავიანთი წარმომადგენლები სოციალისტური ქვეყნების მთავრობებმაც გამოგზავნეს, რომლებსაც, ძირითადად, მათი მეთაურები თავკაცობდნენ. 20 დეკემბერს, საღამოს 21 საათზე, კრემლს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია ეწვია, რომელსაც მათი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, მაო ძედუნი ხელმძღვანელობდა. პოსკრებიშჩევმა სტალინის კაბინეტის კარი ფართოდ გააღო და ჩინელთა ოცკაციანი შემადგენლობა მიიწვია. დიდი ბელადი კაბინეტის ცენტრში იდგა და სტუმართა დანახვაზე ნაბიჯი წინ გადადგა, ხოლო მაო ძედუნი საკმაოდ სწრაფი ნაბიჯით მიიჭრა სტალინთან, მის წინ მუხლებზე დაეცა და მარჯვენა ხელზე ემთხვია, თან გამართული რუსულით, თვალცრემლიანმა, აღელვებით წარმოთქვა: „ჩვენო დიდო მამაო, ფოლადისებურ ჯანმრთელობას და ძალიან, ძალიან დიდი ხნის სიცოცხლეს გისურვებ. შენ ჩვენი ბურჯი ხარ და მთელი დედამიწის ჩაგრულ ერებს შენი იმედი და რწმენა აქვთ. გაიხარეთ, ჩვენო დიდო მამავ და კვლავ და კვლავ წინ, დიადი გამარჯვებისკენ გაგვიძეხი“. შემდეგ ჩინელმა ლიდერმა იატაკამდე დახარა თავი და, რომ არა სტალინის თხოვნა, წამომდგარიყო, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩებოდა პირქვე დამხობილი. მაო წამოდგა, მაგრამ, მოჭარბებული გრძნობების გამო, ცრემლებს ვერ იკავებდა და ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე. სტალინმა ცხვირსახოცი ამოიღო და გულაჩუყებულ ჩინელს მამისეული მზრუნველობით შეუმშრალა ცრემლები. მაო დამშვიდა და, თანმხლებ პირებთან ერთად გრძელ მაგიდას მიუჯდა, რომლის თავშიც დიდი ბელადი მოთავსდა. ასეთ სცენას მე ხშირად შევსწრებივარ და, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არც ერთ შემთხვევაში არანაირ არტისტობას ან გადაჭარბებას არ ჰქონია ადგილი, ადამიანები მთელი გულწრფელობით აკეთებდნენ ამას. სტალინი იმდენად დიდი და ლეგენდარული პიროვნება იყო, რომ მისადმი თაყვანისცემის სურვილი ადამიანებს ბუნებრივად უჩნდებოდათ. ჩინელებთან საუბარი დაახლოებით 50 წუთს გაგრძელდა და ოცივე სტუმარი თვალს ვერ სწყვეტდა სტალინს, რომელიც ჩინეთში არსებულ სირთულეებზე ამომწურავ ინფორმაციას ფლობდა და ისეთ საკითხებსაც შეეხო, რომლებზეც თავად ჩინელებსაც კი მწირი წარმოდგენა ჰქონდათ. საუბრის შემდეგ სტალინმა კარამდე მიაცილა ჩინელები და საიუბილეო სუფრაზე პირადად დაპატიჟა. 21 დეკემბერს ძალიან ციოდა, ტემპერატურა მინუს 23 გრადუსი იყო, მაგრამ მოსკოვის ქუჩები ათეულ ათასობით ადამიანით გაივსო, რომლებიც დიდი სტალინის 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილ მიტინგებს მართავდნენ. მოსახლეობა ოჯახებით იყო გარეთ გამოსული. საზეიმო სიტყვით გამომსვლელთა მსურველი იმდენი იყო, თითოსთვის ნახევარი წუთი რომ მიეცათ, მიტინგები რამდენიმე საუკუნე უწყვეტლივ უნდა გაგრძელებულიყო. დიდ თეატრში საზეიმო საღამო 19 საათზე დაიწყო და მხოლოდ მისალმებები 2 საათს გაგრძელდა, მერე კი კონცერტი გაიმართა. საიუბილეო საღამოზე ქალაქ გორის სამკაციანი დელეგაცია ცალკე იყო წარმოდგენილი და მათ ყველაზე ბოლოს მისცეს სიტყვა. საქმე ისაა, რომ სამივე გორელი – ანტონ გაგნიძე, ბეჟან ხარატიშვილი და პარმენ ბესთაევი, სტალინის ბავშვობის მეგობრები, მისი მეზობლები და თანაკლასელები იყვნენ. ეს იყო ერთგვარი სიურპრიზი, რომელიც ლავრენტი ბერიამ მოუმზადა დიდ ბელადს. გორელები საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდნენ, მშვენივრად მეტყველებდნენ და, თავთავიანთი მოკლე მილოცვები რომ დაამთავრეს, დიდი თეატრის ერთ-ერთმა თანამშრომელმა სცენაზე გიტარა გამოიტანა და პარმენ ბესთაევს გადასცა. სტალინი სამთავრობო ლოჟის ცენტრში იჯდა და მოღიმარი სახით უმზერდა ბავშვობის მეგობრებს, რომლებიც პარმენს უყურებდნენ და უცდიდნენ, სანამ გიტარასააწყობდა. ძალიან მალე ბესთაევს უკვე მზად ჰქონდა ინსტრუმენტი და მან თავის მეგობარს რაღაც გადაუჩურჩულა. ამის შემდეგ ანტონ გაგნიძე სამთავრობო ლოჟისკენ შეტრიალდა და გასუსულ დარბაზში სტალინს უთხრა: „ჩამო, სოსელო, ბავშვობა გავიხსენოთ, ჩვენი საყვარელი სიმღერა ვიმღეროთ“.

სტალინი, რომელსაც ღიმილი არ მოსცილებია სახიდან და, ეტყობოდა, ასეთ შემოთავაზებას ელოდა, დინჯად წამოდგა სავარძლიდან და რამდენიმე წუთში უკვე სცენაზე იყო. ალბათ, ძალიან ცოტა ვინმე თუ მიხვდა, რა ხდებოდა და, ისეთი სიჩუმე გამეფდა, მართლაც ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. მეგობრებმა სტალინი შუაში მოიქციეს და უეცრად „სულიკო“ აჟღერდა. ოთხმა მეგობარმა (სტალინის ჩათვლით) სიმღერა დაიწყო. სანამ მღეროდნენ, დარბაზში სამარისებური სიჩუმე იდგა. როგორც კი „სულიკოს“ ბოლო აკორდი შეწყდა, დიდ თეატრში ისეთი ხანგრძლივი და მქუხარე ტაში გაისმა, რომ უზარმაზარმა ჭაღმა რხევა დაიწყო. დიდმა ბელადმა თავისი სამივე მეგობარი გადაკოცნა და მათთან ერთად დატოვა სცენა. საზეიმო კონცერტის მსვლელობისას სტალინის სამივე მეგობარი უკვე სამთავრობო ლოჟაში, დიდი ბელადის გვერდით იჯდა და იქიდან ადევნებდნენ თვალს ამ ბრწყინვალე სანახაობას. კონცერტის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ვლასიკმა მიხმო და მითხრა: „სტალინის ბრძანებით, საიუბილეო ბანკეტზე, კრემლში, მისი ორეული იქნება, ჩვენ კი თავად მას უნდა ვეახლოთ კუნცევოში, სადაც ის ამ სამ მეგობარს ეპატიჟება“.

ერთ-ერთი ორეული სასწრაფოდ მოვამზადეთ და ინსტრუქტაჟი ჩავუტარეთ. როდესაც უკვე ყველაფერი მოგვარებული იყო, ჩუმად ჩავსხედით მანქანებში და კუნცევოსკენ ავიღეთ გეზი. სუფრასთან, რომელსაც სტალინი და მისი სამი გორელი მეგობარი უსხდნენ, არც მე და არც ვლასიკი არ დავმსხდარვართ, რადგან, ასე გვიბრძანა დიდმა ბელადმა. თუმცა, ოთახიდან მხიარული ხმები გამოდიოდა და ისე ტკბილად მღეროდნენ, რომ მათი მოსმენა დიდ საიმოვნებას მგვრიდა. მეგობრების ქეიფი დილამდე გაგრძელდა. როცა სუფრა აიშალა, დიდმა ბელადმა მანქანამდე მიაცილა სამივე, თითოეულს მხურვალედ გადეხვია და მხოლოდ მას მერე შებრუნდა შენობაში, როცა მანქანები თვალს მოეფარნენ. უკვე შენობაში, სტალინმა მე და ვლასიკი გვიხმო, შემდეგ გულის ჯიბიდან პატარა სურათი ამოიღო და გვაჩვენა. სურათზე ოთხი პატარა ბავშვი იყო აღბეჭდილი, რომლებიც ეკლესიის წინ იდგნენ. სტალინს გაეღიმა და გვითხრა: „ეს სურათი სამოცი წლის წინათაა გადაღებული, მე და ჩემი ის სამი მეგობარი ვართ, რომლებიც ახლახან გავაცილე. მაშინ საეკლესიო გუნდში ვგალობდით ოთხივე და ეს ფოტოც სწორედ ერთ-ერთი გალობის შემდეგ გადავიღეთ“.

სტალინს მეტი აღარაფერი უთქვამს, სურათი გამოგვართვა, კვლავ ჯიბეში შეინახა და საძინებელში შევიდა.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწარების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

# როგორ უნდა მივხვდეთ სად ვუშვებთ შეცდომას და სად ვბლოკავთ საკუთარ ბედნიერებას

> *„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*
>
> **კურტ ვონეგუტი**

ადამიანი ფიქრისა და სიტყვების საშუალებით იზიდავს კოსმოსიდან დადებით ან უარყოფით ენერგიას და თავად გამოიმუშავებს სწორ აზრ-ფორმირებას, რაც მისსავე წარმატება-წარუმატებლობაზე აგებს პასუხს.

მათზე, ვისაც ხშირად უმართლებს, ამბობენ, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო, თუმცა, თითოეული ჩვენგანი გარკვეული ვარსკვლავის წყალობისა და მფარველობის ქვეშ იბადება და სწორედ ის „გვიწერს“, თუ რა ბედი გველის.

არსებობს გარკვეული ენერგია, რომლის დახმარებით და, ასევე, ფიქრისა და სიტყვების მეშვეობით, ადამიანი იზიდავს ბედნიერებასა თუ უბედობას.

ქაოსური და უმისამართო ფიქრი ისევე არ იძლევა შედეგს, როგორც ქაოსური და არამიზნობრივი შრომა. შესაძლოა, ბევრს ჰგონია, რომ მიზანმიმართული ფიქრი თუნდაც მატერიალურ ფორმირებაზე, არასწორია. ძალიანაც ცდებიან, რადგან, უბრალოდ, საჭიროა, გამოიმუშაოთ მიზანმიმართული და პერმანენტული ფიქრის უნარი და შედეგიც არ დააყოვნებს. კერძოდ, ამ დროს ჩამოყალიბდება აზრ-ფორმა, რომელსაც შეუძლია სამყაროში გადაადგილება და გარკვეული ინფორმაციული ენერგიის მიმოქცევის გამოწვევა კონკრეტული ადამიანისთვის. ვინც ამბობს, ბედნიერები არ ვართო, მიიღონ მოვლენები, სიტუაციები და ადამიანები ისეთები, როგორებიც სინამდვილეში არიან და მიხვდებიან, სად უშვებენ შეცდომას და სად ბლოკავენ საკუთარ ბედნიერებას.

ნებისმიერი მოვლენა და თვით მთელი სამყარო ისეთია, როგორიც უნდა იყოს. ამიტომ, ნუ შეებრძოლებით სამყაროს, ნუ ეცდებით კოსმიური ენერგიების დაბლოკვას და ნუ აღუდგებით მას წინ სხვადასხვა აზრებით, სიტყვებითა და სიტუაციებით. გირჩევთ, ყველაფერი ისე მიიღეთ, როგორიც არის და არა ისე, როგორიც თქვენ გინდათ, რომ იყოს. არ ეცადოთ საკუთარი აზრის დაცვას და ვინმეს დარწმუნებას. მიიღეთ ყველას აზრი წინააღმდეგობის გარეშე და არ მიეჯაჭვოთ არც ერთ მათგანს. როგორც იტყვიან, ყველას აზრი გაითვალისწინეთ, მაგრამ, არ დაიჯეროთ.

სურვილების ახდენა ყველას შეუძლია, მთავარია, მას სწორი გზა მივცეთ. კერძოდ, არსებობს განზრახვისა და სურვილის კანონი: ჩამოწერეთ ფურცელზე თქვენი სურვილების სია, ამ სურვილების ასრულება მიანდეთ კოსმიურ ძალებს და, დარწმუნებული იყავით, რომ ეს სურვილები აუცილებლად აგისრულდებათ. ეს ფურცელი ყოველთვის თან ატარეთ – ჩანთით ან ჯიბით, მთავარია, ის თქვენთან ახლოს იყოს და დროდადრო ხშირად გადაიკითხეთ, თან, იფიქრეთ, რომ სამყაროში შეუძლებელი არაფერია და ეს სურვილები აუცილებლად აგისრულდებათ. არ დაემორჩილოთ სხვის ნებას და არ გაფანტოთ ყურადღება, მიიღეთ აწმყო მორჩილად და სურვილების ასრულების იმედი არასდროს დაკარგოთ. კოსმიური ბუნების კანონები ამ სურვილების ახდენაში აუცილებლად დაგეხმარებათ. ფურცელზე დაწერითა და თან ტარებით კი თქვენს სურვილს სწორ გეზს მისცემთ სამყაროში.

თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ბედის ვარსკვლავი აქვს. ის ადამიანის დაბადებისთანავე ჩნდება, იწყებს კაშკაშს, მისი სიკვდილის მომენტში კი სწყდება ცის კაბადონს და ქრება. ვარსკვლავის მოწყვეტა და მისი ჩაქრობა ერთბაშად არ ხდება. როცა კონკრეტული ადამიანის სიკვდილის დრო ახლოვდება, ვარსკვლავი ნელ-ნელა იწყებს ჩაქრობას, სიკვდილის მომენტში კი ცას სწყდება. ხოლო იმაზე, თუ როგორ ანათებს ვარსკვლავი, დამოკიდებულია ადამიანის ბედ-იღბალი: თუ ის საკმაოდ კაშკაშაა, მაშინ ადამიანს უმართლებს ბედში, მაგრამ, თუ შედარებით მკრთალია, მაშინ უბედოა ან არ უმართლებს. ის ჩვენს განზომილებაში არ ჩანს და ჩვენს გადაადგილებასთან ერთად უხილავად მოძრაობს. თუ კაცი ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული, უკაცრიელ კუნძულზეც რომ მოხვდეს, არ გაიწირება. ამიტომ, როცა ადამიანი ჯანმრთელია, არ შია და სწყურია, არ უნდა იწუწუნოს ბედზე და ამით საკუთარი ბედ-იღბლის ვარსკვლავი არ უნდა გაანაწყენოს. თუ კარგად დააკვირდებით, თავადვე მიხვდებით, რომ ყოველი ჩვენგანი სამყაროზე ვართ დამოკიდებული, სამყაროში კი არაფერი იკარგება უმიზნოდ, მით უმეტეს, ადამიანის საქციელი, სიტყვა თუ აზრი, შესაბამისად, არც არაფერი ხდება შემთხვევით. ამიტომ, ვურჩევ ყველას, რომ მეტად დაკვირვებულები იყვნენ, ნუ ისვრიან სიტყვებს უმიზნოდ და დაუფიქრებლად, ყურადღება მიაქციონ ყოველ წვრილმანს და ამით დაიცვან საკუთარი სიცოცხლე შესაძლო საფრთხისგან. რასაც თქვენ საკუთარ თავს დაუშავებთ, იმდენს სხვა ვერას დაგაკლებთ. ელემენტარული ასტროლოგიური ცოდნა კი მოგაწვდით ინფორმაციას, რითაც, შესაძლოა, თქვენი პრობლემების გადაჭრის გზებიც ადვილად მოიძიოთ. სწორედ ამიტომაა საჭირო, ცხოვრებაში გაითვალისწინოთ ის, რასაც ამ სფეროში ჩახედული ადამიანები გირჩევენ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1996 წლის 22 იანვარს. რომელ სფეროში მიაღწევს სასურველ შედეგს?**

**პასუხი:** მისთვის კარგი და მისაღებია: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო საქმიანობა, ავიაციის ბიზნესი, მთარგმნელობითი საქმე, იურისპრუდენცია, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი, პოლიტიკა, სამართლებრივი ორგანოები, მშენებლობა, არქიტექტურა, საინჟინრო საქმე, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა და პედაგოგიკა.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1998 წლის 25 აგვისტოს. რა საქმიანობას უნდა მოჰკიდოს ხელი, რომ სამომავლოდ წარმატებებს მიაღწიოს?**

**პასუხი:** მისთვის კარგი და წარმატებების მომტანია შემდეგი პროფესიები: კომპიუტერული ტექნოლოგიები, პროგრამული სისტემები, აუდიო-მობილური და ვიდეოსისტემების ბიზნესი, სოციოლოგია, ასტრონომია, ასტროლოგია, ავიაციის ბიზნესი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, საინჟინრო სფერო, მედიცინის ფართო სპექტრი, ლინგვისტიკა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, პედაგოგიკა.

**კითხვა: დავიბადე 1982 წლის 21 სექტემბერს. გთხოვთ, მირჩიოთ, რომელ პროფესიაში ვცადო ბედი, რომ ცხოვრებაში მეტ წარმატებას მივაღწიო?**

**პასუხი:** თქვენთვის წარმატების მომტანი პროფესიებია: ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ტურისტული ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, სპორტის ფართო სპექტრი, მენეჯერული სამუშაო, ავიაცია, პედაგოგიკა და იურისპრუდენცია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2008 წლის 1 მაისს. რომელ სფეროში გაუმართლებს სამომავლოდ, რა არის მისი კარმული მისია და ზოდიაქოს რომელი ნიშნით დაბადებულთან ელის სასურველი ქორწინება?**

**პასუხი:** თქვენი შვილისთვის სამომავლოდ საქორწინო პარტნიორებიდან კარგია ურთიერთობა: მორიელის, ვერძის, ქალწულის, თხის რქის ან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთან. არ არის სასურველი, ურთიერთობა ლომთან და მერწყულთან. პროფესიებიდან წარმატებების მომტანია: ფსიქიატრია, სასწრაფო დახმარების სამსახური, რეანიმატოლოგია, ქირურგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, არატრადიციული მედიცინა, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო სფერო, სამართალდამცავი ორგანოები, საგამოძიებლო სფერო, სამხედრო სტრუქტურები, საგადასახადო, საბაჟო საქმიანობა, სადაზღვევო კომპანიები და დეპარტამენტები, პედაგოგიური სფერო, სპორტი, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო სფერო, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, ფსიქოთერაპია. რაც შეეხება კარმულ მისიას, აუცილებელია, გამოავლინოს დადებითი თვისებები ხასიათში, გამოირჩეოდეს ლიდერულ-ორგანიზატორული ნიჭით. უნდა იყოს კეთილშობილი და სამართლიანი, დაეყრდნოს ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს; იყოს ორგანიზებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანად მხარჯველი. დაეყრდნოს ინტუიციას, შეეძლოს საიდუმლოს დაცვა.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

26 მარტი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სულიერი არსებები"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. ***ხანგრძლივობა: 1სთ 45 წუთი;***

27 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

28 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

29 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„პრინცი ჰომბურგი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ღალანიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩი ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

30 მარტი, **კვირა** 15.00 - **„უფლისწული და მათხოვარი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 9, 10, 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლელა ახალაია, ზაალ ბარათაშვილი, ლევან ბერიკაშვილი, მანანა გამცემლიძე, დავით გოცირიძე, ანდრია თავბერიძე, კახა კუპატაძე, ალექსანდრე მიკუჩაძე-ღალანიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

30 მარტი, **კვირა** 19.45 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

25 მარტი, **სამშაბათი** 20.00 - **„დოდოს მოლოდინში"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ვატო ჯულელი. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, ლილე ფილფანი, ეკა მჟავანაძე, დავით ხურცილავა, ქეთი ჩხეიძე, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ბრონჰოლმის მეთოდი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

26 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 მარტი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ევროჯორჯია / ფრანგულის გაკვეთილები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული. მონაწილეობენ: ქეთი გეგეშიძე, ვალერი კორშია, როლანდ ოქროპირიძე, ჯაბა კილაძე, ნათელა ნიკოლაიშვილი, თეონა ქოქრაშვილი, კონსტანტინე როინიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

28 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„ბახტრიონი"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), ლეო ანთაძის საავტორო სპექტაკლი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„ჰამლეტი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: თემურ კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, მალხაზ აბულაძე, ალეკო მახარობლიშვილი, ეკა ჩხეიძე, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

25 მარტი, **სამშაბათი** 20.00 - **„ქალი ძაღლით"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ნატა კახიძე, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27-28 მარტი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

25 მარტი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

26 მარტი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„ჯულიეტა, ჯულიეტა"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6, 7 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: იარი იატინენი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 მარტი, **კვირა** 19.00 - **„კავკასიური ცარცის წრე!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიშა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 4სთ.;***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90**

27-28-29-30 მარტი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„ჩიპოლინო"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: მაია ჩართოლანი. მონაწილეობენ: ანა ზამბახიძე, იური ვასაძე, მარინა ჯოხაძე, მანანა ტატიშვილი, თინა მერკვილაძე, ლაშა რამიშვილი, ალეკო ბეგალიშვილი, გიორგი ყველაშვილი, ანა ჯავახიშვილი, ანა ქურთუბაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06**

28 მარტი, **პარასკევი** 18.00 - **„არტურო უის კარიერა"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: არჩილ ბარათაშვილი, ნანა დარჩიაშვილი, მიხეილ არჯევანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, ინა ვოროზბიოვა, გოგი თურქიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

29 მარტი, **შაბათი** 18.00 - **„ქორწინება"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, ირინა კვიჟინაძე, ვალერი ხარიუტჩენკო, ნანა დარჩიაშვილი, ოლეგ მჭედლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

30 მარტი, **კვირა** 12.00 - **„მოროზკო"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ლინდა უბრონავიჩუტე. მონაწილეობენ: მიხეილ არჯევანიძე, ივანე ქურასბედიანი, ნინა ნინიძე, მიხეილ ამბროსოვი, ვალენტინა ვოინოვა, მედეა მუმლაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

26 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„კატცელმახერი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ ჩარკვიანი. მონაწილეობენ: გაგა შიშინაშვილი, სალომე მაისაშვილი, იაკო ჭილაია, ანი გულიაშვილი, მაგდა ლებანიძე, ანა წერეთელი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

29 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„ლივ შტაინი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნინო ხარატიშვილი. მონაწილეობენ: ნინო ბურდული, გია ბურჯანაძე, თამარ მამულაშვილი, კატო კალატოზიშვილი, იაკო ჭილაია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

30 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ტროელი ქალები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: ნატუკა კახიძე, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

28 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ვახტანგ ადეიშვილი, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

29 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„გასროლა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

30 მარტი, **კვირა** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ორშაბათი 24 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"დროში მოგზაურის ცოლი"** (ე.ბრანა) **17.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **18.00** ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** **22.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.30** მხ/ფ **"მარცხნივ" მარჯვნივ"** **02.20** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ.**"სილა"** **22.00** ორი ვარსკვლავი **00.00** ამერიკული მუსიკის დაჯილდოების ცერემონია - **2013** **02.00** მხ/ფ **"უკანასკნელი ლეგიონი"** (ა.რაი) (ტიტ.).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"დასასრული"** **17.00** ქ.მხ/ფ. **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ. **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** ეთნოგრაფია **07.50** მხ/ფ "ლომა, დავიწყებული მეგობარი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"სამანიშვილის დედინაცვალი"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** სპექტაკლი - **"ბაკულას ღორები"** **16.40** კონცერტი - მენდელსონი "ზაფხულის ღამის სიზმარი" **17.35** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება(გ.გვასალია) **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** დოკ/ფ "რამაზ ლაღიძე" **19.40** მხ/ფ "დიმიტრი" II- I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.25** სახლი ღვთისა **21.40** სალვთისმსახურო წელიწადი **22.25** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "მესხეთის ძველი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "ყოჩაღი ბიჭები" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** (გამ) **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.00** სტუდია "მონიტორის/ ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## სამშაბათი 25 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"ზუსტად ის კაცი"** **17.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **18.00** ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** **19.15** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** **22.00** "გააგრძელე საქართველოს ისტორია" **23.00** მხ/ფ **"წითელი ვიოლინო"** (ს.ელ. ჯექსონი) **01.20** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **03.20** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" (გ/ჩვ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** თოქ შოუ – თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო (პ/ე) **00.00** მხ/ფ **"ადრენალინი"** (ჯ. სტეტჰემი) **02.00** მხ/ფ **"მზის ბნელი მხარე"** (ბ.პიტი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"დასასრული"** **17.00** ქ.მხ/ფ. **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00, 03.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი.

**06.10**დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "წმინდა ანტონ ჭყონდიდელი" **06.45** მხ/ფ **"კატინი"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **10.35** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **11.15** პატერიკი **11.20** სალვთისმსახურო წელიწადი **11.40** სახლი ღვთისა **12.10** მხ/ფ **"დიმიტრი"** II-Iნაწ. **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "რწმენის აღორძინება" **16.00**დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.30** ჟიული შარტავას ხსოვნის საღამო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დოკ/ფ "ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.35** დოკ/ფ "მებრძოლი ეკლესია" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "ყოჩაღი ბიჭები" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15** სერიალი "ჩემი შვილები" **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** (გამ) **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.00** "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**24 – 30 მარტი**

*დარბაზი 1*

12.00 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

14.30, 17.00, 19.45 - **„300: იმპერიის აღზევება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„სასტუმრო გრანდ ბუდაპეშტ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 20.00 - **„პარიზული ოცნება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

16.00, 18.00, 22.30 - **„თბილისი მიყვარხარ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 17.30, 20.00 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.30 - **„სასტუმრო გრანდ ბუდაპეშტ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„უსაზღვრო სიყვარული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.15 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

19.45 - **„განძზე მონადირეები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

22.15 - **„300: იმპერიის აღზევება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.30, 22.30 - **„300: იმპერიის აღზევება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

15.00 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.30 20.00 - **„სასტუმრო გრანდ ბუდაპეშტ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.15, 22.30 - **„300: იმპერიის აღზევება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.45 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.15, 20.00 - **„სასტუმრო გრანდ ბუდაპეშტ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

15.00 - **„სასტუმრო გრანდ ბუდაპეშტ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

17.30 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

20.00 - **„300: იმპერიის აღზევება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„უსაზღვრო სიყვარული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.15 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.30, 17.00, 19.30 - **„300: იმპერიის აღზევება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„სასტუმრო გრანდ ბუდაპეშტ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ჟულიენი ბადრიჯნითა და ყაბაყით









**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი საშუალო ზომის ბადრიჯანი, 1 ცალი ყაბაყი (დიდი ზომის), 1 თავი ხახვი, 300-400 მილილიტრი ნაღები (10-პროცენტიანი), 100 გრამი გახეხილი ყველი (თუ მარხვაზე ბრძანდებით, შეგიძლიათ, ნაღებისა და ყველის ნაცვლად სამარხვო მაიონეზი გამოიყენოთ), 1 კონა ოხრახუში, მშრალი ქონდარი, ზეთი, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** ყაბაყი და ბადრიჯანი გათალეთ და დაჭერით წვრილ ჩხირებად. ხახვი –მომცრო კუბიკებად, მოშუშეთ ზეთში შევარდისფერებამდე, დაუმატეთ ბოსტნეული და შუშეთ კიდევ 10-15 წუთი, თან რამდენჯერმე ამოურიეთ. უყავით მარილი და შავი პილპილი. მოასხით ნაღები (ან მაიონეზი), დაუკელით ცეცხლს და შუშეთ შესქელებამდე, შემდეგ კი ჩაუმატეთ მშრალი ქონდარი. ჩაასხით ჟულიენი გამოსაცხობ ფორმებში. ბლენდერში დააქუცმაცეთ ყველი და მწვანილი. მოაყარეთ ეს ნარევი ჟულიენს და გამოაცხვეთ აირღუმელში ყველის გადნობამდე. მოგეწონებათ.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# ბოსტნეულის რაგუ





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 მოზრდილი თავი ხახვი, 1 ქილა დაკონსერვებული თეთრი ლობიო, 2 კბილი ნიორი, მარილი, შავი პილპილი, ცხარე წიწაკა, ზეთი, 3 ცალი ბულგარული წიწაკა, 300-400 გრამი სოკო, 2 ცალი სტაფილო, ნახევარი თავი კომბოსტო, ნახევარი კონა ნიახური (ძირიანად).

**მომზადების წესი:** გაცხელებულ ტაფაზე მოშუშეთ დაჭრილი ხახვი და მოხრაკეთ სოკოსთან ერთად. ნიახური დაჭერით მსხვილად, სტაფილო კი ძალიან წვრილ ჩხირებად, ჩაუმატეთ სოკოს და ერთად შუშეთ კიდევ 10 წუთი.

კომბოსტო დაჭერით გრძლად და წვრილად, მოაყარეთ ცოტა მარილი და ხელით ასრისეთ. ბულგარული და ცხარე წიწაკა დაჭერით ჩხირებად. კომბოსტო და ბულგარულიც ჩაუმატეთ სოკოს, კარგად ამოურიეთ, დაახურეთ ტაფას თავსახური და შუშეთ მანამ, სანამ არ მომზადდება. ბოლოს უყავით ცოტა მარილი და შავი პილპილი, აურიეთ და სულ ბოლოს დაუმატეთ დაწურული ლობიო და დანაყილი ნიორი, შეგიძლიათ, მოაყაროთ ცოცხალი მწვანილიც – კამა ან ოხრახუში. ფანტასტიკურია!

# ბადრიჯანი ცხარე სოუსში



**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ბადრიჯანი, ნახევარი კონა ოხრახუში, ნახევარი კონა ნორჩი კამა, ნახევარი კონა ნიახური და ნახევარი კონა ქონდარი, 1 ცალი ცხარე წიწაკა (პატარა ზომის), 2-3 კბილი ნიორი, 50 მილილიტრი ძმარი, 1 სადილის კოვზი თაფლი, 100 გრამი ნიგოზი, 2 სადილის კოვზი ნებისმიერი სოუსი, მარილი, ზეთი.

**მომზადების წესი:** დაჭერით ბადრიჯანი თხელ ფირფიტებად. მოაყარეთ მარილი და გააჩერეთ 30 წუთი. შემდეგ გადაავლეთ ცივი წყალი და ცოტა გაწურეთ ხელით. შემდეგ დანამეთ ზეთით, ამოურიეთ და შეწვით ტაფაზე. ყველა მწვანილი ერთად დაჭერით ძალიან წვრილად. დანაყეთ ნიორი და ნიგოზი. წვრილად დაჭერით ცხარე წიწაკა (წინასწარ მოაშორეთ თესლები). ქილაში ჩაასხით ზეთი, თაფლი, ძმარი, სოუსი და კარგად შეანჯღრიეთ, ჩაუმატეთ მწვანილი და კარგად ამოურიეთ.

დააწყვეთ ბადრიჯანი ლანგარზე, მოასხით სოუსი, დაახურეთ თავზე და მოათავსეთ მაცივარში 3 საათით მაინც.

# სპაგეტი „ფავორიტი“ ნოდიკო ტატიშვილისგან



ეს ჩემი ფავორიტი კერძია და არაერთხელ მომიმზადებია.

**დაგჭირდებათ:** 1 შეკვრა სპაგეტი „კარბორა“ (ან ნებისმიერი სხვა იტალიური სპაგეტი), ცოტა ზეითუნის ზეთი, 50 გრამი ღორი, 100 გრამი სოუსი „ბეშამელი“, პილპილი, მარილი, 1 ცალი კვერცხის გული, 100 გრამი გახეხილი ყველი.

**მომზადების წესი:** სპაგეტი მოხარშეთ ჩვეულებრივად და გადაწურეთ. 50 გრამი ღორი დაჭერით წვრილად და მოხრაკეთ ზეთში, დაასხით სოუსი „ბეშამელი“ და მოაყარეთ პილპილი და მარილი გემოვნებით. კარგად რომ წამოდუღდება, დაუმატეთ მოხარშული სპაგეტი, 1 ცალი ათქვეფილი კვერცხის გული და ურიეთ 20-30 წამის განმავლობაში. ბოლოს მოაყარეთ გახეხილი ყველი (სასურველია „პარმეზანი“) და მზადაა.



# კატლეტი „გომელაური“



**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ღორის (ან ქათმის) რბილი ხორცი, 200 გრამი ქამა სოკო, 100 გრამი მაგარი ყველი, 1 თავი ხახვი, 1 კონა კამა, 3-4 ცალი კარტოფილი, 1 ცალი კვერცხი, ფქვილი, მარილი, შავი პილპილი, ზეთი, მაიონეზი – მოსართავად.

**მომზადების წესი:** ჯერ მოამზადეთ შიგთავსი. სოკო მოხარშეთ და დაჭერით ფირფიტებად. ხახვი დაჭერით ნახევარრგოლებად და მოშუშეთ ზეთში შევარდისფერებამდე. ყველი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე. კამა დაჭერით ძალიან წვრილად. ერთად მოათავსეთ ტაფაზე სოკო, ხახვი, ყველი, კამა, მარილი, შავი პილპილი და ამოურიეთ...

ხორცი დაჭერით ბრტყელ, მოზრდილ ნაჭრებად. ორივე მხრიდან კარგად დაბეგვეთ. წაუსვით მარილი და პილპილი.

ხორცის თითოეულ ნაჭერზე სათითაოდ მოათავსეთ სატენი, შეახვიეთ და მიეცით ოვალური ფორმა. მსხვილკბილა სახეხზე გახეხეთ უმი კარტოფილი. კატლეტები სათითაოდ ამოგანგლეთ ფქვილში და ამოავლეთ gათქვეფილ კვერცხში, დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე და ზემოდან ხელით გაანაწილეთ გახეხილი კარტოფილი. კარგად დააბრტყელეთ და შებრაწეთ ორივე მხრიდან. კარგად რომ შეწითლდება, ცეცხლს დაუკელით და ტაფა ცოტა ხნით კიდევ დატოვეთ ცეცხლზე. შეგიძლიათ, კატლეტები დაასრულოთ ცხელ აირღუმელში. სუფრაზე მიტანის წინ მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი და მორთეთ მაიონეზით.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# სამარხვო დესერტი

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ჭიქა ქოქოსის ფანტელი, 2 ჭიქა წყალი, 1 ჭიქა შაქარი, 1/2 ჭიქა ფქვილი, 200 გრამი სამარხვო კარაქი, ნახევარი ფილა თეთრი სამარხვო შოკოლადი, 1 ფინჯანი სხვადასხვა დაჭრილი ხილი, ცუკატები – მოსართავად.

**მომზადების წესი:** 1/2 ჭიქა ქოქოსის ფანტელს დაასხით 2 ჭიქა წყალი და ადუღეთ 8-10 წუთის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ, ქოქოსის ნახარშში გახსენით შაქარი და ფქვილი, თან სულ ურიეთ. კარგად რომ შესქელდება, გათქვიფეთ მიქსერით და გააცივეთ. ცივ კრემს შეათქვიფეთ ოთახის ტემპერატურაზე დარბილებული კარაქი. კრემი ხილთან და დანარჩენ ქოქოსის ფანტელთან ერთად, გადაანაწილეთ ფიალებში, ზემოდან მოაყარეთ დაფხვნილი შოკოლადი და ცუკატები.



# ღორის ხორცი მაკარონით

**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ღორის ფილე, 1 სადილის კოვზი ზეთი, 500 გრამი ბროკოლი, 300 გრამი სტაფილო, 300 გრამი მაკარონი, 500 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 2 სადილის კოვზი არაჟანი, პილპილი, მარილი და პიტნა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, დააწყვეთ ხორცის ნაჭრები და 12-15 წუთის განმავლობაში შეწვით დაბალ ცეცხლზე. ბროკოლი ყვავილედებად დაანაწევრეთ. სტაფილო გაასუფთავეთ და დაჭერით. მაკარონი მარილიან მდუღარე წყალში მოხარშეთ. მოხარშვამდე 5 წუთით ადრე, მაკარონს დაუმატეთ ბროკოლი და შემდეგ გადაწურეთ. სტაფილო 500 მილილიტრ მდუღარე ბოსტნეულის ბულიონში ჩაყარეთ და 10 წუთი ხარშეთ. შემდეგ გააკეთეთ სტაფილოს პიურე ან ბლენდერით დააქუცმაცეთ. პიურე ადვილად რომ გაკეთდეს, დაუმატეთ არაჟანი და ცოტა ბულიონი. შეურიეთ მარილი და პილპილი. ხორცს მოაყარეთ მარილი და პილპილი, თხლად დაჭერით. მზა სოუსი მოასხით მაკარონსა და ბროკოლს, შეურიეთ ხორცის ნაჭრები და მოაყარეთ პიტნა.



# ქათმის სალათა ბროწეულითა და ბულგარული წიწაკით

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი მოხარშული ქათმის ხორცი, 3 ცალი სხვადასხვა ფერის ტკბილი, ბულგარული წიწაკა, 1 დიდი ბოლოკი, 1 სტაფილო, 3 სადილის კოვზი ბროწეულის მარცვლები, 1 ქილა მაიონეზი, მარილი და პილპილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბოლოკი გაფცქვენით და სტაფილოსთან ერთად მსხვილ სახეხზე გახეხეთ. მოაყარეთ მარილი და 15 წუთი გააჩერეთ, შემდეგ გაწურეთ და თასში მოათავსეთ. წიწაკა პატარა კუბებად დაჭერით. ქათმის ხორცი ხელით გაჩეჩეთ. შემდეგ ხორცი, გახეხილი ბოსტნეული, წიწაკა, ბროწეული, მაიონეზი, მარილი და პილპილი აურიეთ ერთმანეთში და სალათაც მზადაა.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 26 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"ბანზაი"** **17.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **18.00** ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** **19.15** "ჩვენი ეზო" **21.00** ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **23.00** მხ/ფ **"ქალაქი"** **01.20** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) **03.20** "ჩვენი ეზო" (გ/ჩვ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 00.30** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** EMERGENCY– სასწრაფო დახმარება **00.40** მხ/ფ **"ცუდი სიზმრები"** (გ.პელტროუ) (ტიტ.).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"დასასრული"** **17.00** ქ.მხ/ფ. **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "მებრძოლი ეკლესია" **06.50** მხ/ფ **"კატინი"** II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **12.50** დოკ/ფ "ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ ერთი ჭორობის შვილები" II ნაწ. **15.55** კონცერტი - ნიჭიერთა ათწლედის **80** წლისთავისადმი - დავით ხრიკული და სიმებიანი კვარტეტი **17.00** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ **"დიმიტრი"** II-II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "ყოჩაღი ბიჭები" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** (გამ) **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.)**14.00** ფარული კამერა **14.30, 1.45, 4.30** გადაცემა "პულსი"(გამ.) **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## ხუთშაბათი 27 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"ლამაზი ანტონიო"** **17.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" **18.00** ტ/სერ. **"ლოლა – ვინ ხარ შენ, ლოლა?"** **19.15** "შემოძახილი" **21.00** ტ/სერ. **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **22.00** "არენა" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ **"მონსტრები დღეს"** **02.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 01.35** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** ქ.მხ/ფ **"გარიგება"** **23.15** მხ/ფ **"კლდე"** (ნ. კეიჯი) **01.45** მხ/ფ **"ცუდი სიზმრები"** (გ.პელტროუ) (ტიტ.).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"დასასრული"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. "ქალბატონი დილა" **22.00** პროფილი **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** დოკ/ფ "ჯავახეთის გაზაფხული" **06.25** დოკ/ფ "ერთი ჭორობის შვილები" II ნაწ. **07.15** დოკ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქართული ალბომი **11.25** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"დიმიტრი"** II-II ნაწ. **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.30** მრავალთათვის საკეთილო - ერლომ ახვლედიანი **16.10** კონცერტი -ალბერტ ფონ კარაიანი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.15** მოკ./ფ. **"გამსვლელი პაიკი"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** თეთრიდან თეთრამდე **21.30** დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. **22.25** საქართველოს ისტორია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "კვიპროსი - გზა იერუსალიმისკენ" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "ყოჩაღი ბიჭები" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** (გამ) **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **14.00** შოუ "ოთხი ოთხზე" (გამ.) **14.35, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## პარასკევი 28 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"ლამაზი ანტონიო"** **17.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **18.00** ტ/სერ. **"ლოლა – ვინ ხარ შენ, ლოლა?"** **19.30** დ/ფ "დიზაინი" **21.00** ტ/სერ. **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **23.30** მხ/ფ **" ჰოპალა, ჩვენ ვცოცხლობთ!"** **00.30** მხ/ფ **"სიყვარულის მანქილზე"** (დ.ბერიმორი) **02.20** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** თოქ შოუ – რეაქცია (პ/ე) **00.00** მხ/ფ **"კომანდო"** (ა. შვარცენეგერი) **02.00** მხ/ფ **"კლდე"** (ნ. კეიჯი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"დასასრული"**25-1-2 (25) **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ.**03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "კვიპროსი - გზა იერუსალიმისკენ" **07.15** მრავალთათვის საკეთილო - ერლომ ახვლედიანი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** საქართველოს ისტორია **11.05** სახლი ღვთისა **11.15** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ. "**გამსვლელი პაიკი**" **13.25** პატერიკი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება (გ.სარია) **15.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.45** კონცერტი -ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი ლევ მარკიზის ხელმძღვანელობით **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.25** დოკ/ფ "9 მარტი **1956** წელი" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** შაბათის სახარების განმარტება (მამა ზურაბი) **23.30** დოკ/ფ "ივანე ჯავახიშვილი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30, 14.00** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "ყოჩალი ბიჭები" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15 სერიალი "ჩემი შვილები" 10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** (გამ) **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** გადაცემა "პულსი"(გამ.) **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 20.00 სერიალი "დაკარგული დრო" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## შაბათი 29 მარტი

**08.00** საბ. ან/სერ. "სუპერმენი და ბეტმენი-აპოკალიფსი" **09.40** საბ. მხ/ფ "**ვილის გათავისუფლება**" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ღია ცის ქვეშ" –დირიჟორი - ნიკოლოზ რაჭველი, სოლისტი - ანიტა რაჭველიშვილი **14.00** კალათბურთი. სუპერლიგა. საქართველოს თასის ფინალი (პ/რ) **16.30** "გურმანია" **17.00** დ/ფ "მეფის მუმიის საიდუმლო" **18.00** ტ/სერ. "**ლოლა – ვინ ხარ შენ, ლოლა?**" **19.00** "ეტალონი" **21.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ "**გარიგება**" **00.50** მხ/ფ "**ცვილის ფიგურების სახლი**" **02.50** "გურმანია".

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **08.25** ან/ფ "ძმა დათუნია" **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** "ჩვენებურები – ქვათა ღაღადი" **3** სერ. **12.00** სერ "**მერლინი**" **13.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **14.30** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.50, 19.05** სერ. "**მარგალიტი**" **19.30** ევროპაბეთი – გათამაშება **21.00** სერ. "**სილა**" **22.00** სერ. "**დედამიწის ბურჯები**" **5** სერ. **23.00** ქ.მხ/ფ "**ჩემი თვითმფრინავი**" **00.10** მხ/ფ "**წყალქვეშა საპყრობილე**" (კ.ადამსი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **09.55** ანიმაცია **10.00** ეკი ვოკი გ/ჩ **11.00** იღბლიანი ბორბალი გ/ჩ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები **15.30** "ნანუკას შოუ" - გ/ჩ **18.55** სერ. "**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** რა? სად? როდის? **00.00** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **00.30, 03.30** მხ/ფ.

**06.05** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** შაბათის სახარების განმარტება (მამა ზურაბი) **10.50** ქრისტიანული სწავლება **11.00** კვირიაკე **12.10** დოკ/ფ "9 მარტი **1956** წელი" **13.25** საღვთისმეტყველო საუბრები **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - ჰაიდნი "**სემელე**" ჩეჩილია ბარტოლი **17.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **18.10** დოკ/ფ "ქორეოგრაფის მეტრი" რეზო ჭოხონელიძე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.20** დოკ/ფ "წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ "**20 ათასი ლიე წყალქვეშ**" I ნაწ.

**00.00, 1.00, 2.00, 3.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.30** მულტფილმი "ქუესტის სამყარო" **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 21.40** კვირის აზრები **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.45, 1.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **20.00 სერიალი "დაკარგული დრო" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.30** "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) **23.30, 3.30 სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** **0.30** NX სპიკერი (გამ.) (ორშ.) **4.30, 5.30, 6.30** ფარული კამერა.

## კვირა 30 მარტი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" **08.50** საბ. მხ/ფ "**ჰარი პოტერი და სიკვდილის ძღვენი**" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** ქართ. მხ/ფ "**ცისკრის ზარები**" **15.30** დ/ფ "ფოტო" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.30** მხ/ფ "**სათადარიგო მოთამაშეები**" (კ.რივზი) **20.30** "ტელებლოგი" **21.00** "ჩემი წიგნი" **22.00** ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა - მხ/ფ "**ნადირობა პეპლებზე**" **00.00** მხ/ფ "**დაპირება არ ნიშნავს დაქორწინდე**" (ჯ.ენისტონი) **02.20** "სამოთხის ვაშლები" (გ/ჩვ) **03.20** "ჩვენი ფერმა" (გ/ჩვ).

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **09.00** მხ/ფ "**კადეტი კელი**" **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ "**მერლინი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ქ.მხ/ფ "**ბაში-აჩუკი**" **17.30** ორი ვარსკვლავი (გ/ჩ) **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ **22.00** სერ. "**დედამიწის ბურჯები**" **6** სერ. **23.00** მხ/ფ "**მქადაგებელი ტყვიამფრქვევით**" (კ. ბეიკერი) **01.15** მხ/ფ "**წყალქვეშა საპყრობილე**" (კ. ადამსი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.25** ანიმაცია **10.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **12.00, 15.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე (**23** მარტის გ/ჩ) **14.00** ეკი ვოკი **15.30** პროფილი გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედი შოუ **00.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** თბილისის ტაძრები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**მეტიჩარა**" **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.25** დროის ჩანაწერები **19.15** დოკ/ფ "წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე" **19.35** მხ/ფ "**იყო შაშვი მგალობელი**" **21.40** კვირიაკე **21.40** ქვიშით ნაამბობი **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა - მამა მაქსიმე - **00.30** პორტრეტები **01.10** მხ/ფ "**20 ათასი ლიე წყალქვეშ**" II ნაწ.

**00.00, 1.00, 2.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.30** მულტფილმი "ქუესტის სამყარო" **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 21.40** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.30, 0.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.30** შოუ ,,ოთხი ოთხზე" **23.40, 3.35 სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** **1.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.)(ოთხშაბათის და ხუთშაბათის გადაცემები) **3.10, 4.35** NX სპიკერი (გამ.) (სამშ.) **5.30, 6.30** ფარული კამერა.

## ვერძი

თავს სანაქებოდ იგრძნობთ და ბევრი საქმის გაკეთებას მოასწრებთ, ამიტომ, ჯობია, მოგზაურობა და დასვენება დროებით გადადოთ. არ გირჩევთ გარისკვას. ახალი კავშირები და საზოგადოებრივი საქმიანობა კი წარმატებების მომტანი აღმოჩნდება. საყვარელი ადამიანი ბევრ სითბოსა და სიყვარულს გაჩუქებთ.

## კურო

ხანგრძლივი პროექტები ფინანსურ მოგებას მოგიტანთ. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებსა და დისკუსიებს. იფიქრეთ მხოლოდ დადებითზე. საყვარელ ადამიანთან იყავით მეტად გულახდილი და რადიკალურად გააზრებული ნაბიჯები გადადგით სასიყვარულო ურთიერთობაში. ხშირად დაისვენეთ, რათა კარგი ჯანმრთელობა შეინარჩუნოთ.

## ტყუპები

არ არის გამორიცხული შემოსავლის ახალი წყარო გაჩნდეს, რაც თქვენს თავდაჯერებულობას კიდევ უფრო გააძლიერებს. კარგია საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობა, უცხოელებთან კონტაქტი. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას კი სწორად გააანალიზეთ სიტყვები, რათა არ გამოიწვიოთ კამათი.

## კირჩხიბი

შეასრულეთ ყოველდღიური საქმეები. არ გირჩევთ, იბრძოლოთ ლიდერის პოზიციისთვის. გამოავლინეთ მოთმინება და პროფესიონალიზმი. ოჯახური და სასიყვარულო კონფლიქტების მოგვარებაში დაგეხმარებიან ახლობლები. ხშირად დაისვენეთ და არ გადაღალოთ ორგანიზმი. კარგია იმიჯის შეცვლა და ფიზიკური ვარჯიშები.

## ლომი

ნუ მიიღებთ მონაწილეობას ძალაუფლებისთვის ბრძოლაში და მინიმუმამდე შეამცირეთ ხელმძღვანელებთან დაპირისპირების რისკი. უსმინეთ ინტუიციას. გაუმჯობესდება ოჯახის წევრებთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა. კარგად გამოიძინეთ და ხშირად დაისვენეთ.

## ქალწული

მასშტაბურ პროექტებში ცოტაოდენი რისკი გამართლებულია. არ არის გამორიცხული, საბანკო-საფინანსო ოპერაციებიდან მოგება ნახოთ. ნუ იქნებით ზედმეტად აქტიური საყვარელ ადამიანთან, რათა ის არ გაალიზიანოთ. ნუ გამოიყენებთ ინფორმაციას გადაუმოწმებლად. მოლაპარაკებების დროს თავი აარიდეთ პრობლემებს.

## სასწორი

გაიზრდება თქვენი ინტელექტუალური აქტიურობა, რის გამოც ადვილად შეძლებთ გამოცდების ჩაბარებასა და ახალი ინფორმაციის ათვისებას. ახალი ხალხის გაცნობისას მეტად უსმინეთ ინტუიციას. ენერგიის გაზრდა დაგეხმარებათ დიდი რაოდენობით სამუშაოს შესრულებაში, მოუცლელობა კი არ არის გამორიცხული, საყვარელი ადამიანების გაბრაზების მიზეზი გახდეს.

## მორიელი

ენერგია დასუსტებულია, ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ მთავარი პრობლემების მოგვარებას, რათა წარმატებას ადვილად მიაღწიოთ. გაითვალისწინეთ პარტნიორების რჩევები. ოჯახური ურთიერთობა არასტაბილური იქნება, ახალი სასიყვარულო ურთიერთობის წამოწყება კი მხოლოდ გულს გატკენთ. კარგია ქალაქგარეთ დასვენება.

## მშვილდოსანი

პრაქტიკულობით ბევრ საქმეს გაართმევთ თავს. ფიზიკური და შემოქმედებითი აქტიურობის პერიოდია. დაამყარეთ პარტნიორული ურთიერთობები და განახორციელეთ ჩანაფიქრები. ნუ გარისკავთ, თავი შეიკავეთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისგან და გადაამოწმეთ მიღებული ინფორმაცია. ოჯახის წევრები სიყვარულითა და სითბოთი გაგანებივრებენ.

## თხის რქა

საქმეების გამო ცოტა დრო დაგრჩებათ საყვარელ ადამიანთან, მეუღლესთან და ბავშვებთან ურთიერთობისთვის. ადვილად ამოიცნობთ ფარული მტრების მიზნებს და სასიკეთოდ შეცვლით თქვენს სამომავლო მდგომარეობას. კარგია საქმიანი კავშირების დამყარება. მოერიდეთ რისკს და შეინარჩუნეთ კარგი განწყობა.

## მერწყული

გაგიადვილდებათ ჩანაფიქრების რეალიზება ახლო მეგობრების დახმარებით. საქმის შესრულებისას გამოიყენეთ არაორდინარული გზები. მომხიბვლელობით ბევრს დაახვევთ თავბრუს. ეს დრო გამოიყენეთ პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად და ახალი ურთიერთობების დასამყარებლად.

## თევზები

ენერგიის დაქვეითების მიუხედავად, ამ კვირაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწევთ, თუ დასახული გეგმით იმოქმედებთ. ეს კარგი დროა იურიდიული საკითხების მოსაგვარებლად. პერიოდულად შეისვენეთ და უარი თქვით დამღლელ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებზე, ასევე, მოგზაურობებსა და მივლინებებზე. ნუ იეჭვიანებთ საყვარელ ადამიანზე, რათა არ დაძაბოთ სიტუაცია.

**ახალმთვარეობა – 29 აპრილი, 06 სთ: 55 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია პატიება და მონანიება. მოერიდეთ თმის შეჭრას, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელებთან კონტაქტს, გაცვლით ოპერაციებს, სასიყვარულო შეხვედრებს. კარგია ახალი ნაცნობობა და საქმიანი შეხვედრები. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, მალაქიტი, ოპალი, ყვითელი იასპი ან ქარვა. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას. კარგია სამეცნიერო კვლევა, თერაპიული მკურნალობა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

არ აჰყვეთ მელანქოლიასა და შიშებს. კარგია სექსუალური კონტაქტები. არვარგა ფინანსური ოპერაციები, ხელმძღვანელებთან ურთიერთობა, გაცვლითი ოპერაციები, ახალი სამსახურის დაწყება. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ოქროსფერი, ნაცრისფერი, მწვანე ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი ან რუხი ტოპაზი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს. კარგია სამეცნიერო კვლევა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ოთხშაბათი

გამოავლინეთ შრომისუნარიანობა და ერუდიცია. რთული სიტუაციიდან თავის დასაღწევად კარგია მოლაპარაკება. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, წითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ცირკონი, ფირუზი, იაგუნდი ან ძოწი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს, რადგან სათუოა მათი ახდენა. კარგია სახლის მშენებლობა, ელექტროტექნიკის შეძენა, ადგილსამყოფლის შეცვლა, რემონტის დაწყება, ასევე, დიეტის დაწყება და გართობა. სუსუტდება ნერვული სისტემა, სისხლძარღვები, თვალები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

### ხუთშაბათი

შესაძალებლობა გექნებათ მოაგვაროთ საკონფლიქტო სიტუაციები, თუმცა, ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული. კარგია საზოგადოებრივი საქმიანობა, ინტელექტუალური განვითარება. ატარეთ წითელი, ვარდისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრონი ან ძოწი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია გართობა, ტექნიკის შეძენა, სამეცნიერო კვლევა, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, დიეტის დაწყება. სუსტდება ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ საიდუმლო საქმიანობას და საიდუმლოს გათქმას. ატარეთ მწვანე, ფირუზისფერი, იისფერი, ვერცხლისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო, გიშერი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია მოგზაურობა, იურისტებთან კონტაქტი, სასამართლო პროცესების დაწყება, შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვნებასთან ურთიერთობა. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები, თვალები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### შაბათი

კარგია ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენა, საქმიანი კონტაქტების ჩამოყალიბება, სამართლიანობის აღდგენა. ატარეთ მწვანე, იისფერი, ყვითელი, ფირუზისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო ან გიაცინტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სასიყვარულო შეხვედრებს. კარგია მოგზაურობა, იურიდიული საქმეების მოგვარება, კაპიტალდაბანდება. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, კანი, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს ახალმთავრეობაა. რთული დღეა, შეინიშნება სასიკეთო კოსმიური ენერგიების ნაკლებობა, რაც მეტად განაპირობებს კონფლიქტებს, აგრესიას, დეპრესიას, ტრავმებს, ავარიებს, ცდუნებებს, შეცდომებს, ჯანმრთელობის გაუარესებას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. მეტად იჩენს თავს ფინანსური პრობლემები. მოერიდეთ კამათს, თმის შეჭრას, წესების დარღვევას. ატარეთ ყვითელი, ლურჯი, ცისფერი, ნარინჯისფერი ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – გიშერი, აქატი, იაგუნდი ან წითელი იასპი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები, თვალები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ლიპარტიანი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ლიპარიტი**. საქართველოს ისტორიიდან ნაცნობია **ლიპარიტ** ბაღვაშის სახელი, რომელიც ლიხთიმერეთიდან წასულა მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში და კლდეკარში დამკვიდრებულა. სწორედ აქედან დამკვიდრდა **ლიპარიტეთი. ლიპარტიანი** ერთგვარი წოდებაა.

1448-1508 წლებში **ლიპარტიანმა** ხონის საყდარს ხუნწში მცხოვრები ყმა – მამფორია შესწირა.

1711 წელს გააზნაურებულია ორბელიანის გვარის, **ლიპარიტის** შვილი, რომელსაც ეწოდა **ლიპარიტ** ორბელი; ისინი იმერეთიდან მოსულებად ითვლებიან.

ვახუშტი ბატონიშვილი **ლიპარტიანს** პირველად 1858 წლის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს. პირველი **ლიპარტიანი** იყო გიორგი, რომელიც სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივი გამგებელი იყო ლევან მეორის (დადიანის) მცირეწლოვნობის დროს.

სამეგრელოს მთავარს, დადიანს, ჯანმრთელი შვილი არ ჰყავდა, ამიტომ, სამთავროს დინასტიის გამგრძელებლად ვამეყ **ლიპარტიანი** დადგა.

საქართველოში 1 143 **ლიპარტიანი** ცხოვრობს: ზუგდიდში – 317, თბილისში – 161, ხობში – 141. არიან სხვაგანაც.

### ჩხეტია

**ჩხეტია, ჩხეტიანი, ჩხეიძე** და **ჩხეტისძე** მონათესავე საგვარეულოებია. მათ წარმოებასა და გვართა წარმოქმნაში ფუძე **ჩხა, ჩხე** მონაწილეობს. ეს ფუძე კიდევ რამდენიმე გვარსა და ტოპონიმს აწარმოებს, მაგალითად: **ჩხაბერიძე, ჩხაიძე** და ასე შემდეგ.

**ჩხა** ლაზურ-ჭანური ენის პირშმოა. მოქანდაკე კობა გურული აღნიშნავს: „**ჩხა** ქართველურში ვაზის ტოტია, ცაური შემოწნირულობით ის სხივზგამოტყორცნილი მზეა, მზის გამოკრთომაა, ქრისტეს სასიცოცხლო ენერგიაა“...

**ჩხეტია** და ჩიჩუა ორი დაწინაურებული ტომი, საგვარეულო ყოფილა, რომლებსაც თავიანთი ბრწყინვალება 1917 წლამდე, რევოლუციამდე არ დაუკარგავთ და ისინი თავადაზნაურებად მოიხსენიებიან.

**ჩხეტიები**, როგორც ერისთავები, გონიოს პატრონებად არიან მოხსენიებულნი. ამ გვართან ერთადაა ნახსენები: **ჩხორი, ჩხორის** თემი. ზურაბ ჭუმბურიძე, წიგნში „დედა-ენა ქართული“, წერს: **„ჩხორია** სოფელია ზუგდიდის რაიონში. **„ჩხორი“** მეგრულად ნიშნავს „სხივს“, ქართველურად – მზეს (მზის სხივს), მას დართვია სუფიქსი **ია (ია** უფალიცაა) და ასე წარმოქმნილა **ჩხორია**, ანუ, „სხივიანი,“ „სხივეთი“ – ისევე, როგორცაა ნაწარმოები: ზღვაია – ზღვეთი, ტყაია – ტყეთი და სხვა.“

**ნაჩხეტუ** ბორცვია ზანის მარჯვენა მხარეს, **ნაჩხეტუ – ჩხეტიაშკა** სერია ქუაღესსა და დუდღეეს შუა; **საჩხეტიო** – უბნებია თეკლეთისა და ზედა ეწერში, სადაც ადრე **ჩხეტიები** ცხოვრობდნენ და შემდეგ **ჩხეტიანებიც** შემოემატნენ.

საქართველოში 1 065 **ჩხეტია** ცხოვრობს: ზუგდიდში – 342, თბილისში – 212, სენაკში – 74. არიან სხვაგანაც.

### სულთანიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სულთანი**, რომელიც წარმოიშვა არაბულ ქვეყნებში




და მეფის ტიტულის აღმნიშვნელია.

1569 წლის ყმების შეწირულობის წიგნში, რომელიც კახთა მეფეს, ლეონ მეორეს მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისთვის მიუცია, მოიხსენიება ლაწუკელი **სულთანა.**

ბასილა, გიორგი და კაცია **სულთანიშვილები** მოიხსენიებიან 1743 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც იასე საგინაშვილი აძლევს თავის ძმისწულს, როსტომ ბეჟანიშვილს.

საქართველოში 633 **სულთანიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 363, ონში – 98, რუსთავში – 62. არიან სხვაგანაც.

### ბერძენაშვილი

გვარის ფუძეა ეთნონიმად ქცეული სახელი **ბერძენი**. ასევე, გვხვდება მეტსახელი **ბერძენა**.

1721 წელს ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ვინმე **ბერძენა** ჯვარშეიშვილი.

1638 წელს მოსე მაღალაძის მიერ თავის განაყოფ სახლთუხუცეს გიორგი მაღალაძისთვის მიცემულ ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ვინმე **ბერძენა.**

1721 წელს ალგეთში ცხოვრობდა აზნაური ოთარ **ბერძენაშვილი**, რომელიც სახლთუხუცესი და თავად ამილახვარ გოსტაბაშვილის მემამულე იყო.

იორდანე **ბერძენაშვილი** 1843 წელს ცხოვრობდა ყვარელში.

ამავე ძირისაა გვარები: **ბერძენიშვილი, ბერძენიძე, ბერძენაძე, ბერძული.**

საქართველოში 2 662 **ბერძენაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 1 050, ჩოხატაურში – 319, რუსთავში – 146. არიან სხვაგანაც.

### მორთულაძე – მორთულაძეშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მორთულა**.

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, დასავლეთ საქართველოდან გადმოსული **მორთულაძეები** გვარად **მორთულაძეშვილები** გახდნენ.

1823 წელს ვაშლოვანში მოიხსენიება აზნაური **მორთულაძეშვილი** ოჯახითურთ.

საქართველოში 395 **მორთულაძე** ცხოვრობს. ბათუმში – 71, ქედაში – 52, ქობულეთში – 13. არიან სხვაგანაც.

### თათრიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თათრა, თათარა.**

**თათარა** მომდინარეობს სხვა ტომის, **თათრის** სახელწოდებიდან.

ამგვარად ნაწარმოები გვარებია: არაბიძე, ოსაძე, ჩერქეზია.

გადმოცემის მიხედვით, **თათრიშვილების** ადრინდელი გვარი ქავთარაძე იყო. ერთ-ერთი ქავთარაძე **თათრებს** მთიულეთიდან გაუტაცებიათ. დიდი ხნის შემდეგ მას ტყვეობიდან დაუღწევია თავი და მცხეთაში დასახლებულა. ამის გამო მის შთამომავლებს გვარად **თათრიშვილი**, მოგვიანებით კი **თათარაშვილი** მიუღიათ. ისინი სოფელ დიდ დალეთში ცხოვრობდნენ.

კუმისიდან დიდ ენაგეთში საცხოვრებლად გადასულა მიხეილ ჯაშიაშვილის სიძე, პაშა **თათარაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **თათარაძე, თათარაიძე.**

საქართველოში 858 **თათრიშვილი** ცხოვრობს.

### ვახვახიშვილი

სავარაუდოდ, გვარის ფუძეა საკუთარი სახელის – **ვახტანგის** შემოკლებული ფორმა – **ვახ**. საკუთარი სახელი **ვახტანგი** სპარსულია და სიტყვასიტყვით მგლისტანიანს ნიშნავს.

გვარი ორი ფორმით გვხვდება, კერძოდ: **ვახვახიშვილი** და **ვახახიშვილი**. ასევე, გვხვდება **ვახვახოვი**, რომელიც რუსული გავლენითაა მიღებული.

**ვახვახიშვილები** კახეთში თავად-აზნაურები იყვნენ.

1544 წლის ისტორიულ საბუთში მოიხსენიება ვახუშტი **ვახვახიშვილი**, რომელსაც ჰყავდა ორი ვაჟი: ბერუა და ზურაბი. მას თეიმურაზ მეფემ ენისელში თვრამეტი საკომლო უწყალობა და ძმასა პიროქროას შვილის ნაქონ მამულს დაჰპირდა, რომელსაც ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ მიიღებდა.

1496 წელს, კათოლიკოს აბალაკის მიერ მცხეთის კუთვნილი კახური მამულების საზღვრების დადგენის შესახებ შედგენილი საბუთის მოწმეა ზუბელა **ვახვახიშვილი**.

1690 წელს ზურაბ **ვახვახიშვილმა** განუახლა თარხნობა სიონის ღვთისმშობლის ყმებს.

**ვახვახიშვილების** შტო-გვარებია: დიდორქელი და ბაზიერთხუციშვილი.

საქართველოში 69 **ვახვახიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 33, თელავში – 26, თეთრი წყაროში – 10.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ მოიპარეს ეგზარქოსმა ევსევიმ და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ლევაშოვმა თამარმეფისეული ლალის თვლები

ისტორიის განმავლობაში საქართველოს დაუნდობლად ძარცვავდნენ სხვადასხვა სარწმუნოების დამპყრობლები. უამრავი სიმდიდრეა გატანილი ჩვენი ქვეყნიდან – ძვირფასეულობა, ოქრო-ვერცხლი, მარგალიტები, ალმასი, ზურმუხტი, ფირუზი, ლალის თვლები, საფირონი, იშვიათი წიგნები, გვირგვინები და ვინ მოთვლის კიდევ რა.

ზოგიერთი მძარცველის შესახებ ცნობები შემოინახა ისტორიამ. გასაოცარი და სამწუხარო ისაა, რომ 1801 წლის შემდეგ, რაც ჩვენმა სამეფოებმა დამოუკიდებლობა დაკარგეს, მძარცველთა რიცხვს რუსი ოფიცრებისა თუ ჩინოვნიკების გარდა, რუსი მღვდელმთავრებიც მიემატა.

თვითონ რუსი მართლმადიდებლებიც კი ვერ მალავდნენ აღშფოთებას ამ ვითარების გამო. რუსი მართლმადიდებლების მიერ 1986 წელს გამოცემულ ნაშრომში: „Церковные вопросы в Росии или русские духовные ведомости Браила” წერია: „რუსი ეგზარქოსები საქართველოში მიდიან არა იმიტომ, რომ მწყემსონ მათზე მინდობილი ეკლესია, არამედ ძარცვონ და გაანიავონ ძველი ივერიის განძი. აბუჩად აიგდონ მისი მცხოვრებლების ენა, თვითონ კი, ნაძარცვი ქონებითა და ფულით უკან დაბრუნდნენ”.

1811 წელს რუსეთის იმპერიამ პატრიარქი ანტონ მეორე რუსეთში ძალით გაიწვია, რაც ფაქტობრივად, პატიმრობასა და მცხეთის უძველესი საპატრიარქოს გაუქმებას ნიშნავდა.

კათალიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის რუსეთში გაწვევის გამო, მცხეთის საპატრიარქოს გამგებლად დაინიშნა რუსეთში ნამსახურები ვარლამ ერისთავი. რუსეთის ხელისუფლების დავალებით ვარლამმა შეადგინა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც სასულიერო დიკასტერიის (სასამართლოს) მუშაობას, საქართველოს საეგზარქოსოს შექმნას და რუსეთის სინოდისადმი მის დაქვემდებარებას ითვალისწინებდა.

რუსეთის იმპერატორის მთავრობამ საეგზარქოსო შექმნა 1811 წლის ივლისში. ის იყო საეკლესიო-ადმინისტრაციული ორგანო ადგილობრივი ეკლესიის მართვისთვის. საეგზარქოსოს მთავარი მიზანი გახლდათ, ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა და მრევლის სრული გათქვეფა რუსულ ეკლესიაში.

ძალიან საინტერესოა, რომ რუსული ეკლესია იმ დროს მთლიანად ემორჩილებოდა რუსეთის იმპერატორს. პატრიარქის პატივი გაუქმებული იყო ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროიდან და სინოდს მართავდა იმპერატორის მიერ დანიშნული მოხელე – ობერ-პროკურორი.

ამ ვითარებას თავად რუსი პატრიოტები ებრძოდნენ, რადგან ეს იყო სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის ჩაგვრა. ფაქტობრივად, გაუქმებული იყო რუსული ეკლესიის ავტოკეფალია... ასე რომ, რუსული ეკლესია არ იყო თავისუფალი და ის იმპერიის ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური მანქანის დანამატი გახლდათ.

ეგზარქოსი ბერძნული სიტყვაა და დამოუკიდებელ მმართველს ნიშნავს. ამ შემთხვევაში, ნიშნავს სახელმწიფოში მაღალი წოდების იერარქს, რომელიც მართავს ადმინისტრაციულად და ეთნიკურად განსხვავებულ დიდ საეკლესიო ეპარქიას, უფრო სწორად, ტერიტორიას. საქართველოს ეგზარქოსი რუსული ეკლესიის სინოდის წევრი გახლდათ.

როგორც ვთქვით, საეგზარქოსოს მეშვეობით, უნდოდათ, გაევლოთ გარდამავალი ეტაპი ქართული და ზოგადად, კავკასიელი მართლმადიდებლების სრული გათქვეფისა რუსული ეკლესიის წიაღში.

მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს საეგზარქოსოში შედიოდა ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურია-სამეგრელოს, სოხუმისა და ვლადიკავკაზის (ჩრდილოეთ კავკასიის) ეპარქიები. შემდეგ საეგზარქოსო გაფართოვდა და მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისთვის, მასში შევიდა მთელი ამიერკავკასია, ჩრდილოეთ კავკასია და კასპიის ზღვის აღმოსავლეთი მხარეც.

1811 წელს პირველ ეგზარქოსად ვარლამ ერისთავი დანიშნეს, ესეც ტაქტიკა იყო, პირველი ნაბიჯი. შემდეგ კი საქართველოს ეგზარქოსებად რუსები ინიშნებოდნენ... ვარლამ ეგზარქოსს ეგონა, მისი სამსახური იმპერიისადმი საშუალებას მისცემდა, სიცოცხლის ბოლომდე ეგზარქოსის პატივით ეცხოვრა, მაგრამ შეცდა, 1817 წელს ის შეცვალეს...

ეგზარქოსები დიდ ძალაუფლებას ფლობდნენ და დიდად მოქმედებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ბედზე.

1858 წელს საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა მთავარეპისკოპოსი ევსევი (ილინსკი).

მან ტფილისში საფუძველი ჩაუყარა ტაძარს, რომელიც კავკასიის დაპყრობის აღსანიშნავად



აშენდა. რუსეთის იმპერიის წინაშე დამსახურებისთვის 1865 წლის 30 აგვისტოს მიიღო ჯილდო – ალმასის ჯვარი. იყო არჩეული იმპერიის გეოგრაფიული საზოგადოების, საეკლესიო-არქეოლოგიური საზოგადოებისა და კიევის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრად.

არქიეპისკოპოს ევსევის ეგზარქოსობის დროს, მეტი ინტენსივობით გაგრძელდა ქართული საეკლესიო ქონების ძარცვა. მისი ხელშეწყობით, ქართული საეკლესიო საგანძური რუსი კოლექციონერების კერძო კოლექციებში ხვდებოდა.

ევსევის დახმარებითა და მფარველობით, ქუ-

**ყოველ ლალს თავისი სახელი ჰქონდა: „ობოლა“, „კედელა“, „მედეგა“...**

თაისის გენერალ-გუბერნატორმა ვლადიმირ ვასილის ძე ლევაშოვმა გელათის მონასტერში დაცული ხახულის ღვთისმშობლის ხატი გაძარცვა, ღვთისმშობლის ტიხრულ მინანქარში შესრულებული ხატი და მინანქრის სხვა უნიკალური ნამუშევრები მოიპარა და ცნობილ რუს კოლექციონერს, მიხეილ ბოტკინს მიჰყიდა. ასევე, ძვირფასი თვლებიც ააცალა ხატს.

ნიკოლოზ დურნოვოს დახასიათებით, ევსევი იყო: „უკიდურესად გარყვნილი, ცხოვრებაში თავშეუკავებელი, ავხორცი. ფული რომ დასჭირდა, თავისი დამქაშების მეშვეობით, კათალიკოსების ყოფილი საპატრიარქოს საეკლესიო სალაროს მთელი განძეულობა გაყიდა. შესამოსლებს, მიტრებს და ხატებს ძვირფასეულობა მოხსნა და ხელი შეუწყო გელათის მდიდარი საეკლესიო სალაროს გაფლანგვას. გელათის სალაროდან გაქრა ოქროს ხატის მოჭედილობა, მთელი მსოფლიოს მეცნიერთათვის ცნობილი თავისი ძვირფასი ტიხრული მინანქრით. ამის შემდგომ ევსევიმ ასეულობითათასები ჩაიჯიბა. მის საეგზარქოსოში დატაცებულია ორ მილიონზე მეტი ღირებულების საეკლესიო განძეულობა...

ხახულის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატიდან, რომელიც გადმოცემით ლუკა მახარებლის მიერ იყო დაწერილი, მოხსნეს ოთხი დიდი და შვიდი მცირე ლალი, ოდესღაც თამარ მეფის გვირგვინს რომ ამშვენებდა. ყოველ ლალს თავისი სახელი ჰქონდა: „ობოლა”, „კედელა”, „მედეგა”...

ლალი ერთ-ერთი უძვირფასესი ქვაა კაცობრიობისთვის. ის კეთილშობილ ქვად ითვლება. ადამიანები აღფრთოვანებულნი იყვნენ ლალის თვლებით უძველესი დროიდან. ლალის თვალს ცხოვრების ქვას უწოდებენ. სახელწოდება მიიღო ლათინური „რუბბენისგან”, რაც წითელს ნიშნავს. 30 კარატზე დიდი ლალი ითვლება უნიკალურად და ძალიან ძვირფასია. ისედაც, ლალის თვალი ძალიან ძვირფასია მისი სიმყარისა და სილამაზის გამო.

ძველი ინდიელები, ლალის ქვას, ძვირფასი ქვების ბელადს ეძახდნენ. ძველი სამყაროდან მოყოლებული, ყველაზე მეტად ფასობდა ზურმუხტი, ალმასი და ლალი. ეს მინერალი კორუნდია. მისი მსგავსია შემადგენლობით საფირონი. განსხვავება მხოლოდ ლითონის შემცველობაა. საფირონი სხვადასხვა ფერისაა. ლალი კი მხოლოდ წითელი, ოდნავ განსხვავებული შეფერილობებით.

ზოგიერთი ლალის ზედაპირზე, თურმე, შეიძლება დაინახო ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რასაც ასტერიზმი ჰქვია. ასეთი ლალი ყველაზე ძვირფასია (ექვსქიმიანი ვარსკვლავი ბაგრატიონებისთვის მათი ლეგენდარული წინაპრის, დავით წინასწარმეტყველის სიმბოლო იყო). მხოლოდ ალმასია ლალის თვალზე მყარი. ამიტომ, მისი დამუშავება ძალიან ძნელია. დიდ ოსტატობას მოითხოვს. დიდი ლალის თვალი ხშირად თავის ზომა ალმასზე ძვირად ფასობს.

საინტერესოა თქმულება თამარ მეფის ლალებზე, რომელთაგან „ობოლა” ყველაზე დიდი ყოფილა, „კედელა” ანუ ზღუდე, „ობოლას” გამყოფი იყო სხვა მცირე ლალებისგან, „მედეგა” სიდიდით „ობოლას” უახლოვდებოდა.

ძალიან ამაღელვებელია თამარ მეფის მიერ ამ ძვრფასი თვლების ხატისთვის შეწირვის ლეგენდა. თურმე, თამარ მეფე გელათის მონასტერში სადღესასწაულო წირვაზე წასასვლელად ემზადებოდა და ლალებს იმაგრებდა მეფის თავსამკაულზე. მას მოახსენეს, რომ გარეთ მათხოვარი ქალი დგას და მოწყალებას ითხოვსო. მეფეთმეფემ ბრძანა, დამელოდოსო.

როცა დიდი ხელმწიფე გამოვიდა და ქალის დასაჩუქრება მოინდომა, მათხოვარი უკვე წასულიყო. შეწუხებულმა თამარ მეფემ საკუთარ თავს უსაყვედურა, რომ იმ უპოვარი ქალის სახით თვით უფალ იესოს უთხრა უარი. მოიხსნა თავსამკაული, რომლის მიზეზითაც შეაგვიანა მათხოვართან გამოსვლა და ღვთისმშობლის გვირგვინზე დაჰკიდა.

ეს ლალის თვლები მოეწონათ ევსევის და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ლევაშოვს – გაძარცვეს ლუკა მახარებლის მიერ შექმნილი ხატი, რომელიც დიდი ხნის წინ, თამარ მეფის ბრძანებით, იმ ლამაზი და დიდებული ლალის თვლებით დაამშვენეს. დღეს ეს ლალის თვლები შეიძლება, რომელიმე მილიონერის კოლექციაში ინახება. თუმცა, მის მფლობელს არაფერი ეცოდინება იმის შესახებ, რომ ეს ლალის თვლები იესო ქრისტეს მოწაფის მიერ დახატული და ქართველი დედოფლის მიერ გამშვენებული ხატიდანაა აგლეჯილი რუსი მთავარეპისკოპოსის ევსევის მიერ თუ მისი თანხმობით.

ევსევი საქართველოს ეგზარქოსად იყო 1858-1877 წლებში. 1878 წელში გადაიყვანეს ტვერის მთავარ-ეპისკოპოსად, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1879 წელს. მასზე ამბობენ, სიკვდილის მერე 200 000 მანეთი დატოვაო. ეს იმ დროისთვის დიდი ფული იყო.

**გიორგი მახოზეშვილი**

# როგორ აართვა 15 მილიარდი დოლარი საერთაშორისო ნარკოკარტელს ყოფილმა ქართველმა ჯიბგირმა

სიმონ რამიშვილი, მეტსახელად „ხელსწრაფია“, ალბათ, ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ცნობილი კოლუმბიელი ნარკობარონი პაბლო ესკობარი „გადააგდო“. ამას გარდა, ის იშვიათი გამონაკლისი, ვისაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდიდან ერთობლივად ეძებს „ფებეერი“ (ამერიკის შეერთებული შტატების საგამოძიებო ბიურო) და „კაგებე“ (ამჟამად რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური – „ფეესბე“). დღევანდელ პუბლიკაციაში სწორედ „ხელსწრაფიას“ კრიმინალური საქმიანობის რამდენიმე ეპიზოდზე მოგითხრობთ.

მასალა ექსკლუზიურია. პრესაში პირველად იბეჭდება და რედაქციასთან შეუთანხმებლად, მისი გადაბეჭდვა დაუშვებელია.

### ნორჩი ჯიბგირი

სიმონ რამიშვილი გურიის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში დაიბადა და დაწყებითი სკოლაც იქვე დაამთავრა. მეხუთე კლასიდან პატარა სიმონი თბილისში გადმოიყვანეს და მათემატიკური პროფილის სკოლაში გააგრძელა სწავლა. მას განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდა ზუსტი მეცნიერებებისადმი და მასწავლებლები ერთხმად უწინასწარმეტყველებდნენ დიად მომავალს. მართლაც, მერვე კლასამდე სიმონი ფრიადოსანი იყო. თუმცა, თხუთმეტი წლის რომ შესრულდა, „აუშვა“... და ჯერ სწავლაზე აილო ხელი, ერთ წელიწადში კი სკოლა მიატოვა – სიმონი თავისი უფროსი მეგობრის, 20 წლის ჯემალ გოთუას გავლენის ქვეშ მოექცა და ჯიბგირობას მიჰყო ხელი. სულ მალე გოთუა ათი წლით გააციმბირეს თავშეუკავებელი ანტისაბჭოთა გამონათქვამების გამო და სიმონი მარტო დარჩა. თუმცა, მან ჩვეული საქმიანობა განაგრძო და ძალზე წარმატებულად ჯიბგირობდა საქალაქო ტრანსპორტსა და საკოლმეურნეო ბაზრებში. ის ისე სწრაფად იპარავდა, რომ მოგვიანებით, მას „ხელსწრაფია“ შეარქვეს. 16 წლის სიმონი მილიციამ ყოველგვარი ფაქტის გარეშე დააპატიმრა – მას საფულე ჩაუდეს, ცრუ მოწმეები დააყენეს თავზე და ორი წლით ზემო ავჭალის მცირეწლოვანთა კოლონიაში გაამწესეს. პატიმრობიდან დაბრუნებული ხელსწრაფია 18 წლის იყო და კრიმინალური აზროვნება ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი.

### სუფთა ბიოგრაფია

18-დან 21 წლამდე ხელსწრაფია თბილისიდან გაუჩინარდა და მხოლოდ სამი წლის მერე დაბრუნდა დედაქალაქში. ის ყოველმხრივ საგრძნობლად იყო შეცვლილი და ეს იგრძნობოდა როგორც მის გარეგნობასა და ჩაცმულობაში, ასევე მანერებში. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ სიმონს ამ გაუჩინარების პერიოდში ქართულისა და რუსულის გარდა, ოთხი ენა ჰქონდა შესწავლილი. ინგლისური, ფრანგული, ესპანური და გერმანული. იმავე წელს, 21 წლის სიმონი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც სამ წელიწადში დაამთავრა და 24 წლის ახალგაზრდას წითელი დიპლომი ჰქონდა. ერთობ საოცარი და საეჭვო იყო ის, რომ სიმონის პირად საქმეში არც მისი კრიმინალური საქმიანობა და არც ორწლიანი პატიმრობა იყო დაფიქსირებული. ამიტომ, მას ნებისმიერ სამსახურში გზა ხსნილი ჰქონდა – 24 წლის ყმაწვილი ჯერ ფიზიკის ინსტიტუტში მოეწყო ლაბორანტად, შემდეგ კი ის მოსკოვში გადაიყვანეს და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა გიდად... მას უცხოელ მეცნიერთა ჯგუფების მიღება და მომსახურება ევალებოდა. ეს კი იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ხელსწრაფია „კაგებემ“ გადაიბირა... მისი სამწლიანი გაუჩინარება, შესწავლილი ენები და ასე ვთქვათ, იმიჯის შეცვლა, „კაგებეს“ საიდუმლო სკოლაში გატარებული წლების შედეგი იყო. მისი ბიოგრაფიის გასუფთავებაც, რასაკვირველია, „კაგებეს“ ნახელავი გახლდათ და სიმონ რამიშვილი, მეტსახელად ხელსწრაფია, „კაგებეს“ არალეგალი თანამშრომელი გახდა...

## „ხელსწრაფიამ“ უსამა ბინ ლადენი პაკისტანის დედაქალაქში გაიცნო

### პირველი ვოიაჟი

პირველი გაშიფრული ცნობები სიმონ რამიშვილის შესახებ 2012 წელს გახდა ცნობილი და სწორედ ამის შედეგად შევძელი მომეპოვებინა მასალა ხელსწრაფიაზე.

1982 წელს საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტმა 32 წლის სიმონ რამიშვილი მექსიკაში გაგზავნა სპეცდავალების შესასრულებლად. ფორმალურად, ის სამეცნიერო-ტექნიკურ კონგრესში იღებდა მონაწილეობას. სინამდვილეში კი, მას კავშირი უნდა დაემყარებია სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში მოქმედ ნარკოკარტელთან. ეს იყო კონსპირირებული, მთელ მსოფლიოში განტოტვილი საერთაშორისო ორგანიზაცია და მისი თანხების წლიური ბრუნვა მაშინდელი კურსით (1982 წელი) სამოცდაათი მილიარდი დოლარი იყო... „კაგებეს“, ისევე, როგორც „ფებეერს“ და სავარაუდოდ, „ცეერუსაც“, ამ ორგანიზაციაში თავისი ინტერესები გააჩნდათ.



ჩვენ მიერ მოპოვებული, სანდო ცნობების მიხედვით, ხელსწრაფიამ ახალი ურთიერთობები დაამყარა ნარკოკარტელის მმართველებთან და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მაშინ ჯერ კიდევ უცნობი პაბლო ესკობარი გადმოიბირა... სწორედ ოთხმოციანი წლების დასაწყისში დაიწყო ცნობილი კოლუმბიელი ნარკობარონის აღზევება და როგორც დღესდღეობით უტყუარადაა დადასტურებული, მას „კაგებე“ ეხმარებოდა. ამგვარად, ხელსწრაფიას პირველმა უცხოურმა ვოიაჟმა წარმატებით ჩაიარა...

### თხუთმეტი მილიარდი დოლარი

1982-1990 წლებში სიმონ რამიშვილი მუდმივად დადიოდა უცხოეთში და სავარაუდოდ, „კაგებეს“ სხვადასხვა სპეცდავალებებს ასრულებდა, რომლებიც ძირითადად, ნარკოტრაფიკებთან იყო დაკავშირებული. ის ხან შუა აზიაში ჩადიოდა, ხან ორივე ამერიკის კონტინენტზე და ყველგან ნაცნობობის ფართო წრე ჰყავდა. ერთ-ერთი ვარაუდით, სიმონმა 1985 წელს უსამა ბინ ლადენი გაიცნო პაკისტანის დედაქალაქ ისლამ-აბადში და მისი დახმარებით ავღანეთიდან ნარკოტიკების უმსხვილესი პარტიის ტრანსპორტირება მოახდინა, რომელიც 800 მილიონ დოლარად იქნა შეფასებული. აბსოლუტურად ზუსტადაა ცნობილი, რომ ხელსწრაფიას 1988 წელს პაბლო ესკობარი მოსკოვში ჰყავდა ჩამოყვანილი და ის „კაგებეს“ მაღალჩინოსნებს შეახვედრა.

სიმონ რამიშვილის ბიოგრაფიაში 1990 წელს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ წლის თებერვალში ხელსწრაფია და უკვე საქვეყნოდ ცნობილი კოლუმბიელი ნარკობარონი, პაბლო ესკობარი მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში შეხვდნენ ერთმანეთს. ორიოდე დღის მერე კი, პირადად ესკობარის ინიციატივითა და თავდებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ორმოცდაათამდე ბანკში (საბჭოეთის გარდა) 15 მილიარდი დოლარი გადაირიცხა... ეს თანხა სულ რაღაც ერთ დღეში იქნა გამოტანილი ყველა ბანკიდან, მეორე დღეს კი თავად სიმონ რამიშვილი, იგივე ხელსწრაფია გაუჩინარდა.

სამ წელიწადში გაუჩინარდა თავად პაბლო ესკობარიც. მის გაუჩინარებაზე მრავალი ვერსია არსებობს და ოფიციალურად, ის მოკლულია, თვითმფრინავში აფეთქდა...

ამ ბოლო დროს გავრცელებული ვერსიებით, 15 მილიარდი დოლარი, ანუ საერთაშორისო ნარკოკარტელის საბრუნავი ფულის 20 პროცენტზე მეტი „კაგებემ“ მიითვისა, ხოლო ხელსწრაფიას კი პლასტიკური ოპერაცია გაუკეთეს და დღემდე ცოცხალია... არსებობს ასევე ვერსია, რომ ესკობარის აფეთქებაც ტყუილია. ის რუსეთის დაზვერვამ დადგა, სინამდვილეში კი ესკობარიც ცოცხალია, მასაც პლასტიკური ოპერაცია აქვს გაკეთებული და... რუსეთში ცხოვრობს.

რომელი ვერსიაა სწორი, ძნელი სათქმელია, მაგრამ სიმონ რამიშვილი, იგივე ხელსწრაფია, დღემდე ძებნილია – მას „ფებეერი“ და „ფეესბე“ ეძებს...

**ნიკა ლაშაური**

# როგორ გაუსწორდა ქურდობაში მხილებული მამაკაცი ყოფილი საყვარლის ქალიშვილს

54 წლის გოჩა წ-ანი ოპერატიულმა სამსახურმა 22 წლის გოგონას მძიმედ დაჭრის ფაქტზე დააკავა. კრიტიკულ სიტუაციაში მყოფი დაზარალებული საავადმყოფოში მეგობრმა, თანატოლმა გოგონებმა მიიყვანეს. სწორედ მათგან გახდა ცნობილი დანაშაულის დეტალებისა და ეჭვმიტანილი პიროვნების შესახებ, რომელიც გამოძიებამ ცხელ კვალზე, ინციდენტიდან რამდენიმე საათში მაშინ დააკავა, როდესაც ის გოგონასგან გატაცებული ფულის გადამალვას ცდილობდა.

პირველი შეკითხვა, რაც მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით გაჩნდა იყო: თუ რა აკავშირებდა დაზარალებულ გოგონას ეჭვმიტანილთან, რომელიც მასზე ასაკით ბევრად უფროსი იყო. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ნინო ჭ-ძე დანაშაულში ეჭვმიტანილ პირს კარგად იცნობდა. გოჩა წ-ანი წლების განმავლობაში ცხოვრობდა გოგონას ოჯახში და მისი დედის, ნანა ჭ-ძის საყვარელი გახლდათ. სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა, რომ იმ პერიოდში, სანამ მამაკაცი დედა-შვილის კუთვნილ ბინაში ცხოვრობდა, გოგონასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მას შემდეგ კი, რაც გოგონას დედა სამუშაოდ საბერძნეთში გაემგზავრა, გოგონა გოჩა წ-ანს დაუპირისპირდა. მას დედის კუთვნილი ნივთების მოპარვასა და ფულის გამოძალვაში ადანაშაულებდა. ლილიკო გ-შვილის განცხადებით, რომელიც მძიმე დანაშაულის მოწმე გახდა: ნინო ჭ-ძე გოჩა წ-ანს სამი თვის განმავლობაში ყოველთვიურად ორას დოლარს უხდიდა, რადგან ის ხან დედას აშანტაჟებდა ფულის გამოძალვის გამო და ხან – შვილს. ბოლო დროს გოგონა დედის ყოფილ საყვარელს შეხვედრაზე უარს ეუბნებოდა, მაგრამ კაცმა ის რამდენჯერმე მოტყუებით მაინც გაიყვანა სახლიდან. ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „ერთ დღეს ნინიკომ მთხოვა, გოჩას მეუღლესთან გამყევი, მასთან სალაპარაკო მაქვსო. ის ქალბატონი სკოლაში მუშაობდა და სამსახურში მივადექით. მე თავიდან ბოლომდე დავესწარი მათ საუბარს. ქალბატონი ნინოს დედისა და გოჩას არაოფიციალური რომანის შესახებ ინფორმირებული გახლდათ და როცა ნინომ სთხოვა, ეგებ თქვენი მეუღლე ჩამოგვაშოროთო, ბრალი აქეთ დასდო – როგორც გინდათ, ისე მიხედეთ თქვენს თავსო. ამის შემდეგ ნინო და გოჩა რამდენჯერმე შეკამათდნენ. დაპირისპირების მიზეზი იყო ჩემი მეგობრისთვის დედისგან საბერძნეთიდან გამოგზავნილი თანხა, რომლის ნაწილსაც გოჩა წ-ანი სხვადასხვა მოტივით ითვისებდა. ხან ამბობდა, ნანას ჩემი ვალი დარჩაო, ხან ნინიკოს მეგობარი ბიჭის გამო აშანტაჟებდა. მოკლედ, მათ შორის სიტუაცია ძალიან დაძაბული იყო."

> **მამაკაცი ხან ყოფილ საყვარელს აშანტაჟებდა, ხან – მის შვილს**

გამოძიების მასალებით, გოჩა წ-ანმა დანაშაულის ჩადენამდე რამდენიმე საათით ადრე, დაურეკა ნინო ჭ-ძეს და შეხვედრა მოსთხოვა. გოგონამ დედის ყოფილ საყვარელთან შესახვედრად მეგობარიც თან გაიყოლა. შეხვედრა წინასწარ დათქმულ ადგილზე, საბავშვო ბაღის ღია ეზოში შედგა. როგორც საქმის მასალებიდან გახდა ცნობილი, განსასჯელი გოჩა წ-ანი გოგონასთან შესახვედრად მთვრალი მივიდა. ამის შესახებ გამოძიებას მოწმე ლილიკო გ-შვილმაც დაუდასტურა: „მე და ნინიკო საბავშვო ბაღთან ჩემი მანქანით მივედით. გოჩა უგონოდ მთვრალი იყო და ნინოს ძალიან უხეშად დაელაპარაკა, დედაზე საშინელი სიტყვები უთხრა. ნინო აღელდა და გოჩას ქურდი უწოდა. დედაჩემი გაქურდე და ახლაც ფულს სძალავ. ამის შესახებ თუ თავს არ დაგვანებებ, პოლიციას შევატყობინებო. ამის თქმა იყო და გოჩამ ნინოს მუშტი ისეთი ძალით დაარტყა, ნინო წაიქცა. ხელი მოვკიდე და წამოვაყენე. ამ დროს იქვე მდგარი უცნობი მამაკაცი მოგვიახლოვდა, მან სიტუაციის განმუხტვა სცადა, მაგრამ გოჩამ მასაც შეურაცხყოფა მიაყენა და ის უცნობი გაგვერიდა. მოჩხუბრების გაშველებას ვერ ვახერხებდი, გოჩა ფიზიკურად უსწორდებოდა ნინოს, ჩანთაც კი წაართვა, სადაც ნინოს ორასი დოლარი და ასამდე ლარი ჰქონდა. სწორედ ეს ფული უნდა გადაეცა დედის თხოვნით გოჩასთვის, თუმცა ნინომ მანქანიდან გადასვლამდე მითხრა, ფულს აღარ მივცემო. ნინოს და გოჩას შორის საუბარი ძალიან დაიძაბა. უცებ გოჩამ ქურთუკიდან დანა ამოიღო და ნინოს რამდენჯერმე დაარტყა. ნინოს სამივე ჭრილობა გულ-მკერდის არეში ჰქონდა მიყენებული. ბუნდოვნად მახსოვს, რომ ყველა დარტყმაზე – აჰა შენ! აჰა შენი! – გაიძახოდა სადისტურად. მე ყვირილი ავტეხე, ჩემს ყვირილზე გოჩა გაიქცა. მაგრამ, უცებ უკან მოტრიალდა, ძირს დაგდებული ჩანთა აიღო და ისევ გაიქცა. ჩემს ყვირილზე ხალხი მოგროვდა. დაჭრილი ნინოს მანქანამდე მიყვანაში ის მამაკაცი დამეხმარა, რომელიც მანამდე შეესწრო ამ ჩხუბს. შემთხვევის ადგილზე მოვიდა პოლიციაც, მაგრამ გოჩა უკვე გაქცეული იყო."

დაკავებულმა გოჩა წ-ანმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. სამართალდამცველებმა ის ფული ამოიღეს, რომელიც მან დაჭრილ გოგონას გასტაცა. ექიმებმა მძიმედ დაჭრილი გოგონას გადარჩენა ქირურგიული ოპერაციის შედეგად შეძლეს. გოგონას შინაგანი ორგანოების მძიმე დაზიანებები აღენიშნებოდა. სასამართლო პროცესზე განსასჯელი ამტკიცებდა, რომ გოგონას აფექტურ მდგომარეობაში გაუსწორდა. თუმცა, საპირისპიროს ამტკიცებდა დაზარალებული. ნინო ჭ-ძეს განმარტებით, გოჩა წ-ანი მას ტელეფონში საუბრისას დაემუქრა: ერთხელ და საბოლოოდ უნდა გასწავლო ჭკუაო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა განზრახ მკვლელობის მცდელობას, რაც დადასტურებული იყო მოწმეთა ჩვენებებით და საქმეში არსებული მტკიცებულებებით. სასამართლომ გოჩა წ-ანი დამნაშავედ ცნო და ჩადენილი დანაშაულისთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**24 მარტი**

1794 – დაიწყო პოლონეთის აჯანყება რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

1882 – რობერტ კოხმა აღმოაჩინა ტუბერკულოზის ჩხირი.

1955 – ამერიკის შეერთებული შტატების ნაპირებიდან აღმართეს პირველი საზღვაო ნავთობის კოშკურა.

**25 მარტი**

1306 – შოტლანდიის მეფე გახდა რობერტ ბრიუსი. დაიწყო აჯანყება ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ.

1821 – დაიწყო ბერძნების ეროვნულ-გამათავისუფლებელი აჯანყება თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ; ბერძნების ეროვნული დღესასწაული – დამოუკიდებლობის დღე.

**26 მარტი**

1885 – ლონდონში ამუშავდა პირველი კრემატორიუმი.

1953 – ედვარდ სოლკმა შექმნა პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინა.

1960 – გაიხსნა პირველი „თასის მფლობელთა თასის" გათამაშება ფეხბურთში.

1971 – გამოცხადდა ბანგლადეშის დამოუკიდებლობა.

**27 მარტი**

1854 – დაიწყო ყირიმის ომი რუსეთს, საფრანგეთს, თურქეთსა და ინგლისს შორის.

1990 – ლონდონში ბეიკერ-სტრიტ №221-ში გაიხსნა შერლოკ ჰოლმსის მუზეუმი.

**28 მარტი**

1899 – მუშაობა დაამთავრა ბელგიურმა ანტარქტიკულმა ექსპედიციამ, რომელმაც პირველმა გამოიზამთრა სამხრეთ ნახევარსფეროს ყველაზე მაღალ განედზე.

1910 – მარსელში ჰაერში აიჭრა პირველი ჰიდროპლანი.

1930 – თურქეთის დედაქალაქ ანგორას ეწოდა ანკარა.

1939 – ესპანეთში დასრულდა სამოქალაქო ომი. გენერალი ფრანკო ესპანეთის დიქტატორი გახდა.

**29 მარტი**

1886 – ატლანტაში ჯონ ჰემბერტონმა შექმნა სასმელი „კოკა-კოლა".

1973 – ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა დატოვეს ვიეტნამი.

**30 მარტი**

1856 – დაიდო პარიზის სამშვიდობო მეორე ზავი – დამთავრდა ყირიმის ომი.

1858 – ფილადელფიელმა ხაიმენ ლიპმენმა დააპატენტა საშლელისბოლოიანი ფანქარი.

1867 – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 7,2 მილიონ დოლარად (2 ცენტი – 1 აკრი მიწა) რუსეთისგან იყიდა ალასკა.

1946 – „ოსკარით" დაჯილდოების ცერემონიალი პირველად გადაიცა რადიოთი.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

კითხვა: **ბინაში ვზრდი ჰემიგრაფისს, იქნებ, მირჩიოთ, რა პირობებში ვამყოფო, რომ უკეთ გამოიყურებოდეს?**

**პასუხი:** ჰემიგრაფისი მარადმწვანე მცენარეა. კაშკაშა სინათლე ხელს შეუწყობს მისი ფოთლების სიხასხასესა და ყვავილობას, ოღონდ, მოარიდეთ თაკარა მზეს და ზამთარში მინიმუმ 12-13 გრადუსზე ამყოფეთ. მოსწონს ოთახის ტემპერატურა, 18-24 გრადუსი. ამ მცენარეს ძალიან უყვარს სხვა მცენარეების მიერ შექმნილი ტენიანი მიკროგარემო. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით მეტი ტენიანობა სჭირდება. ზაფხულში, აქტიური ზრდის პერიოდში, რეგულარულად მორწყეთ, ზამთრობით კი მორწყვის სიხშირე შეამცირეთ, ოღონდ, მიწას ნუ გამოაშრობთ.

კითხვა: **ვერაფრით ვერ გავზარდე პუანსეტია. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: პუანსეტია ძალიან რთულად იზრდება. ახლა ის დროა, როცა მცენარე სრულ სიბნელეში უნდა ამყოფოთ. ეს უნდა მოხდეს რვა კვირის განმავლობაში მაინც, რათა მას ყვავილები და ყლორტები ამოუვიდეს და შემდგომ უხვად იყვავილოს. ზრდის ყველა ეტაპზე პუანსეტიას უყვარს კაშკაშა, გაბნეული შუქი, თაკარა მზე კი ვნებს.

კითხვა: **ჩემს კუფეას ფოთლები დასცვივდა. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი:** ალბათ, მცენარე მეტისმეტ სიცივეში ამყოფეთ და ფოთლები ამიტომ დასცვივდა. ზამთარში მისთვის უმჯობესია 8-10 გრადუსი. დადგით მცენარე კაშკაშა სინათლესა და მზეზე და, სანამ დათბება, შეეცადეთ, ძალიან დაბალ ტემპერატურაზე არ ამყოფოთ. ფოთლების დაცვენის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ნიადაგის გამოშრობა. მართალია, მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა უნდა აცადოთ, მაგრამ, ძალიანაც არ გამოაშროთ. თუ დროულად მორწყავთ, ახალ-ახალი ფოთლები ამოუვა.

კითხვა: **ბარაქის ხეს ფოთლები დაუწვრილდა. იქნებ ამიხსნათ, რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი:** საერთოდ, ამ მცენარისთვის განათება აუცილებელია, განსაკუთრებით – წელიწადის ამ დროს. ალბათ, სიბნელეში ამყოფეთ და ამიტომ დაუწვრილდა ფოთლები. მცენარე სიგრილეში ამყოფეთ, რათა დაიბრუნოს თავისი პირვანდელი ფორმა და უკეთ იგრძნოს თავი. თუ საჭირო გახდა, ტოტებს წვეროებიც წააჭერით, რომ უხვად დაიტოტოს.

კითხვა: **რა რაოდენობის წყალი დავასხა ხოლმე კლივიას წელიწადის სხვადასხვა დროს?**

**პასუხი:** ზრდის პერიოდში, ანუ, გაზაფხულიდან ზაფხულის ბოლომდე, რეგულარულად მორწყეთ და მიწა გაანოყიერეთ. მისი ნიადაგი მუდამ ტენიანი უნდა იყოს. ზამთარში ნაკლები წყალი სჭირდება და ეცადეთ, ხშირად არ მორწყათ. იშვიათად მორწყვა მის დროულ ყვავილობას შეუწყობს ხელს.

კითხვა: **რა ტემპერატურა და სინათლე სჭირდება ლანთანას?**

**პასუხი:** ლანთანასთვის აუცილებელია კაშკაშა სინათლე. ამიტომ, ზამთარში ყველაზე ნათელ ადგილას დადგით. მას სჭირდება ნორმალური ტემპერატურა. ზამთარში მინიმალური ტემპერატურაა 10 გრადუსი. თუ მცენარეს ფესვები ტენიანი აქვს, ზაფხულის სიცხესაც აიტანს. საერთოდ, ზომიერი კლიმატის პირობებში ის თავს მშვენივრად გრძნობს, სუბტროპიკებში კი სარეველად იზრდება.

კითხვა: **ბინაში ჩინური ვარდი მაქვს. მაინტერესებს, რა რაოდენობით სჭირდება წყალი წელიწადის სხვადასხვა დროს?**

**პასუხი:** დიდ მცენარეს ზაფხულობით რეგულარული მორწყვა სჭირდება. მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს, ზამთრობით კი მორწყვა შეამცირეთ და მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. გაზაფხულზე ნიადაგის კალიუმიანი სასუქით განოყიერება ხელს უწყობს მის ყვავილობას.

**მოამზადა
თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, მოქმედებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა იმ დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის ოჯახის წევრის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა უცხოეთში, იმ ქვეყანაში, სადაც იმყოფება მისი ოჯახი?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ საქართველოს მოქალაქე, რომელსაც დიპლომატიური იმუნიტეტი იცავს, აგრეთვე, უცხოეთში მყოფი მისი ოჯახის წევრები, თუ ისინი ნებაყოფლობით არ დათანხმდებიან ადგილსამყოფელი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებას, ექვემდებარებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი იმისთვის, რომ შეძლოს მონაწილეობის მიღება ნაფიც მსაჯულად სასამართლოში?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ პირი უფლებამოსილია, ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში, თუ: საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულია, როგორც 18 წელს გადაცილებული პირი; იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი; შეზღუდული არ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს არ შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, ვის კომპეტენციაში შედის საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხის განსაზღვრა და გადაწყვეტა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ საგამოძიებო ქვემდებარეობას საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

კითხვა: **სისხლის სამართლის საქმის გამომძიებელმა, მას შემდეგ, რაც შევატყობინე გარემოებები იმ დანაშაულთან მიმართებაში, რომლისთვისაც ბრალი წარმიდგინა, მითხრა, რომ ეს გარემოებები მისთვის არ იყო საინტერესო, რადგან ისინი შეეხებოდა ჩემთვის სასარგებლო მტკიცებულებებს. გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა გამომძებელს უფლება, გამოძიება აწარმოოს მხოლოდ ადამიანის დადანაშაულების კუთხით?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, სააქრთველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, გამომძიებელი ვალდებულია, გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. შესაბამისად, მას უფლება არ აქვს, ყურადღება არ მიაქციოს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ბრალდებულის უდანაშაულობაზე მიუთითებს.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა პროცედურების დაცვით და რა დროიდან წარმოიშობა რეალურად საკუთრების უფლება აუქციონზე შეძენილ ქონებაზე?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ აუქციონზე ქონების შემძენს გადაეცემა სპეციალისტის შესაბამისი განკარგულება, რომელშიც უნდა აღინიშნოს შეძენილი ქონება, აუქციონზე ქონების შემძენი, ფასი და აუქციონის პირობები. განკარგულება ცხადდება აუქციონზე და ძალაშია მისი გამოცხადებისთანავე. აუქციონთან დაკავშირებულ განკარგულებებზე სპეციალისტის ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულოა. აუქციონზე ქონების შემძენს ევალება, გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს სპეციალისტის სადეპოზიტო ანგარიშზე. იპოთეკის ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს თანხის გადახდის სხვა წესი, რაც წინასწარ უნდა განისაზღვროს აუქციონის პირობებში. განკარგულების ძალაში შესვლისთანავე აუქციონზე ქონების შემძენს საკუთრების უფლება წარმოეშობა მხოლოდ ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მაინტერესებს, ავტომობილის შეძენისას როგორ უნდა შევამოწმო მისი გამართულობა? არ ვარ პროფესიონალი და, მეშინია, შეცდომაში არ შემიყვანონ. შევძლებ თუ არა ამას საკუთარი ძალებით?**

**პასუხი:** მთავარია, შემოწმება არ დაიწყოთ ქალაქის გადატვირთულ მოძრაობაში, რადგან, იქ სხვა რამეები მიიქცევს თქვენს ყურადღებას. შედარებით განიერი და მშვიდი ტერიოტორია აირჩიეთ და იქ მიდით მანქანით. შემოწმებას იწყებთ ძრავით. ახადეთ კაპოტი, ავტომობილი დაქოქეთ და ძრავას ხმას მოუსმინეთ. იქ ზედმეტი არაფერი უნდა ისმოდეს. თუ ძრავას ხმას ოდნავ წიკწიკის ხმა დაჰყვება (საათივით წიკწიკს არ ვგულისხმობ, უფრო ხმამაღლა), ეს ნიშნავს, რომ ძრავას სარქველები გაღუნულია და უნდა გასწორდეს. მართალია, ყველა ძრავას განსაკუთრებული, თავისებური ხმა აქვს, მაგრამ, ის აუცილებლად მონოტონურად, ერთ რეჟიმში უნდა მუშაობდეს. რაც შეეხება სავალ ნაწილს, უსწორმასწორო გზაზე გადადით და ნახეთ, რამე ხომ არ კაკუნობს, ავტომობილი ძალიან უხეშად ხომ არ დადის. თხრილზე ის ძალიან რბილად უნდა გადავიდეს – ეს ნიშნავს, რომ სავალი ნაწილი ნორმალურია. თუ ამორტიზატორებს პრობლემა აქვს, თხრილზე გადასვლისას სალონში ძალიან დიდი რყევა იქნება.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს 2006 წელს გამოშვებული „ტოიოტა რავ-4," ამერიკული, 2.4 ბენზინის ძრავით. მაინტერესებს, რომელი ბენზინია ამ ავტომობილისთვის რეკომენდებული და, ზოგადად, რა არის ამ მანქანის სუსტი და ძლიერი მხარეები. მანქანა ცალხიდიანია.**

**პასუხი:** ამ ავტომობილისთვის ოპტიმალურია „პრემიუმ" საწვავის ჩასხმა – ამ საწვავზეა „ჯიპი" გათვლილი. შეგიძლიათ, „რეგულარიც" ჩაასხათ, მაგრამ, იმისთვის, რომ დიდხანს, გამართულად და ეკონომიურად იმუშაოს, გირჩევთ, „პრემიუმ" საწვავი მოიხმაროთ. ამ ავტომობილის სუსტი მხარე ისაა, რომ არის კომფორტული მსუბუქი მანქანა და არა „ჯიპი", ანუ, „ჯიპის" ფუნქციებს ვერ შეასრულებს. საქართველოს პირობებში კარგია იმ შემთხვევაში, თუ უგზოობაში, თოვლსა და ტალახიან გზაზე არ გვიწევს სიარული და „ჯიპის" ფუნქციით მისი გამოყენება. ზოგადად, წინა წამყვანი, როგორც თქვენ უწოდებთ – ცალხიდიანი, უფრო ეკონომიურია თავის თანატოლებთან შედარებით, რადგან, ძრავას ნაკლები ენერგიის ხარჯვა უწევს და ეს მანქანა ამ მიზნით არის გაკეთებული.

**კითხვა: შევიძინე „ლექსუს ჯი-იქს 4-70". მაინტერესებს, როგორ დავაყენო მასზე გაზის აპარატურა ისე, რომ უკანა რიგის სკამები არ გაუქმდეს. ასევე, მაინტერესებს, რამდენად უსაფრთხო იქნება აპარატურის ასეთი მონტაჟი და რომელი ფირმის ან რა ტიპის ბალონებია ყველაზე საიმედო?**

**პასუხი:** გაზის აპარატურის მონტაჟის ბევრი ხერხი არსებობს და, თან, სულ უფრო და უფრო დახვეწილი. მაგრამ, ჯობია, გამოცდილ პროფესიონალს ენდოთ. ჩემი რჩევა იქნება, ორიდან ერთ-ერთი აირჩიოთ: „სუბარუს" ცენტრი ნუცუბიძის პლატოზე და „თეგეტა მოტორსი". უსაფრთხო და კარგი ინსტალაციის გარდა, მნიშვნელოვანია სწორი პროგრამის ჩაწერა და კარგად დარეგულირება, რათა მან გამართულად, პრობლემების გარეშე იმუშაოს.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
- ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
- ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
- ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
- ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რამდენ ხანში ერთხელ არის რეკომენდებული ძაღლის დაბანა?**

**პასუხი:** ძაღლის დაბანას თავისი წესები აქვს. დაბანის სიხშირე დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. ესენია: ჯიში, ბეწვის ტიპი, შენახვის პირობები და, ასევე, თუ რა სიხშირით ვჭრით ბეწვს. ნორმალურად ითვლება, თუ ცხოველს ვაბანავებთ წელიწადში 2-ჯერ, მაგრამ, დასაშვებია, ასევე, 3-4 ჯერ დაბანაც. დიდი მნიშვნელობა აქვს დასაბანი საშუალებების შერჩევას, რადგან, ძაღლის კანის სტრუქტურა სრულიად განსხვავებული და უფრო სუსტია ვიდრე ადამიანის – ის ადვილად შრება და ამის გამო ვითარდება ანთებითი პროცესები. ძაღლის კანი არ შეიცავს საოფლე ჯირკვლებს და, შესაბამისად, გამოშრობის შემთხვევაში, კარგავს დამცავ ფუნქციას. ამიტომ, ყოვლად დაუშვებელია ძაღლის დასაბანად ადამიანის შამპუნის გამოყენება. უნდა გამოვიყენოთ სპეციალური შამპუნები და დასაბანი საშუალებები, რომლებიც გათვლილია სპეციალურად ძაღლებისთვის და ითვალისწინებს მათი ბეწვისა და კანის სტრუქტურას, არ აშრობს მას და იცავს დაზიანებისაგან.

**კითხვა: მყავს 2 წლის კოკერ-სპანიელი, რომელმაც ბოლო დროს ზრდა შეწყვიტა. ეს ნორმალურია ამ ასაკში თუ რამე პრობლემასთან გვაქვს საქმე?**

**პასუხი:** კოკერ-სპანიელი განეკუთვნება იმ ძაღლების ჯგუფს, რომლებიც ზრდას ამთავრებენ 12-15 თვის ასაკში, ასე რომ, არანაირი პრობლემა არ არის თუ თქვენმა ძაღლმა ზრდა 2 წლის ასაკში შეწყვიტა. გასათვალისწინებელია, ასევე, ის გარემოება, თუ რა დონეზეა თქვენი ძაღლი გაზრდილი და ჩამოყალიბებული. ამის დასადგენად, უმჯობესია, ვეტერინართან მიიყვანოთ, რომელიც შეაფასებს თქვენი ძაღლის განვითარების დონეს ჯიშის სტანდარტის შესაბამისობის გათვალისწინებით.

**კითხვა: შეიძლება დეკორატიული ჯიშის ძაღლი აგრესული იყოს? ჩემი ძაღლი ბოლო დროს, რატომღაც, გაავდა.**

**პასუხი:** დეკორატიული ძაღლი, თუ კარგად აღზრდილია, არ გახდება აგრესიული. თუმცა, არა მხოლოდ თვითონ უნდა იყოს სწორად აღზრდილი, არამედ, მას აუცილებლად სწორად აღზრდილი მშობლები უნდა ჰყავდეს. ამიტომ, შეძენა მხოლოდ იმ ძაღლთასაშენში უნდა მოხდეს, რომელიც კარგი რეპუტაციით სარგებლობს და პროფესიონალი მომშენებელია. თუ ლეკვს გენეტიკური გადახრა აქვს, მის გამოსასწორებლად ძალიან დიდი მუშაობა დასჭირდება არა მხოლოდ ოჯახის წევრებს, არამედ, სერიოზულ კინოლოგებს.

**კითხვა: უკვე 4 წელია, სახლში გვყავს კატა, ახლა კი გვინდა ძაღლიც მოვიყვანოთ. მაინტერესებს, შეცდომას ხომ არ ვუშვებთ, ანუ, შეიძლება თუ არა, რომ კატამ და ძაღლმა ერთ ჭერქვეშ მშვიდობიანად იცხოვრონ?**

**პასუხი:** კატა და ძაღლი გარეთ ერთმანეთს ერჩიან, მაგრამ ლეკვებს, რომლებიც სახლში კატებთან ერთად იზრდებიან, შემდგომში უყალიბდება კატების მიმართ ლოიალური დამოკიდებულება და მათ მიმართ აგრესიას არ ავლენენ. მაგალითისთვის ანალოგიურია მწყემსი მეცხვარე ძაღლების დამოკიდებულება ცხვრებთან, რომლებიც მათთან ერთად იზრდებიან – ასეთ დროს მათ ნადირობითი დამოკიდებულება ცხვრების მიმართ უქრებათ. ასევე არიან სოფლის ძაღლები, რომლებიც არ ახრჩობენ ქათმებსა და ეზოს სხვა ბინადრებს, თუ მათთან ერთად იზრდებიან.



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



ჩვენი ოპერა
ქიმიური ელემენტი
ბოსტნის ქია
უელსის პრინცესა
კაცის ხევსურული სახელი
კათოლიკე მღვდელი
ბიბლიური ავაზაკი
გრძელი ფრაზა პათოსით
ვესტინდოეთის ქვეყანა
რჩეული საზოგადოება
ქალიშვილი
უმარტივესი არსება
ცისკრის ქალღმერთი
იყო ასეთი რუსი მომღერალი
ხევისბერის ვაჟი
იუპიტერის თანამგზავრი
ოქროს ბუნებრივი საცავი
რუსეთის კურორტი შავ ზღვაზე
ერთად აღებულ. სამი ბგერა
ნედლეული
ესპანელთა ეროვნ. გმირი
თურქეთ. ყოფილი პრეზიდენტი
მუსიკალური ინსტრუმენტი
„თვით"-ის წინსართი
ჯარი, ლაშქარი
ხმა / დაქაბულობა
უნგრეთის ტბა
ამინდი (ძვ.)
პირველი წყვილი
აშშ-ს კოსმოსური ცენტრი
ძვ. რომის იმპერატორი
თევზსაჭერი მოწყობილობა
წვერის სალებავ. / განთიადი
მეფე პიპინი იყო
გოგრისებრთა ოჯახის მცენარე
ჩვენი ანსამბლი
სიმსივნეთაგანი
(.....) თოიძე / თუთიყუში
ტექნიკური დეტალი
მოჩვენება
მეხიკოს სტადიონი
ჩვენი კურორტი
(.......) ბუაჩიძე
შურისძიების ქალღმერთი
ძვ.ბერძნ. ნიმფა. / პატარა ქათამი
სპილბერგის უცხოპლანეტელი
(.....) ლოლობერიძე
ავადმყოფობა
რაჭის სოფელი
ჩვენი კონიაკი
აზერბაიჯანშია განგაშის სიგნალი
საპყრობილე
ილიას ყაჩაღი
ციმბირის დიდი მდინარე
მარიფათი
პირადი საჭირო ნივთები
(.......) გაიღე!
აზიის ქვეყანა
ბუხარი
აღმოს. სიმებიანი საკრავი
ქალის სახელი
პატარა ჩიტი
არეულდარეულობა
ყურძნის წვენი
პირველი სიტყვა
სახე (ქარგ.)
იპოლიტეს ცნობ. ფილმი
გერმანიის ექს-კანცლერი
საკვამური ქერში
დიპლომატი
გორის ფეხბურთის გუნდი
პარკოსანი მცენარე



(.......) აბაშიძე
ოპერის სიმღერა
მეორე პირი
ცენტრში ანუ (.....) გულში
ცხელი ზაფხულის სასმელი
გერდას ძმობილი
აფრიკის ქვეყანა
იხტიბარი
არაბი ჭაბუკი ლამპარით
მცირე ფასის

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | 1 | | 2 | 1 | | | | 6 | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | 8 | 8 | 7 | 2 | 3 | 3 | 2 | 13 | | 1 | 4 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 3 | | 12 | 4 | 4 | 3 | 8 | 9 | 10 | 13 | 3 | 12 | 4 | 1 | 2 | | | | | | | | | | | |
| | | | | 2 | | | | | 5 | 12 | 1 | 1 | 1 | 1 | 10 | 6 | 2 | 7 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 4 | | | | | | | | | | |
| 2 | 3 | 3 | 3 | 1 | 3 | 5 | 7 | 8 | 3 | 4 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 |
| | | | 1 | 2 |
| | | | | 7 |
| | | | | 6 |
| | | | | 5 |
| | | | | 5 |
| | | | | 8 |
| | | | | 10 |
| | | | | 11 |
| | | | | 10 |
| | | | | 10 |
| | | | | 14 |
| | | | 12 | 2 |
| | | 10 | 2 | 1 |
| | 5 | 2 | 1 | 1 |
| 3 | 2 | 2 | 1 | 1 |
| | 2 | 4 | 2 | 1 |
| | | | | 10 |
| | | | 5 | 5 |
| | | 6 | 2 | 1 |
| | 6 | 2 | 1 | 2 |
| | | 6 | 2 | 6 |
| | | | 6 | 1 |
| | | 4 | 1 | 2 |
| | | | 5 | 19 |
| | | 4 | 5 | 15 |
| | | 4 | 6 | 15 |
| | | 5 | 7 | 11 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 4 | | 6 | | 8 | 9 | |
| | | 6 | 1 | | 4 | 3 | | 7 |
| | 1 | | 7 | | 3 | | 4 | 6 |
| 5 | 2 | | 8 | | 6 | | 1 | |
| | | 7 | | 3 | 1 | | 6 | 8 |
| 1 | 6 | | 9 | | 2 | | 3 | |
| | 4 | 5 | 3 | 1 | | | | 9 |
| 6 | 8 | 9 | | | | 1 | | 3 |
| | | 1 | | 5 | 9 | 4 | 8 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 6 | | | 9 | |
| | 3 | | 1 | | 7 | 2 | | |
| 5 | | | | | | | 6 | 7 |
| | 5 | | 7 | | | | 1 | |
| 9 | | | | 4 | | 3 | | 2 |
| | 1 | 2 | 3 | | | | | |
| | 4 | | | 7 | | 8 | | |
| 3 | | 5 | 2 | | | | 4 | |
| 7 | | | | 3 | 4 | 5 | | |



# ერკვევი ადამიანებში?

*თუ ადამიანებში ვერ ერკვევი, ძალიან ხშირად დაუშვებ შეცდომას ურთიერთობაში. შეამოწმე საკუთარი თავი...*

**1. ერთ წუთში დაასახელებ შენი ხასიათის სამ ყველაზე ძლიერ მხარეს?**

ა) არა. მეტი დრო მინდა ფიქრისთვის;

ბ) უპრობლემოდ. კარგად ვიცნობ საკუთარ თავს;

გ) მაქვს კი ძლიერი მხარეები?

**2. ადვილად არჩევ საჩუქრებს ახლობლებისა და ოჯახის წევრებისთვის?**

ა) დიახ. ვიცი, რა გაახარებთ მათ;

ბ) არც ისე. პატარა წინასწარი გამოკითხვა მჭირდება;

გ) ვყიდულობ პრაქტიკულ ნივთებს.

**3. შენს მეგობარს ახალი თაყვანისმცემელი ჰყავს, რომელიც მუდმივად სულელურად ეხუმრება. იფიქრებ, რომ:**

ა) დასცინის;

ბ) ცდილობს ურთიერთობა უშუალო გახადოს;

გ) შეყვარებულია და იმიტომ.

**4. ცრურწმენების გჯერა?**

ა) ვერ ვხსნი, მაგრამ მჯერა;

ბ) არა. ცხოვრება უფრო მარტივია;

გ) რა თქმა უნდა, ყოველთვის ამართლებს.

**5. საუბრისას ქალი თმას თითზე იტრიალებს...**

ა) შეიძლება, თავისი ვარცხნილობის გამო ნერვიულობს;

ბ) ალბათ, იტყუება და არ უნდა, რომ შეამჩნიონ;

გ) რაღაც ისეთს ამბობს, რაც მას დისკომფორტს უქმნის.

**6. ვისი გამონათქვამი მიგაჩნია ჭეშმარიტებად?**

ა) „ადამიანი მუდმივად ცუდისკენ რომ იყოს მიდრეკილი, ადამის მოდგმა, უბრალოდ, აღარ იარსებებდა“ – რეი ბრედბერი;

ბ) „ადამიანი არასოდესაა არც ბოლომდე წმინდანი და არც ბოლომდე ზნედაცემული“ – ჰერმან ჰესე;

გ) ზოგიერთი ადამიანი თავის ჭეშმარიტ სახეს მალავს. ზოგჯერ ხვდები, რომ ნილაბი უკეთია, ზოგჯერ – ვერა“ – სტივენ კინგი.

**7. რაღაც კითხვას სვამ და თანამოსაუბრე კი ისე იქცევა, თითქოს არც გაუგონია. რას ნიშნავს ეს?**

ა) მაგრძნობინებს, რომ ჩემთვის არ სცალია;

ბ) აშკარად სხვა რაღაცაზე ფიქრობს;

გ) დროს წელავს, რომ პასუხი უკეთ მოიფიქროს.

**ტესტის გასაღები**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 3 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 3 |
| ბ | 2 | 3 | 3 | 1 | 2 | 3 | 2 |
| გ | 1 | 1 | 2 | 3 | 3 | 1 | 1 |

**დაითვალეთ ქულები და ნახეთ შედეგები:**

*1-7 ქულა: იცით, რომ ადამიანები ხშირად თამაშობენ, მით უფრო, როცა შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობენ. ისწავლეთ პოზიტიური მხარეების დანახვაც. ისე კი, ურთიერთობები აშკარად გამოგდით.*

*8-14 ქულა: ალღო კარგად გაქვთ განვითარებული. დაკვირვებულიც ხართ, მაგრამ ისე ძალიან გინდათ ადამიანებში მხოლოდ კარგი დაინახოთ, რომ ხშირად იკეთებთ ვარდისფერ სათვალეს. ახლობელ ადამიანებს ისეთებს იღებთ, როგორებიც ისინი რეალურად არიან.*

*15-21 ქულა: ზუსტად იცით, რომ იდეალური არავინაა. კონტაქტზე ადვილად მიდიხართ. თუმცა, კონკრეტულ პიროვნებაზე შეხედულებას ერთხელ იქმნით და ბოლომდე მისი ერთგული რჩებით. ნუ ფიქრობთ, რომ ადამიანები არასდროს იცვლებიან. ეს ასე არ არის.*

## ექვსიანიდან ტუზამდე...




არსებობს მოსაზრება, რომ ბანქო, იგივე კარტი შარლ „შეშლილის“ მასხარამ მოიგონა...

აზარტული თამაშებიდან ყველაზე ადრე ჭადრაკი გაჩნდა – 1500 წლის წინ ინდოეთში... ძველმა ჩინეთმა კაცობრიობას „დომინო” აჩუქა. მეთექვსმეტე საუკუნეში, გენუაში კი „ლოტო” დაიბადა.

კარტი პირველად შუა საუკუნეების იტალიაში იხსენიება. იტალია იყო კიდეც მისი სამშობლო. ევროპაში კარტი რაინდმა ჯვაროსნებმა გაავრცელეს. სავარაუდოდ, „სარატონების ქვეყნიდან“ დაბრუნებულებმა. სწორედ იქ, შეტაკებიდან შეტაკებამდე, შესვენებების დროს ისწავლეს კარტის თამაში. ბანქო პალესტინაში მეთერთმეტე საუკუნიდან იყო ცნობილი. მას იქ „ნაიბი“ ეწოდებოდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პალესტინური ბანქო ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რომლითაც ახლა ჩვენ ვთამაშობთ.

მიჩნეულია, რომ თანამედროვე კარტის იერსახე შექმნა ვინმე ჟაკომო გრინგონერმა – საფრანგეთის მეფის, შარლ მეექვსე „შეშლილის“ მასხარამ. 1392 წელს მეფეს ფსიქიკასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები ჰქონდა. თავისი ბატონი რომ გაერთო, მასხარამ კარტით ათასგვარი მარტივი თამაში მოიგონა. მან დახატა ოთხი მეფე და გამოაცხადა – თითოეულს თავისი პროტოტიპი ჰყავსო. გულის მეფე თავად შარლ მეექვსე იყო; ყვავის მეფე – ბიბლიური მეფე დავითი; აგურის – იულიუს ცეზარი, ხოლო ჯვრის – ალექსანდრე მაკედონელი. საკუთარი თავი მასხარამ ჯოკერად მოიხსენია. დღემდე „ჯოკერი“ ბანქოზე მასხარას კოსტიუმით არის გამოსახული.

ერთი შეხედვით – თითქოს არაფერი, მაგრამ თამაში ბაბანქოს ეს ფიგურაა ყველაზე, თვით მეფეებზეც კი ძლიერი. სინამდვილეშიც ხომ ასე იყო – მხოლოდ მასხარას შეეძლო, მეფისთვის სიმართლე ეთქვა. ვალეტებიც არ გაჩენილან შემთხვევით – ჯვრის ვალეტი ფრანგი რაინდი ეტიენ დე ვინოლი, იგივე ლა გირი იყო; ყვავისა – ოჟე დატჩანინი (ფრანგული ეპოსის გმირი); აგურის – მითიური როლანდი; გულის – მეფე არტური...

ქალის პერსონაჟი კარტებზე მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნეში გამოჩნდა. მათაც თითოეულს თავისი პროტოტიპი ჰყავს: ჯვრის ქალი ბიბლიური, ლეგენდარული ივდითის პროტოტიპია: აგურის დამა – იაკობის ძუნწი ცოლი, რახელი; ყვავის „დამას“ პროტოტიპად იქცა სიბრძნისა და ომის ქალღმერთი ათენა პალადა... გულის დამას სერიოზული დატვირთვა ჰქონდა. მისი პროტოტიპი ვერაგი, მაცდური – არგინა გახდა... კარის მხატვრები, ჩვეულებრივ კარტებზე, გულის დამად მეფის იმჟამინდელ ფავორიტებს ხატავდნენ ხოლმე. პირდაპირ თუ არა, ამსგავსებდნენ მაინც. საყვარლის შეცვლას კარტების ახალი წყების დახატვა ახლდა თან.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# გაქცევა წარსულისგან

## ერლი სტენლი გარდნერი

ჯორჯ ოლი, „ლანჩ ქლაბის“ პრეზიდენტი, სიამაყით ათვალიერებდა საკუთარ რესტორანს, რომელშიც ცხოვრება ჩქეფდა. წარმატება მასთან ადვილად არ მოსულა. შრომა არ ეზარებოდა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა სიმდიდრისა და თვითდამკვიდრებისკენ. მაგრამ, მხოლოდ მან იცოდა, რომ ასეთი წარმატება მასთან მაინც თავისი კრიმინალური წარსულის წყალობით მოვიდა. ჯორჯი ახლა უკვე ყველა საშუალებით ცდილობდა, ის წლები საერთოდ ამოეშალა მეხსიერებიდან. ბანკის გაძარცვის შემდეგ, რომლიდანაც მშრალად გამოძვრა, მუდმივ შიშში ცხოვრობდა. ფული საიმედო ადგილას ჰქონდა გადანახული. სამუშაოდ ამ რესტორანში მოეწყო. მაშინ ის უბრალო სასადილო უფრო იყო, ვიდრე რესტორანი. მზარეულის თანაშემწეობით დაიწყო და ნელ-ნელა, ნარჩენების გატანიდან და პროდუქტების მომზადებიდან, სერიოზულ შეფ-მზარეულად იქცა. მერე, როცა გაიგო, რომ მეპატრონე ბიზნესს ყიდდა, მომენტით ისარგებლა და ძარცვით ნაშოვნი ფული სარფიანად დააბანდა. ყოველ ცენტს გულდასმით აკონტროლებდა. ორ წელიწადში იმდენი მოახერხა, რომ შენობა გააფართოვა, გაარემონტა, წინ ავტოპარკინგი მოაწყო საბავშვო მოედანთან ერთად და მისი დაწესებულება პატარა ქალაქში მოქალაქეების ყველაზე საყვარელ ადგილად იქცა. დღისით უფრო საქმიანი ადამიანები აკითხავდნენ ლანჩისთვის, საღამოობით მხიარული ახალგაზრდები მოდიოდნენ, შაბათ-კვირას კი – ოჯახები. ჯორჯი კმაყოფილი იყო: მისი ბიზნესი ყვაოდა. ყველაფერი საათივით იყო აწყობილი და ამაში წვლილი ოლის მთავარ ოფიციანტს, სტელას მიუძღოდა. ჯორჯი ჭკუას კარგავდა ამ ქალისთვის. სტელა იშვიათი გემოვნებით იცვამდა. რესტორნის ფორმაც კი ისე მოხდენილად ადგა კოხტა ტანზე, რომ მამაკაცები გულგრილები ვერ რჩებოდნენ მის მიმართ – აღფრთოვანებულ მზერას და ოხვრას ერთდროულად გააყოლებდნენ ხოლმე, როცა მაგიდებს შორის ნარნარად გაივლიდა. მაგრამ სტელას თავი ყოველთვის ღირსეულად ეჭირა, მკაცრადაც კი. ღიმილიც მოზომილი ჰქონდა. ახლოს არავის უშვებდა და ჯორჯს თავს აკარგვინებდა.

სტელას შესახებ მარტო ის იცოდა, რომ რესტორანთან ახლოს პატარა, სუფთა და კომფორტული ბინა ჰქონდა დაქირავებული. საღამოს, რესტორნის დაკეტვის შემდეგ, პირდაპირ სახლში ბრუნდებოდა და არსად გადიოდა. შაბათ საღამოს კი კინოში უყვარდა წასვლა – ერთ ბილეთს ყიდულობდა თავისთვის. ახალ ფილმს ნახავდა და სულ ეს იყო მისი გართობა. ჯორჯი მასთან დაახლოების გზებს ეძებდა, თუმცა, პირველი ნაბიჯი ვერა და ვერ გადადგა...

კლიენტმა ჯორჯის ყურადღება მაშინ მიიქცია, როცა მან მენიუ მაგიდის ზედაპირზე გამეტებით დაახეთქა და ხმამაღლა იყვირა:

– მე კი გეუბნებით, კრევეტები მინდა კამის სოუსში. ახლავე მომიტანეთ!

ჯორჯი მაშინვე გამოვიდა ბარიდან და მაგიდასთან მივიდა. ზორბა მამაკაცი, ბრაზიანი გამომეტყველებით, ოფიციანტს უკვე მუშტს უტრიალებდა ცხვირწინ.

– ახლავე მომიტანეთ კრევეტები, თორემ ამ მაგიდას ავაყირავებ!

გვიანი დრო იყო. სამუშაო დღე მთავრდებოდა. რესტორანი მალე უნდა დაკეტილიყო და დღის ნავაჭრი დაეთვალათ. კრევეტები მენიუში არ ჰქონდათ. ჯორჯმა ოფიციანტს ანიშნა, შენ წადი, ამას მე მივხედავო, მაგიდასთან უფრო ახლოს მივიდა და უნებლიეთ წამოიყვირა:

– ლარი?! ეს შენ ხარ?

მამაკაცმა ირონიულად ჩაიცინა:

– ჯორჯი? კარგია, რომ მალევე მიცანი. მომიტანენ შენს ოხერ რესტორანში კრევეტებს თუ...

– მე თვითონ მოგიმზადებ... წამოდი, განსაკუთრებული კლიენტებისთვის განკუთვნილ ოთახში მოგემსახურები, – ჯორჯს უსიამოვნო ჟრჟოლამ დაუარა. რა თქმა უნდა, იცნო ძველი თანამზრახველი. წარსულის აჩრდილთან შეხვედრა კარგს არაფერს უქადდა. ახლა მთავარი იყო, რას მოითხოვდა მისგან ლარი, მეტსახელად „ულმობელი“.

სამზარეულოში სტელა დახვდა. შეფი წინსაფარაფარებული რომ დაინახა, ძალიან გაუკვირდა.

– რა ხდება, მისტერ ჯორჯ? ვისთვის ამზადებთ კერძს?

– ერთი ძველი მეგობრისთვის, – ამოიოხრა ჯორჯმა, – დიდი ხანია, არ მინახავს.

– ეტყობა, ძალიან დიდი ხანია, იმიტომ რომ, გაოცებასთან ერთად შიშსაც გამჩნევთ. მე მოვამზადებ კრევეტებს. მიდით მასთან, დაელაპარაკეთ. არაფრის კითხვას არ ვაპირებ, მაგრამ, თუ დაგჭირდებათ, აქვე ვიქნები.

ლარი მთავარ დარბაზში დაუხვდა. რესტორანში აღარავინ იყო. კარი შიგნიდან ჩაეკეტა და იქაურობას მუშტრის თვალით ზვერავდა:

– კარგად კი მოწყობილხარ, ჯორჯ... ძველი მეგობრები კი დაივიწყე...

– ციხიდან გამოიქეცი? – ჰკითხა ჯორჯმა.

– არა. კარგი საქციელისთვის გამომიშვეს. შვიდი წელი ცოტა არ არის, მით უმეტეს, როცა კრევეტებს არავინ გაჭმევს... გახსოვს, როგორ გამოძვერი მაშინ? მე ერთი სიტყვაც არ დამიძრავს შენზე, მაგრამ, ახლა ვხვდები, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს. ნებისმიერ დროს შემიძლია, მივიდე პოლიციაში და ვთქვა, რომ იმ საქმეში მარტო არ ვიყავი...

– რა გინდა, ლარი? მე ჩემს წარსულთან კავშირი გავწყვიტე. ბევრი ვიშრომე, რომ ამ ყველაფრისთვის მიმეღწია...

– ჰო?! ანუ, ახლა გამოსწორდი და კარგი ბიჭი გახდი? მეეჭვება, პოლიციამ ეს გაითვალისწინოს, როცა შენ წინააღმდეგ საქმე აღიძვრება.

– რა გინდა, ლარი?

დაუპატიჟებელმა სტუმარმა ხელები გაშალა:

– კარგი ცხოვრება... შენი კომპანიონი უნდა გავხდე. ფულს პატიოსნად გავიყოფთ: შემოსავლის ოთხმოც პროცენტს მე წავიღებ, ოცს შენ დაგიტოვებ. რესტორნის მართვაში არ ჩავერევი. შეგიძლია, შენი საქმე განაგრძო. ციხიდან გამოსულმა შემნახველი სალარო გავძარცვე. ფული ცოტა იყო და დიდხანს არ მეყო. წესიერი ტანსაცმელი მაინც ხომ უნდა მეყიდა? მგონი, სამართლიან პარტნიორობას გთავაზობ. თუმცა, გაფრთხილებ, არც იფიქრო, ერთი ცენტი მაინც დამიმალო. საგადასახადო ინსპექტორზე უკეთესი ალღო მაქვს და ჩემთან ეს არ გაგივა. ახლა კრევეტები მომიტანე, მერე კი სალაროს გახსნი და დღევანდელ ნავაჭრს მთლიანად მომცემ... და, კიდევ, ის შენი ნაშაც თანაბრად უნდა გავიყოთ. მომეწონა. თუ პარტნიორობაა, პარტნიორობა იყოს.



ჯორჯს სახეზე სისხლი მოაწვა:

– მომისმინე, ლარი...

ლარიმ გაოცებით შეხედა:

– რაო?! რისი თქმა გინდა? დაგავიწყდა ჩემი მეტსახელი? წინააღმდეგობის გაწევას არ გირჩევ. იცი, რას გეტყვი? მოდი, ჯერ ფულს ავიღებ, კრევეტებს კი მერე შევექცევი და უფრო გემრიელადაც მივირთმევ. დესერტად შენს ოფიციანტს დავაყოლებ... წამოდი, სალარო გახსენი...

ჯორჯი შეყოყმანდა. ლარიმ გაიცინა და ქამრიდან რევოლვერი ამოიღო:

– მეგონა, მეტი დამაჯერებლობისთვის ეს არ დამჭირდებოდა, მაგრამ, რა გაეწყობა, – გახსენი სალარო!

სწორედ ამ დროს ოთახში სტელა შემოვიდა – ლანგრით კრევეტები მოჰქონდა. ლარის ბოლო სიტყვებიც გაიგონა და რევოლვერიც დაინახა. ლანგარი სწრაფად დადგა მაგიდაზე, სალაროსთან მიირბინა, გახსნა და მთელი ქაღალდის ფული მუჭით ამოიღო. ლარის სახე გაებადრა:

– ეს გოგო მომწონს. აშკარად შენზე უკეთ აზროვნებს, ჯორჯ. ჩვენ ერთმანეთს კარგად გავუგებთ, პატარავ. სამი ათასი დოლარი... უყურე?! ყოჩაღ, ჯორჯ, ყოჩაღ! მშვენიერი ცხოვრება გვექნება...

ლარიმ ფული ჯიბეში ჩაიკუჭა, კრევეტები შეჭამა და გაიზმორა:

– ახლა წავალ და გვიან დავბრუნდები შენთან, ლამაზო...

როგორც კი ლარი გავიდა, სტელა ამოქმედდა: სამზარეულოდან ხორცის დასაბეგვი გამოიტანა, სალარო გატეხა და რესტორნის დიდი მინაც ჩაამსხვრია...

– რას აკეთებ? – გაოგნდა ჯორჯი.

– მომისმინე. ახლა მე და შენ მანქანაში ჩავსხდებით და მეზობელ შტატში გადავალთ. იმ ფულში ერთი გაქექილი ასდოლარიანი შევაპარე – ბანკში უნდა გადამეცვალა და ვერ მოვასწარი. პოლიცია ამით იპოვნის. ამაღამვე ვიქორწინებთ. პოლიციიდან რომ დაგვირეკავენ, ვიტყვით, რომ თაფლობის თვე გვაქვს და მომხდარის შესახებ არაფერი ვიცით – ეს ალიბი იქნება.

ლარი პოლიციამ გამთენიისას, ბენზინგასამართი სადგურის გაძარცვისას მაშინ მოკლა, როცა მან პოლიციელი დაჭრა. სხვა ფულთან ერთად, რესტორნიდან წაღებული სამი ათასი დოლარიც უპოვეს და ჯორჯს დაურეკეს – თქვენი რესტორანი გაძარცვეს და განყოფილებაში მობრძანდითო. ჯორჯმა მოღიმარ სტელას აკოცა და ყურმილს ჩასძახა: ჭირს წაუღია ეგ რესტორანი... ნუ მაწუხებთ, თაფლობის თვე მაქვს!

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

# ქალური შურისძიება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-11(690)**

***

დიმიტრიმ და მზიამ გიორგის ვახშმობაც კი არ აცადეს, მაშინვე ყველაფერი უამბეს და ირაკლი ქებაძესთან დარეკვაც სთხოვეს, რაზეც თანხმობა მიიღეს. გიორგიმ მაშინვე დაურეკა ქებაძეს და გამომძიებელთან შუამდგომლობა სთხოვა, რათა მზია გუგასთან პაემანზე შეეშვა.



პროფესორი არ აღაფრთოვანა ასეთმა თხოვნამ, თუმცა, გიორგის უარი ვერ უთხრა და შეჰპირდა, ხვალვე დავუკავშირდები გამომძიებელს და პასუხს მაშინვე შეგატყობინებთო. ახლა მთავარი იყო, რას იტყოდა გამომძიებელი. მაგრამ, მანამდე უსაქმოდ რომ არ მსხდარიყვნენ, ისევ წერილის კვლევას დაუბრუნდნენ.

– ბატონო გიორგი, კიდევ ერთ რამეში გვჭირდება თქვენი დახმარება, – მორიდებით მიმართა მზიამ.

– თუკი რამე შემიძლია... – ხელები გაშალა გიორგიმ.

– ბატონო დიმიტრი, შენ თვითონ უთხარი, მე მერიდება, – მიუბრუნდა ექთანი დიმიტრის.

– მოკლედ, ჩვენი დედუქციური მსჯელობის შედეგად დავადგინეთ, რომ აუცილებლად უნდა ვნახოთ ვიდეოთვალის იმ დღის ჩანაწერი, როცა წერილი მივიღე, – მაშინვე ჩამოართვა სიტყვა ექთანს დიმიტრიმ, – მაგრამ, რადგან მე იქ ვერ მივალ, მზიას კი ვიდეოჩანაწერს არ მისცემენ, შენ უნდა მიხვიდე, როგორც ჩემი ძმა და ჩემი წარმომადგენელი და კასეტა მომიტანო. აქ ერთად ვნახავთ იმ ჩანაწერს და გავიგებთ, ვინ მოიტანა კონვერტი.

– როდის უნდა წავიდე? – მაშინვე თანხმობა გამოთქვა გიორგიმ, – თუ გინდა, ახლავე მივალ და წამოვიღებ.

– არა, ახლა გვიანაა, ხვალ დილით მიდი, ცხრის ნახევრიდან უკვე ყველა იქ იქნება. შენ ხომ არ დაგაგვიანდება სამსახურში?

– ხვალ მსუბუქი დღე მაქვს, ანუ, შემიძლია, როცა მინდა, მაშინ მივიდე, ან, სულაც არ მივიდე და დავრეკო. ასე რომ, ჩემი სამსახური პრობლემა არ არის. ხვალ ცხრაზე იქ ვიქნები, ოღონდ, შენ მაინც დაურეკე და გააფრთხილე. თუმცა, სიმართლე გითხრა, ეს ყველაფერი დილეტანტობად მიმაჩნია.

– ანუ, სინამდვილეში, არ გინდა, რომ დაგვეხმარო და ამას იძულებით აკეთებ? – ცოტა არ იყოს, ეწყინა დიმიტრის.

– არა, შენ სწორად ვერ გამიგე. უბრალოდ, მგონია, თუ ამას პროფესიონალები გააკეთებენ, ანუ, თუ პროფესიონალი გამოიძიებს, უკეთესი იქნება.

– მის მარპლი სულაც არ იყო პროფესიონალი, – თქვა მზიამ და თავი ჩაღუნა.

– თანაც, არანაირი სურვილი არ მაქვს, ჩემს პირად ცხოვრებაში სამართალდამცველები ჩავრიო, – სიტყვა ჩამოართვა დიმიტრიმ.

– რატომ სამართალდამცველები? კერძო დეტექტივი ავიყვანოთ, ფულს მე გადავუხდი, ჩვენ კი დავეხმაროთ, – შესთავაზა გიორგიმ.

– მე უკვე ავიყვანე კერძო დეტექტივი, სხვა არავინ მჭირდება.

– მერე, თუ აიყვანე, რატომლა ვმკითხაობთ? დაველოდოთ და, როცა მოვა, მას გადავაბაროთ ეს საქმე.

– ის უკვე აქ არის, უფრო სწორად, ის უკვე დიდი ხანია, აქ არის, – თქვა დიმიტრიმ და გაოცებულ ძმას მზიაზე მიუთითა, – გაიცანი, მის მარპლი.

გიორგი დაბნეული მიაჩერდა ექთანს, მერე კი გაიღიმა და თქვა:

– გნებდებით. თქვენ უკვე ყველაფერი გადაგიწყვეტიათ და მოგიგვარებიათ და, რაღა დამრჩენია, უნდა დაგემორჩილოთ. მიმსახურეთ, როგორც შემიძლია.

– ჯერჯერობით მხოლოდ ვიდეოკასეტა უნდა მოგვიტანო, – უთხრა დიმიტრიმ ძმას, – დანარჩენს ხვალინდელი დღე გვიჩვენებს.

– ახლა კი წამლებს დაგალევინებ და უნდა დაიძინო, ბატონო დიმიტრი, თორემ, შეიძლება, ხვალ ბევრი საქმე გამოგვიჩნდეს და გამოძინებული და დასვენებული უნდა იყო.

– კარგი, გემორჩილები, ოღონდ, თქვენც დაიძინეთ.

– აბა, დილამდე, – დაემშვიდობა გიორგი და თავის ოთახში გავიდა.

იმ ღამეს თითქმის არ უძინიათ – სამივე ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა. მხოლოდ გამთენიისას ჩათვლიმეს.

***

მას შემდეგ, რაც ქმარს პუტანასთან წაადგა თავზე საკუთარ საწოლში, ნანიტა მიხვდა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეეძლო. ამას „კეთილისმსურველის“ ზარიც დაემატა – შენი ქმარი ახლა, ამ წუთას, ვიღაც „სტარაია დევასთან“ არისო და მისამართიც უთხრა. პრინციპში, ნანიტას უკვე დიდი ხანია, ფეხებზე ეკიდა, რამდენი საყვარელი და რამდენი შემთხვევითი მეძავი იყო დიმიტრის „ანგარიშზე“, მაგრამ, ქალურმა ცნობისმოყვარეობამ თუ თავისი არეული ცხოვრებისთვის წერტილის დასმის სურვილმა სძლია და მითითებულ მისამართზე წასვლა გადაწყვიტა. ნუცა გაოცებული უყურებდა განერვიულებულ დედას, რომელმაც იმ ზარის შემდეგ სადილის მომზადება შეწყვიტა და სასწრაფოდ ჩაცმა დაიწყო.

– სად მიდიხარ, დე? – ჰკითხა დაძაბულმა, რადგან, მიხვდა, რომ რაღაც ისეთი მოხდა, რამაც ნანიტა ძალიან გააღიზიანა და ააფორიაქა.

– რაღაც საქმე გამომიჩნდა. მალე მოვალ. თქვენ მანამდე ჭკვიანად იყავით, არსად წახვიდეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საკმაოდ პატარა იყო, ნუცა მიხვდა, რომ „რაღაც საქმე“ დედამისს პირადად ეხებოდა, თან, ძალიან მტკივნეულად, ამიტომ, მეტი კითხვა არ დაუსვამს და თავის ოთახში გავიდა.

– ჩემი მობილური რომელმა აიღეთ? – მოულოდნელად იყვირა უკვე კართან მისულმა ნანიტამ, – რამდენჯერ გითხარით, ჩემს ნივთებს ხელი არ ახლოთ-მეთქი?

თორნიკე ჩუმად ადგა და სამზარეულოში გავიდა, იქიდან მობილური გამოუტანა, მიაწოდა და უთხრა:

– აი, შენი ტელეფონი, წელან თვითონ არ ელაპარაკებოდი ვიღაცას?

– ჰო, – დაიბნა ნანიტა, – მაპატიეთ, რომ გიყვირეთ. მე მალე მოვალ, – თქვა და კარის გაღება დააპირა.

– დედა, – მორიდებით უთხრა თორნიკემ, – არ გინდა, ნუ წახვალ.

– სად ნუ წავალ? – შეკრთა ქალი, – შენ რა იცი, სად მივდივარ?

– ვინ დაგირეკა წელან? – კითხვა შეუბრუნა შვილმა და თვალებში შეხედა.

– შენ რა, დაკითხვას მიწყობ? – გაღიზიანდა ნანიტა, – გამატარე, საქმეზე მივდივარ!

– დაწყნარდი, გთხოვ, – თორნიკემ გულში ჩაიკრა დედა და პატარა ბავშვივით დაუწყო მოფერება, – გეხვეწები, არ წახვიდე.

– შენ რა იცი, სად მივდივარ? – შვილის სითბომ და თანაგრძნობამ გული აუჩუყა ქალს და ცრემლი მოადგა თვალზე, – გამატარე, მალე მოვალ-მეთქი, ხომ გითხარით.

– მოიცა, მათქმევინე. დაახლოებით ვხვდები, რაც მოხდა, მაგრამ, დამიჯერე, არ ღირს ის ნაძირალა კაცი შენს ამდენ ნერვიულობად.

– ის კაცი მამაშენია და აღარ გაბედო მასზე ასე ლაპარაკი! მე რომც ვეჩხუბო და გავლანძღო, თქვენ არ გაქვთ უფლება...

– დედა, მე პატარა ბიჭი აღარ ვარ. მამაჩე-




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.........................................

მარიკა 599 24 28 31

მი რომ არის, სწორედ ეგ მაკავებს, თორემ, კარგა ხნის წინ მიიღებდა, რაც დაიმსახურა. მაგრამ, მე მაინც დამნაშავე ვარ...

– ვის წინაშე ხარ დამნაშავე? – ვერ მიხვდა ნანიტა.

– შენ წინაშე, დედა. ვერ დაგიცავი. ვერც ახლა გიცავ...

– ვისგან უნდა დამიცვა, შვილო, მე რა დაცვა მჭირდება?

– დაცვა ყველა ქალს სჭირდება, დედა, მე კი ეს ვერ შევძელი და ამას ვერასოდეს ვაპატიებ საკუთარ თვს.

– სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, შენ ძალიან კარგი შვილი ხარ.

– მე არა ვარ კარგი შვილი, დედა, შენ არც კი იცი, რა ცუდი ვარ! – იყვირა უცებ თორნიკემ, – გთხოვ, არ წახვიდე, თორემ, გაწყენინებ, იცოდე! – ბიჭს ცრემლები წამოუვიდა თვალებიდან, მერე დედას ისევ ჩაეხუტა და უკვე ჩუმად უთხრა: – გთხოვ...

ნანიტაზე ისე იმოქმედა შვილის საქციელმა, კინაღამ გადაიფიქრა წასვლა, მაგრამ, უცებ გული გაიქვავა და საკმაოდ ცივად უთხრა:

– აუცილებლად უნდა წავიდე. ასეა საჭირო.

– ვისთვის არის საჭირო? – უკვე გესლი გაურია ხმაში ბიჭმა.

– ჩემთვის, ჩემთვის არის საჭირო, – რაღაც დაბნეულად თქვა ქალმა და შვილს შეხედა, – და, კიდევ, თქვენთვის, ჩემი შვილებისთვის...

– ვინ ჩვენთვის? – ისტერიულად იყვირა თორნიკემ, – რომელი შვილებისთვის? იმ შვილებისთვის ხომ არა, რომლებსაც თქვენი გაუთავებელი ჩხუბებითა და ლანძღვა-გინებით ბავშვობა წაართვით და ყველა ოცნება დაუნგრიეთ?

– ნუ ყვირი, ბავშვი გაიგონებს, – ნანიტა შვილის დაწყნარებას შეეცადა.

– გაიგონოს, ფეხებზე მკიდია! შენ რა გგონია, ნუცა ვერაფერს ხვდება? თუ იცით ან შენ, ან შენმა ქმარმა, რომ თქვენი ყოველი ჩხუბის შემდეგ ნუცა ჩემთან შემოდის ღამით, გულამოსკვნილი ტირის და მეუბნება, მეშინიაო?! ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენჯერ მოგიკითხავს ჩვენთვის სკოლაში, რამდენჯერ დაინტერესებულხარ, რას შვრებიან ჩემი შვილებიო?! თქვენი წყალობით მე ფეხბურთს დავანებე თავი და ჩემი ოცნებაც სამუდამოდ დავასამარე, ნუცას კი მარტო სიმღერაზე ატარებდით და იქაც აღარ დაგყავთ – ამაზე რომ დრო მოაცდინოთ, როდისღა უნდა იჩხუბოთ და როდის უნდა უთვალთვალოთ ერთმანეთს?! არადა, მახსოვს, მასწავლებელმა გითხრა, ბავშვს საოცარი ნიჭი აქვს და, თუ მიხედავთ, მისგან დიდი მომღერალი დადგებაო. მაგრამ, თქვენი წყალობით, ნუცასგან ისევე დადგება დიდი მომღერალი, როგორც ჩემგან – დიდი ფეხბურთელი. შენი ქმრის დამსახურებაა, ფეხბურთის ყურებაც რომ შემძულდა! – თორნიკე უკვე ხმამაღლა ტიროდა.

– თოკო, დაწყნარდი, გენაცვალოს დედა, გემუდარები, დამშვიდდი, – გულში იხუტებდა ნანიტა შვილს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბიჭი ოდნავ დამშვიდდა, მერე ქურთუკი მოიცვა და კარი გამოაღო.

– სად მიდიხარ? – შეეშინდა ნანიტას.

– არ ვიცი, ცოტას გავივლი, – თორნიკე დარცხვენილი იყო, – ხომ გითხარი, ცუდი შვილი ვარ-მეთქი; ხომ გითხარი, გაწყენინებ-მეთქი, რატომ მაიძულე ამის გაკეთება? – თქვა და კარი გაიკეტა.

ნანიტა სამზარეულოში შევიდა, კორვალოლი ჩააწვეთა პატარა ჭიქაში, დალია და სკამზე ჩამოჯდა.

შვილის სიტყვებმა გული ატკინა და სულის სიღრმემდე შეძრა. გაორებული შეგრძნება დაეუფლა – წყენის და დანაშაულის შეგრძნების, მაგრამ, ვერ ხვდებოდა, რომელი ჭარბობდა. სახეზე ხელები აიფარა და ჩაფიქრდა. უცებ ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო. დაფეთებულმა მოიშორა ხელები სახიდან და თავის წინ, იატაკზე ფეხმორთხმული ნუცა დაინახა, რომელიც გაფართოებული თვალებით შესცქეროდა. როცა დაინახა, რომ დედამ შეხედა, თანაგრძნობით ჰკითხა:

– დედიკო, რატომ ტირი, რამე გტკივა?

ნანიტას ისე აუჩუყდა გული, რომ ხმის ამოღება ვერ მოახერხა და მხოლოდ თავი გაუქნია უარის ნიშნად.

– აბა, მამიკომ გაწყენინა?

სიტყვა „მამიკოს“ გაგონებაზე ნანიტას უცბად დაავიწყდა ტკივილიც, წყენაც, სინდისის ქენჯნაც და სკამიდან წამოხტა.

– კარი შიგნიდან ჩაკეტე და უცხოს არავის გაუღო. მე მალე დავბრუნდები. თორნიკეც მალე მოვა. შენ მანამდე მულტფილმებს უყურე, კარგი?

– დედიკო, არ წახვიდე, მეშინია მარტო დარჩენა...

– რისი გეშინია, შენ ხომ უკვე დიდი გოგო ხარ? სხვა დროსაც ხომ დარჩენილხარ მარტო ცოტა ხნით, ჰოდა, ახლაც არაფერი მოგივა. გავალ თუ არა, კარი ჩაკეტე და რამით გაერთე... – ნანიტამ ველარ გაბედა, თვალებში შეეხედა აცრემლებული შვილისთვის, ჩანთას ხელი დაავლო და კარი გაიჯახუნა.

„კეთილისმსურველის“ მიერ დასახელებულ მისამართზე ტაქსით მივიდა და სადარბაზოსთან ოციოდე მეტრში გააჩერებინა, მერე ფანჯარა ჩამოწია და იქაურობა ყურადღებით მოათვალიერა. სადარბაზოს მარცხნივ, იასამნის ბუჩქთან, დიმიტრის მანქანა დაინახა და ვერც კი მიხვდა, ეწყინა თუ გაუხარდა.

– ვინმეს ველოდებით, ქალბატონო? – არც კი შემობრუნებულა მისკენ, ისე ჰკითხა ახალგაზრდა მძღოლმა.

– დიახ, – ცოტა დაგვიანებით უპასუხა ქალმა.

ათიოდე წუთის შემდეგ მძღოლი მგზავრისკენ მოტრიალდა და უკმაყოფილო ხმით შეახსენა:

– ქალბატონო, მთელი დღე აქ ხომ არ ვიდგები, დაურეკეთ იმ თქვენს ნაცნობს, რომ დროზე გამოვიდეს.

– ტელეფონის ნომერი არ ვიცი, – მექანიკურად უპასუხა ნანიტამ, თან სადარბაზოსთვის თვალი არ მოუშორებია.

– მაშინ, მე გამისტუმრეთ და, როცა ის თქვენი ახლობელი გამოვა, სხვა ტაქსი აიყვანეთ, მეც ჩემი საქმე მაქვს, – უკმაყოფილება აღარ დაფარა მძღოლმა.

– ორი საათის განმავლობაში რამდენი ლარი გამოგდის? – ჰკითხა უცებ და თვითონვე უპასუხა: – ალბათ, მინიმუმ – ათი, მაქსიმუმ – ოცდაათი-ორმოცი, თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, ხომ მართალი ვარ?

– არ ხართ მართალი, მაგრამ, ის მაინც გამაგებინეთ, რა გინდათ? – ბიჭი დაახლოებით მიხვდა, რაც ხდებოდა.

– კარგი, გეტყვი, – მაშინვე დაეთანხმა ნანიტა, – ჩვენ აქ ვიდგებით მანამ, სანამ იმ სადარბაზოდან არ გამოვა ის, ვისაც მე ველოდები. მერე კი ისე მოიქცევი, როგორც მე გეტყვი: ან



ისევ იქ მიმიყვან, სადაც წელან გაგაჩერე, ან უკან გავყვებით იმას, ვინც იმ სადარბაზოდან უნდა გამოვიდეს. თუ გავყევით, ოთხმოც ლარს გადაგიხდი, თუ არა – ორმოცდაათს. გაწყობს?

– კარგი, თანახმა ვარ, დაველოდოთ, – მძღოლმა გვერდითა სავარძელზე დაგდებული გაზეთი აიღო და გადაშალა.

ნანიტამ სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და კვამლი ნახევრად ღია ფანჯარაში გაუშვა. რამდენიმე ნაფაზით ღერი ბოლომდე ჩაიყვანა და ახალს მოუკიდა. დრო ნელა გადიოდა. ნანიტას თვალები ასტკივდა, ისე დაძაბული მისჩერებოდა წარწერებით აჭრელებული სადარბაზოს საღებავგადაქექილ კარს. ამ უაზრო ლოდინმა ნერვები აუშალა. ვინმესთან დალაპარაკება და გულის გადაშლა მოუნდა, მაგრამ, მძღოლს ხომ არ მოუყვებოდა, რაც სჭირდა. ცოტა ხნის შემდეგ აწრიალდა, მოუსვენრობამ შეიპყრო და თავი შეუძლოდ იგრძნო.

მძღოლი სარკიდან ადევნებდა თვალს. რამდენიმე წუთის შემდეგ მისკენ შებრუნდა და, თანაგრძნობით ჰკითხა:

– ქალბატონო, ცუდად ხომ არ ხართ? ბარდაჩოკში ყველანაირი წამალი მაქვს, თუ გნებავთ...

– არა, წამლები არ მინდა. თუ არ შეწუხდები, რამეზე დამელაპარაკე, თორემ, ალბათ, გავგიჟდები, – შინაურულად სთხოვა ქალმა.

– რაზე დაგელაპარაკოთ?

– სულერთია, რაზეც გინდა, პოლიტიკისა და სპორტის გარდა.

– მაშინ, თუ არ გეწყინებათ, პირდაპირ გკითხავთ: ქმარს უთვალთვალებთ?

– ჰო, თითქმის გამოიცანი, აღარ დამალა ნანიტამ, – ოღონდ, კი არ ვუთვალთვალებ, რაღაცაში მინდა დავრწმუნდე, – ნანიტას თვითონაც გაუკვირდა, რომ სულ არ გაბრაზებულა მძღოლის ასე თუ ისე თამამი შეკითხვის გამო; უფრო პირიქით მოხდა – გაუხარდა კიდეც, რომ დალაპარაკების საშუალება მიეცა.

– კეთილისმსურველებმა დაგირეკეს და მისამართი გითხრეს? – გაეღიმა მძღოლს.

– შენ რა იცი? – შეჰყვირა ნანიტამ, – შენ ვინ გითხრა?

– არავინ, – ისევ ღიმილით განაგრძო ბიჭ-


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



მა, – უბრალოდ, ნაცნობი სიტუაციაა და იმიტომ მივხვდი.

– ნაცნობი სიტუაცია? – გაუკვირდა ნანიტას, – რა, შენც ასეთივე რამ შეგემთხვა?

– დიახ, ქალბატონო. მეც მქონდა ერთხელ ერთი პატარა „გვერდზე გახედვა“ და მეორე დღესვე დაურეკა ვიღაცამ ჩემს ცოლს. შენი კეთილისმსურველი ვარო, უთხრა და იმ ქალის მისამართიც ჩააწერინა, ვისთანაც ვიყავი. ჩემი ცოლიც, ასე, თქვენსავით, დამიდარაჯდა იმ გოგოს სახლთან და, სადარბაზოდან რომ გამოვედი, მეცა და მთელი სახე ჩამომკაწრა, თან სულ უკანასკნელი სიტყვებით მლანძღა მთელი კორპუსის გასაგონად, – გაეცინა მძღოლს.

– მერე, გაშორდი?

– არა, მაპატია. მაშინ ერთი შვილი გვყავდა, ახლა უკვე სამი გვყავს – „გვერდზე” რომ აღარ გამეხედა, ზედიზედ მიაყოლა ორი ბიჭი.

– კი მაგრამ, რამდენი წლის ხარ, ცოლი აკვანში შეირთე?

– თითქმის ეგრე გამოდის. სკოლა რომ დავამთავრეთ, ბანკეტიდან გავიპარეთ – ერთ კლასში ვსწავლობდით. მესამე კლასიდან გვიყვარს ერთმანეთი. ახლა 28 წლის ვართ და უკვე სამი მოზრდილი შვილი გვყავს. ბავშვებს გეფიცებით, იმის მერე ერთხელაც აღარ მიღალატია ჩემი ცოლისთვის და ისევ ძველებურად მიყვარს. მაშინაც ახალგაზრდობით მომივიდა.

– რა გქვია?

– ძალიან ძველებური სახელი მქვია, უკვე მივიწყებული, მაგრამ, მე ძალიან მომწონს. პაპაჩემმა დამარქვა თავისი პაპის სახელი – მახარე.

– მახარე... – ჩაილაპარაკა ნანიტამ, – მართლაც ლამაზი სახელია და ძალიან დადებითი ენერგეტიკა მოდის შენგანაც, შენი სახელისგანაც და, საერთოდ, კარგი ბიჭი ჩანხარ, გულწრფელად გეუბნები.

– მადლობელი ვარ შექებისთვის, – გაეღიმა მახარეს, – თქვენც ძალიან სიმპათიური ქალბატონი ბრძანდებით. დარწმუნებული ვარ, უყვარხართ თქვენს ქმარს, უბრალოდ, კაცებს ხანდახან გვემართება ხოლმე ასეთი გადაცდომები და უნდა გვაპატიოთ ცოლებმა, რადგან, მაინც თქვენ გვიყვარხართ – ჩვენი შვილების დედები.

– სტოპ! მეტი აღარაფერი თქვა, თორემ წამიხდება შენზე შთაბეჭდილება! – ხელის აწევით შეაჩერა ნანიტამ.

– რატომ? – გაუკვირდა მძღოლს.

– იმიტომ, რომ ვერ ვიტან გაცვეთილ, ტრაფარეტულ ფრაზებს და კაცების ნაძირლობების გამართლებას მხოლოდ იმ მოტივით, რომ ისინი კაცები არიან. რაც შეეხება ჩემს ქმარს და, საერთოდ, ჩემს სიტუაციას, აქ სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომლის განხილვასაც, რა თქმა უნდა, შენთან არ დავიწყებ. უბრალოდ, გეტყვი იმას, რომ აქ სცენების გასამართავად კი არ ველოდები ჩემს ქმარს, არამედ, მინდა, ჩემი თვალით დავინახო ვიღაც ფეხებგალეუნულ შინაბერასთან ერთად (რატომ წარმოიდგინა ნანიტამ ის ქალი გალეუნული ფეხებით, თვითონაც არ იცოდა) და ამით საკუთარ თავს შემოვუღლაწუნო, რომ გამოვფხიზლდე... მგონი, გამოდის... ერთად გამოდიან, – ნანიტა, რატომღაც, ჩურჩულზე გადავიდა, – გაჩუმდი, ხმა არ ამოიღო და ის გააკეთე, რასაც მე გეტყვი.

– გისმენთ, ქალბატონო, – მაშინვე დაემორჩილა მძღოლი.

– ახლა ნელ-ნელა მიუახლოვდი ჩემი ქმრის მანქანას, ძალიან ნელა. დანარჩენს მერე გეტყვი.

მახარემ ტაქსი დაძრა და ნელი სვლით დაიძრა შავ „ჯიპთან“ მდგარი წყვილისკენ.

– მარინა, გინდა, საჭესთან დაგსვა? – ხმამაღლა ჰკითხა დიმიტრიმ ქალს და სწორედ ამ დროს ჩაუარა გვერდზე ტაქსიმ, რომელსაც უკანა კარის მინა ჩაწეული ჰქონდა და იქიდან ნანიტა იყურებოდა დამცინავი ღიმილით, მაგრამ, სანამ დაბნეულობისგან ხმის ამოღება მოახერხა, ტაქსიმ ნელი სვლით ჩაუარა და პროსპექტზე გავიდა.

ნანიტამ მძღოლს სახლში მიაყვანინა თავი და, როგორც შეჰპირდა, ორმოცდაათლარიანი გაუწოდა, მაგრამ ბიჭმა არ გამოართვა:

– არ არის საჭირო, ქალბატონო, მე თქვენ ფულს ვერ გამოგართმევთ. ჩათვალეთ, რომ საჩუქარი გაგიკეთეთ, – თქვა მახარემ და ღიმილით დაამატა: – პატივისცემის ნიშნად და, კიდევ, იმის გამო, რომ რაღაცით დედაჩემი გამახსენეთ. კარგად ბრძანდებოდეთ. თუ ტაქსი დაგჭირდათ, აი, ჩემი მობილურის ნომერი, დამირეკეთ და მაშინვე თქვენთან გავჩნდები, – მერე პატარა ფურცელი მიაწოდა გაოცებულ ქალს, ხელი დაუქნია და ისე სწრაფად წავიდა, ნანიტამ მადლობის თქმაც ვერ მოასწრო.

სახლში მისულს შვილებმა წყენით შეხედეს, თუმცა, არაფერი უთხრეს.

– ორივეს ბოდიშს გიხდით, მაგრამ, ჩემი წასვლა აუცილებელი იყო. მარტო ჩემთვის არა, თქვენთვისაც აუცილებელი. ამას ახლა ვერ აგიხსნით, მაგრამ, დადგება დრო, რომ გამიგებთ და მაპატიებთ. ახლა კი შევრიგდეთ, კარგი?

ბავშვებმა იგრძნეს, რომ დედა ახლა მართლაც გაცილებით უფრო მშვიდი იყო, ვიდრე წასვლამდე. ალღოთი მიხვდნენ, რომ უნდა ეპატიებინათ და ორივე მაშინვე ჩაეხუტა. მერე კი ნანიტამ სასწრაფოდ დაასრულა სადილის მომზადება და სამივემ ერთად ისადილა. მამა არც ერთს არ უხსენებია.

იმ ღამეს დიმიტრი სახლში არ მისულა – არც ახსნა-განმარტების ნერვები ჰქონდა (თუმცა, ამით დიდად არასდროს შეუწუხებია თავი) და არც ჩხუბის განწყობა. ნანიტას გაუხარდა კიდეც, რომ ერთი ღამე მაინც ჰქონდა თავის მომავალზე კარგად დასაფიქრებლად.

მთელი თავისი ცხოვრების თითქმის ყოველი დღე გაიხსენა – დიმიტრის გაცნობის წუთიდან იმ მომენტამდე, როცა იმ შინაბერა მარინასთან ერთად დაინახა; გაიხსენა და ისეთი ვერაფერი აღმოაჩინა, რომ დავიწყება დანანებოდა! არა, რა თქმა უნდა, იყო შედარებით ნათელი დღეები, უფრო სწორად – საათები, მაგრამ, მაინც „შედარებით“ ერქვა და, შედარებით ნათელიც, ალბათ, უფრო იმიტომ იყო, რომ არ „მოიცავდა“ ჩხუბს, ლანძღვა-გინებას, დამცირებასა თუ ხელით შეხებას. ამიტომ, დასანანიც არაფერი იყო, გარდა იმ წლებისა, რომლებიც მასთან ერთად გაატარა. წარსულში ამ მოკლე „ექსკურსის” შემდეგ, მტკიცედ გადაწყვიტა, რომ დაესრულებინა ეს მრავალწლიანი კოშმარი – მოვიდოდა თუ არა დიმიტრი, მაშინვე დაესვა საკითხი გაყრაზე. მაგრამ, ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც იმ ღამით ეგონა. მეორე დღეს დიმიტრი დაბრუნდა სახლში, მაგრამ, კარგა ხნის განმავლობაში არც ცოლს ეკონტაქტებოდა და, პრაქტიკულად, არც შვილებს. მხოლოდ ხანდახან, როცა ნასვამი ბრუნდებოდა, ცინიკურად მოითხოვდა ნანიტასგან ცოლის მო-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ვ | | პ | | | ა | | | ა | | ო | ს | ლ | ო | |
| ტ | ა | რ | ა | | | დ | ი | ე | ლ | ო | | ა | | | მ |
| | ქ | ი | რ | ო | მ | ა | ნ | ტ | ი | ა | | რ | უ | ქ | ა |
| | ი | ნ | ო | კ | ე | ნ | ტ | ი | | ჰ | | დ | ა | ს | ი |
| | რ | ო | ლ | ი | | ი | რ | უ | გ | ა | | ა | რ | ე | კ |
| ბ | ი | ლ | ი | ნ | ა | | ი | დ | ო | კ | | ლ | ი | ნ | ო |
| უ | | ო | | ა | | ა | გ | ი | ლ | ა | ს | ი | | ძ | |
| ნ | ა | გ | ა | ვ | ი | | ა | | დ | | მ | | შ | ი | ო |
| გ | | ი | ნ | ა | ს | ქ | | მ | ო | ს | ე | | ო | | ტ |
| ა | მ | ა | ო | | ა | | თ | ა | ნ | | ტ | ო | რ | ს | ი |
| ლ | | | დ | ა | ნ | დ | ა | ლ | ი | | ა | გ | ა | ტ | ა |
| ო | დ | რ | ი | | ი | ა | | ა | | ა | ნ | ა | პ | ა | |
|  | | | | | | ე | ბ | | მ | | ა | მ | ა | ტ | ი |
| | | | | | | | უ | გ | ა | რ | | ა | ნ | ი | მ |
| | | | | | | თ | რ | ი | ა | | ი | რ | ი | ა | შ |
| | | | | | | | უ | რ | ს | უ | ლ | ა | | | ქ |
| | | | | | | ი | ს | ლ | ი | | ი | ს | ი | დ | ა |
| | | | | | | ლ | ი | ა | | | კ | | ო | | ლ |
| | | | | | | ო | | ნ | | კ | ო | ა | ლ | ა | |
| | მ | | ა | | ი | ს | ა | დ | ი | მ | | ნ | ი | ნ | ო |
| პ | ა | ნ | ი | კ | ა | | კ | ა | რ | ა | | ა | | ი | |
| | მ | ე | ნ | ი | ს | კ | ი | | ა | რ | ო | მ | ა | ტ | ი |
| რ | ა | ვ | ე | ლ | ი | | რ | | ს | ა | ბ | ა | ნ | ი | |
| | ი | ა | კ | ი | | ქ | ა | ჯ | ი | | ა | დ | | ტ | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 4 | 6 | 7 | 9 | 5 | 8 | 3 |
| 9 | 7 | 5 | 8 | 3 | 1 | 6 | 4 | 2 |
| 8 | 3 | 6 | 4 | 2 | 5 | 7 | 9 | 1 |
| 4 | 6 | 2 | 3 | 9 | 7 | 8 | 1 | 5 |
| 5 | 8 | 3 | 1 | 6 | 4 | 2 | 7 | 9 |
| 7 | 1 | 9 | 5 | 8 | 2 | 3 | 6 | 4 |
| 2 | 4 | 8 | 9 | 5 | 6 | 1 | 3 | 7 |
| 3 | 9 | 7 | 2 | 1 | 8 | 4 | 5 | 6 |
| 6 | 5 | 1 | 7 | 4 | 3 | 9 | 2 | 8 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 1 | 5 | 4 | 8 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 7 | 3 | 6 | 1 | 2 | 9 | 8 | 5 |
| 5 | 8 | 6 | 3 | 7 | 9 | 1 | 4 | 2 |
| 6 | 3 | 8 | 7 | 2 | 1 | 5 | 9 | 4 |
| 9 | 4 | 7 | 8 | 5 | 3 | 2 | 1 | 6 |
| 1 | 2 | 5 | 4 | 9 | 6 | 3 | 7 | 8 |
| 3 | 5 | 4 | 1 | 8 | 7 | 6 | 2 | 9 |
| 7 | 6 | 2 | 9 | 3 | 4 | 8 | 5 | 1 |
| 8 | 1 | 9 | 2 | 6 | 5 | 4 | 3 | 7 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** **1. მსოფლიო წარღვნას – მათუსალა დაიხრჩო. 2. საჭმლის მომზადება. 3. როდესაც კიდობნიდან გადმოვიდა ნოემ ისინი ღმერთს შესწირა. 4. ჩერნობილის ტრაგედიისადმი მიძღვნილი სურათი. 5. სპირტს – ხელები რომ არ აუკანკალდეთ. 6. ეს მავზოლეუმია. 7. მობილურის გამორთვას. 8. ძილის დროს ლაპარაკი – მშობლიურ ენაზე. 9. „შვედური მაგიდა”. 10. საკვების რიგში მდგარ ადამიანებს.**

ვალეობის შესრულებას და, როცა უარს იღებდა, ძალით იმორჩილებდა, მერე კი, დამცირებულსა და შეურაცხყოფილს, მიატოვებდა, რამდენიმე დღით იკარგებოდა სახლიდან, ხოლო, როცა ბრუნდებოდა, საცემად იწევდა ნანიტაზე და თორნიკეზე, რომელიც დედის დაცვას ცდილობდა.

ნანიტას საკუთარი თავი ისე არ ადარდებდა, როგორც შვილების მდგომარეობა, რადგან, გამხეცებული დიმიტრი ხშირად მათ თვალწინ აწყობდა დებოშებს, ეხებოდა ხელით და ამის გამო ბავშვები სულ დაძაბულები და შეშინებულები იყვნენ, სწავლასაც მოუკლეს და სახლში ყოფნაც შესძულდათ. აკი წაუყენა კიდეც ბრალი თორნიკემ, ბავშვობა წაგვართვით და მომავალი დაგვინგრიეთო.

ერთ დღეს, დიმიტრი სახლში რომ დაბრუნდა, ხმა არავისთვის გაუცია, ისე შევიდა თავის ოთახში და ვიღაცას დაურეკა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაგონილი სიტყვებიდან ნანიტა მიხვდა, რომ მის ქმარს სამსახურში რაღაც სერიოზული უსიამოვნება ჰქონდა, მაგრამ, მაინც გადაწყვიტა, პირდაპირ ეთქვა სათქმელი, ყოველგვარი მიკიბვა-მოკიბვის გარეშე.

– ყავა მომიდუღე და მერე ერთი ხელი ტანსაცმელი ჩამილაგე ჩანთაში. რამდენიმე დღით აგარაკზე ავდივარ, პარტნიორები ჩამოდიან და იქ უნდა მივიღო, – ისე ჩვეულებრივად უთხრა სამზარეულოში სკამზე ჩამომჯდარ ცოლს, თითქოს რამდენიმე დღის წინ გაუპატიურებული და ნაცემი არ მიატოვა და უკანასკნელი სიტყვებით არ აგინა.

სწორედ ამ „ვითომ არაფერი მომხდარა“ ტონმა გაუწყვიტა ნანიტას მოთმინებისა და გაძლების ბოლო ძაფი და დაარწმუნა, რომ ასე ცხოვრება უკვე წარმოუდგენელი იყო. ამიტომ, არც კი განძრეულა და მთავარი ფრაზის სათქმელად მოემზადა.

– ვერ გაიგე, რა გითხარი? – ისევ ჩვეულებრივი ხმით უთხრა ქმარმა. ეტყობა, მართლა ძალიან ცუდად ჰქონდა სამსახურში საქმე, ან, რაღაც ვერაგული ჰქონდა ჩაფიქრებული, თორემ, სხვა დროს მთელ სახლს თავზე დაამხობდა, როგორ თუ მაშინვე არ წამოხტი და არ შეასრულე ჩემი ბრძანებაო.

– გავიგე, – ნანიტა შეეცადა, თვითონაც მშვიდად ეპასუხა.

– მერე? მეჩქარება-მეთქი, ხომ გითხარი? – ოდნავ გაურია ხმაში პრეტენზია დიმიტრიმ, – აღარ მაღირსებ ერთ ჭიქა ყავას?

– არა, – მოკლედ უპასუხა ნანიტამ.

– ბატონო? ვერ გავიგე, რა თქვი? – წარბი ასწია დიმიტრიმ.

– დღეს განცხადება შევიტანე გაყრაზე, – თქვა ნანიტამ და თვალებში თამამად შეხედა გაგონილით გაოცებულ ქმარს.

– შენ რა, საყვარელი გაიჩინე და ჩემი თავიდან მოშორება გადაწყვიტე? – ვითომ იხუმრა დიმიტრიმ.

– სისულელეების ბოდვას თავი დაანებე! სერიოზულად გეუბნები, გეყრები! – შეუტია ნანიტამ.

– ჰო, პრინციპში, შენს მორალში ეჭვის შეტანა მართლაც სისულელეა, – სერიოზულად დაეთანხმა ქმარი, – ამ მხრივ, ნამდვილად ბოლომდე შეიძლება შენი ნდობა.

– ნდობისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ, მე არ გეხუმრები.

– ბავშვები სად არიან?

– ნუცა ეზოშია, თორნიკე მაღაზიაში გავგზავნე. მინდოდა, მათ მოსვლამდე ჩამეყენებინე საქმის კურსში.

– როდემდე დაუმალავ?

– არ დავუმალავ, ვეტყვი, მაგრამ, ერთბაშად არა, თანდათან შევაჩვევ, ნელ-ნელა.

– მე ახლა არ მცალია ამ თემაზე სალაპარაკოდ. როგორც უკვე გითხარი, რამდენიმე დღით აგარაკზე ავდივარ, სერიოზული საქმეები მაქვს...

– ჰო, ვიცი, აგარაკზე ყოველთვის სერიოზული საქმეებისთვის ადიხარ ხოლმე, – ვერ მოითმინა და მაინც წაგესლა ნანიტამ.

– მართლა საქმე მაქვს-მეთქი. ფინანსური კომისია მიზის სამსახურში, რაღაც დარღვევები აღმოგვიჩინა და ჩემს პარტნიორებთან ერთად უნდა გადავამოწმო მთელი დოკუმენტაცია, – ნანიტას გასაკვირად, ისევ მშვიდად უპასუხა დიმიტრიმ, – ამიტომ, მაგ სისულელეებზე სალაპარაკოდ ახლა არ მცალია. რომ დავბრუნდები, ეგ თემა მაშინ განვიხილოთ.



– ეს სისულელე არ არის. მე ჯერ არ მინდა, რომ მოვკვდე, ჯერ კიდევ ვჭირდები ჩემს შვილებს, შენს ხელში კი დიდხანს ვერ ვიცოცხლებ.

– ანუ, ორივეს შენთან იტოვებ?

– ორივეს.

– იქნებ რომელიმეს ჩემთან მოინდომოს ცხოვრება?

– ეჭვი მეპარება, მაგრამ, რომ დაბრუნდები, თუ გინდა, ჰკითხე.

– კარგი. ახლა კი ყავა მომიდუღე და ჩანთა ჩამილაგე, მეჩქარება.

– თვითონაც კარგად მოახერხებ. როცა მე მჭირდება რამე, შენ არ გავალებ, – მიახალა ნანიტამ და გამომწვევად შეხედა თვალებში.

დიმიტრი იმდენად გააოგნა ცოლის სითამამემ, რომ პასუხის გაცემაც კი ვერ მოახერხა, მხოლოდ ერთი შეუკურთხა, მერე თვითონ ჩაყარა თავისი ნივთები ჩანთაში და კარი გაიჯახუნა.

ნანიტამ შვებით ამოისუნთქა, თითქოს ლოდი მოეხსნა გულიდან. მთავარი ნაბიჯი გადადგმული იყო, დანარჩენი კი მხოლოდ დროზე იყო დამოკიდებული.

***

დიმიტრის წასვლის შემდეგ ორი დღე ნანიტამ მშვიდად და ბედნიერად გაატარა შვილებთან ერთად. მესამე დღე შაბათი იყო. თორნიკემ დილითვე სთხოვა, ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე ვარ დაპატიჟებული და, თუ შეგიძლია, საჩუქრისთვის ოცი ლარი მომეციო. ნანიტამ მაშინვე გამოუტანა ფული და შვილის ტანსაცმლის მოწესრიგებას შეუდგა. თორნიკე კომპიუტერს მიუჯდა. ბიჭმა უცებ იგრძნო, რომ, როცა მამა სახლში არ იყო, მშვიდად გრძნობდა თავს, სიამოვნებდა დედასთან და პატარა დასთან ერთად ყოფნა და ძმაკაცებთანაც კი აღარ უნდოდა ხოლმე წასვლა.

რომ მოსაღამოვდა და თორნიკემ დაბადების დღეზე წასასვლელად მომზადება დაიწყო, ნუცა აზლუქუნდა, მეც წამიყვანოსო.

– წაიყვანე, დედა, ცოტას გაერთობა ბავშვი, – სთხოვა ნანიტამ თორნიკეს.

– რა უნდა ჩემს მეგობრებში, ვინ დადის დაბადების დღეზე და-ძმებთან ერთად? – გაბრაზდა ბიჭი, – არ შეიძლება, ერთხელ ჩემს გემოზე სადმე წავიდე?

– მაშინ, მეც ვინმესთან გამიშვი, – სთხოვა აცრემლებულმა ბავშვმა.

– უკვე ბინდდება, ვისთან უნდა გაგიშვა, შენ ხომ არ გაგიჟდი? – შეუწყრა შვილს ნანიტა, – ნამცხვარი უნდა გამოგიცხოთ და, თუ გინდა, შენც დამეხმარე.

– არ მინდა შენი ნამცხვარი, მეც მინდა ვინმესთან წასვლა! – გაჯიუტდა გოგო.

– თუ გინდა, ანანოს დაურეკე და აქ მოვიდეს.

– ანანოს აქ მოსვლა არ მინდა, მაშინ, მე წავალ ანანოსთან, – სთხოვა ნუცამ, – ოღონდ, შენ დაურეკე დედამისს და უთხარი.

– კარგი ანანოსთან გაგიშვებ ერთი საათით, ითამაშეთ და დროზე ჩამოდი, არ მანერვიულო.

– აუ, ერთი საათი ცოტაა! – ისევ გაჭირვეულდა ნუცა.

– გაუშვი, დედა, რა მოხდა, ერთი სართულით ზემოთ ცხოვრობენ, შორს ხომ არ არიან. ავა, ცოტას გაერთობა და ჩამოვა, ჯერ ხომ მაინც ადრეა. თან, შაბათია და სამეცადინოც არ ექნებათ, – დიდი კაცივით ჩაერია თორნიკე.

– კარგი, ბატონო, წავიდეს, – დაეთანხმა ნანიტა, – ოღონდ, ძალიან გვიანობამდე მაინც ნუ დარჩები, უხერხულია.

ნუცამ მადლიერი თვალებით შეხედა ძმას, მერე გაიქცა, კისერზე ჩამოეკიდა და აკოცა.

– მე არ მაკოცებ? – გაეცინა ნანიტას.

– შენ, ანანოს დედას რომ დაურეკავ, მერე გაკოცებ, – უთხრა ბავშვმა და ტელეფონი მიაწოდა.

შვილები რომ გაისტუმრა, ნანიტამ წინსაფარი გაიკეთა, ნამცხვრის მასალა მაგიდაზე დააწყო, ელექტროღუმელი ჩართო.

უცებ ძალიან მოუნდა მოწევა და თავის ოთახში გავიდა სიგარეტის ასაღებად. კოლოფი ცარიელი დახვდა. ნერვები აეშალა – ძალიან ეზარებოდა მაღაზიაში ჩასვლა, მაგრამ, სხვა გზა არ ჰქონდა. ფული და ბინის გასაღები აიღო, ჟაკეტი მოიცვა და კარი გაიკეტა. მაღაზია იქვე იყო, გვერდითა კორპუსის პირველ სართულზე. ნანიტამ სიგარეტი იყიდა და სწრაფი ნაბიჯით გაეშურა სახლისკენ, რადგან, ელექტროღუმელი ჩართული დატოვა და მაინც ეშინოდა, რამე არ მომხდარიყო. თავჩაღუნული მიდიოდა და იმაზე ფიქრობდა, დიმიტრი რომ დაბრუნდებოდა აგარაკიდან, როგორ მოქცეულიყო.

სადარბაზოს კართან ვიღაც კაცი იდგა და საეჭვოდ წრიალებდა. ნანიტამ თითქმის სირბილით აუარა გვერდი, სადარბაზოში შევიდა და გულაფანცქალებულმა მიაჭირა თითი ლიფტის ღილაკს. ლიფტმა ჩამოსვლა დააგვიანა – ეტყობა, ბოლო სართულზე ავიდა ვიღაცა. თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ ნანიტას ძალიან შეეშინდა. საერთოდ, მშიშარა არ იყო, მით უმეტეს, „თავის“ ტერიტორიაზე რა უნდა გაებედა ვინმეს, მაგრამ, გული ცუდს უგრძნობდა. როგორც იქნა, ლიფტის კარი გაიღო. ნანიტა სწრაფად შევიდა და, ის იყო, სართულის ღილაკზე უნდა მიეჭირა თითი, რომ ლიფტში სწორედ ის კაცი შევიდა, რომელიც ქალმა სადარბაზოსთან დაინახა.

– შეიძლება, დაგემგზავროთ? – ჰკითხა მამაკაცმა, – ნუ გეშინიათ, არაფერს დაგიშავებთ...

ნანიტა შიშისგან თავჩაღუნული იდგა, მაგრამ, კაცის ხმა ეცნო და თავი ასწია, რომ თავისი თანამგზავრისთვის შეეხედა. შეხედა და გაოცებისგან შეკრთა: მის წინ გუგა იდგა, უფრო სწორად, გუგას აჩრდილი, რომელიც დაჟინებით შეჰყურებდა თვალებში ყოფილ საცოლეს და ტუჩებზე უსიამოვნო ღიმილი დასთამაშებდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-11(690)**

## ვერაგობა და სიყვარული

ვახომ ხმაური ოფისში შესვლამდე გაიგონა. შეშფოთებულმა შეაღო კარი და კედელთან ატუზულ, დამფრთხალ თიკოს ბრაზით ჰკითხა:

– რა ხდება აქ? ვინ ყვირის?

– ჩხუბობენ, – თქვა გოგომ და შვებით ამოისუნთქა, – კარგია, რომ მოხვედით. მე ვერ შევდივარ. არადა, უკვე ნახევარ საათზე მეტია, ჩხუბობენ.

– ჩხუბობენ? მოიცა, ვერ გავიგე, ვინ ჩხუბობს?

– ჰმ, უცნაური შეკითხვაა. ვინ იჩხუბებს? რა თქმა უნდა, გიგი და ზუკა. ისე ღრიალებს ზუკა, რომ დარეკვასაც ვაპირებდი თქვენთან.

ვახომ შეიგინა და იქით გაემართა, საიდანაც ყვირილი ისმოდა. სწორედ დროზე მიუსწრო – ზუკას საყელოში წაევლო ხელი გიგისთვის და გამეტებით ანჯღრევდა, თან, უშვერი სიტყვებით აგინებდა. ვახოს გამოჩენამაც ვერ შეაჩერა, სანამ ვახომ ძალით არ გაათრია გვერდზე და მთელი ხმით არ დაუღრიალა:

– შენ სულ გაგიჟდი? რა დღეში ხარ? ბრძოლის ველად აქციეთ აქაურობა? რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, ოფისში გაწევ-გამოწევა არ დავინახო-მეთქი? რას ჰგავს ეს, საერთოდ ალარ მცემთ პატივს? გიგი, შენ რაღა დაგემართა?

– მე? არაფერი. დედას გეფიცები, მართლა არაფერ შუაში ვარ. ამას სჭირს რაღაც, სულ გადაირია.

– ბინძური მატყუარავ! ესე იგი, შენ არაფერ შუაში ხარ, არა?! – ისევ გიგისკენ გაიქაჩა ზუკა, მაგრამ ვახომ არ გაუშვა.

– მოკლედ, სასწრაფოდ, ორივე ჩემთან, კაბინეტში, ახლავე და, გაფრთხილებთ: ერთი სიტყვა არ გავიგონო ზედმეტი!

ვახომ თითქმის კინწისკვრით შეყარა კაბინეტში ორივე და კარი შიგნიდან ჩაკეტა.

– ახლა მომისმინეთ! არ მაინტერესებს, ვინ დაიწყო, მტყუან-მართლის გარჩევას არ ვაპირებ. თქვენი საქციელი უკვე ყველა ზღვარს სცილდება. ალარც კი ვიცი, პირდაპირ გაგიშვათ აქედან თუ უკანასკნელი შანსი მოგცეთ. მითხარით ახლა, ღირს თქვენი ნდობა? ორივეს გეკითხებით და მოკლე, კონკრეტული პასუხები მჭირდება. ორ წუთს გაძლევთ მოსაფიქრებლად.

გიგიმ მხრები აიჩეჩა:

– აბა, რა ვთქვა. ჩემზე არ არის დამოკიდებული.

ვახომ შუბლი შეიკრა და ხელები უკმაყოფილოდ აიქნია:

– გაჩუმდი! ხომ ვთქვი, მოკლე და კონკრეტული პასუხები მჭირდება-მეთქი!

– მოკლე და კონკრეტული პასუხი გჭირდება? – ერთბაშად იფეთქა ზუკამ, – არა!

– მოიცა, რას ნიშნავს – „არა“?! რაღაც, ვერ მივხვდი, – ჩაეძია ვახო, – რისი თქმა გინდა, მაგ „არათი“?

– არ მჭირდება შანსი, – მოუჭრა ზუკამ, – ახლავე წავალ აქედან!

– უყურე ერთი ამას! „ახლავე წავა აქედან“... – გამოაჯავრა ვახომ, – ღირსი ხარ, გითხრა, წადი-მეთქი. სულ ალარ გრცხვენია?

– რისი უნდა მრცხვენოდეს? თუ ამ იდიოტის ცინიზმი უნდა ავიტანო და მშვიდად ვითმინო, როგორ ცდილობს ჩემს განადგურებას, მირჩევნია, წავიდე. თქვენც მოისვენებთ და მეც მივხედავ საკუთარ თავს.

– ჰო, მიხედავ, როგორ არა, – ჩაიცინა გიგიმ.

ზუკა წამოენთო:

– აჰა, შეხედე, თავისას მაინც არ იშლის! რომელ შანსზე მელაპარაკები? აქ რომ დავრჩე, აუცილებლად შემომაკვდება.

ვახომ წარბი შეიკრა და მოღუშულმა ზუკას მკაცრად მიმართა:

– რა ამბავში ხარ, ბიჭო, შენ? ეს რა ულტიმატუმია? გიგის, შეიძლება, ზოგჯერ ზედმეტი მოსდის, მაგრამ, შენი მტერი ნამდვილად არ არის.

– აბა, მეგობარია? უკვე სერიოზულად მეპარება ეჭვი ამაში. შენი არ ვიცი, ვახო, მაგრამ, მე ასეთი მეგობრობა არ მესმის. მოკლედ, მირჩევნია, წავიდე.

– მე ხომ არ წავიდე? – ხელები გაშალა გიგიმ, – თუ მტერი ვარ, მაშინ...

– გეყოფათ... აქ მტერი არავინ არ არის და დღეს აქ უნდა მორჩეს თქვენ შორის კონფლიქტი. ამას მე გთხოვთ, არა, კი არ გთხოვთ, მოვითხოვ. თუ წახვალთ, მარტო ოფისიდან კი არა, ჩემი ცხოვრებიდანაც წახვალთ!

– ვახო, პირდაპირ გეუბნები: თუ რამე ისე ვერ ვუთხარი და ვერ გავაკეთე, ბოდიშს ვუხდი.

ვახო ზუკას მიუბრუნდა:

– აჰა, ბოდიშს გიხდის, დამშვიდდი და მივხედოთ საქმეს.

ზუკამ თავი გააქნია:

– არ გამოვა. ვგრძნობ, ერთად მუშაობა აღარ გამოგვივა. გიგი ვერ მიტანს და არც მე მეხატება გულზე.

– ელაპარაკე ახლა ამას, – ამოიოხრა გიგიმ, – მე ამისკენ ვარ, ეს ეშმაკებისკენ მიიწევს. რა უნდა, ნეტავი თუ იცის?

– ვიცი. მარტო დარჩენა. სულ მარტო... მერე ზუსტად მივხვდები, რა ვაკეთო.

– გიგი, შენ ცოტა ხნით გარეთ გადი და მარტო დაგვტოვე, – თქვა ვახომ და გიგის ხელითაც ანიშნა, გადიო.

– სულერთია, მაინც აღარ გავჩერდები აქ, – ჯიუტად ჩაილაპარაკა ზუკამ. გიგიმ კარი რომ გაიხურა, ვახომ ამოიოხრა:

– ძალიან მაფიქრებ და მადარდებ ამ ბოლო დროს.

– გასაგებია, გიგი გბურღავს – ზუკამ გააფრინაო... ვიცი, მაგისთვის სიყვარული არანორმალური მდგომარეობაა. სიგიჟის ზღვარს მიღმა ვდგავარ და, ბუნებრივია, დისკომფორტს ვუქმნი.

– სისულელეების ლაპარაკს მოეშვი. გიგი რა შუაშია, მეც ხომ ვხედავ, როგორ შეიცვალე? ადრე ასეთი არ იყავი.

– მაინც, როგორი არ ვიყავი?

– აგრესიული. პირდაპირ გეტყვი: ველარ გცნობ და, ვეჭვობ, რომ ეს ყველაფერი იმ ქალის გამოა.

– ახლა შენც დამიწყე. არ შეგიძლიათ, იმ ქალს თავი დაანებოთ? საერთოდ რომ აღარ ახსენოთ, არ შეგიძლიათ? – აყვირდა ზუკა.

– ნუ ყვირი და მომისმინე, – წარბი არ გაუხსნია, ისე თქვა ვახომ, – გვინდა თუ არა, ჩვენ ერთი გუნდი ვართ. ასე დავიწყეთ და ასევე უნდა გავაგრძელოთ – ეს ჩემი კაპრიზი არ არის. საქმეზე ვფიქრობ, რომელიც მარტო მე არ მჭირდება. გახსოვს, რამდენი ვიწვალეთ, სანამ აქამდე მოვიდოდით? როგორც იქნა, ადგილი დავიმკვიდრეთ და, ასე თუ ისე, წარმატებულებიც გვქვია. შენთვის მნიშვნელობა არა აქვს, სად იმუშავებ და ვისთან.

– მნიშვნელობა რომ აქვს, იმიტომაც მინდა აქედან წასვლა, – ჯიუტად გაიმეორა ზუკამ, – გიგისთან ყოველი შეხვედრა ისეთ ნერვიულობად მიჯდება, რომ არ მილირს. სხვას არაფერს აკეთებს, მარტო მიზანმიმართულად მხეთქავს გულზე. ყველაფერს აკეთებს, რომ წონასწორობიდან გამომიყვანოს. აი, დღესაც...

– მომისმინე, ჩემო კარგო... – გააწყვეტინა ვახომ, – რა ვქნათ ახლა მე და შენ, ქალებივით ვიჭორაოთ? რას მივიღებთ ამით? პირდაპირ ხომ არ დავასრულოთ ეს ამბავი? ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩეთ და განვაგრძოთ ძველ რეჟიმში. სამსახურის გარეთ გიგისთან მეგობრობას მე არ გაძალებ, მაგრამ აქ ერთმანეთს ნუ შეჭამთ და საქმე გააკეთეთ. მოსულა?

– არ ვიცი. როგორ დაგპირდე, როცა ეს მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული?

– გიგისაც დაველაპარაკები, შენი თანდასწრებით.

– ჩემი თანდასწრებით აუცილებელია? – შეიჭმუხნა ზუკა, – გეხვეწები, ამარიდე ეს ამბავი.

– არა, ეს აუცილებელია. არ მჯერა, რომ გიგის შენთვის ცუდი უნდა. კიდევ გიმეორებ – შეიძლება, რაღაც ეშლება, მაგრამ, გულით შენკენ არის, დარწმუნებული ვარ...

– რა ვიცი, ენა აშკარად სხვაგან გაურბის, – ხელი ჩაიქნია ზუკამ, – კარგი. კიდევ ერთხელ, მხოლოდ შენი ხათრით, მივცემ გიგის შანსს, ოღონდ, ეს უკანასკნელი იქნება.

– ამით საკუთარ თავსაც აძლევ შანსს, – მრავალმნიშვნელოვნად შეუსწორა ვახომ, – კიდევ ერთი თხოვნა და, ამაზეც გვისაუბრია მე და შენ ადრე: არავითარი პირადული სამსახურში. მით უფრო ის, რაც ჩვენს საქმიანობაზე პირდაპირ უარყოფითად აისახება.

– ვიცი და შეხსენება არ მჭირდება.

ვახომ ნაძალადევად გაიღიმა:

– ეს ისე გითხარი, ყოველი შემთხვევისთვის... ახლა კი გიგის დავუძახებ...

გიგი თვალებმოჭუტული წრუპავდა ყავას და თიკოს უღიმოდა.

– ტყუილად ცდილობ ჩემი ნდობის მოპოვებას, ეგ ღიმილი არ გიშველის. ძალიან გაგიტყდა სახელი, შენი იმიჯი განადგურებულია, – აკისკისდა გოგო, – მით უმეტეს, დილანდელი სკანდალის შემდეგ.

– დილანდელი სკანდალის შემდეგ? – გა-



ოცებით ასწია თავი გიგიმ, – განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ჩვეულებრივი მამაკაცური საუბარი იყო.

– ჰა, ჰა, ჰა... ჩვეულებრივი, არა?! გინდა, მე მომატყუო? შედი და ვახოს უთხარი ეგ, თორემ აშკარად ძალიან არის გაბრაზებული.

– შენ ეგ რატომ გადარდებს, ჩემო ლამაზო? ჩემზე ნერვიულობ?

თიკომ მხრები აიჩეჩა:

– შეიძლება, ვნერვიულობ კიდეც, ვინ იცის?

– მართალია! ყავა ამიტომაც მომიდუღე?

– რა ვიცი. იქნებ, დღეს კარგ გუნებაზე ვარ, ან, შეიძლება, შემეცოდე.

– უი, შეგეცოდე, პატარავ? ლა საკვალელი ხალ? – ენა მოიჩლიქა გიგიმ, – მაშინ, მეც ვეცდები, კეთილი ვიყო. რაღაც შეთავაზება მაქვს შენთვის.

– რა შეთავაზება? – დაეჭვებით ჰკითხა თიკომ, – ხომ იცი, სიურპრიზებს ვერ ვიტან, მით უმეტეს – შენგან.

– სიურპრიზებზე მეც უარი ვთქვი. ჩემთან ერთად ივენთზე, ანუ წვეულებაზე წამოხვალ? ჩემი „დამა“ იქნები, მოკლედ რომ ვთქვათ.

თიკო დაფიქრდა.

– რა ხდება, არ გინდა ჩემთან ერთად წვეულებაზე წამოსვლა? არ შეგარცხვენ და კარგ დროს გაგატარებინებ.

– დაგიჯერო? სად მეპატიჟები, საიდუმლოა?

– საიდუმლო რატომ არის? ჩვენი შემკვეთი, ლევანი, ახალ ვიპ-კაფეს ხსნის და ყველას გვეპატიჟება. ვახო ქეთის წამოიყვანს.. მარტო წასვლა, რაღაც, არ მიხარია და, თუ თანმხლებად მეყოლები, გაცილებით უკეთ ვიგრძნობ თავს.

გოგომ ეჭვით შეხედა:

– ეს როგორ გავიგო?

გიგიმ გაიცინა და მხრები აიჩეჩა:

– რა ვიცი. როგორც გინდა, ისე გაიგე. მეგობრები თუ არა, კარგი ნაცნობები ხომ მაინც ვართ?

– აქამდე არ ვიყავით კარგი ნაცნობები, ნერვებს რომ მიშლიდი?

– მე? მე გიშლიდი ნერვებს? – შეიცხადა გიგიმ, – მხოლოდ შენს გამხიარულებას ვცდილობდი, შენ კი ვერ მიგებდი.

– რას იზამ, ვერ გიგებენ, მაგრამ, მარტო მე ხომ არ ვარ გამონაკლისი?! აი, ზუკასაც სულ ეჩხუბები...

– ზუკას სხვა პრობლემები აქვს, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ჩემს წინადადებაზე რას იტყვი?

– შენ თქვი, ჩვენი კლიენტი ლევანიო? – თიკომ ამოიოხრა, მერე ერთბაშად გახალისდა, – პრინციპში, რატომაც არა?! როდის არის ეგ წვეულება?

– ერთ კვირაში, თუ ყველაფერი მოვასწარით.

– რა არის მოსასწრები?

– ნუ, რაღაც დეტალებია, განსაკუთრებული არაფერი. შენი საზრუნავი მხოლოდ შენი „ნარიადი“ იქნება. მაგარ ფორმაში უნდა იყო, იცოდე.

– ოჰო? ისე ცუდ ფორმაში ვარ ხოლმე?

გიგიმ მუშტრის თვალით ახედ-დახედა:

– გულახდილად გითხრა?

– რა თქმა უნდა.

– კარგი, ოღონდ, მერე არ დამიწყო, უხეში და ბოღმა ხარო.

თიკომ თავი სიცილით გააქნია:

– არა, დღეს შენგან არაფერი მეწყინება.

– ანუ, იმასაც მაპატიებ, ტკბილი სიზმარი რომ გაგაწყვეტინე?

– მაგ თემას ნუ შევეხებით. რაზეც დავიწყეთ, ის განაგრძე. რა შენიშვნები გაქვს?

– ერთხელ მაინც უნდა შემოვიპარო შენს გარდერობში და ფართხუნა შარვალ-კაბები დაგიჭრა. აი, ისეთები, ახლა რომ გაცვია.

– რას ერჩი ამ კაბას? – სიცილი აუტყდა თიკოს, – რა არ მოგწონს?

– მშვენიერი ტანი გაქვს, სხეულზე შემოტმასნილი ტანსაცმელი უნდა გეცვას და ამ ფორმებს აჩენდე. მკერდი, წელი, ფეხები – ყველაფერი თავის ადგილზე გაქვს და, თუ კარგად „შეიფუთები“, ბევრ კაცს აურევ თავგზას.

– ხეზე ცოცვა უნდა მასწავლო? ვითომ რატომ? გგონია, ასეთი უიმედო ვარ, რომ შენი დახმარების გარეშე კაცს ველარ ვიპოვი?

– გოგო! – ყასიდად გაბრაზდა გიგი, – შენ ყველაფერი უკუღმა რატომ გესმის? მე გითხარი, კაცს ვერ იპოვი-მეთქი? გამოიყენე ჩემი რჩევები. ყოველთვის ასეთ გუნებაზე კი არ ვიქნები. თანაც, მინდა, ჩემ გვერდით მაგარი ნაშა იყოს, რომ თავი მოვაწონო.

– ვის გულზე გახეთქვას აპირებ? – მიუხვდა თიკო.

– არის ერთი, – არ იუარა გიგიმ, – თუ გინდა, სახლშიც წამოგყვები და აგარჩევინებ, რა ჩაიცვა.

– ღამითაც ხომ არ დაგიტოვო ჩემთან? – თვალი ჩაუკრა თიკომ.

– ოო, თუ შენ ამას გაბედავ, გპირდები, არ ინანებ, – თავი გამოიდო გიგიმ.

– უი, გაქრი შენ, გაქრი! – დედაბერივით ქოქოლა მიაყარა თიკომ, – არა, გენაცვალე, ასეც ვერ გავრისკავ. იმით უნდა დაკმაყოფილდე, რომ გვერდს დაგიმშვენებ... იცი, რას ვიზამ? ვახოს პრემიას ვთხოვ – მაინც დაპირებულია და, აჯობებს, ახლა გამოვართვა, – ჰოდა, შენ ახალი კაბის საყიდლად წამომყვები.

– უფ, რა კარგი ვინმე ხარ?! მალაზიიდან მალაზიაში უნდა მარბენინო ოფიციალური ქმარივით? იცი, ეგ როგორ მძულს?

– როდის მოასწარი შეძულება? ცოლი შენ არ გყოლია და...

– შეყვარებული ხომ მყავდა? – თქვა გიგიმ და უცებ ნინი გაახსენდა, მისი ღიმილით გასხივოსნებული თვალები და გუნება წაუხდა, – თუმცა, ჩემს შეყვარებულს, ამ მხრივ, მართლა არ შევუწუხებივარ... უსინდისო ვიქნები, ტყუილად რომ დავაბრალო.

– შენ შეყვარებულს დაშორდი, ხომ? დარწმუნებული ვარ, მიზეზი შენ იქნებოდი.

– წელს ქვემოთ დარტყმები არ მოსულა, – მოიღუშა გიგი, – წამოგყვები საყიდლებზე, ოღონდ ,უნდა დამპირდე, რომ ტვინს არ გამიბურღავ.

– ნუ გეშინია, მაღაზიებში წანწალი მეც ძალიან მეზარება.

– გეტყობა ტანსაცმელზე, – დასცინა გიგიმ და მაშინვე დაამატა: – დღეს ხომ არ გწყინს ჩემი ხუმრობები?

თიკომ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ შიდა ტელეფონმა დარეკა და იძულებული გახდა, ეპასუხა.

– ვახო გეძახის, შედი. მგონი, ცუდად არის შენი საქმე. იმედია, იქიდან რომ გამოხვალ, ჩემთან ერთად წვეულებაზე წასვლას არ გადაიფიქრებ.



– არც იოცნებო... – გიგიმ ხელი დაუქნია და არხეინი ნაბიჯით გაეშურა ვახოს კაბინეტისკენ.

***

თომა უყურებდა ნინის და გული სიხარულით ევსებოდა. კიდევ ვერ იჯერებდა, რომ გოგო სერიოზულად განიხილავდა მასთან ურთიერთობას. „კაცმა რომ თქვას, ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ... რა მოეწონა ნინის ჩემში, რომ მისი ყურადღება დავიმსახურე? თვითონ ყველაფრით განსაკუთრებულია, მე – დიდი არაფერი... კრევეტების ჭამაც კი ვერ ვისწავლე – გემო ვერ ჩავატანე. როგორ ვთქვა, რომ ამ ვარდისფერ სისულელეს პური და ყველი მირჩევნია... ნინი კი ისე ლამაზად ჭამს – მთლიანად, გრაციოზულად... შამპანურსაც როგორი პატარ-პატარა ყლუპებით სვამს... შეუდარებელია, ულამაზესი... მეშინია, ერთ დღეს არ გადაიფიქროს და საპნის ბუშტივით არ გამისკდეს მოულოდნელად და ერთბაშად მოსული ბედნიერება...“

– ასე რატომ მიყურებ? – რეალობაში ნინის ხმამ დააბრუნა, – არ მოგწონს კრევეტები?

თომამ საწყლად გაიღიმა.

– მეორედ შენთვის სხვა რამე შეუკვეთე. აუცილებელი არ არის, რასაც მე ვჭამ, შენც მოგწონდეს.

– რატომ? ცუდი არ არის, უბრალოდ, შეუჩვეველი ვარ. თანაც, მინდა, ის შევიყვარო, რაც შენ მოგწონს და გიყვარს.

ნინი შეიჭმუხნა.

– თომა, მე შენგან მსხვერპლს არ მოვითხოვ. გაითვალისწინე ეს და მეორედ ასეთი რაღაც აღარ მითხრა.

თომა გაშრა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ქვემოთ წაგრძელებული ფორმით დაიწყეთ სვანის თავის ხატვა



2. გამოკვეთეთ თვალები, ცხვირი და ქუდი



3. შემდეგ — ულვაში



4. სვანს მიახატეთ ხურჯინი



5. ნაბადიც არ დაგავიწყდეთ



6. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## რამდენი ბაჭიაა სურათზე



# მოზვერი და ხარი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ მოზვერმა მუშა ხარს მიაძახა: რა უბედური ხარ, სულ ასე მუხლჩაუხრელი რომ მუშაობ. მალე დღესასწაულები დადგა, ხარი ახსნეს და გაუშვეს. მოზვერი დასაკლავად გაბაწრეს. ეს რომ ნახა, ხარს გაეცინა და თქვა:

– ეჰ, საწყალო მოზვერო, ამისთვის იყავი ასე გალაღებული, რომ ბოლოს ყელი გამოექრათო?

არაკი ამბობს: ვინც ცხოვრებაში დალხენილია, ისიც უნდა ელოდეს გასაჭირსო.

## რიცხვრებუსი

,,,7, 10, ,7,,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| სასკოლო მაგიდა / მუსიკ. ბგერა | | | მოლაპარაკე ყუთი | |
| | | | | |
| სახეზე ჩამოფარებული ნაჭერი | | | მდინარეზე გადებული ნაგებობა | |

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-11(690)

– არა.

– აბა, რა? რაშია საქმე?

– იმაში, რომ შენმა არასწორმა საქციელმა ერთ კარგ საქმეს დაუდო სათავე.

– რა საქმეს?



– სერგომ პირადად მე ათი ათასი მანეთი მიგრევა. ეს ფული კი ერთი პატარა გოგონას სიცოცხლის გადასარჩენად ვაჩუქე მის ოჯახს. ბავშვი გადარჩა და ამაში შენც მიგიძღვის წვლილი და ამიტომ გაპატიებ.

– გასაგებია. მადლობელი ვარ. ვიცი, რომ არასწორად მოვიქეცი. ჯიგარი ხარ. პატივისცემა ჩემზე იყოს.

– მოკვდა ბაზარი.

გრელკა დღესაც ცოცხალია და, მართალია, მისთვის ქურდული წოდება არავის ჩამოურთმევია, მაგრამ ის ქურდი აღარ არის. მან საკუთარი ნებით აირჩია სხვა ცხოვრება და ის პარლამენტარია. საინტერესო ისაა, რომ პარლამენტში ის სერგოს წყალობით აღმოჩნდა, თავად სერგო კი თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ბევრი მომხრე ჰყავს. სულ რაღაც ათი დღის წასული ვიყავი პაბეგში, როდესაც ჩემი მასპინძელი სახლში მოვიდა და მითხრა:

– გრელკა გიბარებს.

– ვინ? – საკუთარ ყურებს არ დავუჯერე.

– ვინ და, გრელკა.

– როგორ მიბარებს, შენ გითხრა, ვიბარებო?

– შოთასთან ყოფილა, დაფაზე თავისი მობილური დაუწერია და მიუწერია, კობრამ დამირეკოსო.

– გასაგებია, – ვთქვი მე, – რა უნდა ნეტავ?

შოთა ძველი თბილისელი რეციდივისტი იყო და მას მთელი შავი სამყარო იცნობდა, ისევე, როგორც ის იცნობდა ყველას. მეოთხე სროკის შემდეგ ჩალიჩს თავი დაანება, თბილისის ცენტრში მყუდრო ბარ-რესტორანი გახსნა, სადაც ძველი შავები და ასევე, ძველი ოპერები იკრიბებოდნენ. შოთას ბარის დახლში უზარმაზარი დაფა ჰქონდა, რომელიც ერთგვარი განცხადებების სტენდის ფუნქციას ასრულებდა. გრელკამაც სწორედ ამით ისარგებლა, რადგან, იცოდა, რომ უეჭველად მომაწვდიდნენ ხმას და არც შემცდარა. ჩემმა მასპინძელმა ქაღალდზე დაწერილი მობილურის ნომერი დამიდო წინ და მითხრა:

– რა უნდა, არ ვიცი, მაგრამ აი, მისი ნომერი.

– რა ენდომება! ალბათ, მეტყვის, ქურდობაზე უარი თქვი და აგაშენებთო, – გამეცინა მე, – ძველი სიმღერაა და უკვე ყელში ამომივიდა.

– რომ გითხრას, შემხვდიო, რას იზამ?

– არ ვიცი.

– მოკლედ, ფრთხილად იყავი. ხომ იცი, ათას ოხრობაზეა გადამხტარი და არასანდოა.

– ვიცი. – წარმოიდგინე, რა ჩათლახი უნდა იყო, რომ სერგოს სასტავში გაიჩითო პრისტუპნიკი კაცი და ისე, რომ ქურდობა არავინ აგყაროს და არც შენ თქვა მასზე უარი, პარლამენტის წევრი გახდე.

– ჯაბაც მასე არ იყო? – შემახსენა ჩემმა მასპინძელმა.

– ჯაბა სულ სხვა პალიოტის ფრინველი იყო, მაგრამ, გრელკაც თუ ამდენს იჩალიჩებდა, ვერ წარმოვიდგენდი. ჯაბა ნაღდი ლიდერი იყო და მარტოს შეეძლო ბობოლა ქურდების დამორჩილება. გრელკა კი უფრო მელკი ვინმე იყო და აფერისტობისკენ ჰქონდა მიდრეკილება.

– შენ მელკი უძახე და, ვერ ხედავ, რა სიმაღლეზე დაფრინავს? მოკლედ, ფრთხილად იყავი.

– ქუჩის ტელეფონიდან დავურეკავ კარტით და, ვნახოთ, რა უნდა, – ვუთხარი ჩემს მასპინძელს. მართლაც, მეორე დღეს მზის სათვალე გავიკეთე და ქუჩაში გავედი. ერთ-ერთ კიოსკში ტელეფონ-ავტომატის ხუთლარიანი ბარათი შევიძინე და გრელკას დავურეკე.

– გისმენთ, – მომესმა გრელკას ხმა.

– რატომ მეძებდი? – ვკითხე გრელკას, რომელმაც, რა თქმა უნდა, მიცნო და დინჯად მითხრა:

– ჯერ გამარჯობა.

– გაგიმარჯოს.

– ახლა კი, მითხარი, როგორ ხარ?

– ჩემი სტატუსის კაცს რომ შეეფერება, ისე.

– გასაგებია. შენთან საქმე მაქვს.

– თქვი. გისმენ.

– ხუმრობ?

– არა.

– აბა, როდის იყო, რომ ჩვენნაირი ხალხი საქმეზე ტელეფონით საუბრობდა?

– რას მთავაზობ?

– შეხვედრას.

– სად?

– გახსოვს, ცხონებული ბერძენა სად გამაცანი?

– კი.

– გაცნობის საათიც გემახსოვრება.

– მახსოვს.

– ჰოდა, ცხონებულ ბერძენას გაცნობის დღეს ორი დღე მოაკელი, მინუს ორი საათი და უახლოეს იმ დღესა და საათზე მოდი იქ, გასაგებია?

– გასაგებია, – მივუგე გრელკას, ყურმილი, დავკიდე და კონსპირაციულ ბინაში დავბრუნდი.

– რა ქენი? – მკითხა მასპინძელმა.

– დღეს, საღამოს ექვს საათზე უნდა შევხვდე გრელკას წმინდა ნიკოლოზის ეკლესიასთან, ვორონცოვზე რომ საქაბაბეა.

– ხომ იცი, რომ „ძაღლები” ყველა ტელეფონს ისმენენ? ნაღდად ოპერჯგუფი დაგადგება. ამიტომ, არ წახვიდე.

– თუ გრელკამ არ ჩამიშვა, ვერ დამადგება. არა მგონია, რომ ჩამიშვას.

– ჩაშვება რად გინდა, თქვენს ბაზარს მოისმენდნენ.

– დაშიფრულად ვიბაზრეთ.

– ეგ როგორ?

– როგორ და კვირა დღეს ცხონებული ბერძენა საღამოს რვა საათზე სწორედ იმ საქა-

## გაღებულ სიკეთეს უფალი დაგიბრუნებთ!

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში ღვთის შეწევნით, დასასრულს უახლოვდება წმიდა ქალწულმოწამე ბარბარეს სახელობის ეკლესიის მშენებლობა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ მშენებლობის საფუძველი განსაკუთრებულია და დედობრივი სიყვარულის შუქითაა გაბრწყინებული. დიდმოწამე ბარბარე ხომ ბავშვთა მფარველია. ამიტომ ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობს სრულიად საქართველო, განსაკუთრებით კი – დედები.

გაჩნდა იდეა, რომ ეკლესიის ზარების შესაძენი თანხა შემოწირულობის სახით გაიღოს ახობაძეთა ოჯახებმა (კერძოდ დედებმა), ეკლესიის მშენებლობის ორგანიზატორიც ხომ ნინო ახობაძეა. მშენებლები კი არიან: მერაბ გუბელიძე და დურმიშხან ზაქარეიშვილი.

შვილებისთვის ვილოცოთ, დედებო, ბარბარეს მიმართ და გავიღოთ შესაწირავი.

გაღებულ სიკეთეს უფალი გიბრუნებთ.

გთხოვთ, შესაწირავი თანხა გადარიცხოთ ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე.

**ფონდი „საკურთხეველი,“**
**„ვი-თი-ბი ბანკი”**
**VGEBGE 22**
**ანგარიშის № GE64VT430000002976360 8;**
**ს/კ 23710469.**
**ტაძრის მშენებლობის ორგანიზატორი ნინო ახობაძე**
**ტელ.: 599-96-86-99, 593-37-02-25.**

ბაზეში გავაცანი გრელკას. მან კი მითხრა, მინუს ორი საათი და მინუს ორი დღე, უახლოეს დროს მოდიო იქ. მინუს ორი დღე და ორი საათი დღეს საღამოს ექვსი საათია. დღეს ხომ პარასკევია?

– კუდზე რომ დააჯდნენ გრელკას „ძაღლები" და მოგაგნონ?

– გამორიცხული არც ესაა, მაგრამ, არიფი არც გრელკაა და, მე მგონი, შეძლებს შეუმჩნევლად მოსვლას. ძველი ნახიშტარია და, ბოლო-ბოლო, პარლამენტის წევრია – შეუძლია, „ძაღლებს" მიაწვეს, რატომ მითვალთვალებთო და გაყაროს. მოკლედ, უნდა შევხვდე. ვნახოთ ერთი, რა უნდა.

– შენი საქმის შენ იცი, მაგრამ, ძალიან ფრთხილად იყავი. მე შენს ადგილზე არ გავრისკავდი და არ წავიდოდი.

– ნუ ღელავ, ყველაფერი კარგად იქნება, – ვუთხარი ჩემს მასპინძელს და არც შევმცდარვარ.

ჩემთან შეხვედრაზე გრელკა „სუფთად" და „უკუდოდ" მოვიდა, გადამეხვია და მითხრა:

– გაფიცებ ყველაფერს, ბოლომდე მაინც არ მენდე და ფიქრობდი, მახეს ხომ არ მიგებენო, ხომ?

გრელკას სიტყვებზე გამეცინა და ვკითხე:

– დათა თუთაშხია ნანახი გაქვს?

– კი.

– გახსოვს, რას ეუბნება დათა გრაფ სეგედს?

– რას?

– რას და, როდის იყო ჩემნაირი კაცების დასაჭერად თქვენი თანამდებობის კაცები დადიოდნენო.

გრელკამ ღიმილით მომიგო:

– რა თანამდებობა მე მაქვს, პრასტოი პარლამენტის წევრი ვარ. ხალხს კი ნამდვილად არ ვიჭერ, მით უმეტეს – ძველ მეგობრებს, მით უფრო იმათ, ვინც სიკეთე გამიკეთა. გგონია, არ მახსოვს შენი სიკეთე?

– კარგია, რომ გახსოვს. ახლა საქმეზე გადავიდეთ. რისთვის დამიბარე?

– შენთან უსერიოზულესი საქმე მაქვს, – მითხრა გრელკამ, აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა და ხმადაბლა დაამატა: – ლაპარაკია ძალიან დიდ მაყუთზე. შენც, რა თქმა უნდა, დიდ წილში ჩაჯდები და, თუ უარს არ იტყვი, შენი ძებნილობა შარშანდელი თოვლივით უკვალოდ გაქრება, თანაც, ყოველგვარი „სინჯის" გარეშე, ისე, რომ შენი პატიოსანი სახელი არანაირად არ დაზარალდება, ისევ ქურდად დარჩები და კვლავ საქმეში იქნები, თანაც, ბევრად დიდში, ვიდრე ოდესმე ყოფილხარ.

გრელკამ პაუზა გააკეთა. მე ამით ვისარგებლე და ღიმილით ვუთხარი:

– რამე მაგარ ნაკოლს ხომ არ მთავაზობ, სადმე მაგარი ბაითი ხომ არაა გასატანი?

– ჯანდაბას წაუღია ბაითი და მოპარვა, რა დროს ესაა! მე, როგორც გითხარი, უსერიოზულეს საქმეს გთავაზობ. ნეპმანელი ქურდების დრო ისევე დიდი ხნის წინ წავიდა, როგორც თვით ნეპი და ახლა სხვა ეპოქაა.

გრელკას ასეთი სიტყვების შემდეგ ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო და შემეძლო, ლაპარაკი აღარ გამეგრძელებინა, მაგრამ ძალიან მაინტერესებდა, კონკრეტულად რას მთავაზობდა, მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ არ შევწყვიტე შეხვედრა და ვუთხარი:

– კარგად გამაგებინე, რა სხვა ეპოქაზე მელაპარაკები?

– კობრაჯან, წარმოდგენები უნდა შეიცვალო. ქურდული რომანტიკა წარსულს ჩაბარდა, ქურდობა ახლა ბიზნესია.

– ვერ გავიგე?! – ვუთხარი გრელკას, მას კი გაეღიმა და მითხრა:

– რა ვერ გაიგე, ქურდობა ახლა ბიზნესია და შენი ავტორიტეტი ასმაგად გაგიადვილებს ამ ბიზნესში ჩართვას.

– აბა, გისმენ, რა ბიზნესს მთავაზობ.



– ძალიან სარფიანს, ყველაზე შემოსავლიანს და მსოფლიო პრისტუპნი მირში ყველაზე პრესტიჟულს.

– მოკლედ მითხარი, ასეთი შეფუთვა რა საჭიროა?

– თუ თანახმა იქნები, მაშინ, შენ დიდი ნარკოტრაფიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთს გააკონტროლებ.

– ნარკობარიგობას მთავაზობ?

– კობრა, გამოფხიზლდი და დედამიწაზე ჩამოდი. რეალობას დაუბრუნდი! რა შუაშია ბარიგობა? მე შენ ძალიან დიდ საქმეს გთავაზობ და უარის თქმა იდიოტიზმია.

– თანხმობა კი დიდი ჩათლახობა, – სიტყვა შევაწყვეტინე გრელკას, მან კი თავი გააქნია და მითხრა:

– ნუ ბავშვობ, კობრა. შენს მდგომარეობაში მყოფი კაცი უფრო დაფიქრებით უნდა იქცეოდეს, შენ კი ისევ ნეპმანურს უბერავ და ვლადიმირის ცენტრალში გგონია თავი.

– ბარიგობას იქ ჯდომა ჯობია. შენ რა, ეჭვი გეპარება?

– თუ ციხეში ჯდომა გირჩევნია, მაშინ, პაბეგში რა გინდა? წადი და ჩაჯექი. საიდანაც ამ ცოტა ხნის წინ გათავისუფლდი, ვლადიმირის ცენტრალზე ნაკლებია? – ნიშნის მოგებით მითხრა გრელკამ, მე კი ვუთხარი:

– პაბეგში თქვენი ბოზური კანონის გამო ვარ და ტყუილად რატომ უნდა წავიდე სროკზე, თორემ, მე არც ვლადიმირის ცენტრალის მეშინია, არც ციმბირის და არც თქვენი ჯურღმულების. ვნანობ, რომ შეხვედრაზე მოვედი, ვაღიარებ, რომ მწარედ შევცდი.

– ხომ არ შეგეშინდა, კობრაჯან? ფიქრობ, რომ გარეთ სამინისტროს ოპერები დაგხვდებიან და გაგისროკავენ?

– შენგან და შენისთანებისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მით უმეტეს, ამ ბაზარის მერე.

– ნუ გეშინია, აქედან უსაფრთხოდ წახვალ, მაგრამ, არა მგონია, დიდხანს გაგაჩერონ სვაბოდაზე და, როცა აგაგდებენ, უკვე ველარავინ გიშველის, მათ შორის, ვერც მე.

– სერგო? ვერც სერგო მიშველის? – ირონიულად ვკითხე გრელკას, რაზეც მან მიპასუხა:

– სერგო ყველაფრის შემძლეა, მაგრამ, შენ გამო თითსაც არ გაანძრევს. მას ჯერ კიდევ მაშინ აუცრუვდა შენზე გული, როდესაც ცეხავიკი იყო და გვერდში არ დაუდექი.

– მაშინ რომ გვერდში დავდგომოდი, შენთვის რქები უნდა მომეტეხა და ახლა შენ არ იქნებოდი მასთან.

გრელკას გაეცინა და მითხრა:

– ხომ არ ნანობ, რომ მაშინ სერგო გამაზე?

– მაგას არა, მაგრამ, სხვა რამეს ვნანობ.

– რას?

– იმას, რომ რქები არ მოგტეხე და ქურდული სხოდკა არ შევკრიბე.

– ახლა გვიანაა სინანული, მით უმეტეს, რომ ვერაფერს დამაკლებ. მე მდიდარი ვარ და იმუნიტეტი მიცავს, შენ კი პაბეგში ხარ, გეძებენ, ხვალ თუ არა, ზეგ მაინც აგაგდებენ და შენს დარჩენილ ცხოვრებას ციხეში გაატარებ.

– ვნახოთ, ვნახოთ, ნუ იჩქარებ დასკვნების გაკეთებას.

– დასკვნების რა მოგახსენო, მაგრამ, ერთ რჩევას მოგცემ და გირჩევ, ყურად იღო.

– ბრძანე.

– ჩვენ არც ერთმანეთს შევხვედრივართ და არც ეს ლაპარაკი გვქონია. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ თავს მოჰკითხე.

– შენი მუქარა კარგად დაახვიე და ჩემზე უკეთ იცი, სად უნდა მოუძებნო ადგილი, მე კი ვერ შემაშინებ. სულ ფეხებზე მკიდია შენი ნარკოტიკებიც და ბარიგებიც. ეს შენ დააჭირე ენას კბილი, თორემ, მე არავისთან ვაპირებ ამ თემის განხილვას. ახლა კი წაველი, შენთან არანაირი საქმე არ მაქვს.

– ამით მხოლოდ შენ წააგებ, – მომაძახა

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



გრელკამ, მე კი ზურგი შევაქციე, ხელი ჩავიქნიე, პასუხი არ გამიცია და იქაურობა სასწრაფოდ დავტოვე.

გრელკასთან შეხვედრის შემდეგ გაცილებით ფრთხილი გავხდი, რადგან, ინტუიცია მკარნახობდა, რომ დიდი დარტყმის ქვეშ მოვექცეცი და მეტკა დამადღეს. ამ შეხვედრის შემდეგ ჩემს მასპინძელს ვუთხარი:

– გული მიგრძნობს, რომ გრელკას ჩემი თავიდან მოშორება უნდა და ქილერი დაიქირავა.

– ვითომ? – მომიგო მასპინძელმა.

– ინტუიციას არასდროს მოვუტყუებივარ.

– ხომ გეუბნებოდი, არ შეხვდე-მეთქი. ძალიან ფრთხილად იყავი და გარეთ გასვლას მოერიდე.

ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ ჩემმა მასპინძელმა დალუქული კონვერტი მოიტანა სახლში, გამომიწოდა და მითხრა:

– თუ არ ვცდები, ეს – შენ.

– მე?

– ჰო.

– რა ხდება?

მეტროში რომ ჩავდიოდი, ესკალატორზე ვიღაც კაცი მომადგა უცნიდან და მითხრა:

– არ შემობრუნდეთ, არ ეცადოთ გაიგოთ, ვინ ვარ და არ ამედევნოთ. ეს კონვერტი კი თქვენს სტუმარს გადაეცით და უთხარით, გალაქტიონის შიფრით წაიკითხოსო.

ნათელი იყო, რომ კონვერტი ხუჭუჭმა გამომიგზავნა, რადგან, ეგრეთ წოდებული „გალაქტიონის შიფრი" ხუჭუჭას გამოგონება იყო და ჩემს მასპინძელს ვუთხარი:

– ხუჭუჭას ქსივაა.

– გალაქტიონის შიფრი რაღაა?

– ბავშვობაში, მე, ყბედალო და ხუჭუჭა მომავალი პრისტუპნი ცხოვრებისთვის რომ ვემზადებოდით, ხუჭუჭამ საიდუმლო შიფრი მოიგონა, რომელიც 1960 წელს გამოცემული გალაქტიონის რჩეული ლექსების კრებულით იშიფრებოდა. გაქვს ეს გამოცემა?

– კი, – მითხრა ჩემმა მასპინძელმა და წიგნი წინ დამიდო.

მე კონვერტი გავხსენი. იქიდან მათემატიკის რვეულიდან ამოხეული ორად მოკეცილი ფურცელი ამოვიღე, რომელიც ციფრებით იყო სავსე და ჩემს მასპინძელს ვუთხარი:

– აი, ესაა ხუჭუჭას წერილი და გალაქტიონის წიგნის მეშვეობით გავშიფრავთ.

– რა ბავშვობაა? – მითხრა მასპინძელმა, მე კი და ვუთხარი:

– ცდები, ხუჭუჭა ტუფტაზე არაფერს აკეთებს. აბა, ვნახოთ რა ხდება აქ.

გაშიფვრას ოცი წუთი მოვანდომე. შემდეგ გაშიფრული ტექსტი ავიღე და მასპინძელს წავუკითხე: „კობრა, გუშინწინ რომ გრელკას შეხვდი საქაბაბეში, ზუსტად არ ვიცი, რა იბაზრეთ, მაგრამ, დაახლოებით ცხვდები შინაარსს. სავარაუდოდ, მან ნარკოტრაფიკის ერთ-ერთი მონაკვეთის კურატორობა შემოგთავაზა და, რა თქმა უნდა, უარი უთხარი. მეორე დღესვე მან ერთ ძალიან მაგარ ქილერს შენი მოძებნა და დაბრედვა შეუკვეთა. ერთი სიტყვით, მეტკა გადეგს და ძალიან ფრთხილად იყავი. მუქი სათვალით თბილისის ქუჩებში ნოსტალგიურ ხეტიალს თავი დაანებე და, სადაც ხარ, იქ დარჩი. თქვენ გარდა, მხოლოდ მე ვიცი შენი ადგილსამყოფელი. უსაფრთხოდ ხარ და თავი არ გაიშიფრო. გარწმუნებ, ჩემს პრობლემებს რომ მოვაგვარებ, შენიც მოგვარდება. მალე შევხვდებით. ფრთხილად იყავი. ნახვამდის".

ჩემმა მასპინძელმა თავი გააქნია და მკითხა:

– მაინც, საიდან გაიგო სად ხარ?

– შენ ხუჭუჭას არ იცნობ. ის ხორცშესხმული ეშმაკია. ისეთი კომბინაციების ხლართვა შეუძლია, რომ თავსა და ბოლოს ვერავინ გაუგებს და მხოლოდ თვითონ იცის ყველაფერი.

– მე მგონი, აჭარბებ.

– რატომ ფიქრობ მასე?

– ასეთი მაგარი თუ არის, მაშინ, რატომ გაიქცა და ეძებენ?

– იმიტომ, რომ სულელები არიან. ეგენი რომ ხუჭუჭას იცნობდნენ, დევნას კი არ დაუწყებდნენ, თანამდებობას მისცემდნენ და სახელმწიფოს სასარგებლოდ ამუშავებდნენ. ვერ ხედავ, რა მაგარია?

ჩემმა მასპინძელმა ხელები ასწია და მითხრა:

– ვაღიარებ. მაგარია.

– მაგარია, მაგარი და, ჩვენი გზები რომ არ გაყოფილიყო და ერთად ვყოფილიყავით, ძალიან დიდი ძალა ვიქნებოდით.

– შეფი, რა თქმა უნდა, ხუჭუჭა იქნებოდა, ხომ?

– ბაზარი არაა.

– ერთი ის მითხარი, საიდუმლო შიფრი რისთვისღა გჭირდებოდათ?

– ვერ ხედავ? რა, არ გამოგვადგა? – ღიმილით ვუთხარი ჩემს მასპინძელს. მან კი მითხრა:

– როგორ არ გამოგადგა, მაგრამ, რა იცოდით, რომ ასე მოხდებოდა. მაინც, რას გეგმავდა ხუჭუჭა, როდესაც ამ შიფრს იგონებდა?

– ასე ამბობდა: „ძაღლებმა რომ ვერ გაიგონ ჩვენი ჩალიჩები, როდესაც პრისტუპნიკები გავხდებით, ამ შიფრით მივწერთ ერთმანეთს ქსივებს ციხეში, ან, სულაც, გარეთო. კაროჩე, ხუჭუჭა არ ხუმრობდა და ძალიან დიდი პრისტუპნი სინდიკატის შექმნა უნდოდა, რომელიც მთელ შავ სამყაროს გააკონტროლებდა.

– მასშტაბურად აზროვნებდა.

– ნუ იტყვი. მასშტაბურად და თანაც როგორ. მას მთელი გეგმა ჰქონდა შედგენილი და იმ ქურდების შავი სიაც კი ჰქონდა, რომლებიც უნდა გაეფუჭებინა.

– ქურდი გავხდე და მერე მე ვიცი მაგათი ამბავი, – იტყოდა ხოლმე ხუჭუჭა, – ძმებო, ამ ძალით ქურდების სეირს გიჩვენებთო.

– მაინც, რა არ ევასებოდა?

– უსამართლობა. ვერ იტანდა, როცა ქურდი საქმის გარჩევაში ფულს იღებდა ან დღეს წილში უჯდებოდა. ასეთ კატეგორიას მუქთახორებსა და აფერისტებს ეძახდა და თავის შავ სიაში შეჰყავდა. სხვათა შორის, ხუჭუჭას შავ სიაში მყოფი ყველა ქურდი ახლა გაფუჭებულია და, დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ხუჭუჭას მონაწილეობით გაკეთდა.

– ბავშვობის ოცნება აისრულა? – გაეცინა ჩემს მასპინძელს.

– არა. უბრალოდ, სამართლიანობა აღადგინა და მე მას ამ ამბავში სრულიად ვეთანხმები.

– შენ „ძაღლი" უძახე და, კარგი კაცი ყოფილა.


## როგორ გავიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოვიწყოთ პირადი ცხოვრება კოლხი წინასწარმეტყველის დახმარებით

*კოლხი ნათია ბავშვობიდან ხალხური მედიცინით კურნავს ხალხს. მას შეუძლია გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა, დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების გაცემა. ის გამოირჩევა მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარით, რაც საკუთარ თავზე გამოვცადე და არაერთხელ.*



**მარიამ ფ-შვილი** *(34 წლის):* ცხოვრებაში ყველაფერი მქონდა, მშობლებმა განათლებაც მომცეს, სახლიც მიყიდეს, სამსახურიც კარგი მქონდა. თუმცა, 32 წლამდე გაუთხოვარი დავრჩი, ვერა და ვერ ავაწყვე პირადი ცხოვრება; ხშირად ქორწილამდე მისული ურთიერთობა ჩაშლილა. თურმე, საგვარეულო წყევლა ყოფილა ყველაფრის მიზეზი, ამაში მას მერე დავრწმუნდი, რაც მივედი ქალბატონ ნათიასთან და ბედიც გამეხსნა – ერთი წლის მერე ჩემს თანამშრომელს გავყევი ცოლად. ახლა ბიჭს ველოდებით. ბედნიერი ოჯახი გვაქვს. ულრმესი მადლობა ამ ღვთისნიერ ქალბატონს.

**მზია შ-ია** *(47 წლის, თბილისი):* ყოველთვის ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ ვერ ვთხოვდებოდი, მას შემდეგ, რაც დაქალმა მიმიყვანა ნათიასთან, მან წამიკითხა ლოცვები, აურა გამისუფთავა, ბედიც გამეხსნა და ერთ წელიწადში გავთხოვდი. გამიკეთა დამცავი თილისმა, რომელიც მუდმივია. ახლა 2 შვილის დედა ვარ. ულრმესი მადლობა მას.

**თამაზ გ-ძე** *(60 წლის, მცხეთა):* 3 წლის წინ დავქვრივდი, დარდმა ბოლო მომიღო, ჩამივარდა აწყობილი ბიზნესი. შვილები ამერიკაში მყავს. შემთხვევით „თბილისელებში" ვნახე კოლხი ნათიას სტატია და მაშინვე მოვედი. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ნელ-ნელა მისი ლოცვის შემდეგ ფეხზე წამოვდექი, ჩემს ასაკში ცოლი შევირთე, ბიზნესიც ავაწყვე... დიდ მადლობას ვუხდი მას.

**ანა პ-ძე** *(30 წლის, თბილისი):* ნაღველი მაწუხებდა, ჯანმრთელობის პრობლემას ოჯახურიც დაემატა, ქმარმა მიმატოვა – 20 წლის გოგონას გამო. დავრჩი 2 შვილით უმუშევარი, ცარიელ-ტარიელი. დაქალმა მიმიყვანა კოლხ ნათიასთან და როგორც კი თილისმა გამიკეთა, მას მერე დაიწყო პრობლემებმა მოგვარება, ქმარიც მალევე დამიბრუნდა *(იცინის).* ახლა ნიუ-იორკში ვარ და აქედან ვუკავშირდები ხოლმე ნათიას, როცა დახმარება მჭირდება.

*ანონიმურობა დაცულია.*

ტელ: 599-98-74-25; 514-45-18-81
Skype bulvarzelioni

– ერთს გეტყვი, რა, ხუჭუჭა რომ ქურდული გზით წასულიყო, პრისტუპნი მირის გენერალი გახდებოდა. ერთი სიტყვით, მაგარი პიროვნებაა და ამის უარყოფა სისულელეა, – ვუთხარი ჩემს მასპინძელს, შემდეგ დაშიფრული და გაშიფრული წერილები დავწვი და დავამატე: ცოტა ხნით ფსკერზე დაწოლაა საჭირო.

– ფსკერზე კი არა, ფსკერის ფსკერზე, – შემისწორა ჩემმა მასპინძელმა.

– ჰო, მასეა. მაგრამ, შენც ფრთხილად იყავი. გრელკა ისეთი ნაბოზარია, რომ, შეიძლება, შოთას ზავიძენიის ყველა კლიენტის გაშიფვრა დაიწყოს და შენზე გამოვიდეს.

– ჩემგან კი შენზე, ხომ? – გაეცინა ჩემს მასპინძელს.

– რა გაცინებს?

– ნუ გეშინია, კობრაჯან. შოთას ზავიძენიაში ფეხიც არ შემიდგამს. მე ის წარწერიანი დაფა ფარულად ავიღე და გრელკას მობილურის ნომერიც მასე შევიტყვე.

– ყოჩაღ.

– აბა, როგორ?! – გაეცინა ჩემს მასპინძელს, – მართალია, ხუჭუჭა კონსპირაციის მეფეა და მას ვერ შევედრები, მაგრამ, ცოტა რამ მეც ვიცი. ასე რომ, გრელკას ეჭვმიტანილთა სიაში არანაირად არ მოვხვდები და ვერც შენზე გამოვლენ. აი, სხვების კი – რა მოგახსენო.

ხუჭუჭას გაფრთხილებიდან ორი დღის შემდეგ, შოთას ბარ-რესტორნის ყველა კლიენტი, შოთას თამადობით, „სოდში" წაიყვანეს, საკმაოდ მკაცრად დაკითხეს და ამგვარად ცდილობდნენ ჩემი ადგილსამყოფლის დადგენას. თუმცა, აბა, როგორ დაადგენდნენ, როდესაც ეს არავინ იცოდა, ხოლო, ვინც იცოდა, ყოველგვარ ეჭვს მიღმა იდგა. მასობრივი დაკითხვის მეორე დღეს უკვე მთელმა თბილისმა იცოდა ეს ამბავი. რა თქმა უნდა, ჩვენც გავიგეთ და ჩემს მასპინძელს ვუთხარი:

– არ მეგონა, თუ გრელკა ასეთი უხეში მეთოდებით იმოქმედებდა.

– რატომ არ გეგონა? ერთადერთი და ძალიან საშიში მოწმე ხარ, ვინც მისი შავბნელი საქმიანობის შესახებ მისი პირიდან შეიტყვე და ყველანაირად ცდილობს, თავიდან მოგიშოროს.

– მე ეს უფრო სერგოს ბრძანება მგონია.

– სერგოსი?

– რატომ გიკვირს? სერგო ისეთი ამბიციური ტიპია, რომ ყველაფრის კონტროლი და მეწილეობა უნდა. ამიტომ, ეს საქმე მის გარეშე არ გამოვიდოდა. გრელკა მხოლოდ მატლია სერგოსთვის და, თუ დასჭირდა, გასრისავს.

– ან, ნახმარი პრეზერვატივივით გადააგდებს, – დაამატა ჩემმა მასპინძელმა.

– ან მასე უზამს, – დავუდასტურე და დავამატე: – ერთი სიტყვით, შეფი სერგოა, დანარჩენები კი – მისი ყურმოჭრილი მონები.

– ჰოდა, ჩემო კობრა, ძლევამოსილი მტერი გყოლია. ხუჭუჭას უნდა დაუჯერო და ფსკერის ფსკერის ფსკერზე დაწვე.

– ფრთხილად ვიქნები, მაგრამ ცოცხლად თავს არ დავიმარხავ. სერგო სერგოა, მაგრამ, მასზე არანაკლებებსაც ვიცნობ და, არ გაგიგონია – ძალა ერთობაშიაო?

ჩემს სიტყვებზე ჩემს მასპინძელს გაეცინა და მითხრა:

– თუ სწორად მივხვდი, სერგოზე „არანაკლებში" ხუჭუჭა იგულისხმე. „ძალა ერთობაშია" კი ნიშნავს, რომ სერგოს ხუჭუჭასთან ერთად შეუტევ?

– მხოლოდ თავს დავიცავთ.

– კარგი აზრია, მაგრამ, ამ წინადადებას ხუჭუჭას როგორ მიაწვდი?

– მან თვითონ მომაწოდა ეს აზრი, რაც მის დაშიფრულ ქსივაში ამოვიკითხე.

– ყურადღებით გისმენდი და მსგავსი რამ იქ არ ეწერა.

– სიტყვებით არა, აზრით.

– შენ უკეთ იცნობ შენი ბავშვობის ძმაკაცს და არ შეგეშლებოდა.

– კი, მასეა. ხუჭუჭას აუცილებლად ექნება გეგმა და ახლა ჩვენ ერთ სვიაზკაში ვართ.

– ქურდი და პოლიციის, უფრო სწორად, უშიშროების გენერალი ერთ „სვიაზკაში" არიან და ებრძვიან უსამართლობას, – გაეცინა ჩემს მასპინძელს, – რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ამის დედა ვატირე!

– არ გინდა ნამეტანი დრამატიზება. ამ შემთხვევაში, ჩვენ ბავშვობის ძმაკაცები ვართ და ერთმანეთს ფიზიკურ გადარჩენაში ვეხმარებით. აი, სულ ესაა.

– კარგი, კარგი, სულ ესაა, გეთანხმები, – მითხრა ჩემმა მასპინძელმა, – პრეტენზიას ვერ წაგიყენებენ კოლეგები, ვერც ნეპმანური ფორმაციის და, მით უმეტეს, ვერც ახალი ფორმაციის ქურდები, მაგრამ, აუცილებლად ცუდ ხმებს გაგივრცელებენ.

– რა ხმებს?

– იტყვიან, „ძაღლებს" შეეკრაო და ამას შენს გამოსატყუებლად გააკეთებენ. აი, ნახავ, თუ მასე არ მოხდება, – მითხრა ჩემმა მასპინძელმა და მართლაც, მეორე დღეს სახლში რომ დაბრუნდა, მითხრა:

– რას გეუბნებოდი გუშინ? დღეს უკვე მთელი ქალაქი ლაპარაკობს, კობრა „სოდს" შეეკრა და მისი პაბეგი ფარსი იყო, სინამდვილეში კი ის ძველ საქმეებს ფქვავს და პაძელნიკებს აბეზღებსო. რას იტყვი, როგორი მოსასმენი და ასატანია?

– ძალიან ცუდი და ძნელი, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს და უნდა მოვითმინო.

– არ მოითმენ და თავს წააგებ, – მითხრა ჩემმა მასპინძელმა, – გაფრთხილებ, გარეთ ცხვირი არ გაყო. დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ძალლობა ფეხზე დგას და აუცილებლად აგაგდებენ.

– ვაა, ეს რა შარში გავყავი თავი. არ ჯობდა, რომ გრელკას საერთოდ არ დავკონტაქტებოდი და სერგოს სამიზნე არ გავმხდარიყავი?

– ჯობდა, მაგრამ, ახლა სხვა რამეზე უნდა იფიქრო, – მითხრა ჩემმა მასპინძელმა, – რჩევას მოგცემდი, მაგრამ, სხვანაირად არ გაიგო ჩემი სიტყვები.



– რა სხვანაირად, თქვი, არ გრცხვენია?

– თბილისში „ნოკაუტაა" ჩამოსული და, დარწმუნებული ვარ, გიშველის, თუ, რა თქმა უნდა, შენ ამას მოისურვებ. ვფიქრობ, რომ საქართველოში შენი გაჩერება ძალიან სახიფათოა და რუსეთში უნდა გაემგზავრო. ნოკაუტა კი ამას მოგიხერხებს და, თუ გინდა, მივალ და ვეტყვი, – მითხრა ჩემმა მასპინძელმა, – არ იფიქრო, რომ შენი თავიდან მოშორება მინდა, მაგრამ, ასე ჯობია. რას იტყვი?

– არა, მირჩევნია, ხუჭუჭას დაველოდო. ნოკაუტასთან დაკონტაქტება ძალიან სახიფათოა. დარწმუნებული ვარ, რომ მას ქართული უშიშროება უთვალთვალებს და უსმენს, აუცილებლად გაგვშიფრავენ, – მივუგე ჩემს მასპინძელს, რომელმაც თავი დამიქნია და მითხრა:

– მართალი ხარ. არ იფიქრო, რომ თავიდან გიშორებ. უბრალოდ, შენთვის რაც სასარგებლო იქნება, ის მინდა, გავაკეთო.

– დიდი რისკის ფასად მიფარებ და მეტი რა უნდა გააკეთო. სისულელის ლაპარაკს კი თავი დაანებე. რომ არ გენდობოდე, აქ ერთი წამითაც არ გავჩერდებოდი. ნოკაუტა კი – საღოლ! საიდან სად გაიჩითა? – ღიმილით ვთქვი მე.

ნოკაუტა, იგივე ბესო ნოდია, ჩვენი ბავშვობის ძმაკაცი იყო. ის ყბედალოზე არანაკლები კვალიფიკაციის ჯიბგირი იყო და ადრეულ ასაკშივე აითვისა ეს ხელობა. არაჯიბგირული მეტსახელი კი ჯერ კიდევ ბავშვობაში შეარქვეს, რადგან, ძალიან მაგარი მოჩხუბარი იყო და, ვისაც ხელს დაარტყამდა, ყველას ნოკაუტში აგდებდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**დიდი ხნის წინათ, გასულ ასწლეულში, იყო ერთი 12 წლის ბიჭი, რომელსაც 8 წლით დიდი და ჰყავდა და მას დედასავით ზრდიდა. ერთ დღეს, როცა გაიგო, რომ და უნდა გათხოვდეს, როგორც კახელები ამბობენ, ბიჭს პირკატა ეცა. რამდენიმე თვეში აღმოჩნდა, რომ მის დას უნდა შეეძინოს ბავშვი. ბიჭი, მამასთან ერთად წავიდა დის მოსანახულებლად სამშობიაროში. ამბის გასაგებად ექთანი გაგზავნეს. მამას მარჯვენა ჯიბეში ათმანეთიანი ედო, მარცხენაში – ორი სამმანეთიანი. როდესაც ექთანმა ჩამოიტანა ამბავი, რომ გოგო დაიბადა, გასაგებია მამამ რომელ ჯიბეში ჩაიყო ხელი. დღეს ახალშობილის პაპა ცოცხალი რომ იყოს, ინანებდა, რომ, რაც ორივე ჯიბეში ჰქონდა, სულ არ მისცა მახარობელს ამ გოგონას დაბადების უწყებისთვის.**

**ეს ცოტა არ იყოს სახალისო ავტობიოგრაფიული ამბავი ევანგელისტურ-ბაპტისტურ ეკლესიაში საზეიმო საღამოზე გვიამბო მეუფე მალხაზ სონღულაშვილმა. თუ რატომაა სახალისო, განმარტება არ სჭირდება. ავტობიოგრაფიული იმიტომაა, რომ ზემოთ აღნიშნული 12 წლის ბიჭი წინა ასწლეულიდან, სწორედ თვითონ მთხრობელი გახლდათ. ახალშობილი გოგონა კი, ამავე ეკლესიის წინამძღვარი, საქართველოში პირველი ეპისკოპოსი ქალი, რუსუდან გოცირიძე. რაც შეეხება ზეიმის მიზეზს, ქალბატონი რუსუდანი ამერიკის პირველმა ლედიმ მიშელ ობამამ დააჯილდოვა მამაცი ქალების საერთაშორისო ჯილდოთი. რუსუდან გოცირიძე დღეს ჩვენი რესპონდენტია.**

# რატომ დააჯილდოვა პირველი ქართველი ეპისკოპოსი ქალი რუსუდან გოცირიძე ამერიკის პირველმა ლედიმ მამაცი ქალების საერთაშორისო ჯილდოთი

**– ქალბატონო რუსუდან, რამდენი წელია, არსებობს მამაცი ქალების დაჯილდოების ტრადიცია ამერიკის პირველი ლედის მიერ?**

– ეს ტრადიცია 2007 წლიდან იწყებს სათავეს. ჰილარი კლინტონის დაწყებულია ეს საქმე. ყოველ წელს ათ-ათ ქალს აჯილდოებენ მსოფლიოს მასშტაბით.

**– იცოდით, რომ ერთ-ერთ ნომინანტად იყავით წარდგენილი ამ ჯილდოზე?**

– ნოემბერის ბოლოს შემატყობინა ამერიკის საელჩომ, ძალიან გაკვრით. ერთფრაზიანი წერილით მაუწყეს ეს ამბავი. ჯილდოზე იმდენი ქალი იყო წარდგენილი, რამდენი საელჩოც აქვს ამერიკას. თითო საელჩოდან თითო კანდიდატს წარადგენენ.

**– საბოლოოდ, მათგან ათს ვინ ირჩევს?**

– სახელმწიფო დეპარტამენტი. 2 თვის განმავლობაში მიმდინარეობს ამ ადამიანების შესწავლა. გასაიდუმლოების ხარისხი ძალიან მაღალი იყო. გამარჯვებულთა გვარები გასაჯაროვდა დაჯილდოების წინა დილას.

**– უშუალოდ, პირველ ლედისთან შეხვედრის ყველა დეტალი მაინტერესებს.**

– დიდი ხნით არ გვქონია მასთან საუბრის საშუალება. მოვიდა ცერემონიამდე დაახლოებით ერთი საათით ადრე. სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი, გამოგველაპარაკა, კარგად იცოდა თითოეულის ბიოგრაფია, უბრალოდ, აინტერესებდა, რომელი რომელი ვიყავით. სპეციალურ ჰოლში ვისხედით, ვიდრე დარბაზში შევიდოდით. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კი ჟურნალისტების შარა-შური გაძლიერდა და შემოვიდა. მიშელ ობამა იყო ძალიან უშუალო, დახვეწილი, მოვლილი, მომხიბვლელი, სადად ჩაცმული, ნაკლები აქსესუარებით, თბილი ადამიანი, გულში ჩამხუტებელი. სათითაოდ ყველას ათჯერ მაინც გადაგვეხვია და ჩაგვიხუტა.



ინტენსიურად ხდება ინდოეთში მჟავას გადასხმა, გოგონას მიერ ქორწინებაზე უარის თქმის შემთხვევაში. ლაქშმის მჟავა გადაასხა ეგრეთ წოდებულმა საქმრომ და საქმროს ძმის ცოლმა, ანუ ქალიც იყო ჩარეული. უქალოდ არ ხდება ეს საშინელებები, ბევრჯერ დედამთილებიც აქტიურობენ

**– თქვენ გიცნობთ ქართველი საზოგადოება. დანარჩენ 9 მამაც ქალბატონზეც მიამბეთ?**

– ინდოელი გოგონა ლაქშმი, ასაკით ყველაზე პატარა იყო ჩვენს შორის. მე აუარება სტატია მაქვს წაკითხული მჟავათი დამწვარი გოგონების შესახებ, მაგრამ ასე ხელშესახებად, გვერდში რომ გიზის 24 წლის გოგო, რომელიც 14 წლის ასაკში დაწვეს მჟავით, ეს აბსოლუტურად სხვა განცდაა. მთელი გზა მღეროდა, სიფრიფანა ფერად-ფერადი კაბებით დაცქრიალებდა. იმის წყალობით, რომ კარგი ოჯახი ჰყავდა, რომელიც გვერდში დაუდგა, გაიკეთა ოთხმოცამდე ოპერაცია. ლაქშმიმ განა მარტო გადალახა ის უბედურება, რაც გადახდა, არამედ გახსნა ცენტრი და სხვებისთვისაც იმედის და ნუგეშის მიმცემია. ამერიკაში ყოფნისას დაურეკეს, ერთი მსხვერპლი მოიყვანეს ცენტრში – მჟავაგადასხმული გოგო, რომელიც ისეა დამწვარი, მისი გადარჩენის იმედი არ გვაქვსო. ამის გამო რამდენიმე დღით ადრე დაგვტოვა ლაქშმიმ.

ინტენსიურად ხდება ინდოეთში მჟავას გადასხმა, გოგონას მიერ ქორწინებაზე უარის თქმის შემთხვევაში. ლაქშმის მჟავა გადაასხა ეგრეთ წოდებულმა საქმრომ და საქმროს ძმის ცოლმა, ანუ ქალიც იყო ჩარეული. უქალოდ არ ხდება ეს საშინელებები, ბევრჯერ დედამთილებიც აქტიურობენ.

ფიჯიდან იყო კიდევ გოგონა, რომელმაც გვითხრა, რომ ჩვენთან მჟავა არ არის ხელმისაწვდომი. ამიტომ, ნავთით წვავენ ასეთ გოგონებსო. ნავთს მიასხამენ და ცეცხლს უკიდებენ. ცოცხლად წვავენ, ის ვერ გადარჩება.

**– ერთ-ერთი მამაცი ქალი იყო ავღანეთიდანაც.**

– დიახ. ქალბატონმა ნაზრინ ორიახილმა ქაბულში დააარსა სამშობიარო სახლი. გარდა იმისა, რომ ძალიან ბევრი ბავშვი იბადება ამ დაწესებულებაში, ეს სამშობიარო სახლი სერიოზულ საქმეს აკეთებს რეპროდუქტიული ჯანმრთელობისთვის, კულტურისა და ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ამ ქალმა გვიამბო, რომ ასორმოცდაათამდე იმამი სასულიერო პირები შეკრიბა, რომელთაც ხელი მოაწერინა, რომ ქალებისთვის კონტრაცეფციების გამოყენების ნება დაერთოთ. როგორც ამბობდნენ, კრძალავს ისლამი ამას, მაგრამ ამ ქალმა შეძლო, ყურანის მუხლების გამოყენებით, დაემტკიცებინა საწინააღმდეგო. თურმე ყურანის მუხლების მიხედვით, საჭიროა, რომ ქალს ორწლიანი ინტერვალი ჰქონდეს მშობიარობიდან შემდგომ მშობიარობამდე. ავღანელი იმამები, რომ ამ ერთმა ქალმა შეკრიბა ერთ ადგილას, თავის სიმართლე დაუმტკიცა და დაითანხმა მათთვის არასასურველი გადაწყვეტილება მიეღოთ, ეს ნამდვილი სიმამაცის მაგალითია. გარდა ამისა, ამ სამშობიაროში ათასობით ოპერაცია უკეთდებათ ქალებსა და გოგოებს, მრავალჯერადი გაუპატიურების მსხვერპლთ. ასეთი მომენტიც გაიხსენა ქალბატონმა ნაზრინმა: ერთხელ ასეთი გაუპატიურების მსხვერპლი გოგონა რომ მოიყვანეს, სისხლი არ გვქონდა. გავარკვიე, რომ მას იმავე ჯგუფის სისხლი ჰქონდა, რომელიც მე მაქვს. მე ჯერ დავწექი, გადავუსხი და ცოტა ხნის შემდეგ ოპერაცია გავუკეთეო.

იყო ასევე, ფატიმატა ტორე მალიდან.

**– მალელმა მამაცმა ქალმა რა გიამბოთ?**

– მას გინეკოლოგიური ცენტრი ჰქონდა გახსნილი, რომელიც ასევე, გაუპატიურების მსხვერპლ გოგონებს ეხმარებოდა. როგორც მან გვიამბო, მალიში არსებობს ქალების ციხე. სადაც ქალი შეიძლება მოხვდეს იმისთვის, რომ თავსაუბურავის გარეშე გავიდა გარეთ ან მამაკაცს დაელაპარაკა, რომელიც ოჯახის წევრი არ იყო და ასე შემდეგ. ვითომ პატიოსნებისა და ღირსების სადარაჯოზე მყოფ ამ ინსტიტუციაში მოხვედრილი ქალები კი ხდებიან მრავალჯერადი გაუპატიურების მსხვერპლი. ამას ემატება ისიც, რომ მალიში პოლიტიკურად არასტაბილური სიტუაციაა – ხან ერთ ძალა მოდის სათავეში, ხან მეორე. ორივე შემთხვევაში კი გამარჯვების ზეიმი ამ ქალების გაუპატიურებაა.

უკრაინიდან ჩამოსული იყო რუსლანა ლიჟიჩკო.

**– ეს ის რუსლანაა „ევროვიზიაზე“ რომ გაიმარჯვა?**

– დიახ. ის მთელი ამ მძიმე პერიოდის განმავლობაში კონცერტებს ატარებდა ევრომაიდანზე, რომ ხალხი გაემხნევებინა და მათთან ერთად იყო. მერე, როცა ძალიან გამწვავდა სიტუაცია შიმშილობა დაიწყო. პრაქტიკულად, რუსლანა დაჯილოდოების დილას ჩამოფრინდა ამერიკაში და მეორე დღესვე დატოვა იქაურობა. ბარიკადებიდან ჩამოვიდა და ბარიკადებზე წავიდა. ძალიან ცოტა დრო მქონდა, რომ დავლაპარაკებოდი. ერთ-ერთი მიღების დროს მოვიდა და მკითხა: რას ამბობენ იქ ჩვენზეო? ვუთხარი, რომ ჩვენ ყველანი თქვენთან ვართ. გარდა ამისა, ვაუწყე, რომ ჩვენმა ეკლესიამ არაერთხელ ჩაატარა ლოცვა უკრაინისთვის. გაუხარდა. გაიხსენა, ერთხელ თბილისში ვიყავი და ჩემს ქმარს, მინანქრის ჯვარი ვუყიდე სამახსოვროდო და უცებ გამახსენდა, რომ ჯიბეში მედო ჩემი მინანქრის ჯვარი. ხელში ჩავუდე და ვუთხარი: ეს შენ გქონდეს და როცა ბარიკადებზე იდგები, იცოდე, რომ შენთან ერთად მთელი საქართველოა ამ ჯვრის სახით-მეთქი. ფიჯიდან იყო კიდევ 33 წლის როშიკა დეო, რომელიც ახლა საპარლამენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობას. თავიდან მას აღვიქვამდი, როგორც ფემინისტ გოგოს, რომელიც ძირითადად ადამიანის უფლებებზეა ორიენტირებული...

**– ტაჯიკი ქალბატონიც ხომ იყო თქვენ შორის?**

– იყო. ქალბატონი ოინიჰოლ ბობონაზაროვა ტაჯიკეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა და ამ ნიშნით, ძალიან სერიოზული პოლიტიკური ბრძოლები ჰქონდა გადატანილი. ის, პოლიტიკოსი ქალია.

ერთ-ერთი დაჯილდოებული იყო გვატემალელი მოსამართლე ქალბატონი ჟასმინ ბარიოზ აგილარ. გვატემალაში 30 წელი იყო საშინელი რეჟიმი, რომელმაც თავის მოსახლეობას სერიოზული გენოციდი მოუწყო. ამ რეჟიმის გადაგდების შემდეგ, დაიწყო ყოფილი მეთაურების გასამართლება. ეს ქალი იყო მოსამართლე, რომლის ხელშიც გაიარა უდიდესმა პროცესებმა. მართალია, გადავარდნილ მთავრობას ასამართლებდნენ, მაგრამ, მათ თავისი მხარდამჭერები ისევ ჰყავდათ, თუნდაც იგივე სასამართლო ინსტანციაში და ეს ქალი ბედნიერი იყო იმით, რომ ჯავშნიანი მანქანით არ სჭირდებოდა სიარული და შეეძლო ქუჩაში თავისუფლად გასეირნება. მისი ოჯახური მდგომარე-

**ამბობენ, თუ ადამიანი ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა, მას წარმატებები და იღბალი თან დაჰყვება და ფორტუნაც მუდამ მის მხარესააო. თუმცა, როგორც ასტროლოგი დავით ბუტიკაშვილი ამბობს, წარმატების კოდს ყველა თავად ქმნის და ამისთვის, ელემენტარული წესების გათვალისწინებაა საჭირო. ასე რომ, თუ თქვენს ცხოვრებაში უიღბლო პერიოდი დგას, ხშირად უჩივით უფულობას, ბედს და დაღმავლობას განიცდით, მაშინ ამ ინტერვიუს წაკითხვის და ასტროლოგიური, ელემენტარული რჩევების გათვალისწინებით, თავადვე შეძლებთ საკუთარი ბედი უკეთესობისკენ შეცვალოთ.**

# როგორ ავიცილოთ თავიდან ქრონიკული უიღბლობა და აქვს თუ არა ყველას თავისი ვარსკვლავი

**დავით ბუტიკაშვილი**: ყველა ადამიანისთვის კონკრეტულ წელიწადში, ერთი, კონკრეტული დღე არსებობს, როცა შესაძლებელია წარმატებას ადვილად მიაღწიოს, სურვილი აისრულოს, ბედი უკეთესობისკენ შეცვალოს, ლატარიაში დიდი თანხა მოიგოს და ასე შემდეგ.

**– როგორ მივხვდეთ ეს კონკრეტული იღბლიანი დღე როდის დგება ჩვენთვის?**

– მოკლედ, არსებობს პლანეტოროიდი ქირონი, რომლის ასპექტები, კონკრეტული ადამიანის ჰოროსკოპში, სწორედ მის იმ დღეზე მიუთითებს, როცა შესაძლებელია ბედის წარმატებით განვითარება. ამიტომ, იმის ზეპირად თქმა, ვისთვის როდის დგება ეს ზეიღბლიანი დღე, შეუძლებელია, თუ არ შევადგინეთ მისი პირადი ჰოროსკოპი. ყბადარებული უიღბლო ადამიანები სამყაროში არ არსებობენ. რასაკვირველია, ასეთი უიღბლო, პრობლემური დღეებიც დგება, მაგრამ ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროთ და ამ პერიოდშიც კი იღბლიანობის გასაღები უნდა ეძებოთ. ეს გასაღები კი, თქვენს ჰოროსკოპში დევს.

**– როცა ადამიანის ცხოვრებაში წლების განმავლობაში დგას უიღბლო პერიოდი, არის თუ არა ეს, ადამიანის კოსმიური დასჯა?**

– თუ ადამიანის ცხოვრებაში წლები გრძელდება უიღბლო პერიოდი, ამ ადამიანმა აუცილებლად უნდა შეცვალოს ცხოვრებისადმი მიდგომა. რაც შეეხება კოსმიურ დასჯას, ეს უიღბლობასთან არანაირ კავშირში არ არის. ნებისმიერი პრობლემა და სიძნელე, რაც ადამიანს ექმნება, უნდა აღიქვას როგორც ცხოვრების მკაცრი მასწავლებელი. თუ არ ებრძვით სიძნელეს და მას გაურბიხართ, მაშინ არაფერი გამოვა და უარესად უიღბლო გახდებით. არსებობს პლანეტა სატურნი, რომელსაც ასტროლოგები დამსჯელ პლანეტას უწოდებენ. მე კი, მას მკაცრ მასწავლებლად მივიჩნევ. ნებისმიერ ადამიანს აქვს ის ჰოროსკოპში და დგება პერიოდები, როცა მისი წყალობით მეტი პრობლემა და წინაღობა გვხვდება. თუმცა, ამის გამო დეპრესიაში არ უნდა ჩავარდეთ, რადგან დაღმავალს, აუცილებლად აღმავალი პერიოდი მოსდევს. და, ეს ყველაფერი დროებითია. ყველა ადამიანს თავისი ვარსკვლავი აქვს, უიღბლო ვარსკვლავი კი არ არსებობს, ყველა იღბლიანია. ვინც მუდმივად წუწუნებს, რომ ის უიღბლოა და ბედი არ სწყალობს, ამაში საკუთარ თავს არწმუნებს და იღბალს ნურც ელის. წარმატებაზე მოტივაციაა, როცა ადამიანი ამბობს კარგად ვარ და ბედს არ ვუჩივიო. მთავარია, ცხოვრებისადმი მიდგომა. დიახ, ადამიანები შესაძლოა, შრომობენ, წვალობენ, მაგრამ შინაგანად, იგივე მიდგომა აქვთ ცხოვრებისადმი, რაც წლების წინ ჰქონდათ. ხელიდან არ უნდა გაუშვათ წარმატებების მომტანი შანსები, რომელიც თქვენს გარშემოა. ამიტომ ვამბობ, არ უნდა დანებდეთ უიღბლობას, წარუმატებლობას და წინაღობებს, იბრძოლეთ და შეცვალეთ ის იღბლიანად. დედამიწაზე ყველაფერს აქვს თავისი ხასიათი და ყველა დაღმართს მოჰყვება აღმართი. ამიტომ, თუ დაღმასვლის გზაზე ხართ, დროებითია, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მომენტია და თუ დაძლევთ, აღმასვლა გარდაუვალია. დამიჯერეთ, არ არსებობს იდეალურად იღბლიანი და განწირულად უიღბლო ადამიანი დედამიწაზე. ყველას ჰოროსკოპში არის მთავარი მმართველი პლანეტა. ასტროლოგიაში ამ პლანეტას ალმუტერს უწოდებენ. ის ყველაზე ძირითადი პლანეტაა, რომელიც კონკრეტული ადამიანის ბედს განაგებს და მისი ასპექტები, მოძრაობა განაპირობებს წარმატებული თუ პირიქით, უიღბლო იქნება ესა თუ ის წელიწადი თქვენთვის. მთავარია, ადამიანმა გააკეთოს არჩევანი და ის გაამართლებს თუ არა, იმაზეა დამოკიდებული, დროის რომელ მონაკვეთში გაკეთდა ის.



ყბადაღებული უიღბლო ადამიანები სამყაროში არ არსებობენ

**– გასაგებია, რომ ეს ინდივიდუალურად ხდება, მაგრამ თუ არსებობს ზოგადი პროგნოზი, რომელიც ადამიანებს დაეხმარება კონკრეტული სტიქიის გაძლიერებით, წარმატების ადვილად მოპოვებაში, სიძნელეების დაძლევასა და ბედის გახსნაში?**

– დიახ, არსებობს და გასწავლით, რომელი სტიქიის გაძლიერებით, როგორ გამოიწვიოთ თქვენს ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებები. აღმოსავლური ასტროლოგიის თანახმად, კონკრეტულ წელს კონკრეტული ცხოველის სიმბოლო აღნიშნავს. ასე რომ, ხარის, გველისა და მამლის წელში დაბადებულებისთვის იღბლიანი სტიქიაა წყალი. გააძლიერეთ კონტაქტი წყალთან, ხშირად დაისვენეთ ზღვაზე, მიიღეთ აბაზანები, ონკანიდან გამდინარე წყალს შეუშვირეთ ხელი და თან, იჩურჩულეთ თქვენი სურვილები და ოცნებები. წყალი, როგორც სტიქია, აძლიერებს იღბლიანობის ფაქტორს ამ წლებში დაბადებულების ცხოვრებაში. ვეფხვის, ცხენისა და ძაღლის წელში დაბადებულების იღბლიანობას აძლიერებს ლითონი. ამიტომ, ატარეთ ლითონის სამკაულები და აქსესუარები. კატის, ცხვრისა და ტახის წელს დაბადებული ადამიანების იღბლიანობაზე დადებით გავლენას ახდენს ცეცხლის სტიქია. ამიტომ, ხშირად დაანთეთ სანთელი და უყურეთ ცეცხლის ალს. დრაკონის, მაიმუნისა და ვირთხის წელში დაბადებულთათვის კი იღბლიანობის და წარმატების მომატანია ხის სტიქია. ამიტომ, კაბინეტში, საცხოვრებელში თუ სამსახურში გქონდეთ ბევრი მცენარე და ატარეთ ხის სამკაულები. ასევე, ყველა ზოდიაქოს ნიშანს ცალ-ცალკე, აქვს კონკრეტული მიდგომა ცხოვრებისადმი, რომელიც იღბლიანობის კალაპოტში დაგაბრუნებთ.

**– და, ამის გათვალისწინებით, როგორ შევძლოთ, აღმოვაჩინოთ იღბლიანობის შესაძლებლობები ჩვენს ირგვლივ?**

– რადგან ამდენი ვისაუბრე, ამასაც გაგანდობთ ***(იცინის).*** მაგალითად, ევროპული ზოდიაქოს მიხედვით, არსებობს წესები, რომელიც იღბლიანობის ზომაში მოგახვედრებთ: ვერძის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულისთვის იღბალის მომტანია ცხოვრების უფრო მეტად შეყვარება და მხიარული პოზიციის დაკავება. კუროებმა თავისი იღბლიანობა უნდა გააძლიერონ პროფესიონალიზმის დახვეწით და მუდმივი ქველმოქმედებით. ტყუპების იღბლიანობას განაპირობებს მეტი კომუნიკაცია და ურთიერთობებში საერთო ენის გამონახვის პოზიცია. კირჩხიბებმა უნდა იფიქრონ დადებითი ემოციის გაცემაზე და იღბალიც მეტად დააფასებს მათ. ლომის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულების იღბლიანობას განაპირობებს ოპტიმიზმის გაძლიერება გარშემო მყოფებში, ასევე, რაც შეიძლება, მეტი კონტაქტი რელიგიასთან. ქალწული იღბალს ეწევა, თუ არ დაიშურებს რჩევებს და არა კრიტიკას გარშემო მყოფებისთვის. სასწორებს კი უშუალო და მეგობრული ურთიერთობები, გამიზნული, კონკრეტული ოცნებები მიიყვანს იღბლის კოდის გახსნამდე. მორიელს სენტიმენტალური, მზრუნველი ადამიანის პოზიცია უფრო იღბლიანს ხდის. მშვილდოსნებმა კი დომინანტი, წამყვანი ადამიანის პოზიცია უნდა დაიჭირონ და არ გაექცნენ ცხოვრებისეულ პასუხისმგებლობებს. თხის რქისთვის იღბალი ფულის სიყვარულს მოაქვს. ამიტომ, ყოველი ნაბიჯი შეაფასეთ ლარებსა თუ დოლარებში, შეიძინეთ ყულაბა, გახსენით ანგარიში, დააგროვეთ ფული და ეს იღბლიანობას შეგმატებთ. მერწყულებისთვის იღბალი მოაქვს ინფორმაციას და კომუნიკაციას, ამიტომ ბევრი იკითხეთ და მოიპოვეთ რაც შეიძლება ახალი ინფორმაციები. თევზებისთვის კი აუცილებელია დაძლიონ შიში, რათა უფრო იღბლიანები გახდნენ, გაეხსნათ ბედის ჩაკეტილი კოდი. მიენდეთ გარემოებებს და იცურეთ დინების მიმართულებით, ნურაფერს შეეწინააღმდეგებით. ისწავლეთ ადამიანებისადმი მზრუნველობა და მეტად გამოხატეთ ემოციები.

**– ბავშვობაში მეუბნებოდნენ, უყურე ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და თუ ვარსკვლავი მოწყდა, რაიმე ჩაიფიქრე, მოასწარი და ის აუცილებლად აგისრულდებაო. ეს რეალობასთან ახლოსაა?**

– როცა ვარსკვლავი წყდება ცას და ადამიანი რაიმეს ჩაფიქრებას მოასწრებს, დიდი შანსია, ის აუხდეს. ამ დროს, იცით, რა ხდება? ვარსკვლავი კი არ წყდება ცას, არამედ, დედამიწას ახლოს ჩაუქროლებს კომეტა და ამ დროს ასტრალურ სივრცეში ხდება „შეშფოთება". ანუ, რაღაც ენერგია მოდის სწრაფად, თქვენ კი ამ ენერგიას ატანთ თქვენს სურვილს. სამყაროში კი უკვალოთ არაფერი იკარგება და ის აუცილებლად განხორციელდება. ამიტომ, ხშირად უყურეთ ცას და თუ ვარსკვლავი მოწყდა, სასწრაფოთ ჩაიფიქრეთ რაიმე.

**ნონა დათეშიძე**

---

ობით რომ დავინტერესდით, გვითხრა, რომ არ ჰყავდა არც ქმარი, არც შვილი და დედასთან ერთად ცხოვრობდა. შვილები რომ მყოლოდა, ამას ვერასდროს გავბედავდი. ჩემი შვილების სიცოცხლეს სასწორზე ვერ დავდებდიო.

**– ყველა მამაც ქალბატონზე ვისაუბრეთ. თქვენ რა კითხვით მოგმართავდნენ?**

– ყველას აოცებდა, როგორ ახერხებ, იყო ქალი რელიგიაში და ლაპარაკობდე ქალების უფლებებზე, სხვა უმცირესობის უფლებებზე, გვერდით ედგე მუსლიმებს, როცა ხარ ქრისტიანი. ალბათ, ამ ნიშნით გამომარჩიეს. ერთი მხრივ სასიამოვნოა, თუმცა მეორე მხრივ, მიმაჩნია, რომ რელიგია უნდა იყოს სიყვარულისთვის. სამყაროს რომ გაუკვირდება, რელიგიის მოღვაწე სიყვარულისთვის რამეს აკეთებს, ეს მარცხია ყველა რელიგიისა. ეს იყო ძალიან გულსატკენი.

**ეკა სალაღაია**

**ჯულიანა ბარ-გნარი იმ კატეგორიას მიეკუთვნება, კვირის, თუ თვის ნებისმიერ დროს ძალიან დაკავებულები რომ არიან. ის არა მხოლოდ საკუთარ თავზე მუშაობს, არამედ მოსწავლეების პროფესიონალიზმზეც დაუღალავად შრომობს. აპრილი და მაისი მისთვის საკმაოდ დატვირთულია, რადგან სხვადასხვა ტურნირში აპირებს მონაწილეობას. ერთ-ერთი საქართველოს ჩემპიონატია, მეორე კი – კავკასიის თასი, სადაც წინა წელს ჯულიანამ და მისმა მეწყვილემ, ოთო ფოლადაშვილმა ნახევარფინალში იცეკვეს. წელს დიდი სურვილი აქვთ, ამ ერთ-ერთი სერიოზული ტურნირის ფინალში მოხვდნენ.**

# რა შიშის გადალახვა მოუწია ჯულიანა ბარ-გნარს და როდის ცარიელდება ის შინაგანად

**ჯულიანა ბარ-გნარი**: კვირაში ერთი დღე არ მაქვს თავისუფალი, მაგრამ რადგან ძალიან მიყვარს და ვგიჟდები ამ საქმეზე, ამიტომაც არასდროს მბეზრდება. სამაგიეროდ, ახალ წელს დავისვენე ერთი კვირა და ძალები მოვიკრიბე. პრინციპში, გრაფიკს მე ვადგენ. 4 ჯგუფი მყავს, რომლებსაც სტაბილურად ვამეცადინებ. დანარჩენი გაკვეთილები შემიძლია, დავნიშნო ან არ დავნიშნო. თუმცა, როცა მცალია, მსურველებს უარს არ ვეუბნები. როცა ხედავ, როგორ უყვარხარ მათ, მერე საკუთარი თავი გახსენდება.

**– ალბათ, როგორი ბედნიერი და ამაყი ხარ, როცა შენი მოსწავლეები სხვადასხვა ტურნირზე წარმატებას აღწევენ.**

– ამ დროს საკუთარ თავზე მეცინება – ამაყად რომ ვზივარ. პატარების ფინალში, სადაც ექვსი გოგონა ცეკვავს სოლოს, ამ ექვსიდან ოთხი ჩემი მოსწავლეა. უფროს ქვეჯგუფებშიც, დამწყებებშიც პრიზიორები მყავს. საკუთარ თავზეც ძალიან ბევრს ვმუშაობ. მინდა, შევინარჩუნო პირველი ადგილი. უფრო ძნელია, შეინარჩუნო წარმატება, ვიდრე იქამდე მიხვიდე. როდესაც პირველ ადგილზე არ ხარ, ყოველთვის გაქვს იმის სტიმული, „ჟილკა", რომ გაიმარჯვო. მერე, როცა მიაღწევ, უფრო რთულია იმის დამტკიცება, რომ ეს ადგილი შენ გეკუთვნის. ჩვენთან, სტუდიაში ჯანსაღი გარემოა. ჩემს პატარებს სულ ვეუბნები: პარკეტზე რომ გახვალთ, ყველაფერი დაივიწყეთ – ვინ არის თქვენი დაქალი, მეგობარი, კონკურსი კონკურსია, კონკურენცია კონკურენცია. როგორც კი გამოხვალთ პარკეტიდან, მერე ისევ შეინარჩუნეთ ადამიანური ურთიერთობები.

**– შენი მეწყვილე ოთო ფოლადაშვილია. ამაში, ვფიქრობ, ორივეს ძალიან გაგიმართლათ.**

– გამიმართლა, რადგან ოთო ძალიან პოზიტიური ადამიანია. როცა ბავშვებს ვამეცადინებ, ტექნიკას ვამუშავებინებ, ამ დროს ოთო მათ ართობს და ეს ჩვენთვისაც და ბავშვებისთვისაც, ძალიან კარგია. მეც სულ მართობს და მიხარია, რომ ასეთი თავისუფალი ურთიერთობა გვაქვს. როცა მასწავლებელი ხარ, ორმაგი ტვირთი გაწევს, – მხოლოდ შენს თავზე კი არ უნდა იმუშაო, ბავშვებისთვისაც სტიმული უნდა გახდე.

**– არასდროს გიფიქრია უცხოეთში კარიერის გაგრძელებაზე, თუნდაც უცხოელ მეწყვილესთან ერთად ცეკვაზე?**

– მე და ოთო მივდიოდით უკრაინაში ტურნირზე, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო, ჯერჯერობით გადაიდო. მეწყვილე რომ გყავს, სხვას აღარ ეძებ. ოთო რომ არ მყოლოდა, შეიძლება, მეც მომეძებნა. სხვა ქვეყნებიდან იყო ბიჭებისგან შემოთავაზებები, მაგრამ მე არც კი დავინტერესებულვარ. რატომ?! მშვენიერი მეწყვილე მყავს და რაც მთავარია, ირგვლივ ძალიან კარგი სიტუაციაა. არ მგონია, ორი კურდღლის დევნა კარგი იყოს. თან, მე მინდა, საქართველოში ვიყო. მე და ოთომ კვლავ ინტენსიურად დავიწყეთ ვარჯიში. გიგი გაჩეჩილაძე ჩვენი პედაგოგია. ძალიან გვეხმარება, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი.

**– რა იყო შენს ცხოვრებაში ყველაზე დიდი სირთულე?**

– ზოგჯერ ცხოვრებაში დგება მომენტი – შინაგანად ძალიან ცარიელდები. სპორტში რაღაცის მიღწევა დიდი შრომის, ბრძოლის შედეგად ხდება, რაც ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს. შესაბამისად, სპორტსმენების დიდ ნაწილს აქვს პერიოდი, როცა არაფერი აღარ უნდა. ტვინით კი ხვდები, რომ არ უნდა გაჩერდე: მიდი, ჯული, მიდი!.. მაგრამ შინაგანად გრძნობ, რომ ცარიელი ხარ, არაფერი აღარ გინდა. დეპრესიისკენ მიდიხარ, რადგან, იცი, რომ ცეკვა შენთვის ყველაფერია და უცებ – აღარაფერი გინდა, ცეკვაც კი... რამდენჯერმე მქონდა მომენტი, როცა არ ვიცოდი, რა მინდოდა, ვერ ვხვდებოდი – ალბათ, ეს უფრო გადაღლილობის ბრალია. მიუხედავად ასეთი განწყობისა, ცეკვას მაინც არ ვანებებდი თავს. ზოგჯერ ისეც ხდება: მოდიხარ, ვარჯიშობ და ხვდები, იმ დღეს არაფერი გამოგივიდა. ისე ძალიან მწყინს, მეტირება ხოლმე. ვიღაცამ, შეიძლება, ასეთ დროს აღარ გააგრძელოს: დღეს უნდა დავისვენოო. მე ასე არ შემიძლია. ვფიქრობ: ამდენს ხომ ვამუშავებდი, რატომ არ გამომდის... ნერვები მეშლება, მაგრამ თავს არ ვანებებ. ჩემი აზრით, ეს სწორი საქციელია, რადგან, თუ ნებდები, „სტოპს" აკეთებ, მერე უფრო რთულია წინ წასვლა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, თუ შინაგანად ცარიელი ხარ, ეს სპორტსმენისთვის ყველაზე დიდი სირთულეა. მე შემიძლია, ვარჯიშით ძალიან დავიღალო, ისევე, როგორც ბავშვებთან მუშაობით, მაგრამ ამ დროს შინაგანად კმაყოფილი ვიყო. თუმცა, შეიძლება, საერთოდ არ დავიღალო და შინაგანად დაცარიელებული მივიდე სახლში. ამიტომ, ასეთი დაღლა ყოველთვის მჭირდება, მგონი, ეს უკვე ავადმყოფობაში გადადის, მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლია.



ასეთი დაღლა ყოველთვის მჭირდება, მგონი, ეს უკვე ავადმყოფობაში გადადის, მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლია

**– ამ ყველაფერზე როგორ რეაგირებენ გარშემო მყოფები, ისინიც ხვდებიან შენს მდგომარეობას?**

– როდესაც ცუდ ხასიათზე ვარ, რაღაც მაწუხებს, ჯობია, ასეთ დროს ახლოს არავინ მოვიდეს. კარგია, რომ ეს ხშირად არ მემართება. ზოგადად, ყველა წვრილმანი გულთან ახლოს მიმაქვს. ამიტომ რაღაც კონკრეტულს ვერ დავაბრალებ. გროვდება, გროვდება და შემდეგ ამ ყველაფერს გადაღლილობა ემატება. რაც მთავარია, არასდროს ვაძლევ საკუთარ თავს იმის უფლებას, რომ ეს დიდხანს გაგრძელდეს. მაქსიმუმ, შეიძლება, ერთ დღეს ბევრი ვიტირო, მაგრამ მერე საკუთარ თავს ვუთხრა: შენ ძლიერი ხარ, არ შეიძლება, ამაზე გაჩერდე... ეს ყველაფერი კი მეხმარება, რომ ჩემი ცხოვრება კარგისკენ შემოვაბრუნო, ცუდ მხარეებს კი ყურადღება არ მივაქციო. ის სიძლიერე, გამძლეობა რაც ამდენი წლის განმავლობაში დამიგროვდა, არავის უსწავლებია ჩემთვის. ამიტომ ვცდილობ, ამ კუთხით ჩემი გამოცდილება ჩემს მოსწავლეებს გავუზიარო, ავუხსნა, რადგან ეს მომავალ კარიერაში აუცილებლად დაეხმარებათ. ზოგადად, მიმაჩნია, რომ სპორტში ფსიქოლოგი აუცილებელია. ადამიანი, რომელიც ბოლომდე შრომობს, იხარჯება და არ გამოსდის ის, რაც უნდა, ამ დროს, ვფიქრობ, გარკვეულწილად, ტყდება. ასეთ დროს კი საჭიროა ფსიქოლოგი.

**– შენი მოსწავლეებისთვის ფსიქოლოგიც გახდი?**

– არ ვიცი, ეს როგორ გამომდის, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, ისინი სწორი მიმართულებით გავზარდო. მთავარია, კარგი პიროვნება იყო და არა ის, რომ მე უნდა ვიყო პირველი.

**– როდესაც „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მონაწილეობ, იმ დროს უკვე ზრდასრულ, ჩამოყალიბებულ ადამიანებთან გიწევს ურთიერთობა. მათთვის რაღაცის სწავლება კი ხშირად არცთუ ისე ადვილია.**

– ეს კიდევ უფრო რთულია. სპორტში საკუთარ თავზე ვაგებ პასუხს, ოთო – თავის თავზე. მაგრამ, როდესაც „ვარსკვლავთან" დგები, რომელსაც თავისი ამბიცია აქვს, არ არის სპორტსმენი, შეიძლება, არ ეყოს ენერგია, „ჟილკა", გარკვეულწილად, გჭირდება, მისი ამბიციები „გატეხო". ყველას ხომ თავისი ხასიათი აქვს. გიორგის არც ვაძალებდი, ჩემთვის ვვარჯიშობდი. იჯდა, მიყურებდა და ეს, ალბათ, სტიმულს აძლევდა. მეც, როდესაც ყოველ წამს მეუბნებიან: ეს გააკეთეო, მეც ჯინაზე არ გავაკეთებ. ასეა სხვაც. ჯაბა სულ სხვა შემთხვევა იყო, ის ბოლოსკენ ძალიან შეიცვალა. უფრო სერიოზულიც გახდა.

**– რა მიგაჩნია შენს ცხოვრებაში ყველაზე დიდ წარმატებად?**

– ყოველთვის მეშინოდა ბავშვებთან ურთიერთობის. მათ სხვანაირი მიდგომა სჭირდებათ. მაგრამ, როცა ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეებმა შემომთავაზეს მოსწავლეების აყვანა და დღემდე გვეხმარებიან, ჩემში რაღაც შეიცვალა. უფრო მეტად გავხდი საკუთარ თავში დარწმუნებული, დამოუკიდებელი. იმიტომ კი არა, რომ ფულს გამოვიმუშავებ, ეს მანამდეც ხდებოდა. არ ვიცი, უბრალოდ, ბავშვებისგან მეც ბევრ რამეს ვსწავლობ და მიხარია, რომ ეს შიშიც გადავლახე. საერთოდ, როცა რაღაცის შიში მაქვს, ვცდილობ, გადავლახო. ახლა რაღაც სხვას მოვძებნი. არ მიყვარს როცა ყველაფერი ერთფეროვანია, პირიქით, სულ მჭირდება, მშფოთვარე მოვლენები ხდებოდეს ჩემს ცხოვრებაში.

**– როდესაც ადამიანი შეყვარებულია ან მის პირად ცხოვრებაში რაღაც სასიამოვნო ხდება, ეს მას უფრო მეტ ხალისს, ენერგიას მატებს. ეს ხასიათზეც აისახება და განსაკუთრებით, გამომეტყველებაზე.**

– რა თქმა უნდა, ძალიან მოქმედებს ხასიათზე. სულ ვამბობ, რომ, როცა ქალი შეყვარებულია, მას ეს თვალებზე ეტყობა. მეც მეუბნებიან – გეტყობაო.

**– ახლა შეყვარებული ხარ?**

– არ ვიცი, რამდენად სერიოზულია, ვნახოთ, რა იქნება... ადამიანი შეიძლება იყო რაღაცისგან ცარიელი, მაგრამ ის ნაწილი, რომელიც მეორე ნახევრის მხრიდან შევსებულია, სწრაფ რეგენერაციაში გეხმარება. მარტო შეიძლება, უფრო ძლიერი ხარ, მაგრამ არავის ვუსურვებ ასეთ სიძლიერეს. ყოველთვის ვამბობ: არ მაინტერესებს არც ფული, მატერიალური რაღაცეები, როგორც ადამიანი ძლიერი უნდა იყოს, რომ შევძლო, მას დავეყრდნო. ცხოვრებაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. თუ მე გოგონამ, სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე უნივერსიტეტში, ვცდილობ, დღემდე არავისზე ვიყო დამოკიდებული, საკუთარი თავის რეალიზებას ვახდენ, ბიჭი ამ ყველაფერს რატომ არ უნდა აკეთებდეს?! თუ არ ხარ რეალიზებული, არაფერს აკეთებ, ესე იგი, არც ცდილობ და მე ეს არ მომწონს...

**ნათია უტიაშვილი**

**„თბილისელები“ მის შესახებ გიყვებოდათ, ის დღემდე ყველასთვის პატარა აბელ არავიძედ დარჩა – ბიჭუნად, რომელიც დედის დასაბრუნებლად ჯვარცმას იპარავს და რომელსაც მომავალი არ აქვს. დავით ქემხაძე ერთი ბათუმელი პატარა ბიჭი იყო, რომელიც სრულიად მოულოდნელად მოხვდა კინოში და ის სამუდამოდ შეუყვარდა. ზღვის სიყვარულმა მსოფლიო მოატარა, მაგრამ, საბოლოო ნავსაყუდელი სამშობლოში დაიდო. მიუხედავად რუტინული საქმიანობისა, „ქემხო“, როგორც მას ყველა იცნობს, მაინც ახერხებს კინოში მუშაობას და აქტიურად იღებს დოკუმენტურ ფილმებს რელიგიურ თემებზე.**

# რა ჯილდო აიღო ავსტრალიაში პატარა აბელ არავიძის შემსრულებელმა დავით ქემხაძემ

**დავით ქემხაძე**: თვრამეტი წელია, ზღვაში არ ვყოფილვარ, მაგრამ, სულ მენატრება. დღე არ გავა ისე, რომ არ გამახსენდეს, არ მომენატროს. იმ დღეს სამსახურში კაცი იყო მოსული, მეზღვაური ვარო, თქვა და „კაჩკა“ დამეწყო, იმდენად ნათლად წარმოვიდგინე იქაური სიტუაციები ***(იცინის).*** ფილმის სცენარიც მაქვს დაწერილი, რომელიც ზღვის ბინადრებს ეხება – ერთუჯრედიანებიდან ძუძუმწოვრებამდე. კონკურსშიც მივიღე მონაწილეობა ამ სცენარებით. რა თქმა უნდა, ვერ გავიმარჯვე, მაგრამ, არც სცენარები გამომატანეს უკან სრულად – ჟიურის წევრებს მოეწონათ და წაიღესო; თან, დამამშვიდეს ეს – შენი ნაწერები უნივერსიტეტში მიიტანე და ასოცირებული პროფესორი გახდებიო ***(იცინის).*** არადა, უბრალოდ შავი ზღვის ისტორია მინდოდა გადამეღო. არავინ იცის, რომ შავ ზღვაში ცხოვრობს სელაპი; რომ შავი ზღვის დელფინი ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანია. ჩვენს სელაპს „მონახუზი” ჰქვია, მარტო ცხოვრობს და ერთი უცნაური თვისება აქვს – თევზსაჭერ გემებთან მიდის, სადაც მუსიკაა ხმამაღლა ჩართული და თავს ამოყოფს ხოლმე წყლიდან მუსიკის მოსასმენად. საქართველოში გვყავს უნიკალური ადამიანი მთელ მსოფლიოში, რომელიც ხავსის უძლიერესი სპეციალისტია, წარმოგიდგენიათ?! მოკლედ, მინდოდა, ეს ყველაფერი მეჩვენებინა, მართლა „დისქავერის“ დონის ფილმი იქნებოდა. ასევე სისტემატურად ვიღებდი მონაწილეობას „ნეიშენალ ჯეოგრაფიკის“ კონკურსებში და, ბოლოს მითხრეს: ქემხო, ხომ გწყდება გული, რომ ვერ იგებო? კი-მეთქი. ჰოდა, ნუღარ მიიღებ მონაწილეობასო ***(იცინის).*** მეც შევეშვი, გადავედი უცხოურ კონკურსებზე და ვიგებ. ფაქტობრივად, წაგებული არც ერთი კონკურსიდან არ წამოვსულვარ. ახლა ჩემმა ფილმმა საუკეთესო რეჟისურაში აიღო პრიზი.

**– რა ფილმმა?**

– ამ ფილმს ცოტა ვრცელი ისტორია აქვს: მეგობრები ათონის მთაზე წავედით, სადაც ჩვენი ერთი მეგობრის ძმა ბერია – მამა თეოდოხოსი. იქაურობა საერთოდ სხვა სამყაროა, სადაც სიამოვნებით გადავიღებდი ფილმს, ოღონდ, არა ისეთს, როგორსაც ხშირად იღებენ ბოლმე. ჩემთვის ყოვლად მიუღებელია რელიგიურ თემებზე მუშაობისას „ტრაური“ და გლოვა. რატომღაც, ძალიან მძიმე და დამთრგუნველ ადგილად გამოჰყავთ მონასტრები. სინამდვილეში კი იქ გაცილებით მსუბუქი ატმოსფეროა, ბედნიერებაა. თორნიკე ერისთავიდან დავიწყებდი და დღევანდელობით ისე დავამთავრებდი ამ ფილმს, ერთი ამოსუნთქვით საყურებელი იქნებოდა. მამა თეოდოხოსმა გვითხრა, რომ არსებობს ბევრეთის მონასტერი და, გვთხოვა, ჩავსულიყავით და ყურადღება მიგვექცია მისთვის. დავბრუნდით თუ არა საქართველოში, ჩავედით ბევრეთში და გავოცდი – სულ სხვა სამყაროა, ათონის ტიპიკონზე არიან; როგორი ლოცვა და როგორი ცხოვრებაა, ამის გადმოცემა ვერც სიტყვებით მოვახერხე. ისეთი ძლიერი შთაგონება მქონდა, რომ ეგრევე სცენარი დავწერე. მამა თეიმურაზს გავასწორებინე სცენარი. მეგობრებმა თანხები მოვიძიეთ და დავიწყეთ გადაღება. თანხები რომ გითხრა, გაგეცინება...



**ბილეთის ფასი რომ გავიგე, ეგრევე გამოირიცხა წასვლა. მაგ თანხით ორ ფილმ-ნახევარს გადავიღებ**

**– რამდენია?**

– 1 245 ლარი. ამ თანხით გადავიღე ფილმი, რომელმაც სამი საერთაშორისო პრიზი აიღო. სამმა ადამიანმა დავდეთ ფული და, მადლობა ზურა ცინცქილაძეს, რომელმაც გამიხმოვანა ფილმი უსასყიდლოდ, ასევე მადლობა „საავტორო სტუდიას”. ოპერატორი იყო გოგო, სალომე საღარაძე, ძალიან მაგარი. დედათა მონასტერში რამე უხერხულობა რომ არ შექმნილიყო, ამიტომ ვარჩიე, ოპერატორი გოგო ყოფილიყო. გავაკეთე პატარა ისტორიული რაკურსი: მონასტრის ისტორია, აგებულება, რითია ნაშენი, როგორი ცხოვრებაა იქ. ეს ყველაფერი ნაჩვენებია წამიერად. შემდეგ გაკეთებულია ისტორიული ნარკვევი მოციქულთა სწორ, წმინდა თეკლაზე. ფილმი იწყება სარეკელზე კაკუნით, ასევე მთავრდება და სწორედ იქ არის კვანძის გახსნა. ფილმში არ არის არანაირი დაძაბულობა. ჩემს ფილმებში სიგარეტსაც კი არავინ ეწევა.

**– ავსტრალიაში როგორ მოხვდა ფილმი?**

– მეგობარმა და თანაპროდიუსერმა, გიგა მრელაშვილმა მომცა ლინკი – ნახე, საინტერესო ფესტივალიაო. მონაწილეობაზე განაცხადი შევავსე. იქ მითხრეს, რომ 10-დან 15 წუთამდე უნდა იყოს ფილმიო. ჩემი ინგლისურით მივწერე: ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ, 23 წუთია-მეთქი ***(იცინის).*** მაინც ნახეს და, თან – ქართულად. მომწერეს: გეხვეწებით, სუბტიტრები დაადეო. აღარ მოგიყვებით, როგორ ვიწვალე სუბტიტრებზე, მოკლედ, გავგზავნე და მომწერეს: ფორმატი შევცვალეთ და თქვენი ფილმი საკონკურსო ჩვენებაში ჩავსვითო. ჩეხური, რუმინული, ბერძნული და რამდენიმე ამერიკული ფილმი იყო საკონკურსო ჩვენებაში. ნომინაციაში „საუკეთესო რეჟისურა” გაიმარჯვა ჩემმა, ფოტოაპარატით გადაღებულმა ფილმმა და ეს ყველაფერი ელექტრონული ფოსტით შემატყობინეს. ანათებს ფოსტა ***(იცინის),*** ეს ტექსტი დავაკოპირე და გადავაგზავნე სათარგმნად. დამიბრუნეს როგორ, იცი?! – მგონი, საუკეთესო რეჟისორი გახდიო. ჩასვლა ვერ მოვახერხე, მაგრამ, გამომიგზავნეს პრიზი. „ბიზანტ ფესტივალი” ჰქვია ამ ფილმს. ჩამოდითო, მთხოვეს; დიდი გასართობი პროგრამა ჰქონდათ შედგენილი, კენგურუების შოუთი და მთელი ამბებით. ბილეთის ფასი რომ გავიგე, ეგრევე გამოირიცხა წასვლა – მაგ თანხით ორ ფილმ-ნახევარს გადავიღებ ***(იცინის).*** საქართველოში ამ ფილმს ორი პრიზი აქვს აღებული და კიდევ ვიცი მსგავსი ფილმების კონკურსი – „ზოლოტოი ვიტიაზ“, სადაც, ასევე, ვგზავნი ფილმს.

**– სად მუშაობ ხოლმე სცენარებზე?**

– სცენარის იდეა რომ მომდის, ვიწერ, მერე ვიღებ შვებულებას და ამ პერიოდში ვწერ. ***(იცინის).*** ახლა მინდა გადავიღო ბეთანიაზე, ოღონდ, დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი, თუ როგორ აღმოაჩინა გრიგოლ ორბელიანმა ნადირობის დროს ბეთანია. გრიგოლ ორბელიანისა და გაგარინის გაცოცხლება მინდა, კიდევ, მხატვრის, ვინც სიონი მოხატა. ესეც ასეთივე მსუბუქი და ზედმეტი დაძაბულობის გარეშე იქნება.

**– ესე იგი, ამ მიმართულებით მუშაობას განაგრძობ?**

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

**გაიადვილეთ საჭმლის მონელება**

**იქონიეთ მიიღეთ ეფექტური**

**კრეზამი**

**თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს**

**www.krezam.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ხოფის სანაპიროდან ისტამბულს გარიყული მარტოსული, მაგრამ მებრძოლი ტალღა – ლაზისტანიდან გაყოლილი სევდით... ზღვისფერი თვალებით, რომელშიც ლაზეთის გარდა, სამყაროს სევდაც იყო დალექილი. დარცხვენილი ღიმილით მზედალექილ სახეზე... ქაზიმ ქოიუნჯუ – ეს სახელი ლაზეთშიც და მთელ თურქეთშიც ასოცირდება „დიდოუ ნანასთან", „ცირასთან", „სელემინასთან"... მისი მომაჯადოებელი ხმა და ლაზური ჰანგები დღემდე არავის ტოვებს გულგრილს. თუ რა აკავშირებდა ამ ადამიანს საქართველოსთან და ვინ აზიარა ის თავდაპირველად ლაზურ ჰანგებს, ამაზე ჩვენი რესპონდენტი, ისტორიკოსი სალომე მურჯიკნელი-დერმე გვესაუბრება.**

# როგორ გახდა თურქების საყვარელი მომღერალი ლაზი ქაზიმ ქოიუნჯუ და რას აკეთებდა ის ლაზური ენის პოპულარიზაციისთვის

– ქაზიმ ქოიუნჯუ 1972 წლის 7 ნოემბერს ზოფას ილჩეში – სოფელ პანჭოლში დაიბადა. დედამისი, უსნიე, გურჯი ქალბატონი გახლდათ, მამა – ჯავითი კი ართვინიდან იყო. ექვსშვილიან ოჯახში ქაზიმი მეხუთე იყო. ჰყავდა საცოლე – გიონულ ბოზოღლუ.

ქაზიმს საოცრად უყვარდა მშობლიური სოფელი. ის ბავშვობაში ხშირად დაჰყვებოდა დედასა და დას ჩაის საკრეფად. ლაზური ჰანგები გამუდმებით ისმოდა ირგვლივ; ასევე, საღამოობით ბებიასთან ერთად შაირებს მღეროდა.

**– კოლხური ბუნება, ლაზური სიმღერები... ჩანს, მუსიკას ბავშვობიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქაზიმის ცხოვრებაში.**

– ასეა. ის მხოლოდ 7 წლის იყო, მანდოლინაზე რომ უკრავდა, 13 წლისა კი – გიტარაზე. სკოლაში, სახლში თუ სოფელში ლაზური ჰანგებით გაჯერებულ ატმოსფეროში სუნთქავდა და ამ ყველაფერმა მძლავრად გაიდგა ფესვები მის სულში.

**– თუმცა, განათლების მიღება აბსოლუტურად სხვა სფეროში გადაწყვიტა...**

– მან 1989 წელს ჩააბარა პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე სტამბულის უნივერსიტეტში. ერთ-ერთ ინტერვიუში ქაზიმი ამბობს, რომ ცხოვრების საუკეთესო 17 წელი სწორედ სტამბულში გაატარა. ბავშვობიდან ნატრობდა იქ მოხვედრასა და ცხოვრებაზე და, რასაც მთელი არსებით ეძებდა, სწორედ ამ ქალაქში იპოვა. ამბობდა, უნივერსიტეტში ჩაბარება მხოლოდ საბაბი იყო, ამით სტამბულში ცხოვრების საშუალება მომეცაო.

**– ამის შემდეგ როგორ გაგრძელდა მისი ცხოვრება სტამბულში?**

– სწავლის პარალელურად, ქაზიმმა 1990 წელს თანამედროვე ხელოვნების სალონში დაიწყო მუშაობა. მომდევნო წელს კი ალი ალვერთან ერთად მუსიკალური საზოგადოება „დინმეიენი" ჩამოაყალიბა და მოფერებით მეტსახელი „დინა" შეარქვეს. სულ მალე ხელოვანთა სფეროში ქაზიმი გამორჩეული და მიღებული პიროვნება გახდა. 1993 წელს მან, მემედ ალი ბეშლისთან ერთად, ლაზური მუსიკის გადასარჩენად ჩამოაყალიბა ჯგუფი „შუქი". ეს იყო მსოფლიოში პირველი და ერთადერთი ლაზური როკ-ანსამბლი. ქაზიმისათვის უპირველესი მიზანი იყო ლაზურის შენარჩუნება, რადგან, მის თაობაში უკვე აღარავინ იცოდა და თითქმის მივიწყებული ჰქონდათ ეს უძველესი ენა. როკ-ანსამბლმა ახალი სახელით „ზუგაში ბერეფი" (ანუ – „ზღვის შვილები") განაგრძო მოღვაწეობა. პირველი საკონცერტო პლაკატი ხელით იყო შესრულებული, ფანქრით დახატული ტალღებიდან ჯგუფის წევრების სახეები მოჩანდა, მიპატიჟების ტექსტი კი ლაზურად ეწერა.

**– საკმაოდ თამამი გამოსვლაა თურქეთის ფონზე. ამის გამო წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ?**

– ეს მამაკაცობის გამოცდა იყო ნამდვილად. ეთნიკური მრავალფეროვნება, რომელიც სიმტკიცის თავისებურ მაგალითად იქცა, ბევრს აშინებდა. წინააღმდეგობების მიუხედავად, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში მცხოვრები ხალხის, ლაზების ნამდვილობის ჩვენებას ცდილობდა. ქაზიმი აშკარად ამაყობდა თავისი ეთნიკური წარმომავლობით და დამალვის აუცილებლობას ნამდვილად ვერ ხედავდა. 1995 წელს „ზღვის შვილების" პირველი ალბომი გამოვიდა, რომელშიც თითქმის დავიწყებული რვა ლაზური სიმღერა შევიდა. ქაზიმმა ლაზური ენის შესანარჩუნებლად ყველაზე ორიგინალური მეთოდი მოიფიქრა: ლაზური სიტყვები და ბგერები სიმღერად ააჟღერა და ამით მას მეორე სიცოცხლე შთაბერა. 1998 წელს გამოსული მეორე ალბომი „იგზისი" წლის საუკეთესო ნაშრომად აღიარეს. 2000 წლის დასაწყისში კი როკ-ჯგუფი დაიშალა და ქაზიმი მარტო შეუდგა ხელოვნების მწვერვალებისკენ მიმავალ გზას. 2002 წელს გამოუშვა სოლო ალბომი „ზღვის ტალღებზე მონავარდე," ანუ, ლაზურად – „ვია". ამ ალბომში იყო შესული მეგრული სიმღერა „ოვ ნანა", რომელიც მალე მთელმა თურქეთმა შეიყვარა. ქაზიმი მთელი ქვეყნის მასშტაბით მართავდა კონცერტებს და პარალელურად უნიკალურ ეთნოგრაფიულ მასალებს აგროვებდა.



**ყველაზე პოპულარული სიმღერა, რომელიც ქაზიმ ქოიუნჯუს სავიზიტო ბარათი გახდა, არის „დიდოუ ნანა"**

**– ამბობენ, რომ არაერთ თურქულ სერიალსა თუ კინოფილმს ამშვენებს ზაქიმ ქოიუნჯუს ჰანგები.**

– ათასობით ადამიანი დაესწრო კონცერტს, რომელიც იედიყულეს ციხის კედლებში გამართა ქაზიმ ქოიუნჯუმ. თურქეთის წამყვანი ტელეარხები პირაპირ ეთერში გადასცემდნენ ამ მართლაც და სახალხო ზეიმს. ამ კონცერტის შემდეგ ტელეკომპანია „დ-მ" ტელესერიალ „გულბეიაზისთვის" სიმღერების დაწერა და ერთ-ერთი როლიც შესთავაზა. საკმაოდ ბევრ ფილმსა თუ ტელესერიალშია გამოყენებული ქაზიმისეული ლაზური ჰანგები. აქვე დავძენ, რადგან, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ის ფაქტი, რომ 2014 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, გადაიღებენ ფილმს ამ მომღერალზე. ქართველი მაყურებლისთვის ცნობილი თურქული ტელესერიალებიდან ერთ-ერთი მსახიობი შეასრულებს ქაზიმ ქოიუნჯუს როლს.

როგორც ცნობილია, ქაზიმ ქოიუნჯუ საქართველოშიც იყო ჩამოსული და სხვადასხვა კუთხეში გამართა კონცერტები. მან ანსამბლ „რუსთავთან" ერთად იმღერა „მოხევის ქალო", რომელიც შემდეგ მისი შესრულებით ალბომ „ჰაიდეშია" შესული. ყველაზე პოპულარული სიმღერა, რომელიც მისი სავიზიტო ბარათი გახდა, „დიდოუ ნანაა". გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა ქაზიმის კიდევ ერთი ალბომი.

**– რა იყო მისი გარდაცვალების მიზეზი? ამბობენ, მსგავსი გაცილება სტამბულში არც ერთი ხელოვანისთვის არ მოუწყვიათ, ქაზიმი განსაკუთრებულად გააცილეს მსმენელებმა...**

– 33 წლის ასაკში ფილტვების კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. დიაგნოზისა და ქიმიოთერაპიის პროცედურების მიუხედავად, ის მაინც განაგრძობდა კონცერტებზე გამოსვლას. ტრაპიზონის საფეხბურთო კლუბს სწორედ ამ პერიოდში დაუწერა ჰიმნი. მონაწილეობას იღებდა ჩერნობილის დროს დაავადებული ადამიანების მხარდასაჭერ აქციებში. 2005 წლის 25 ივლისს გარდაიცვალა სიცოცხლესა და ლაზეთზე ერთნაირად შეყვარებული ზღვისპირელი... სტამბულის მსგავს მეგაპოლისს ნამდვილად არ ახსოვდა ასეთი პროცესია – ქალაქის ქუჩებში გამოსულმა ხალხის დიდმა ნაკადმა რამდენიმე წუთით გადაკეტა მოძრაობა. სტამბულიდან მომღერალი ტრაპიზონში გადაასვენეს, სადაც მას 60 ათასი ადამიანი დახვდა. ლაზეთის რჩეულ შვილს ლაზური ჰანგებით მიაცილებდნენ. დაკრძალულია სოფელ პანჭოლში, ერთ-ერთი ლამაზი მთის კალთაზე.

**– მართალია, რომ კაზიმ ქოიუნჯუმ პოლიტიკაშიც მოსინჯა ძალები?**

– არ ვიცი, შეიძლება თუ არა ამას პოლიტიკაში ძალების მოსინჯვა დაარქვა, ერთი კი ცხადია: მისთვის ადამიანობა უპირველესი ღირსება იყო – თავგამოდებით ცდილობდა ადამიანის უფლებების დაცვას. ქაზიმი არა მარტო ლაზური კულტურის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის უყვარდათ, ის უბრალო ხალხის სატკივარზეც ფიქრობდა: აწყობდა საპროტესტო აქცია-კონცერტებს. ართვინსა და ბერგამაში ციანისა და ოქროს მომპოვებლების, ფორტუნას ხელბაში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, სამსუნ-სარფის სანაპირო გზის მშენებლობის წინააღმდეგ გამოდიოდა. „2000 წლიდან პროტესტს ვუცხადებ შავი ზღვის სანაპირო გზის მშენებლობას, ეს პროექტი აფუჭებს და ანადგურებს უნიკალურ ეკოლოგიურ გარემოს, არავის აქვს უფლება, გააფუჭოს ათასწლოვანი სანაპირო. იმისათვის, რომ ზოგიერთმა ფული იშოვოს, მილიონობით ადამიანის მომავალს აფუჭებს. დედამიწაზე სახელმწიფოები იმისთვის უნდა არსებობდნენ, რომ ბუნება და ადამიანები დაიცვან. შავი ზღვის შემჭიდროება, მისი ბეტონის არტახებში მოქცევა და დაბინძურება დაუშვებლად მიმაჩნია", – ამბობდა ის და ამ სიტყვებიდან რამხელა სიღრმეების დანახვა შეიძლება. იგი არა მხოლოდ ადამიანების, არამედ, მთელი სამყაროს სატკივარზე წუხდა.

**ეკა სალაღაია**

(მე-14 გვერდიდან)

**– ერთმანეთისთვის გრჩებათ დრო?**

– დიახ, საღამოობით სულ ერთად ვართ და მუსიკაზე ვსაუბრობთ: როგორ ჯობია, გავაკეთოთ ეს მუსიკა, როგორ შევფუთოთ, როგორ მივაწოდოთ ხალხს, ვის მოვასმენინოთ. ყველას აზრი მნიშვნელოვანია. რეჟისორები არიან კლიპის გადაღებით დაინტერესებულები.

**– იასაც ხომ არ გადაიღებთ კლიპში?**

– მე ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ მიიღოს კლიპში მონაწილეობა, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობამ არ შეუშალა ხელი, წინასწარ ვერაფერს იტყვი, რადგან, ყველაფერი ხდება. მე ვცდილობ, მისთვის შესაფერისი ატმოსფერო შევქმნა, რომ ისუნთქოს, ბედნიერი იყოს და, იაც ასევე ცდილობს ჩემთვის ამ ყველაფრის გაკეთებას.

**– მითხარით, ია ჩემი პიარ-მენეჯერი იქნებაო...**

– იას ვინც იცნობს, ყველამ იცის, როგორი ენერგიულია და როგორ შეუძლია ამ ყველაფრის კარგად გაკეთება. ის, გარკვეულწილად, ყოველთვის მაძლევს რჩევებს. ეს არის ადამიანი, რომელთანაც კლასიკური მუსიკა ახლოს არის – ამ მუსიკაზეა გაზრდილი.

**– კიდევ რაში ემთხვევა თქვენი გემოვნება და აზრები?**

– თითქმის ყველაფერში. ჩვენ თითქოს ერთმანეთისთვის ვართ დაბადებულები – ასეთი შეგრძნება გვაქვს ორივეს – ისიც ამბობს ამას და აღიარებს.

# ვინ ცდილობს სუროგატი ბავშვის მეშვეობით ია ფარულავასა და ტარიელ სუარის უფრო მეტად გაბედნიერებას

**– თუმცა, როგორც ყველა ოჯახში, თქვენთანაც ხდება არასასიამოვნო მოვლენები.**

– მხოლოდ და მხოლოდ სხვა ადამიანების ჩარევით. ჩვენი კონფლიქტი არსაიდან არ წამოსულა, ჩვენ შორის ვერ იქნება კონფლიქტი, რადგან, ერთნაირი ფასეულობები და ხედვა გვაქვს – თითქმის ყოველთვის ემთხვევა ჩვენი ხედვა ერთმანეთს.



ჩვენი კონფლიქტი არსაიდან არ წამოსულა, ჩვენ შორის ვერ იქნება კონფლიქტი, რადგან ერთნაირი ფასეულობები და ხედვა გვაქვს

**– ვერ ახერხებთ სხვა ადამიანების თქვენს ცხოვრებაში ჩარევის თავიდან აცილებას?**

– კი, შეიძლება ამის თავიდან აცილება. შემდეგში, ურთიერთობაში მხოლოდ ერთ რამეს გავითვალისწინებთ: სხვა კონკრეტული ადამიანები, იქნებიან ესენი მექისეები, საპოჟნიკები, პარიკმახერები თუ ვილაც სხვები, არ შეიძლება ჩაერიონ ურთიერთობაში.

**– გაზაფხულმა თქვენზე მართლა ცუდად იმოქმედა?**

– ია ამ დროს დაბნეული იყო და თვითონ არ იცოდა, რას ლაპარაკობდა, საიდან რა ეთქვა, როგორ გაემართლებინა სიტუაცია. არა, გაზაფხულს ჩემზე ნამდვილად არ უმოქმედია ცუდად.

**– ფიცხი ხასიათი გაქვთ?**

– არა, პირიქით, რბილი ხასიათი მაქვს, ჩემი გაბრაზება შეუძლებელია. მაგრამ, როდესაც ვხედავ, რომ საქმეს სჭირდება, როდესაც ვიცი, რომ ეს არის კარგის მომტანი ადამიანებისთვის, ჩემი ოჯახის შენარჩუნებისთვის, ძალიან ბევრ რამეზე ვარ წამსვლელი. რაც მოხდა, ეს ყველაფერი ოჯახის გამყარებას, შენარჩუნებას წაადგა.

**– როგორი მამა იქნებით?**

– არაჩვეულებრივი. მე თუ ამის შესაძლებლობა მომეცემა, ყველაფერი ლოგიკურად წინ წავა, დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგი მამა ვიქნები. ია არაჩვეულებრივი დედა იქნება – მე ამას უკვე ვხედავ, მასში დედური ინსტინქტი უკვე ჩანს.

**ნათია უტიაშვილი**

(71-ე გვერდიდან)

– დიახ და, კიდევ, მინდა, გადავიღო ფილმი ზარზმელ ბერებზე; მინდა, დავანახვო ადამიანებს მათი ყოფა-ცხოვრება, როგორ უვლიან გარშემო ყველაფერს, როგორ მღერიან. მათ თავიანთი ცხოვრება ღმერთს მიუძღვნეს, მაგრამ, ისინი ადამიანები არიან, თავიანთი ძალიან ადამიანური თვისებებით. ათონის მთიდან სხვა ადამიანი ჩამოვედი, სულ შემცვალა. დილის 5 საათზე იწყება ლოცვა, რომელმაც, არ არსებობს, დაგღალოს. მერე იწყება ტრაპეზი. ტრაპეზის შემდეგ ყველა თავის საქმეს აკეთებს: ზოგი ყანას უვლის, ზოგი სარწყავად მიდის, ზოგი თევზის საჭერად; შემდეგ – შუადღის ლოცვა, ტრაპეზი და ძილი. ეს არ არის ერთფეროვნება. ზოგი ღვინოს აწარმოებს, ზოგი თაფლს. კითხულობენ წმიდანთა ცხოვრებას, ბევრს მუშაობენ წიგნებთან. საოცარი სამყაროა. მათი დედაქალაქი არის კარიესი, სადაც ორსართულიანი სახლებია. სულ ველოდებოდი, რომ საიდანღაც ქალი გამოიხედავს, სარეცხს გაფენს... არადა, რამდენიმე საუკუნეა, იქ ქალს ფეხი არ დაუდგამს. არაფერში არ ითრგუნები, ისე მსუბუქად გრძნობ თავს. ძალიან რთულია ამაზე საუბარი. დიდებულებისა და სიამაყის განცდა გაქვს. ივერონში რომ შევედი, თორნიკე ერისთავი დავინახე მთელი თავისი დიდებულებით. სასწაული განცდაა, ისეთი დიდებული და მშვენიერია. დიდხანს ვუყურებდი, რომ ეს ყველაფერი ჩემს მეხსიერებაში რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს. იატაკი რომ ვნახე, მითხრეს, რომ მისი დაგების შემდეგ დაიგო ვართოპედის იატაკი. ეგეთივე იატაკი აქ რომ დააგო, გეტყვიან ბერძნულიაო, მაგრამ, მისი ფესვები ივერონიდან მოდის. ეს ისტორიული უსამართლობაა, თუმცა, არა უშავს, მთავარია, ამის შესახებ ბევრმა გაიგოს. საინტერესოა, რომ იქ ყველაფერი ისე ხდება, როგორც ათი საუკუნის წინ – ისე გალობენ, ისეთი წესჩვეულებები აქვთ, როგორიც მეათე საუკუნეში იყო. ზიარების დროსაც კი, მიუხედავად იმისა, რომ სამასამდე ადამიანი ვიყავით სტუმრები, ათთხუთმეტ წუთზე მეტი არ არის საჭირო, ყველას თავისი რიგი და ადგილი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ არანაირი წყარო არ არსებობს ინფორმაციის მიღების – ტელევიზია, რადიო თუ ინტერნეტი, ყველაზე ადრე იციან მსოფლიოში მიმდინარე ამბები. ყველაფერზე აქვთ ინფორმაცია და ლოგიკური პასუხი. არ არსებობს, ვინმე შენს შეკითხვას გაექცეს. ერთი სიტყვით, ამ მიმართულებით მინდა გადაღებების გაგრძელება, რადგან, რაც აქამდე დოკუმენტური ფილმები გადაღებულა, არის გოდება, ძაძები. რატომ, როცა პირიქით, იქ არის უმაღლესი სიმშვიდის და სიამოვნების განცდა, ადგილი რომელსაც საკუთარ თავთან ჰარმონიაში მოყავხარ?! სწორედ ამის ჩვენებას ვცდილობ და შევეცდები ჩემს ფილმებში.

# რა ჯილდო აიღო ავსტრალიაში პატარა აბელ არავიძის შემსრულებელმა დავით ქემხაძემ

**სალომე გველესიანი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**„მის საქართველო – 2010-მა“ დეა არაყიშვილმა, სამი წლის წინ ცხოვრება ლაშა შარაშენიძეს დაუკავშირა. ოჯახის შექმნის გამო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მას პაუზის აღება მოუწია, თუმცა, ცოტა ხნის წინ ის ბიზნესით დაკავდა – სამოდელო სააგენტო გახსნა.**

# რა სასიამოვნო რიტუალს ატარებენ ყოველდღიურად დეა არაყიშვილი და მისი მეუღლე და როგორ აისრულა მან ქმრის დახმარებით ბავშვობის ოცნება

**დეა არაყიშვილი**: ცოტა ხნის წინ გავხსენი სამოდელო სააგენტო „ვუმენს ქლაბი“, ანუ – ქალთა კლუბი. ძალიან მინდა, გავაკეთო არა მხოლოდ სამოდელო სააგენტო, არამედ, მთლიანი კომპლექსი: სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, ფიტნეს-ცენტრი, მასაჟის კაბინეტი, აუზი, სილამაზის სალონი – ანუ, ისეთი კომპლექსი, სადაც ქალი შევა და გაიკეთებს ყველაფერს, რაც სჭირდება. რადგან დიდი ხნის განმავლობაში პასიურ მდგომარეობაში ვიყავი, ახლა მიმაჩნია, რომ, მოვიდა დრო, გადავიდე აქტიურ ფაზაში და სიტყვა გარდავქმნა საქმედ. უკვე საკმაოდ ბევრი გოგონა მოვიდა და ყოველდღიურად გვემატება ახალი ნაკადი. ჯერჯერობით სამი სახის გაკვეთილს ვუტარებთ: ფიტნესი, აეორობიკა, ტრენაჟორები; ასევე, ვასწავლით დეფილეს, ლათინურ-ამერიკულ-ევროპულ ცეკვებს.



**ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რისკიანი ნაბიჯი, რადგან, როდესაც მივიღეთ ერთად ცხოვრების გადაწყვეტილება, ცოტა ხანს ვიცნობდით ერთმანეთს**

**– ალბათ, ამ ყველაფერს მარტო არ აკეთებ და გვერდში გიდგას მეუღლე.**

– ჩემი მეუღლის სახით კარგი გვერდში მდგომი მყავს, ამიტომ, ბაზარზე არ შემოვდივარ მარტო, ცარიელი ხელებით. ჩემ უკან დიდი ზურგია, რომელსაც ბოლომდე ვეყრდნობი და რომელიც აბსოლუტურად ყველაფერში მიწყობს ხელს. რაც მთავარია, თავს არ ვგრძნობ მარტოსულად და ორივე ერთად ვეჭიდებით ამ სირთულეებს. სხვათა შორის, ამ ყველაფრის სულის ჩამდგმელი სწორედ ჩემი მეუღლე იყო, იდეაც მას ეკუთვნოდა. ერთ დღეს მითხრა: დეა, ასეთ რამეს ხომ არ გააკეთებ? ეს ბავშვობაში ოცნების დონეზე მქონდა, მაგრამ, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ამ ყველაფერს ასე მარტივად გავაკეთებდი რეალობაში. რადგან მისგან წამოვიდა ინიციატივა, თამამად ავყევი.

**– „მის საქართველოს“ კონკურსში გამარჯვების შემდეგ, დღემდე, საკმაოდ დიდი პაუზა გქონდა, თან, მოდელობასაც დაანებე თავი.**

– სანამ გავთხოვდებოდი, მანამდე მივიღე ეს გადაწყვეტილება და მერე ლაშაც დამეთანხმა. სამოდელო სფეროში შემოსვლის მიზანი „მის საქართველოს“ ტიტულის მოგება იყო, როგორც ბავშვობის ოცნება. ოცნება რომ ამისრულდა, მერე ჩავთვალე: ამით ჩემთვის ყველაფერი ამოწურულია, რადგან, საქართველოში იმაზე მეტის გაკეთება, ვიდრე „მის საქართველოს“ ტიტულია, ფიზიკურად შეუძლებელია. რაც შეეხება პაუზას, ახლად შექმნილი ოჯახი, სწავლა – ყველაფერი ერთად ვერ შევძელი. თან, ოჯახის შექმნა არ არის ადვილად შესაგუებელი თემა, შესაბამისად, დრო დამჭირდა გასააზრებლად. თანაც, ისე მალე და უცებ მოხდა, რომ დავწყნარდი და გავაანალიზე, აღმოჩნდა, რომ უკვე გათხოვილი ვიყავი. ახლა უკვე დალაგებულია ყველაფერი, ამიტომ, გადავწყვიტე, ჩემი საქმე მეკეთებინა. ზოგადად, ცოლქმრული ეტაპი შეყვარებულობის ეტაპისგან აბსოლუტურად განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ, ჩემს შემთხვევაში, რასაც ვგრძნობდით შეყვარებულობის პერიოდში, მერე, ცოლქმრული ურთიერთობისას, ეს გრძნობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა და გამყარდა, შემდეგ კი ამას დაემატა სხვა განცდები და გრძნობები. შეყვარებულობის დროს ადამიანი უფრო ვიზუალურად, ემოციურად გიზიდავს, ცოლქმრული ურთიერთობისას კი სხვა რაღაცეები ჩნდება: მეგობრობა, პარტნიორობა, საერთო ინტერესები, საქმე, ნდობა, თანადგომა, თანაგრძნობა, ყველაფერი ერთად და ეს კიდევ უფრო მეტად ამყარებს ამ გრძნობას. რაც შეეხება სირთულეს, უბრალოდ, სანამ გავთხოვდებოდი, მანამდე დამოუკიდებელი ვიყავი და მერე უცებ ორი ადამიანის მაგივრად უნდა მეფიქრა – ყველაფერში ჩემს მეუღლეს ვითვალისწინებდი, ეს კი ცოტა რთული აღმოჩნდა, გამიჭირდა ორი ადამიანის მაგივრად ფიქრი. მერე შევეგუე, თუმცა, ეს ძნელად შესაგუებელი არც აღმოჩნდა, რადგან, როდესაც ადამიანი გიყვარს, მერე ცდილობ, ყველაფერი გააკეთო, გაითვალისწინო ის ყველაფერში, ისევე, როგორც ის გითვალისწინებს ყველაფერში. ანუ, რაღაც მცირე პერიოდი დამჭირდა ამის გასაანალიზებლად. მეუღლე ყველაფერში მიდგას გვერდში, მეხმარება როგორც საქმიანობის კუთხით, ასევე, ემოციების, განცდების დონეზე, ჩემი ძალიან კარგი მეგობარია, ანუ, ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, ვინც კი ცხოვრებაში მყოლია. ჩემს მეუღლესთან ისეთ თემებზე ვსაუბრობ, რაც, შეიძლება, უახლოეს მეგობარს, დაქალს ვერ გავანდო ან, ისე არც მაინტერესებდეს მისი აზრი, როგორც ჩემი მეუღლის. ამ კუთხით ძალიან თავისუფალი ურთიერთობა მაქვს მასთან. ერთმანეთისთვის აზრების გაცვლა, ემოციების გაზიარება ჩემთვის ყოველდღიურ აუცილებლობად იქცა. დღის ბოლოს უნდა დავსხდეთ ჭიქა ყავასთან და ვისაუბროთ: ლაშა, აბა, დღეს შენკენ რა ხდებოდა? აბა, რას მირჩევ ამაზე, ეს როგორ გავაკეთოთ? – ეს ჩვენთვის უკვე რიტუალის დონეზეა და, რაც მთავარია, ძალიან სასიამოვნო.

**– ახლა, სამწლიანი ურთიერთობის შემდეგ, რას ფიქრობ, როგორ მიგიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე?**

– არ ვაპირებდი მაშინ გათხოვებას, მაგრამ, ლაშა დამეხმარა ამ გადაწყვეტილების მიღებაში. იმდენად უშუალო იყო ჩემთან ურთიერთობაში, ისე უცებ შემოვიდა კონტაქტში, ისე გადაიზარდა მეგობრობა გრძნობაში, ვერც კი მოვასწარი იმის გააზრება, რომ ხვალ გათხოვილი გოგო ვიქნები. თავისთავად მოხდა ყველაფერი. არ გვქონია ეტაპები: ხვალ ნიშნობა გვქონდეს, ზეგ ხელი მოვაწეროთ, ანუ, დალაგებულად არ მომხდარა, პირიქით, უფრო სპონტანურად მოხდა: მოდი, ერთად გადავიდეთ საცხოვრებლად; მოდი, ეს გავაკეთოთ და ასე შემდეგ. როდესაც ჩვენი ურთიერთობა დაიწყო, ისეთი შთაბეჭდილება დავტოვეთ ერთმანეთზე, რომ, ვიცოდით, მომავალში ყველაფერი სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზრდებოდა. ამიტომ, დროის კარგვას, რაღაც გეგმებზე საუბარს, რაღაცეების ლოდინს, ვარჩიეთ: მოდი, ერთად ვიყოთ, ნელ-ნელა ერთად მივყვეთ ცხოვრებას. ამან ძალიან გაამართლა.

**– ანუ, ეს იყო ერთგვარი რისკი.**

– იყო რისკი, თან, ორივეს მხრიდან. ჩემი მხრიდან იმიტომ, რომ მე მანამდე მამაკაცებთან ურთიერთობის მაინცდამაინც დიდი გამოცდილება არ მქონია. დღესაც, ადამიანების შეფასებაში ძალიან ვცდები. ლაშა ნელ-ნელა მასწავლის, როგორ უნდა გამოვიცნო, ადამიანის საუბრის უკან სინამდვილეში რა დგას. ასე რომ, ეს ჩემთვის რთული გადასაწყვეტი იყო, მაგრამ, გამიმართლა, რადგან, ჩემ გვერდით აღმოჩნდა ლაშა და არა სხვა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რისკიანი გადაწყვეტილება, ისევე, როგორც, ლაშასთვისაც იყო გარკვეული რისკი, რადგან, როცა ერთად ცხოვრების გადაწყვეტილება მივიღეთ, ცოტა ხანს ვიცნობდით ერთმანეთს.

**– ოჯახში გენდერული თანასწორობა გაქვთ?**

– მე ვიცი, რაში უნდა ვიყო ლაშას თანასწორი და რაში – არა. არ მიმაჩნია, რომ მე და ლაშა ყველაფერში აბსოლუტურად თანასწორები უნდა ვიყოთ. ტრადიციულ ოჯახში ვარ გაზრდილი, დედამ და მამამ ისე დალაგებულად მოიტანეს აქამდე 30 წლის ოჯახი, რომ, არ შემეძლო, ეს ყველაფერი ჩემს ოჯახში არ გადმომეტანა. მე ვიცი როგორც მამაკაცის, ასევე, ქალის ადგილი ოჯახში, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ, როდესაც კაცი მაგიდაზე დააბრახუნებს, მე შიშით უნდა ვკანკალებდე. ორივე მივდივართ დათმობებზე, თუმცა, ლაშა უფრო მითმობს, ვიდრე მე, რადგან, ცოტა რთული ხასიათი მაქვს. ხშირად, როცა ვიცი, რომ რაღაცაში ვცდები, ვცდილობ, მაინც ჩემი გავიტანო. ლაშა კი, როდესაც ხვდება, რომ ჩემთან კამათს აზრი არ აქვს, ველარ ვაზროვნებ რაციონალურად, მითმობს. ორივე ვითვალისწინებთ ერთმანეთის აზრებს, ყველაფერი თხოვნის, რჩევის სახით ხდება, რადგან, ორი ტვინი უკეთესად მუშაობს.

**– ჯვარი დაიწერეთ ან ხელი მოაწერეთ?**

– ეს ყველაფერი ორივეს ისე შორს გვეჩვენება, ისევ შეყვარებულები გვგონია თავი, თან, ცოტა გვეზარება, მაგრამ, სულ ვამბობთ: მოდი, ეს გავაკეთოთ, მერე ეს დავალაგოთ და მერე მივხედოთ ამ საქმეს. ამასობაში კი სამი წელიც გავიდა. აუცილებლად მოვიცლით. თან, საქორწილო კაბის ესკიზი უკვე გამზადებული მაქვს.

**ნათია უტიაშვილი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**მაია ჯაბუას მშვენიერი ქალიშვილი, 16 წლის ლიზა ყენია, ძალიან ლამაზი და გულახდილი გოგონაა. აქვს საკუთარი მოსაზრებები, შეხედულებები და ოცნებები ცხოვრებასთან დაკავშირებით – როგორც ამ ასაკში სჩვევიათ. ამბობს, ყოველთვის ვოცნებობდი, რომ გავიზრდები მაია ჯაბუა გავმხარიყავიო. ბავშვობასა და დღევანდელობაზე ინტერვიუში ლიზა თავად გვესაუბრება.**

# როგორი ბავშვობა ჰქონდა მაია ჯაბუას ქალიშვილს და როგორ იპოვა მან თავისი საქმე

**ლიზა ყენია:** ყველანაირად კარგ პირობებში ვიზრდებოდი, რისთვისაც მადლობას ვუხდი დედაჩემს. არაფერი მაკლდა და არაფერს ვუჩიოდი.

**– გათამამებდნენ?**

– ვერ ვიყავი გათამამებული, იმიტომ რომ, მყავდა დიდი ძმა და შესაბამისად, ყველაფერი თანაბარ დონეზე იყო. რაც შეეხება პოპულარულ დედას, იცით როგორაა, – ეს ჩვეულებრივი ფაქტია, უბრალოდ, განსხვავება ის არის, რომ გსიამოვნებს, როცა უყურებ მის კონცერტსა და გამოსვლებს – გახარებს და მოგწონს.

**– შედარება თუ კეთდება ან კეთდებოდა: როგორი იყო მაია ჯაბუა შენს ასაკში, ჰგავხარ თუ – არა...**

– ყოველთვის გვადარებენ ერთმანეთს. მით უმეტეს, ახლა, რადგან მანამდე ხშირად არ ვჩანდი და არც მადარებდნენ. ზოგი ამბობს, რომ ბევრად კარგი და ნიჭიერი ვარ და ასე შემდეგ, ზოგი პირიქით, დედა მაინც სხვა არისო.

**– ხასიათით ვის ჰგავხარ?**

– რაღაცეები დედის მაქვს, რაღაცეები მამის. დედას აქვს ხასიათის ისეთი თვისებები, რაც ჩემთვის სამაგალითოა. განსაკუთრებით მიხარია, რომ ვემსგავსები შრომისმოყვარეობით ჩემს საქმეში, თუმცა ვერ ვიტყვი – სხვა რაღაცეებში-მეთქი. რაღაც დონეზე ზარმაციც ვარ, რითაც მამაჩემს ვგავვარ. მაგალითად, ჩემს

**სულ მინდა, რომ გავიზრდები, გავხდე მაია ჯაბუა**

ნიჭიერებასთან დაკავშირებით – ბევრ რაღაცაში შემიძლია, უკეთესი ვიყო. თუნდაც რომელიმე საგანი ავიღოთ: ბიოლოგია, მათემატიკა... მაგრამ, არ ვიტვირთები, იმიტომ რომ, ზარმაცი ვარ. ვცდილობ, დედისგანაც და მამისგანაც ყველაფერი კარგი ავიღო და ამით დავემსგავსო.

**– როგორია შენი ყოველდღიურობა?**

– ყოველდღიურად მაქვს გაკვეთილები. ასევე, ძალიან სერიოზულად ვეუფლები ინგლისურს: ამერიკელთანაც, ინგლისელთანაც, ქართველთანაც.

**– სამ პიროვნებასთან სწავლობ ერთ საგანს, ერთდროულად?**

– დიახ. დავდივარ ასევე, ვოკალზე დოდო დიასამიძესთან. ცალკე სტუდიაში მაქვს საქმეები.

**– სტუდიაში რას საქმიანობ?**

– „სანო სტუდიაში" დავდივარ. გვინდა, ალბომი გავაკეთოთ.

**– მაშასადამე, პირველ ალბომზე მუშაობ?**

– კი. ძირითადი მიმდინარეობები იქნება: „დაფსტეპი," „არენ ბი" და „პოპი", ოღონდ ეს ყველაფერი ქართული ტექსტებით. ერთ კონკრეტულ კომპოზიტორთან არ ვიმუშავებ. ერთი კომპოზიტორი, ვისი სიმღერაც ამ ალბომში შევა, იქნება ჩემი პროდიუსერი – ლევან ჩიჩუა, იგივე თიელი.

**– ალბათ, დედა ძალიან ჩართულია ამ საქმეში და გგულშემატკივრობს.**

– რა თქმა უნდა, დედა ყოველთვის მგულშემატკივრობს. ალბომს ისე სერიოზულად არ უყურებს, როგორც – ვოკალს. ალბომს არ მიკონტროლებს. აზრს ყოველთვის ვეკითხები, სიმღერაზე, ტექსტზე...



მდიდარი ვარ. მყავს ორი და, ორი ძმა და ვარ ამაყი. ძმები – დედის მხრიდან, დები – მამაჩემის მხრიდან

**– მისი კრიტიკა გაბრაზებს, თუ პირიქით?**

– იყო პერიოდი, რომ მართლა ძალიან მაბრაზებდა. ვეპასუხებოდი: შენ რა იცი, მე ვიცი-მეთქი. მაგრამ, რომ გავიზარდე, მივხვდი, ვცდებოდი. ახლა მისი კრიტიკა მსიამოვნებს და ვითვალისწინებ. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ამ ბოლო ხანებში ყოველთვის ემთხვევა ჩვენი აზრები. თუ რამეს გამიკრიტიკებს, ზუსტად ვიცი, რომ ის არ იყო კარგი, ისედაც ეჭვით ვუყურებდი. დედა სწორ მიმართულებას მაძლევს. მანახვებს იმას, რაც არ მინდა, რომ დავინახო.

დედაჩემის თხოვნა იყო, რომ დამემთავრებინა მუსიკალური ექვსწლედი ფორტეპიანოს განხრით. შევუსრულე, მაგრამ ისე არ მიყვარდა და ძალით დავდიოდი, რომ ახლაც არ ვუკრავ. რაც შეეხება ვოკალს, დედამ კი არ მთხოვა, უბრალოდ, თვითონ მივხვდი, რომ ძალიან უყვარს და მხედავს ამ პროფილით. ერთ დღეს მივედი მუსიკალურში, მომისმინეს, დადებითი შემაფასება მომცეს და მითხრეს: მგონი, ეს შენი საქმეაო. მას შემდეგ სერიოზულად მივუდექი მას. ახლა უკვე ვფიქრობ, რომ ჩემი საქმე ვიპოვე. ძალიან მომწონს და მინდა, სერიოზულად გავყვე.

ზოგადად, ჩემს თავს თეატრალურ სამყაროში ვხედავ. ხელოვნების გარდა, სხვა რა მიმართულება უნდა ავირჩიო, ვერ წარმომიდგენია. მინდა, ჩავაბარო კონსერვატორიაში ვოკალზე. მანამდე კი, უახლოეს მომავალში, შესაძლებელია, ერთ-ერთ ქართულ სერიალშიც მნახოთ. თუმცა, უფრო კონკრეტულად, ჯერ არაფერს გიამბობთ ამის შესახებ.

**– ალბათ ყველაზე კარგი ურთიერთობა, შენს პატარა ძმასთან გაქვს.**

– როცა პატარა ვიყავი, ურთიერთობა უფრო მიადვილდებოდა ჩემს პატარა ძმასთან. ამჟამად ყველასთან კარგად ვარ. განსაკუთრებით, რა ასაკშიც ახლა ვარ, ამ პერიოდში გოგოს ყველაზე უფრო სჭირდება დასთან ურთიერთობა. მე ორი და მყავს და ძალიან ბედნიერი ვარ ამით. მდიდარი ვარ: მყავს ორი და, ორი ძმა და ვარ ამაყი. ძმები – დედის მხრიდან, დები – მამაჩემის მხრიდან.

**– 10 წლის შემდეგ, როგორი წარმოგიდგენია ლიზა ყენია?**

– ეგ მეც ძალიან მაინტერესებს, როგორი ვიქნები 10 წლის შემდეგ. ხშირად ვფიქრობ ამაზე. მინდა, არავისზე არ ვიყო დამოკიდებული – არც ფინანსურად, არც მორალურად, საერთოდ, არანაირად. ცალკე ცხოვრებას არ ვგულისხმობ, პირიქით, რაც უფრო დიდხანს ვიცხოვრებ დედაჩემთან, ძალიან ბედნიერი ვიქნები ამით. მინდა, მქონდეს ისეთი კარიერა და ისე ვიცხოვრო, რომ გარშემო მყოფები ბედნიერი გავხადო.

**– არსებობს პიროვნება, ვისაც ჰბაძავ, გინდა, რომ ჰგავდე?**

– კი, დედაჩემი. სულ მინდა, რომ გავიზრდები, გავხდე მაია ჯაბუა *(იცინის).*

**– წარმომიდგენია, როგორ ესიამოვნება ამას რომ წაიკითხავს. ექსპერიმენტები გიყვარს?**

– ექსპერიმენტებს ხშირად მივმართავ, განსაკუთრებით მაკიაჟთან დაკავშირებით. თვალებს სხვადასხვანაირად, უცხო ფორმაზე ვიხატავ და ასე დავდივარ სახლში, რაზეც მაია დამცინის ხოლმე.

**– „ახალ ხმაში" შენს მონაწილეობაზე მინდა, გკითხო. ვისი იდეა იყო შენი იქ გამოსვლა?**

– ოჯახის აზრს ვისმენ. თუმცა, გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვიღებ. „ვოისზე" გამოსვლაც ჩემი გადაწყვეტილება იყო. რაღაც ასპექტში ვნანობ, თუმცა ისეთი გამოცდილება მივიღე რაღაც საკითხებში, რომ აღარც ვნანობ.

**– კიდევ შეიძლება, გიხილოთ რომელიმე კონკურსში?**

– „ვოისი" რომ დამთავრდა, ვფიქრობდი, რომ აღარასდროს მივიღებდი მონაწილეობას სხვა კონკურსში-მეთქი. მაგრამ, ახლა თუ გამოჩნდა ისეთი კონკურსი, რომელიც ძალიან მომხიბლავს, გავალ.

**ეკა სალაღაია**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ბრძნული აზრები

**დემოკრიტე**: კაცი ღრმა აზროვნებას უნდა ესწრაფოდეს და არა ღრმა ცოდნას.

**კლოპშტოკი**: ვისაც საკუთარი შეხედულება არა აქვს და დამოკიდებულია სხვების შეხედულებებსა და გემოვნებაზე, ის – მონაა.

**კანტი**: ადამიანის მორალური აღზრდა უნდა დაიწყოს აზროვნების წყობის გარდაქმნით და ხასიათის შექმნით.

**ჩენინგი**: ბავშვის აღზრდას უფრო გამჭოლი აზროვნება და ღრმა სიბრძნე სჭირდება, ვიდრე სახელმწიფოს მართვას.

**ფროსტი**: ღარიბებს ბევრი ბავშვი ჰყავთ, მდიდრებს კი – ბევრი ნათესავი.

**სენეკა**: იმაზე ურცხვი სანახავი არაფერია, როცა მოხუცს თავისი ასაკის დასამტკიცებლად მხოლოდ წლების შემოთავაზება შეუძლია.

**ნალბანდიანი**: სინდისისა და აზრის თავისუფლების გარეშე, განათლება არ არსებობს.

**ბეალო**: ერიდეთ სალი აზრის წინააღმდეგ ხუმრობას!

**ვოვენარგი**: დიდი აზრები გულიდან მომდინარეობენ.

**ცვაიგი**: მძიმე სენისგან ისე ვერ განიკურნები, რომ კვლავ ძველ ადამიანად დარჩე.

**კამიუ**: ერთნი შექმნილები არიან სიყვარულისთვის, მეორენი – იმისთვის, რომ იცხოვრონ.

**პითაგორა სამოსელი**: განრისხებულმა კაცმა არც უნდა ილაპარაკოს და არც უნდა იმოქმედოს.

**ტოლსტოი**: სიამაყე ადვილად გადადის სიმკაცრეში.

**ბუასტი**: საკუთარი თავის კარგად ცოდნა სიამაყისგან ათავისუფლებს.

**ფრანკლინი:** ამაყები ვერაფრით იტანენ სხვის სიამაყეს.

**ჰეიზე**: დილეტანტი ის კურიოზული ადამიანია, რომელიც სიამოვნებას იმ საქმისგან იღებს, რომლის კეთებაც არ იცის.

**კონფუცი**: ადრე მე ვისმენდი ადამიანების სიტყვის და მჯეროდა მათი საქმეების. ახლა ვისმენ მათ სიტყვას და ვაკვირდები მათ საქმეებს.

**კომენსკი**: ადამიანურ საქმეებში ის კი ვერ ერკვევა კარგად, ვინც დიდხანს იცხოვრა, არამედ ის, ვინც დიდხანს აკვირდებოდა.

**ნაპოლეონი**: შეიძლება, შეჩერდე მაღლა ასვლისას, მაგრამ არა ვარდნის დროს.

**შარდენი**: ცხოვრება ყველაზე მეტად იმიტომ მიზიდავს, რომ ვმონაწილეობ ისეთ საქმეში და უფრო ხანგრძლივ რეალობაში, ვიდრე თვითონ ვარ.

**კანეტი**: ჭკვიანურია ის პასუხი, რომელიც კითხვას არ ბადებს.

**ლაროშფუკო**: თუ ვინმეს ჯერ კიდევ არ ჩაუდენია უგუნურება, ის ისეთი ბრძენი არ არის, როგორც გვეჩვენება.

**სკოტი**: კაცს გაუზრდელობასა და უზნეობას უფრო ადვილად აპატიებენ, ვიდრე რაღაც უბადრუკი, მოდური ეტიკეტის დარღვევას.

**არენდტი**: ადამიანის უფლებების დაკარგვა, მაშინვე ემთხვევა პიროვნების ბიოლოგიურ ერთეულად გარდაქმნას.

**კესტნერი**: ქალი ვერასოდეს ხედავს იმას, რასაც მამაკაცი მისთვის აკეთებს, მაგრამ მშვენივრად აცნობიერებს, რასაც არ აკეთებს.

**მელიხანი**: არც ისე ცუდია, როცა ქმარს ცოლისგან ერთი რამ უნდა, ცუდია, როცა არაფერი უნდა.

# თუ გამოიცნობთ

1. როგორც ბიბლიიდან არის ცნობილი, ადამიანებს შორის ყველაზე დიდხანს მათუსალამ იცოცხლა – 969 წელი შეუსრულდა და გარდაიცვალა. არის მოსაზრება, რომ მისი სიკვდილის მიზეზი სულაც არ იყო სიბერე. ამ ვერსიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მისი სიკვდილის თარიღი ემთხვევა... **რას?**

2. მართლმორწმუნე იუდეველებისთვის დაუშვებელია შაბათობით მუშაობა. ამას გარდა, ისინი მთელი კვირა არ მუშაობენ ებრაული პასექის პერიოდში, თუმცა, ამ დროს დაშვებულია ერთი გამონაკლისი. **რა არ ეკრძალებათ ებრაელებს ამ კვირაში?**

3. ნოემ თავის აგებულ კიდობანში შეიყვანა ყველა არსება – თითო წყვილი. მხოლოდ წმიდა ცხოველები იყო შვიდ-შვიდი. **რატომ?**

4. 1980-იანი წლების ბოლოს მხატვარ ვალერი ბობკოვს გრეკოვის სახელობის პრემია მიენიჭა. ჩვეულებრივ, ეს პრემია ეძლევათ მხატვარ-ბატალისტებს. ბობკოვს კი ამ ჟანრის არც ერთი ტილო არ შეუქმნია. **რა ჩაუთვალეს მას ბატალისტურ ნახატად?**

5. აკრძალვების მიუხედავად, როგორც ცნობილია, სპორტსმენები მაინც იღებენ დოპინგს – ჩვეულებრივ, საკმაოდ ძვირ, ჰორმონულ პრეპარატებს. გამონაკლისები მსროლელები არიან – მათი დოპინგი საკმაოდ იაფი და ხელმისაწვდომია. **რას იყენებენ ისინი?**

6. ოფიციალურად, მოსკოვის ცენტრში მდებარე ეს დაწესებულება ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო და არომატული მცენარეების ინსტიტუტის ფილიალია, თუმცა, მას არმიის სპეციალური ნაწილები იცავენ. **რატომ?**

7. ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ რესტორანში სტუმრებისთვის, რომლებიც შეასრულებენ მათ მითითებას, 5-პროცენტიანი ფასდაკლება მოქმედებს. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად ყველა სტუმარი უარს ამბობს, წასვლისას კი მადლობას უხდის რესტორნის მესვეურებს არა მარტო ფასდაკლებისთვის, არამედ, იმ კომფორტისთვის, რაც მათ ამ მითითების შესრულებამ შეუქმნა. **რას სთხოვენ სტუმრებს?**

8. დაუჯერებელია, მაგრამ, ამტკიცებენ, რომ ამას ყრუ-მუნჯებიც აკეთებენ. ცნობილია, რომ ბევრი მზვერავი გამოუვლენიათ ამ თვისების გამო. **დაასახელეთ, რა თვისება გასცემს მათ?**

9. ამერიკას ის პირველად 1939 წელს, ნიუ-იორკში, მსოფლიო გამოფენაზე შესთავაზეს... დიდი მოწონებაც დაიმსახურა და მსოფლიოში იმ სკანდინავიური ქვეყნის სახელით გავრცელდა, რომელმაც გამოფენის სტუმრებს წარუდგინა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უფრო ტრადიციული, ქართული „აკადემია“ გვირჩევნია, ნელ-ნელა ჩვენთანაც მკვიდრდება. **რა?**

10. დიდი დეპრესიის დროს, მოშიმშილე ხალხს სახელმწიფო ეხმარებოდა. ვაშინგტონში დგას მონუმენტი, რომელიც სწორედ ამ მოვლენისადმია მიძღვნილი და რომელიც იმ დროს ასახავს. **რას წარმოადგენს ის?**

***პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე***

# გამოჩენილი ადამიანების სიკვდილისწინა სიტყვები

**ცეზარე ბორჯია** – რომის პაპი. სიკვდილის წინ თქვა: „მე ჩემი ცხოვრების გზაზე ყველაფერზე ვიზრუნე, გარდა სიკვდილისა, ახლა კი ვკვდები, სიკვდილისთვის სრულიად მოუმზადებელი“.

**ჰორაციო ნელსონი** – ინგლისელი ადმირალი. ტრაფალგარის ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო. „და ბოლოს მეც მომკლეს“.

**ოქტავიანე ავგუსტუსი** – რომის იმპერატორი. სიკვდილის წინ მიმართა გარშემო მყოფთ: „ბატონებო, ვგონებ, რომ კარგად ვითამაშე ჩემი როლი ადამიანურ კომედიაში“.

**იულიუს კეისარი (ცეზარი)** – ძველი რომის უდიდესი მოღვაწე. შეთქმულებმა იგი მოკლეს სენატში, რომელთა შორის იყო მისთვის სანდო პიროვნება ბრუტუსი, ამიტომ იულიუსმა მას უთხრა: „და შენც, შვილო ბრუტუს“. ამის შემდეგ ტოგა წაიფარა თავზე და მას 22 ჭრილობა მიაყენეს.

**ქსერქსე** – სპარსეთის მრისხანე მბრძანებელი, რომელმაც დაანგრია ბაბილონი და საბერძნეთის არაერთი ქალაქი, თავშეუკავებელმა სიცილმა მოკლა.

**ნაპოლეონ ბონაპარტე (მეორე)** – დიდი ნაპოლეონ ბონაპარტეს შვილი, გარდაიცვალა ძალიან ახალგაზრდა, 21 წლის – 1832 წელს. მან საკუთარი ცხოვრება მამის ცხოვრებას შეადარა და შედეგით უკმაყოფილომ ამოიკვნესა: „დაბადება და სიკვდილი, აი მთელი ჩემი ისტორია“.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლd1-F3!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



– ბავშვებო, არ იზარმაცოთ, ისწავლეთ 9-10-იანებზე, მოეწყვეთ ინსტიტუტში მოთხოვნადი პროფესიის ფაკულტეტზე, აიღეთ წითელი დიპლომი... და თქვენი კლასის სამოსანი, რომელიც გაკვეთილებს აცდენდა და ცუდადაც იქცეოდა, სიამოვნებით მიგიღებთ სამსახურში, მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე.

***

არაყი – საოცარი სასმელია, გემო თითქმის ერთნაირია, მაგრამ თავგადასავლები... სულ სხვადასხვა.

***

ფსიქოლოგთან ქალი მივიდა.

– ექიმო, პრობლემა მაქვს... ვერავის უარს ვერ ვეუბნები და შემდეგ ვიტანჯები – თავს უწესო, მსუბუქი ყოფაქცევის ქალად ვგრძნობ, ცოდვილად...

– კარგი, მე ახლა ჰიპნოზს გაგიკეთებთ, ტრანსში შეხვალთ და როდესაც გამოხვალთ, შეგეძლებათ უარი უთხრათ...




– არა, არა... რა საჭიროა უარი... უბრალოდ, ისე გააკეთეთ, რომ უწესო, ცუდი ყოფაქცევის ქალად და ცოდვილად არ ვიგრძნო თავი.

***

– ადრე ქალის გამო მამაკაცები ერთმანეთს დუელში იწვევდნენ და კლავდნენ კიდეც...

– ეჰ, სადღა არიან ახლა ასეთი ქალები...

***

ქმარმა გამაფრთხილა, რომ დღეს დამსჯის. შევვარდი აბაზანაში, ვიბანავე, შევედი საძინებელში, ჩავიცვი ფრთხილად დაკეცილი პენუარი და ველოდები. აი, ისიც შემოდის...

– აი, გამოვრთე ინტერნეტი... მორჩა, შენი სერიალები...

***

– კარტოფილზე გავგზავნე და... მანქანამ დაარტყა...




– საშინელებაა! და ახლა რას აპირებ?

– რა ვიცი, ბრინჯს მოვხარშავ.

***

– აბა, თუ გამოიცნობ: ძინ-ძინ, მიაუ-მიაუ... რა არის?

– ტრამვაი კატას დაეჯახა.

– ძინ-ძინ, ჰამ-ჰამ...

– ტრამვაი ძაღლს დაეჯახა...

– არა, დედა სამსახურიდან მოვიდა...

***

ორი მაწანწალა ქუჩაში, ბორდიურზე ზის.

– ქვეყანაში კრიზისია... – ამბობს ერთი.

– ეგ რას ნიშნავს?

– შენ ოლიგარქი ნაცნობი გყავს?

– არა.

– ჰოდა, გეყოლება.

***

დაიმახსოვრე: არანაირი აგრესია: დარტყმა და მაშინვე ღიმილი!

***

– როდის იქნება საქართველოში განათლება მაღალ დონეზე?

– როცა ლექტორები ინსტიტუტებში „მერსედესებით" მივლენ და სტუდენტები – „მარშრუტკებით".

***

უკვე თენდება, დილის ხუთის ნახევარია... ზარი ტელეფონზე:

– შენც გღვიძავს?!

***

ადრე აიღებდი გაზეთს და მორჩა, შედიოდი... ახლა იღებ „აიპადს," „ნოუთბუქს," ორ „მობილურს" და ისე შედიხარ... ტუალეტში...

***

200 გრამი კონიაკი ან ვისკი, თუნდაც არაყი და გაჩვენებთ, როგორ იბადება ფილოსოფია...

***

ნამდვილი გრძნობა ზამთარში იბადება: თუ ის მოგეწონათ სქელ ქურთუკში შეფუთნული, კაშნეში თავჩარგული, წითელი ცხვირით... ესე იგი, სიყვარულია!

## ცნობილი ადამიანის ინამახვილური გამონათქვამები

ერთხელ ნიაზ დიასამიძე ბიჭებთან ერთად ქუჩაში იდგა. უცბად შორიახლოს გაჩერებული ნაცნობი ტაქსისტი დაინახა.

– თავისუფალი ხარ? – მიუახლოვდა ნიაზი მოწყენილ ტაქსისტს.




– კი, ნიაზ-ჯან, – გამოცოცხლდა მძღოლი.

– არსად გეჩქარება? – დააზუსტა ნიაზმა კიდევ ერთხელ.

– არა, არა, – ხელები გაასავსავა კმაყოფილმა ტაქსისტმა.

– გადმოაბრუნე მანქანა, ჭადრაკი ვითამაშოთ... – უთხრა ნიაზმა (მაშინდელ ტაქსის მანქანას კარზე, ეგრეთ წოდებული, „ჭადრაკის დაფა" ჰქონდა მიხატული).

***

ერთგან შეყრილიყვნენ ყმაწვილები და სწუხდნენ:

– რა გვეშველება, რომ ჩვენში შრომა ყველას სძულს და მუშა არავის გვყავს, განსაკუთრებით ქართველ ქალებშიო?

– ეგ ძალიან ტყუილიაო, სთქვა აკაკიმ: ვერა ჰხედავთ, რამოდენა კურტან-ტიურნირები დააქვთ ჩვენს ქალებს? მუშები არიან, აბა, რა არიანო?

ერთი მელოტი კაცი ამბობდა: ახლანდელ ყმაწვილების ყოფაქცევას რომ კაცმა უყუროს, თავზე თმა აუდგებაო!..

– გეტყობა, ბევრი გიყურებიათ, რომ თქვენი თმა არა თუ ამდგარა, არ დამდგარა და კიდეც გადაკარგულა ცხრა მთას იქითო, – მიუგო აკაკიმ.

***

1048 წელს კარინისის ბრძოლაში თურქსელჯუკებმა დაამარცხეს ბიზანტიელთა, სომეხთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი. მომხდურებს ტყვედ ჩაუვარდათ განთქმული ქართველი სარდალი, კლდეკარის ერისთავი – ლიპარიტ ბაღვაში. სელჯუკთა სულთანმა თოღრულბეგმა მისი გამაჰმადიანება და გადაბირება მოინდომა. ბაღვაში სულთანს წარუდგინეს.

– არ შევასრულებ შენს ბრძანებას. თუ ვაჭარი ხარ, გამყიდე, თუ მტარვალი – მომკალი და თუ მეფე ხარ, გამისტუმრე ჩემს ქვეყანაში და მეფურად დამასაჩუქრეო.

სომეხი ისტორიკოსის, ვარდანის სიტყვებით, სულთანი განაცვიფრა ლიპარიტის სიმამაცემ.

– მე არა ვვაჭრობ შენისთანა ძლევამოსილი და სახელოვანი კაცებით, არც შენი სისხლით ხელის შესვრა მიმაჩნია პატიოსნებად. მე ვარ მეფე და მეფურად განმიტევებიხარ, – უთხრა ტყვე ერისთავს და დიდად დასაჩუქრებული გაისტუმრა სამშობლოში.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ შეუშალა ხელი ნიკოლოზ დერიუგინს გარდაცვლილმა ბაბუამ კარიერულ წინსვლაში

### როგორ არ გამიშვა ბაბუამ რუსეთში

ქუთაისელი ჭაბუკი 17-18 წლის ასაკში ვეზიარე დიდ სპორტს. უკვე თბილისის „დინამოში“ ვთამაშობდი და საკმაოდ წარმატებულადაც. ასე რომ, შეუმჩნეველი არ დავრჩენილვარ ლეგენდარულ მწვრთნელს, გომელსკის.

ერთხელაც, თბილისში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ცსკა“ ჩამოვიდა. ის თამაში ანგარიშით 100-110 წავაგეთ, მაგრამ თავი არ დაგვიზოგავს. 59 ქულა შევძინე ჩვენს გუნდს. ეს ჩემთვის უზარმაზარ წარმატებად ჩავთვალე, რადგანაც მაშინ სამქულიანები არ იყო.

მატჩის შემდეგ გომელსკიმ რუსეთში გადასვლა შემომთავაზა:

– ბინა, მანქანა, კარგი ხელფასი – გადმოხვალ? – მეკითხება მოკლედ.

ჩემი ასაკის სპორტსმენისთვის ეს წინადადება შოკის მომგვრელი იყო და ცოტა არ იყოს ამ მოულოდნელმა წინადადებამ დამაბნია. ენა ვერ დავძარი ან რა ვუპასუხო?!

– აბა, – მიმეორებს გომელსკი, – თანახმა ხარ?

– არ ვიცი... მამაჩემს უნდა ვკითხო, – ვთქვი, რაც მოვახერხე მაშინ.

მამაჩემი დედაჩემთან ერთად ფოიეში ყავას მიირთმევდა. გომელსკიმ ხელკავით მიმიყვანა მამაჩემთან:

– მინდა, თქვენი შვილი ჩვენთან გადავიყვანო.

ახლა მამაჩემი ჩავარდა „უხერხულში“.

– სად, ბატონო?

– ჩვენთან...

– მერე, ჩვენ? – აღმოხდა მამას.

– თქვენც გადმოხვალთ რუსეთში, ბინა, მანქანა, დიდი ხელფასი, პრივილეგიები... – დაიწყო თავიდან ალექს ნიკოლაევიჩმა.

მამაჩემმა „მოხერხებული“ პასუხი ამოატივტივა:

– იცით... მამაჩემს ჰკითხეთ და, თუ თანახმა იქნება...

გადაირია გომელსკი. ეს რა ხალხში მაქვს საქმე, რავა ყველა მამამისს ეკითხება, სად




წავიდეს და წამოვიდეს... ალბათ, ქართველების ტრადიციაა ეს ამბავიო... თავშეკავებით ეკითხება მამას:

– სად ვნახო, ბატონო, მამათქვენი, ვკითხავ, აბა, რას ვიზამ, თუ სხვა გზა არააო.

– ძალიან, ძალიან შორსაა, ჩემო ბატონო!

– მითხარით, სადაა და დანარჩენს მე მოვაგვარებ.

– საფიჩხიაზეა, – უპასუხა მამაჩემმა.

– ყველაფერი გასაგებია! – შებრუნდა და წავიდა დაიმედებული მწვრთნელი.

თურმე ჩვენი ერთ-ერთი მსაჯისთვის უკითხავს, საფიჩხია სადააო?

მსაჯი გაოცებულა:

– რაშია საქმე, რატომ კითხულობთ?

– დერიუგინის მამის მამა ყოფილა იქ და მაინტერესებს იმ კაცის ნახვა.

აბა, საიდან უნდა სცოდნოდა გომელსკის, რომ ბაბუაჩემი კარგა ხანია, ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე განისვენებდა...

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

### გადმოდი მანქანიდან!

1990-იანი წლებია. მაგარი არეულობა იწყება – ის პერიოდია, ჩემი მანქანით აეროპორტში მივდივარ, მოსკოვიდან ჩემიანები ჩამოდიოდნენ და უნდა დავხვედროდი.

ყოველ 10 მეტრში შეიარაღებული წესრიგის დამცველები დგანან. ტრასაზე რომ უნდა გავიდე, მეტრო „ისნის“ ზემოთ, ჩამისტვინეს. გავჩერდი. მანქანას ავტომატგადაკიდებული ჩია ტანის ფორმიანი მოადგა.

– საით, მეგობარო? – მეკითხება.

– აეროპორტში, – ვუპასუხე მოკლედ.

– ესე იგი, აეროპორტში, არა?

– დიახ!

– საბუთები გაქვს?

– აბა, რა...

– ესე იგი, გაქვს... – ათვალიერებს ეჭვით მანქანას.

მოკლედ მოვუჭრი, ვინც ვარ, მეჩქარება.

– მეგობარო, – ვეუბნები, – მე დერიუგინი ვარ.

– ვინ? დერიუგინი?

– კი.

– კაცი სახეზე დამაშტერდა.

– დერიუგინი არა... დერიუგინს ვიცნობ მე...

– მერე? ვერ მიცანი?

– რა გიცანი, ბიჭო, ვის ატყუებ შენ! რაის დერიუგინი ხარ შენ! დერიუგინს შენ მასწავლი? კიდო კაი, ვიცნობ, თვარა ხო მოვტყუვდებოდი ახლა!

– კაცო, დერიუგინი ვარ! რა გინდა, გამიშვი, აეროპორტში მეჩქარება.

– ნუ იტყუები... რა გიგავს შენ დერიუგინს?

როგორც იქნა, მართლა გავბრაზდი:

– არ გადმომიყვანო ახლა მანქანიდან! – ვთქვი მკაცრად.

– რაო, არ გადმომიყვანოო?! – ააჩხაკუნა ავტომატი.

– გადმოდი, თუ ბიჭი ხარ! ვის აშინებ შენ!

გავაღე კარი. ჯერ თავი გავიძვრინე წინ, მერე მხრები გადმოვაყოლე, მერე ფეხებიც გამოვიტანე, გავიმალე, გავიმართე და... დარჩა ის კაცი ძირს. ამომხედა ქვემოდან. ამასობაში მეორე მისი კოლეგა მოგვიახლოვდა. იმან მაშინვე მიცნო.

– რას აკეთებ, შე უპატრონო, ვის აჩერებ, ვის! დერიუგინია მაგ, დერიუგინი! ვერ იცანი, შე იდიოტო?

– მოუხადე ბოდიში ახლავე და გაუშვი.

შეწუხდა და განწირული ხმით ამომძახა:

– წადი, კაცო, წადი, თავში არ დამეცე და არ მინდა შენი არაფერი!

მივდიოდი და ვფიქრობდი: „რა ძალა აქვს ამ ავტომატს, კაცო, ქონდრისკაცსაც კი ბაყბაყდევად აქცევს...“

**ნიკოლოზ დერიუგინის ნაამბობის მიხედვით მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**

აქცია | სამომხმარებლო სესხები

# ყოველი სურვილი მნიშვნელოვანია




**რასაც არ უნდა გეგმავდეთ, ჩვენ გთავაზობთ საუკეთესო პირობებს სახელფასო სესხზე ნებისმიერი მიზნობრიობით!** ასევე, გააერთიანეთ და გადმოიტანეთ სამომხმარებლო სესხი სხვა ბანკიდან და მიიღეთ გაუმჯობესებული პირობები 14 მაისამდე!
აქციის პირობებით სარგებლობა შეგიძლიათ მიუხედავად იმისა, გერიცხებათ თუ არა ხელფასი ბანკ „რესპუბლიკაში“!

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

SOCIETE GENERALE 150 წლის

290 90 90 | * 90 90 | BR.GE

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი



რა სასიამოვნო რიტუალს ატარებენ დეა არაყიშვილი და მისი მეუღლე და როგორ აისრულა მან ქმრის დახმარებით ბავშვობის ოცნება

გვ. 74



გვ. 22

როგორ უბიძგა ციცინო კობიაშვილმა უკრაინელ მსახიობებს შრომის კოდექსის დარღვევისკენ და როგორი გამოვიდა მათი პოლტავური „ხანუმა“



რა შიშის გადალახვა მოუწია ჯულიანა ბარ-გნარს და როდის ცარიელდება ის შინაგანად

გვ. 70

ISSN 1987-569X

9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი ... ამული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №12 (691) * 24-30 მარტი * ფასი 1,50 ლარი